...ართველო ბეჭედია ... ბილისი – შიგ ჩასმული ბადახში
®
www.tbiliselebi.ge
2-8 სექტემბერი * №36 ... ფასი 1,50 ლარ...



გვ. 30

როგორ დაჭრეს ირაკლი კაკაბაძე 15 წლის ასაკში, როგორ მუშაობდა ის ამერიკაში მტვირთავად და როგორ „ყალთაბანდობდნენ" ის და გიორგი მარგველაშვილი

გვ. 70

ვისგან აქვს ეკო ფანგანს სრული თავისუფლება და რა საოცნებო ნივთი გაუუბრალოვდა მას

გვ. 22

რატომ შესთავაზა სამსახური მაგნიტსკის დამქირავებელმა მილიონერმა ქეთი ქარდავას და რა სთხოვა ჯეიმს აპატურაიმ ქართველ ქალებს





როგორ მოხვდა ქართველი დიზაინერი დუბაიში არაბი დამკვეთების მიწვევით და როგორ შექმნა მან „შპიონური" მაჯის საათები

გვ. 19

გვ. 71

ვინ არის აზერბაიჯანელი ბიზნესმენი, რომელიც მაკა შალიკაშვილისა და მისი მეგობრების ჯადოსნურ ღამეებს აფინანსებს თურქეთში



გვ. 2

როგორ დაგეგმეს ერთ საათში ჯვრისწერა თამრი ხურცილავამ და მისმა მეუღლემ და რატომ გადაიქცა მათი ქორწილი „სუხიშვილების" კონცერტად

ჟურნალ „თბილისელებთან" ერთად წიგნის ფასი

წიგნი 8.50 + ჟურნალი 1.50 = 10 ლარი

ჟურნალის გარეშე წიგნის ფასი – 15 ლარი

მსოფლიო საყმაწვილო ლიტერატურის ანთოლოგია




მეშვიდე ტომი

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# როგორ დაგეგმეს ერთ საათში ჯვრისწერა და ხელისმოწერა თამრი ხურცილავამ და მისმა მეუღლემ და რატომ გადაიქცა მათი ქორწილი „სუხიშვილების“ კონცერტად

***სუხიშვილების მოცეკვავე, მსახიობი თამრი ხურცილავა ცოტა ხნის წინ გათხოვდა. მისი მეუღლეა დიპლომატი დავით ზანთარაია. თამრი მაყურებელმა სერიალებიდან და რეკლამებიდან გაიცნო. ის ახლაც ცდილობს ამ სფეროში კიდევ უფრო მეტის გაკეთებას: სულ მალე გამოვა მისი მონაწილეობით რუსულენოვანი ფილმი და, გარდა ამისა, ქასთინგშიც იღებს მონაწილეობას და შემოთავაზებებსაც ელოდება. თამრი ასევე ნინო ცქიტიშვილის სააგენტოს მოდელია და საინტერესო წინადადებაზე არასდროს ამბობს უარს.***



**თამრი ხურცილავა**: ჩემი მეუღლე სოხუმიდან არის, 9 წლის იყო, როდესაც იქიდან წამოვიდა. ბავშვობის ტრავმა დღემდე ახსოვს, თან, საკმაოდ რთულ პირობებში გაიზარდა. სწავლით, შრომით, მეგობრებისა და ახლობლების დახმარებით მიაღწია წარმატებას. ამ ყველაფერში განსაკუთრებულად დედა და დეიდა დაეხმარნენ, რომლებმაც გაზარდეს დათკა – ასე ვეძახი მე. ამჟამად ის უკვე დიპლომატია და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობს.



**– შენც დიპლომატიურად მოგიდგა?**

– დიახ. ჩვენი გაცნობა უცნაურად მოხდა. ისეთი პერიოდი მქონდა, თითქოს რაღაცის ძიებაში ვიყავი, მინდოდა, ისეთ ადამიანს შევხვედროდი, რომელთანაც ერთად გადავწყვეტდი მთელი ცხოვრების გატარებას. როგორც მერე მითხრა, ისიც ასე იყო განწყობილი. თუმცა, არც ერთმა არ ვიცოდით, ვინ შეიძლება ყოფილიყო ჩვენ გვერდით. ერთ საღამოს დაქალებთან ერთად ბარში ვიყავი, ჩვენი დაქალის მეუღლე კი თავის ძმაკაცებთან ერთად იყო. იქ გავიცანით ერთმანეთი. თუმცა, მანამდე ერთხელ მყავდა ნანახი – პრეზიდენტის სასახლეში კლიპის გადაღებისას, ჩემს დაქალს ესაუბრებოდა. მაშინვე მომეწონა ვიზუალურად, ასევე, ქცევით და ჩამრჩა გონებაში. მას არ დავუნახივარ. ბარში რომ დავინახე, გამიკვირდა, თან, ძალიან გამიხარდა. თუმცა, ინიციატივა არ გამომიჩენია, ვცდილობდი, ყურადღება არ მიმექცია, ჩემთვის ვიყავი და მეგობრებთან ერთად ვერთობოდი. მაგრამ, თვითონ, როგორც ჩანს, მოიხიბლა ჩემით და იმ საღამოსვე სკუტერით მიმაცილა სახლში. მანამდე ქუჩაში ერთად დავქროდით, მეც მასწავლიდა ტარებას. ბოლოს მთხოვა, მეორე დღეს შევხვედროდით ერთმანეთს – შენთან ურთიერთობის დიდი სურვილი მაქვსო. პირდაპირი ადამიანია, როცა რაღაცას გადაწყვეტს, მაშინვე აკეთებს. მოკლედ, დავიბენი, მაგრამ, გავრისკე და ვუთხარი: კარგი-მეთქი. ამის შემდეგ, ერთ კვირაში ბოლომდე გამაცნო საკუთარი თავი და მივხვდი – ის ადამიანი იყო, რომელთან ერთადაც დიდი სიამოვნებით გავატარებდი მთელ ჩემს ცხოვრებას. იცის ქალის პატივისცემა და ისიც იცის, როგორ გახადოს ქალი ბედნიერი. ასე რომ, მის გვერდით თავს სრულფასოვან ქალად ვგრძნობ.

**– როდის გადაწყვიტეთ დაქორწინება?**

– ვეცადეთ, ცოტა გაგვეწელა, უფრო სწორედ, მე ვწელავდი, თორემ, იმ დღეებშიც რომ გავყოლოდი ცოლად, დათკა არ იყო წინააღმდეგი. დაახლოებით რვა თვე გაგრძელდა ჩვენი შეყვარებულობის პერიოდი. მერე პირველად ვიჩხუბეთ – რაღაც ვერ გავარკვიეთ. თან, მივლინებაში წავიდა ორი კვირით და ასე ვიყავით გაბუტულები. ეს ორი კვირა ჩემთვისაც ძალიან მძიმე იყო და მისთვისაც. რომ ჩამოვიდა, ყველანი ერთად შევიკრიბეთ და იქ შევრიგდით. მეორე დღეს მითხრა, ცოლად უნდა მოგიყვანოო. ჩემი მშობლები სამტრედიაში ცხოვრობენ. დედა სულ მაფრთხილებდა: თუ რამეს გადაწყვეტ, წინასწარ გამაგებინეო. შოკირებული ვიყავი, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. დავიბენი, თუმცა, უარს როგორ ვეტყოდი, დავთანხმდი და წავედით სამტრედიაში. ამ დროს დედაჩემი თბილისში ჩამოვიდა, დათკას მეგობრები დახვდნენ და უკან ჩამოიყვანეს. იქიდან ორი დღით ბათუმში წავედით, მერე თბილისში დავბრუნდით და ასე დაიწყო ჩვენი ოჯახური იდილია.

**– ახლახან ძალიან ლამაზი ქორწილი გქონდათ.**

– დიდი ქორწილის გადახდას არ ვაპირებდით, უბრალოდ, მინდოდა, ჯვარი დაგვეწერა და ხელი მოგვეწერა. რიცხვი შევარჩიეთ, თუმცა, ყველაფერი სამი დღით ადრე დაიგეგმა. იმავე საღამოს გავიგეთ, რომ ჩემი მეჯვარეები (სულ სამი მეჯვარე მყავდა, სამივე სუხიშვილების მოცეკვავეა), ასევე, ახლო მეგობრები, ვერ მოვიდოდნენ იმ დღეს, რადგან, ბათუმში ჰქონდათ ქორწილი. მე ნინო სუხიშვილმა საჩუქარი გამიკეთა: დამასვენა, თაფლობის თვე მაჩუქა და ამისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. ვიფიქრეთ, მომდევნო დღეს გადაგვეტანა ჩვენი ამბები, მაგრამ, ახლა დათკას მეგობრებს არ ეცალათ. მოკლედ, ლამის ჩაგვეშალა ქორწილი. ბოლოს დათკამ თქვა: მოდი, ხვალ დავიწეროთ ჯვარიო. კაბა მქონდა – მანამდე შევიკერე დათუნა სულიკაშვილთან. ყველაფერი სპონტანურად მოხდა, გავრისკეთ და ყველაფერი ერთ საათში მოვაგვარეთ. საბოლოოდ, ძალიან კარგი გამოვიდა ყველაფერი. ჯვარი მეტეხის ტაძარში დავიწერეთ, ხელი მთაწმინდის პარკში მოვაწერეთ. ორივე ძალიან ვნერვიულობდით, დაბნეულები ვიყავით, თან, ერთმანეთს დავცინოდით. ძალიან ვიწრო წრეში გავაკეთეთ ქორწილი – ჩემი მეგობრები იყვნენ და დათკას თანამშრომლები და ახლობლები. დათკა ხუმრობდა: „სუხიშვილების“ კონცერტზე გეპატიჟებითო.





**– თვითონ ცეკვავს?**

– ძალიან მოქნილია, მაგრამ, ქართულ ცეკვებს არ ცეკვავს. ისე ცეკვავს სხვა ცეკვებს, რომ ამითაც მომხიბლა. „ქართული“ სამ ბიჭთან ერთად ვიცეკვე, კიდევ, „ლაზური,“ მოკლედ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ჩხუბისა და აყალმაყალის გარეშე.

**– სად გაატარეთ თაფლობის თვე?**

– სიცილიაზე. დათკა იტალიურ სკოლაში სწავლობდა და ყოველ წელს, ზაფხულობით, ბავშვებს იტალიაში უშვებდნენ დასასვენებლად. პალერმოში ერთ-ერთ ოჯახში ჩადიოდა, რომლებთანაც დღემდე აქვს ურთიერთობა – საკუთარი შვილივით მიიღეს. ჩემ შესახებაც იცოდნენ და



იქ გადავწყვიტეთ წასვლა. ჩავედით პალერმოში, გავიცანი ეს ოჯახი, შოკში ჩავვარდი, ისეთი თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია. პლაჟებზე ხომ, გავგიჟდი! მანქანა ვიქირავეთ და ქალაქიდან ქალაქში გადავდიოდით, რომშიც ვიყავით. ძალიან კარგი იყო. თან, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცნობ, იქ კიდევ უფრო სხვა კუთხით გავიცანი.

**– შენ ხშირად გიწევს გასტროლებზე წასვლა, მას – მივლინებაში, ამაზე როგორ შეთანხმდით?**

– არ ვიცი, თუმცა, არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც ცოლს სახლში დასვამს. პირიქით, უნდა, რომ გვერდით ჰყავდეს ქალი, რომელიც იქნება ძლიერი, წარმატებული, რეალიზებული, ამიტომ, არაფერში არ მზღუდავს, ხელს მიწყობს. მენდობა და მეც ვენდობი, ანუ, ჩვენი ურთიერთობა დიდ ნდობაზეა დამოკიდებული. ისე, როცა მე მივდივარ ან ის მიდის, ერთი მხრივ, კარგიც არის – მერე რომ ვხვდებით ერთმანეთს, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს თავიდან ვიწყებთ ურთიერთობას.

**ნათია უტიაშვილი**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ აირჩიეს 2013 წლის არჩევნების საპრეზიდენტო კანდიდატებმა ამომრჩევლის გაბიაბრუების ტაქტიკა და რომელი კანდიდატები იღებენ მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში მილიონი ლარის მიღების ეშხით ........ 6



რა პროცედურები უნდა დაიცვას პატრულმა არადამნაშავე მოქალაქის შემოწმებისას და როგორ შეუძლია პოლიციას გონივრულად მოქმედების შემთხვევაში ყველა ქმედების „გაპრავება“ ........ 8

საიდან დააგროვა ნაღდ ფულად სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ 272 000 ლარი .... 9

სოსო ცაბაძე: „ეს თუ გაუვიდათ, ჩათვალეთ, რომ არც ქართული ოქრო იარსებებს და არც სამთამადნო სფეროში ინვესტიციების მოზიდვის შანსი” .... 10



როგორ უთავსდება ერთმანეთს შიდა დასავლური დემოკრატია და ჩრდილოური ორიენტაცია და ნიშნავს თუ არა ქვეყნის დეგრადაციას ევრაზიულ კავშირში გაერთიანება ........ 12

რომელი აფრიკელი პრეზიდენტები ამყარებენ თანამდებობაზე ყოფნის რეკორდებს ........ 14

ადვოკატი გირჩევთ ........ 16

„ფორბსის” ყველაზე გულუხვი მილიარდერები, რომლებმაც საკუთარი კოლექციები მუზეუმს გადასცეს საჩუქრად ........ 18

შეიძლება თუ არა, დიდი სიყვარული ქალისთვის ღალატის მიზეზად იქცეს ........ 20

როგორ ეძებს 1975 წელს მესამე სამშობიარო სახლიდან გაშვილებულ ვაჟიშვილს 67 წლის ქალბატონი ...... 21

თბილისის რომელი კარია მოხსენიებული, როგორც საბაჟო, საიდან წარმოიშვა დასახელება „ჩულურეთი” და რით იყო განთქმული მეარღნე „ქმრიანი სონა“ ძველ თბილისში ........ 23

რას არ უნდა ელოდებოდეს ადამიანი ღმერთისგან და რის გამო არ უნდა დადიოდეს ქრისტიანი ეკლესიაში ...... 24

მოძღვარი გვირჩევს ........ 25

ევროპის რომელი საკალათბურთო ნაკრებები არიან საქართველოს ნაკრების მეტოქეები „ევრობასკეტ 2013-ზე“ სლოვენიაში ........ 26

ექიმის რჩევები ........ 29

როგორ ადამიანს არ სწყალობს ფულის ენერგია და რატომ არ უნდა გადააგდოთ ნაგავში სახლში აღმოჩენილი უცხო ნივთი ........ 32



ჰოლივუდის რომელმა ვარსკვლავებმა აღიარეს საჯაროდ თავიანთი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ 2013 წლის აგვისტოში.......34

როგორ გამოჰყავდა სტალინს „პახმელიიდან“ ნიკიტა ხრუშჩოვი ... 35



შეკითხვა ასტროლოგს .... 36

როგორ გავთავისუფლდეთ დეპრესიისგან, ცუდი აზრებისა და საშიში ემოციებისგან ცეცხლისა და წყლის დახმარებით .... 36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ..... 45

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები ........ 46

კოსმეტოლოგის რჩევები ........ 47

ვინ იყო ბანდიტი „ღამურა“ და როგორ ძარცვავდა ის და მისი ბანდა შემნახველ სალაროებს.........48



სად „უჯოკრავს” კოკა დავლაძე მსოფლიოში წამყვან ბილიარდის „მამებს” და რატომ მოსწონს მას მაგიდაზე გადაწოლილი გოგონები.............50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს.............51



ვეტერინარის რჩევები ........ 56

ფლორის სამყაროში ........ 56

16 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის ბებიის საყვარელი 12 წლით დააპატიმრეს ........ 57

ქურდული ცხოვრება ........ 58

მკვდარი ვერსია ........ 66

რა მოსაზრებით მოხდა თამარ მეფის ქორწინება გიორგი რუსზე და როდის ჩნდება თავდაპირველად საქართველოს ისტორიაში პარლამენტის ჩანასახი ........ 72

სტალინის პირადი მეღვინის რჩევები მეღვინეებისთვის ........ 73



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ქლენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52

სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# რაც იყო – არის, რაც არის – იქნება

## ანუ, „შორი ცა სევდიან ნისლებს ცრის“

მართალია, ჩვენებურ **სანაპირო ზოლში „შორი ცა სევდიან ნისლებს ცრის“, მაგრამ, ფესტივალი „ღამის სერენადები“ მაინც შედგა** და მსმენელ-მაყურებელიც ასიამოვნა (განსხვავებით მზისგან), თუმცა, ფესტივალზე **არანაკლებ საინტერესო ფაქტიც მომხდარა.**

კერძოდ, **თუკი „ლეიბორისტული პარტიის“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელს,** დავით რობაქიძეს, **ვერწმუნებით, „ღამის სერენადებზე“, რომელიც ბათუმის ბულვარის საზაფხულო თეატრში იმართება, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე ავტომობილით მისულა.**

ეს ფაქტი კი იმიტომაა აღნიშვნის ღირსი, რომ **ბულვარის ტერიტორიაზე ავტომანქანით გადაადგილება აკრძალულია** (ბუნებრ-



ივია, გარდა დასუფთავების, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების და სამაშველო სამსახურის ავტომანქანებისა), მაგრამ, **აჭარის ნომერ პირველი ლეიბორისტის მახვილმა თვალმა ბ-ნი ბერიძის ავტომანქანა არათუ შენიშნა, კადრადაც აქცია** და **ფოტომასალა მყისვე სოციალურ ქსელშიც განათავსა.**

აჭარის **უმაღლესი საბჭო ამ ინფორმაციას ჯერჯერობით არანაირად არ გამოხმაურებია**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ, მაგალითად, თბილისის **მთაწმინდის პარკის დირექტორი ორიოდე კვირის წინათ ჩიოდა, მინისტრები პარკის ტერიტორიაზე ავტომანქანებით გადაადგილებას მოითხოვენო**, არც ისაა გამორიცხული, **ავტონომიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესაც გასჩენოდა მსგავსი სურვილი.** მაგრამ, თუკი მთაწმინდის პარკის შემთხვევაში, **თავნება მინისტრებს მთავრობის კანცელარიამ დაუცაცხანა,** საკითხავიც აი, ის არის, **ვის დაეკისრება აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მიწაზე დაბრუნება.**

თავის მხრივ, ფაქტის თვითმხილველი ბ-ნი რობაქიძე აცხადებს, რომ: **„რაც 25 აგვისტოს საღამოს მოხდა, საქართველოს ისტორიაში არც ერთ მმართველს არ უკადრია** (25 აგვისტოს გაუსეირნია ბ-ნ ბერიძეს ავტოთი)", თუმცა, **ჩემი მოკრძალებული აზრით**, **მმართველებს ბევრი და ამაზე მეტიც უკადრიათ, პროცლემა ის მგონია, კვლავაც რომ კადრულობენ.**

# „ნუ წახვალ, ნუ, ჩემო ხელმწიფეო“

## „ზებრა – ლიფტში და ვარდი – სილაში“

შესაძლოა, იმიტომ, რომ **სახელმწიფო მოხელის ქცევის სტანდარტი არ არსებობს** (ან კი როგორ იარსებებს, როდესაც ამ ჩვენს ქვეყანაში ხელისუფალს, ყოველ შემთხვევაში, დამოუკიდებლობის დღიდან მოყოლებული, ცა



ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა – ქალამნად?!), **სულ უფრო და უფრო მეტი მარგალიტი იფრქვევა, განსაკუთრებით, ამ ჩვენი პირველი პირის ბაგეთაგან.**

**მარგალიტთა ფრქვევის ადგილი ამჯერად ბათუმია,** სადაც ჩვენი ქვეყნის პირველი პირი ოჯახთან ერთად და დედის სახლში ისვენებს (სავარაუდოდ, **საპრეზიდენტო დაისის ბრალია, ბ-ნი სააკაშვილი ოჯახურ გარემოში რომ ატარებს შვებულებას ოჯახთან ერთად**, ვინაიდან, **აქამომდე მსგავსი რამ ჩვენს მრავლისმნახველ თვალებს არ უხილავს**).

ჩვეულებისამებრ, **პრეზიდენტი მასებში გავიდა** და, დადგმულია თუ გულწრფელი, **მისთვის ხელის შეხების მსურველნიც ეხვივნენ გარშემო და ფოტოს გადაღების მსურველნიც**, ისეთებიც, რომლებიც **შესტიროდნენ: „ნუ წახვალ, ნუ, ჩემი ხელმწიფეო**"…

კეთილისმსურველთა გარემოცვაში პრეზიდენტმა მომენტით ისარგებლა: **ქვეყანაში არსებულ კრიზისსაც შეეხო** (კერძოდ, ყოფითი პრობლემების სიუხვე შემოგვჩივლა: **სახლში, სადაც ვცხოვრობ, შუქიც რამდენჯერმე ჩაქრა და ლიფტიც ჩამოწყდაო**) და პრემიერ-მინისტრსაც მიმართა: **ზებრა არ ვარ, ზოოპარკის დირექტორმა თავის გალიაში გამომკეტოსო.**

ხოლო, რაკი, როგორც მოგახსენეთ, **არც უმაღლესი თანამდებობის პირის ქცევის სტანდარტი გვაქვს, მეტყველების – მით უმეტეს** (იმას, რაც ჩვენს ყურებს გადაუტანია, თვით ყველაზე ენამჭევრი მემატიანეც კი ვერ აღწერს), **შექმნილ ვითარებას ზუსტად ასახავს** ფრთიანი ფრაზა (რომელიც ჩემს ვირტუალურ მეგობარს ეკუთვნის): **„ზებრა – ლიფტში და ვარდი – სილაში“!**

# სუიციდის ბნელი მხარე

## ანუ, თუ თავს იკლავთ, ლაზათიანად მოიკალით

მართალია, **სტატისტიკის ჩვენებურ სამსახურს თავის ოფიციალურ საიტზე ჩანიკნიკებული აქვს ციფრები**, თუმცა, **ვერსად მიაკვლევთ თვითმკვლელობის ზუსტ სტატისტიკას.** უფრო მეტიც, **ჩვენს ქვეყანაში დანამდვილებით არც მოქალაქეთა გარდაცვალების მიზეზებია ცნობილი:** თითქმის მესამედ შემთხვევაში უცნობია, რამ გამოიწვია ლეტალური შედეგი, არადა, **სიკვდილიანობის მოტივების ცოდნა, წესითა და რიგით, ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედი უნდა იყოს.**



ასე თუ ისე, **არც თვითმკვლელობის ზუსტი სტატისტიკა ვიცით და არც თვითმკვლელობის მიზეზები**, სამაგიეროდ, **ჩვენი კანონმდებლობა თვითმკვლელს, თუკი მისი გადარჩენა მოხერხდა, 500-ლარიანი ჯარიმის გადახდას აკისრებს**.

ადვოკატები **ამ სანქციის არათუ გაუქმებას, ფიქრობენ, რომ სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს გადარჩენილის რეაბილიტაციის ხარჯები** (თუ, რა თქმა უნდა, არ ფიქრობს, რომ „არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა“). მათივე დაკვირვებით, **თვითმკვლელობის მიზეზი ხშირად სწორედ მატერიალური სიდუხჭირეა,** ხოლო **500-ლარიანმა ჯარიმამ კი, შესაძლოა, პირველ ჯერზე უშედეგო თვითმკვლელს თვითმკვლელობის გამეორებისკენ უბიძგოს** – ამჯერად უფრო საფუძვლიანად.

ჩვენ არ ვიცით, თავის დროზე **რამ უბიძგა თავად ქართველ კანონმდებელს ამ ნორმის შესაქმნელად**, თუმცა, ის კი ცხადია, რომ კანონის ეს მოთხოვნა აპათიაში მყოფ მოქალაქეებს იმთავითვე აფრთხილებს: **თუ თავს იკლავთ, ლაზათიანად, ანუ, ერთხელ და სამუდამოდ მოიკალით!**

# ქართული პოლიტიკის ფროიდისეული მოტივები

## „ზოოპარკი საქართველოა, მხეცები ჩვენ ვართ ყველაო“

**ასოციაციები ისეთი ფარცაგი რამაა, ღმერთმა უწყის, სად მიგიყვანს** (ამიტომაც, თავი შორს უნდა დაიჭირო) და, ეს რომ ასეა, **ამას წინა კვირას განვითარებული მოვლენებიც მოწმობს:** თავდაპირველად, **საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი თავი ზებრას შეადარა** (მართალია, კონტექსტში, ზებრა ხომ არ ვარო, მაგრამ, თუ ფროიდს დავესესხებით, ეს პარალელი მეტად საგულისხმოა), შესაბამისად, **პრემიერ-მინისტრი – ზოოპარკის დირექტორს**.



როგორც ჩანს, **მიგნება მეტად მოეწონა**, რადგან, მთელი გასული კვირის განმავლობაში **„ზოოპარკის დირექტორს“ სულ სხვადასხვა კონტექსტში მოიხსენიებდა.** შესაბამისად, **ხან რჩევებს აძლევდა, ხანაც – აფრთხილებდა**, თუმცა, **ყველაზე საინტერესო მაინც სულ სხვაააა.**

სახელდობრ, თუ გავიხსენებთ, რომ **პრეზიდენტის მიერ „ზოოპარკის დირექტორად“ მოხსენიებული პრემიერ-მინისტრია**, ლოგიკურად გამოდის, რომ **ზოოპარკად პირველ პირს ქვეყანა ეჩვენება** (და სულაც ვერ ამსუბუქებს ამ თემას დიდუბის გამგებლის დაკონკრეტება: „ქოცები – ზოოპარკის ბინადრები“), ხოლო, **იმის გათვალისწინებით, რომ ზოოპარკში ცხოველები ცხოვრობენ**, ქვეყნის **მოსახლეობა ცხოველებად მიაჩნია** (მეორე მხრივ, ცხოველები იმდენად კეთილშობილური არსებები არიან, შესაძლოა, ეს შედარება საწყენი არც იყოს, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ფსიქოანალიზური კვლევა არ აწყენდა).

ამდენად, **თუკი აქამომდე „ჩონგური საქართველოა“,** ჩვენი პრეზიდენტის თვალით სრულიად განსხვავებული რეალობა იშლება: **„ზოოპარკი საქართველოა, მხეცები ჩვენ ვართ ყველაო“?!**

# საპრეზიდენტო რისხვა

## კართან დაყუდებულები

ვიდრე ჩვენ, **ერთი მხრივ, ვარკვევთ, რატომ გვადარებენ ცხოველებს**, მეორე მხრივ კი, **ვერ დაგვიდგენია, უნდა ჰქონდეს თუ არა მეჩეთს მინარეთი,** ლიტვის **პრეზიდენტმა უნგრეთიდან და აზერბაიჯანიდან ელჩები გამოიწვია.**

**საპრეზიდენტო რისხვის მოტივი შემდეგნაირია**: 8 ივლისს, youtube-ზე ხსენებული **ელჩების საკუთარ კოლეგებთან საუბრის ჩანაწერი გამოქვეყნდა**, რომელშიც **დიპლომატები აზერბაიჯან-სომხეთს შორის ურთიერთობას არჩევდნენ**, ზედაც, **ლიტვის პრემიერ-მინისტრის სანკტ-პეტერბურგში მოსალოდნელ ვიზიტს აფასებდნენ,** თურქმენეთზე ქილიკობდნენ და ამ ყოველივეს **დიპლომატისთვის ერთობ შეუფერებლად აკეთებდნენ.**

ერთ-ერთი დიპლომატი, თურმე, იმასაც აღიარებდა, რომ **მხარს სომხეთს უჭერს, იმ ნიშნით, რომ ქრისტიანები არიან**. ერთი სიტყვით, **ამ კონკრეტულ დიპლომატებს შავი დღე გაუთენდათ** (რა დაგლუპავს და შენი ენაო): ლიტვის **პრეზიდენტმა დიპლომატები მთავრობის მოთხოვნით არა მხოლოდ გაიწვია**, მეტიც, მათი **მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობასაც ვერ ხედავენ**.

ხოლო, თუ ამ ყოველივეს ჩვენს **ბედკრულ სამშობლოზე განვაზოგადებთ**, მაგალითად, **დიდუბის მოქმედმა გამგებელმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ამაყად დაწერა: „ქოცები ზოოპარკის ბინადრები“** (სხვა მაგალითებზე ამჯერად არ შევჩერდები, იმიტომ, რომ ეს ყველაზე ცხელ-ცხელია), **მისთვის კი ბუზიც არავის აუფრენია** (როგორც იჯდა, ისევე მყარად ზის თავის სკამზე), ვფიქრობ, **ფრიად ნათელია, რატომ გახდა ლიტვა „ნატო“-ევროკავშირის წევრი, ჩვენ კი კვლავაც (**და, ეჭვი მაქვს, კარგა ხანს**) ღია კართან გვაყურყუტებენ.**

# ბიუჯეტი – კეთილშობილების მუზა

## „რელიგია – ხალხის ოპიუმი“?!

იმ მარტივი მიზეზით, რომ **მინარეთის ყოფნა-არყოფნასთან დაკავშირებული ვითარება ფრიად ბუნდოვანია:** არც ლოგიკას ექვემდებარება, ისტერიულადაც შუქდება და დაინტერსებული მხარეებიც სათავისო აქცენტებს აკეთებენ, **შეფასებისგან თავს შევიკავებ** (თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, რწმენის თავისუფლება უზენაესია), **მხოლოდ ციტატას მოვიხმობ არტაანის მუფთის, აქინის მიერ თურქული პრესისთვის მიცემული ინტერვიუდან** (მინარეთი თურქულმა მხარემ შეუძინა მუსლიმან ქართველებს): „ახალციხეში ჭელა მუსლიმებით დასახლებული სოფელია, მაგრამ, გარედან როცა შევხედავთ, მინარეთის არარსებობა დიდი დანაკლისი იყო. არტაანში მომუშავე სასულიერო პირებთან ერთად, მინარეთის გაკეთების ვალდებულება ავიღეთ. ეს ჩვენმა სასულიერო პირებმა შემოგვთავაზეს. **ჩვენც ხსენებული მეჩეთის მინარეთი გავაკეთეთ. ამ მინარეთის არსებობის შემთხვევაში, ყველასთვის გასაგები იქნება, რომ ეს სოფელი მუსლიმანურია.**“

მანამდე კი **სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის სოფელ ჭელის რამდენიმე მკვიდრი დააკავეს** (მოგეხსენებათ, ოფიციალური ვერსიით, მინარეთი განუბაჟებელი იყო, რის გამოც ის შემოსავლების სამსახურმა დააყადაღა), **სასამართლომ მათ ნაწილს 400-400-ლარიანი ჯარიმები შეუფარდა, დანარჩენებს – 2 000-ლარიანი**. რაკი სოფელ ჭელაში აჭარელი ეკომიგრანტები ცხოვრობენ, აჭარის ავტონომიის მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ ამ ჯარიმებს აჭარის მთავრობა დაფარავს.

**აჭარის მთავრობის მეთაურის კეთილშობილური ზრახვები გასაგებია** (რომანტიკოსს, საერთოდაც, **ამაღელვებლადაც კი შეიძლება, მოეჩვენოს**), თუმცა, ისიცაა, რომ **საკუთარი ჯიბის ხარჯზე კეთილშობილება უფრო დამაჯერებელი, გნებავთ, გულწრფელი არ იქნებოდა?** მაგრამ, **როგორც ჩანს, ტყემლით, ანუ ბიუჯეტის ხარჯით, მაინც სულ სხვაა.**

# კოლიბაქტერიების ალყაში

## „უნდა მისცე ნასოსი“

იმ მარტივი მიზეზით, რომ **ძვირად ღირებული სიამოვნებაა, ხორცი, მაინცდამაინც, მოჭარბებულად არ გვხვდება საქართველოს მოქალაქის რაციონში.** თუმცა, **თუ ამ ჩვენებურ ხორცპროდუქტებში კოლიბაქტერიების არსებობას გავიხსენებთ, ისიც საკითხავია, ხომ არ აჯობებდა, საერთოდაც თუ არ მოხვდებოდა?!**

როგორც უნდა იყოს, ამ ბოლო დროს **მაკონტროლებლებმა მეხორცეებს დაუარეს,** ანუ, სარეალიზაციო წერტილების შემოწმება დაიწყეს, **რამაც ამ უკანასკნელთა აღშფოთება გამოიწვია,** იმის მიუხედავადაც, რომ **ფრიად არასახარბიელო სურათი დაიხატა**: ჯერ ერთი, ამ **სარეალიზაციო წერტილების ნაწილი დაიკეტა** სადეზინფექციო სამუშაოების ჩასატარებლად, **მათი მეპატრონეები დაჯარიმდნენ, ხორცი კი ლაბორატორიაში გაიგზავნა**.



**იმისთვის, რომ მეხორცემ პროდუქცია გაყიდოს, ის სასაკლაოზე უნდა დაკლას** (ამ მოთხოვნას ის საფუძველი აქვს, რომ, ხორცი, ძირითადად, დაკვლა-გატყავებისას ზიანდება კოლიბაქტერიებით, იმას გარდა, რომ სასაკლაოებზე პირუტყვის ჯანმრთელობასაც ამოწმებენ), **მაგრამ, მეხორცეებს კანონის ეს ნორმა არ მოსწონთ:** ხორცის **თვითღირებულებას ზრდისო**. თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **კოლიბაქტერიები მხოლოდ ფეკალურ მასებში ცხოვრობენ**, არასწორად დაკვლა-გატყავება კი **ხორცის კოლიბაქტერიებით დასნებოვნების აუცილებელი პირობაა**, მეპროტესტე მეხორცეთა მისამართით იბადება რიტორიკული კითხვა: მაინც, **რატომ უნდა მივირთვათ ფეკალიებით დაბინძურებული პროდუქცია?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**საპრეზიდენტო კანდიდატებმა ხალხში გასვლის ეტაპი დაიწყეს და საქართველოს სხვადასხვა სანახებში ამომრჩევლებსაც ხვდებიან, მართალია, იმ კონკრეტულ შეხვედრებზე კონკრეტულ ადამიანებს ძალიან კონკრეტულ რამეებსაც ჰპირდებიან: იქნება ეს კოაბიტაციის დასრულება თუ სამართლიანობის აღდგენა; საქართველოს საბოლოო გაბრწყინება თუ „ნაცმოძრაობასთან“ ანგარიშის საბოლოოდ გასწორება; სოციალური ფონის მკვეთრად გაუმჯობესება თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ა. შ. მაგრამ ვერც მათ ოფიციალურ ვებსაიტებსა თუ „ფეისბუქის“ გვერდებზე წამლადაც ვერ იპოვით ამა თუ იმ საპრეზიდენტო კანდიდატის შავით თეთრზე დაწერილ წინასაარჩევნო პროგრამა რაა, თეზისებსაც კი. ჩემი მოკრძალებული აზრით, ამას აქვს თავისი მიზეზი: 2013 წლის 27 ოქტომბერს საქართველო წინამორბედებისგან სრულიად განსხვავებულ პრეზიდენტს აირჩევს: მას მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ექნება და ვერანაირ მონაწილეობას ვერ მიიღებს ვერც მთავრობის მუშაობაში, ვერც საკადრო პოლიტიკაში და ვერც აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობაში. შესაბამისად, ყველა მათი დაპირება (მე მათ აქ არ ჩამოვთვლი), რასაც ისინი საჯარო გამოსვლებისას იძლევიან, არც მეტი, არც ნაკლები, მკვდრადშობილია, რადგან კანონი ახალ პრეზიდენტს ასეთ უფლებამოსილებებს არ ანიჭებს. „ჯეპრას“ მთავარ კონსულტანტ სოსო გალუმაშვილთან ერთად მიმოვიხილავთ წინასაარჩევნო პერიოდს და იმის გარკვევასაც შევეცდებით, რატომ ცრუობენ ასე აშკარად ეს ჩვენი პრეზიდენტობის მსურველები.**

# რატომ აირჩიეს 2013 წლის არჩევნების საპრეზიდენტო კანდიდატებმა ამომრჩევლის გაბიაბრუების ტაქტიკა და რომელი კანდიდატები იღებენ მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში მილიონი ლარის მიღების ეჭვით

**– საპრეზიდენტო კანდიდატთა დიდი ნაწილი პროფესიით იურისტია და შეუძლებელია, არ იცოდნენ, რომ ვერ შეძლებენ თავიანთი დაპირებების ასრულებას, რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონდეთ, თუმცა ამ დაპირებებს მაინც აძლევენ ამომრჩეველს. რატომ იქცევიან ასე და რატომ არ აქვთ არჩევნებამდე ორი თვით ადრე წინასაარჩევნო პროგრამები? იმიტომ ხომ არა, რომ დაწერილი უკვე საბუთია და არ უნდათ, ტყუილი დაპირებები დოკუმენტურად დააფიქსირონ? თავს იცავენ უპროგრამობით?**

– წელს ძალიან განსხვავებული საპრეზიდენტო არჩევნები მივიღეთ. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ეს ყველაზე მშვიდი არჩევნებია: არანაირი წინასაარჩევნო ციებ-ცხელება არ შეიმჩნევა. კანდიდატები არ ჩქარობენ არც თავიანთი წინასაარჩევნო პროგრამების გამოქვეყნებას და არც სარეკლამო და საპრომოუშენო აქტივობას. გავიხსენოთ 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნები: არჩევნებამდე 6-7 თვით ადრე იყო ცნობილი ყველა პოლიტიკური პარტიის საპროგრამო პლატფორმის ძირითადი ნაწილი. ბევრს საუბრობდნენ, კამათობდნენ.

**– იმ ტიპის კამათიც მახსოვს: ეს დაპირება ჩემია და მომპარესო.**

– არჩევნებამდე 6-7 თვით ადრე იმართებოდა ცხარე დისკუსიები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები, ეკონომისტები, პოლიტიკოსები არჩევდნენ ამ პროგრამების ამა თუ იმ პუნქტებს და მათ შესაბამისობას რეალობასთან. ასეთი რამ, სამწუხაროდ, ამ წინასაარჩევნო პერიოდში არ ხდება. ფაქტობრივად, არც ერთ კანდიდატს, ცნობილია თუ უცნობი, არათუ არ გამოუქვეყნებია თავისი პროგრამა, არამედ ძირითადი გზავნილიც კი არ გაუცნია თავისი ამომრჩევლებისთვის, თუნდაც, ეგრეთ წოდებული, სლოგანის სახით.



კონსტიტუციაში ძალიან ნათლად წერია, რომ ნებისმიერი დაპირება, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული არ იქნება მმართველი პარტიის კანდიდატი, დარჩება ქაღალდზე

**– წინასაარჩევნო ტემპერატურა წლევანდელი ზაფხულივით გრილია, თუმცა ამ საპრეზიდენტო არჩევნებს დანარჩენებისგან ის განასხვავებს, რომ ის საპრეზიდენტო კანდიდატი თუ კანდიდატები, რომლებიც ხმების 10 ან მეტ პროცენტს დააგროვებენ, ბიუჯეტიდან მილიონ ლარს მიიღებენ. ანუ მატერიალური მოტივიც არსებობს მაშინაც კი, თუ ვერ გაიმარჯვებ.**

– სათითაოდ განვიხილოთ კანდიდატები და ვნახოთ, ვის შეიძლება, აინტერესებდეს ეს მატერიალური მხარე და ვის – არა, ანუ ვისთვისაა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამარჯვება. ამ ნიშნით, რასაკვირველია, მმართველი პარტიისთვის ეგრეთ წოდებული ჯილდო არ არის ისე მომხიბვლელი, როგორც ეს შეიძლება, იყოს, ვთქვათ, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისთვის ან კობა დავითაშვილისთვის, თუნდაც, შალვა ნათელაშვილისთვის. ანუ კანდიდატებს სხვადასხვა მიზანი ამოძრავებთ. მაგალითად, თუ გიორგი მარგველაშვილისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გამარჯვება, შესაძლებელია, გიორგი თარგამაძისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყოს მეორე ან მესამე ადგილი. იგივე შეიძლება ითქვას ქალბატონ ნინო ბურჯანაძეზეც – მისთვის ეს არის გარკვეული რეაბილიტაცია გერეთ წოდებული „ნაციონალური“ წარსულისგან და, ამას გარდა, 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის ძალიან სერიოზული განაცხადის გაკეთება. „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მეორე ადგილი ან გამარჯვება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ საქართველოს პოლიტიკურ რუკაზე დაიმკვიდროს ადგილი, როგორც ერთადერთმა და ყველაზე ძლიერმა ოპოზიციურმა პარტიამ. შალვა ნათელაშვილისთვის მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მისი შეწყვეტილი პოლიტიკური აქტივობა განახლდეს და კვლავ შემოვიდეს პოლიტიკურ სივრცეში, როგორც ძლიერი ფიგურა.

რა თქმა უნდა, ყველა კანდიდატმა მშვენივრად იცის ახალი კანონმდებლობა, ახალი კონსტიტუცია, რომ ახალი პრეზიდენტი აბსოლუტურად სიმბოლური ფიგურა იქნება, მართალია, გარკვეული ძალაუფლების მატარებელი სხვა საპარლამენტო მოდელის პრეზიდენტის მსგავსად, მაგრამ მისი სიმბოლურობა კონსტიტუციაში თითქმის პირდაპირაა მინიშნებული. ამდენად, ყველა კანდიდატი კონკრეტულ მიზანს ისახავს გამარჯვების პარალელურად.

**– დავაზუსტებ: ამ კონკრეტულ მიზანში იგულისხმება კონკრეტული პოლიტიკოსის პოლიტიკური მიზანი და არა კონკრეტული მიზანი ამომრჩევლის გასაბედნიერებლად.**

– კონსტიტუციაში ძალიან ნათლად წერია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატის ნებისმიერი წინასაარჩვენო დაპირება, თუ გამარჯვებული არ იქნება მმართველი პარტიის კანდიდატი, დარჩება ქაღალდზე. მეორე მხრივ, საპრეზიდენტო კანდიდატებმა, დაპირებები რომ აშკარა ტყუილი არ გამოუვიდეთ, შეიძლება, ასეც თქვან: შეიძლება, ბევრი ვერაფერი გავაკეთო, იმიტომ რომ მმართველმა პარტიამ ამისი საშუალება არ მომცეს, მაგრამ თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ უფრო მეტს გავაკეთებ. თორემ ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ არანაირი პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენა, ჩვენი კონსტიტუციით, ახალ პრეზიდენტს ველარ ექნება.

**– ერთადერთი შეუძლია, ხელი შეუშალოს მთავრობას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და დიპლომატების დანიშვნისას.**

– თუ ის არაპატრიოტი იქნება, შეუძლია, დაამუხრუჭოს ეს პროცესები. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბევრი რამ შეიძლება, გადაიქცეს ვაჭრობის საგნად მომავალ პრეზიდენტსა და მთავრობას შორის.

**– იმას ამბობთ, რომ ეს წინასაარჩევნო კამპანია კანდიდატების უმეტესობისთვის ერთგვარი სტარტია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, რომელიც 2014 წლის გაზაფხულზე ჩატარდება?**

– ეს პირდაპირ იკითხება კანდიდატების მოქმედებაში და ძალიან კარგად ჩანს მათ გამოსვლებში ამომრჩევლებთან შეხვედრებისას.

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

გადავხედოთ ბოლოდროინდელი სოციოლოგიური კვლევის შედეგებს: პირველი ხუთი პუნქტიდან, რაც ყველაზე მეტად აწუხებს დღევანდელ ამომრჩეველს: უმუშევრობა, ეკონომიკური აღმავლობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, განათლების სისტემის შეცვლა, ჯანდაცვის პრობლემების მოგვარება, საპრეზიდენტო კანდიდატები ვერც ერთის შესრულებაზე ვერ მისცემენ დაპირებას. ეს იქნება აშკარა ტყუილი, თუ საპრეზიდენტო კანდიდატი მმართველ პარტიას არ ეკუთვნის, იმიტომ რომ 27 ოქტომბრის შემდეგ ჩვენ მივიღებთ სიმბოლურ პრეზიდენტს და თუ კარგად დავაკვირდებით, ამ საპრეზიდენტო კანდიდატების გამოსვლებს, მათ შეხვედრებს მოსახლეობასთან, ისინი, ფაქტობრივად, ერიდებიან კიდეც ასეთი ტიპის განცხადებებს და, ძირითადად, პოლიტიკური განცხადებები კეთდება. ოპოზიციური ფლანგიდან ძირითადი მესიჯია სამათლიანობის აღდგენაზე აპელირება, საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან კი იმის ხაზგასმა, რომ პრეზიდენტის ფუნქცია იქნება ხალხთან ერთად მთავრობისა და ხელისუფლების გაკონტროლება.

**– რასაც ვერ გააკეთებს.**

– ეს მესიჯი: „ვაკონტროლოთ მთავრობა“, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამოიყენა შუალედურ საპარლამენტო არჩევნებზე. ამის გადმოტანა საპრეზიდენტო არჩევნებში ელექტორატის შეცდომაში შეყვანაა, რადგან მომავალ პრეზიდენტს აღარ ექნება აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ფუნქცია.

**– მართალია, კანდიდატებს არ აქვთ ქაღალდზე დაწერილი წინასაარჩევნო პროგრამა, მაგრამ კონკრეტულ ადამიანებთან შეხვედრებზე ამბობენ, რომ ამას მოხსნიან, იმას დაიჭერენ, დანარჩენებს ჩამოახრჩობენ. ვთქვათ, გახდა პრეზიდენტი ამის დამპირებელი, იმ ამომრჩეველს ხომ ახსოვს, ვინც დაჰპირდა. ანუ ჩვენთან უკვე არაფრად აღარ მიიჩნევა ამომრჩევლის ასე უტიფრად მოტყუება?**

– ყველა კანდიდატს ხელში აქვს კვლევები, რომლებიც ასახავს ელექტორატის ძირითად მოთხოვნებს და, ალბათ, ამაზე დაყრდნობით ხდება ამ შეხვედრების ორგანიზება, გზავნილების მიწოდება და იქიდან გამომდინარეც, რომ არსებობს გარკვეული სტერეოტიპი პრეზიდენტის ფიგურასთან დაკავშირებით: საზოგადოება კვლავ ფიქრობს, რომ პრეზიდენტი აღმასრულებელი შტოს ყველაზე მაღალი ფიგურაა. სწორედ ამაზე შეიძლება, ითამაშონ საპრეზიდენტო კანდიდატებმა და აქ ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორის როლი, რომ მან ამომრჩევლამდე მიიტანოს ზუსტი ინფორმაცია, რის უფლება ექნება და რის – არა მომავალ პრეზიდენტს. ჩვენ ვხედავთ შეხვედრებზე, რომ ამომრჩეველი ეთანხმება ამა თუ იმ საპრეზიდენტო კანდიდატს ამა თუ იმ დაპირებაში, მაგრამ არ აქვთ ინფორმაცია, შეძლებს თუ არა ეს კანდიდატი ამ დაპირებების შესრულებას. ამდენად, ძალიან კარგი იქნება, თუ სამოქალაქო სექტორი პარალელურ კამპანიას დაიწყებს იმისთვის, რომ ამომრჩეველი ინფორმირებული გახდეს.

**– ერთია, რომ ამომრჩეველი არ არის ინფორმირებული და მეორე, რომ პოლიტიკოსი ასე აშკარად იყენებს ამას სათავისოდ. ვიცით, ჯერ კიდევ მაკიაველიდან მოყოლებულია ცნობილი, რომ პოლიტიკოსი მატყუარა უნდა იყოს, მაგრამ მთლად ასეთიც?!**

– რასაკვირველია, ეს ძალიან ცუდია და გვაჩვენებს, თუ რამდენადაა შესაძლებელი ნებისმიერი საშუალების გამოყენება საკუთარი მიზნისთვის, მაგრამ ეს არ მეტყველებს მხოლოდ კანდიდატებსა და ელექტორატს შორის ურთიერთობაზე, ეს, ასევე, მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება ძალიან სუსტია და ის სექტორი, რომელიც უნდა მუშაობდეს ამომრჩევლისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდებაზე, ამას არ აკეთებს. და არ ვგულისხმობ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს: ის პიროვნებები, რომლებიც პოლიტიკასთან ახლოს არიან და რომლებსაც აზრის ლიდერებს ვუწოდებთ, არ აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას და ამ პერიოდში ჩრდილში გადასვლას ამჯობინებენ. ესეც პრობლემაა. შევიტყვეთ, რომ წლის ბოლოს ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკიდან წასვლა აქვს გადაწყვეტილი და რჩევა-

> **საპრეზიდენტო კანდიდატებმა, დაპირებები რომ აშკარა ტყუილი არ გამოუვიდეთ, შეიძლება, ასეც თქვან: შეიძლება, ბევრი ვერაფერი გავაკეთო, მაგრამ თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ უფრო მეტს გავაკეთებ**

რეკომენდაციის სახით მინდა, ვუთხრა: სწორედ ის უნდა გახდეს ინფორმაციის მიმწოდებლი საზოგადოებისთვის, თუ რის უფლება აქვს და რის – არა. მან უნდა დაუჭიროს მხარი ასეთ პარალელურ კამპანიებს, რომ პოლიტიკოსებმა ასე აშკარად ვერ მოატყუონ საზოგადოება.

მეორე მხრივ, შეიძლება, კანდიდატები ფიქრობენ, პრეზიდენტი რომ ვიქნები, მაინც გარკვეული სტატუსი მექნება და, აქედან გამომდინარე, ჩემი გავლენით, ჩემი სტატუსით, საზოგადოებრივი მხარდაჭერით, იქნებ მოვახდინო ირიბი გავლენა.

**– საპრეზიდენტო კანდიდატების ეს შესაძლო კეთილშობილური ფიქრები არ ჯდება ახალ მოდელში.**

– მე ეს ტყუილის ალტერნატივად მიმაჩნია. ვლაპარაკობ არაფორმალურ გავლენებზე, როდესაც პრეზიდენტი საზოგადოებრივი სექტორის მხარდამჭერი ხდება. რასაკვირველია, დალაგებულ, ცივილიზებულ ქვეყნებში ეს აბსოლუტური ნონსენსი იქნებოდა, მაგრამ შესაძლოა, კანდიდატები ფიქრობენ, რომ საზოგადოებრივ მხარდაჭერას გამოიყენებენ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებისთვის. არ ვიცი, ვცდილობ, ასეთ აშკარა ტყუილიდან გამოვიყვანო ეს კანდიდატები, იმიტომ რომ ძალიან ცუდად ახასიათებს მათ მორალურ მხარეს, თუ ისინი ასე აშკარად იტყუებიან. შეიძლება, პირიქით, მოვუწოდოთ ყველა კანდიდატს, რომ ამ დაპირებების გაცემა ამორალური საქციელია.

საკმაოდ რთული ვითარებაა: წინასაარჩევნო ინტენსივობა ძალიან დაბალია, მხოლოდ აქა-იქ გამოკრთება ინფორმაცია ამომრჩევლებთან შეხვედრების შესახებ; არც დებატებია. ამიტომაც ვთქვი, ყველა დანარჩენი არჩევნებისგან აბსოლუტურად განსხვავებულია. კარგი იქნება, ამომრჩეველს მივაწოდოთ ინფორმაცია, რა უფლებები ექნება ახალი მოდელით ახალ პრეზიდენტს, რომ შეხვედრების დროს მათგან წამოვიდეს შემხვედრი შეკითხვები და ყველა კანდიდატმა შეწყვიტოს ამომრჩევლის გაბიაბრუება.

**– მილიონი ლარის გადაცემა ხმების 10 პროცენტის დამგროვებელი კანდიდატისთვის პროცესის გასააქტიურებლად ხომ არ გადაწყდა?**

– შეიძლება: ეს გადაწყვეტილება კონკურენციის გასაზრდელად მიიღეს. იყო პერიოდები, როდესაც მხოლოდ ორი-სამი კანდიდატი იღებდა მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში, რადგან დანარჩენებმა იცოდნენ რა, რომ ვერ დააგროვებდნენ პირველი თუ მეორე ადგილის დასაკავებელ პროცენტებს, აღარ ებმეოდნენ წინასაარჩევნო ბრძოლაში. 10 პროცენტის დამგროვებელი კანდიდატისთვის მილიონიანი დაფინანსების მიცემა გარკვეულწილად მოტივაციას უქმნის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის არა მარტო კერძო პირს, არამედ – პარტიებსაც და ეს მილიონი შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი გახდეს 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე.

**– რამ შეიძლება, გააცოცხლოს ჯერჯერობით ტყუილებით გაჯერებული ეს მდორე წინასაარჩევნო პროცესი?**

– შესაძლოა, ერთ-ერთმა კანდიდატმა აწარმოოს, ვთქვათ, ბოიკოტის კამპანია, რომელიც ჯერჯერობით არავის დაუწყია, მაგრამ ეს შეიძლება, იყოს შალვა ნათელაშვილი. ბოიკოტის ფაქტი უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს სხვა კანდიდატებისგან, რადგან რეალურად არსებობს ნიჰილიზმი თვითონ საპრეზიდენტო არჩევნების თუ საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ.

**ნინო ხაჩიძე**


## სასწავლო ცენტრი „პროფესიონალი – 2010“

**აცხადებს** მოსწავლეების მიღებას 2013-2014 სასწავლო წლისთვის, ერთიანი ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებლად ყველა საგანში. 1 საატესტატო საგანში მომზადება – თვეში 25-50 ლარი (ჯგუფში 4-5 მოსწავლე); ეროვნული გამოცდებისთვის ერთ საგანში მომზადება – თვეში 70-100 ლარი (ჯგუფში 2-3 აბიტურიენტი). საატესტატო და ეროვნული გამოცდების სრული კურსისთვის მომზადების, ასევე, ერთი ოჯახიდან 2 მოსწავლის მომზადების შემთხვევაში, მოქმედებს დიდი ფასდაკლება. საბუთები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა. „ღია კარის დღე“ გაიმართება ყოველდღე, 15 სექტემბრამდე, 12 საათზე. სწავლა იწყება 2 სექტემბერს.

გარდა ამისა, სასწავლო ცენტრი **„პროფესიონალი – 2010“** 30-პროცენტიანი ფასდაკლებით მიიღებს იმ აბიტურიენტებს, რომლებიც 2013 წლის ეროვნულ გამოცდებზე ჩაიჭრნენ. ჩვენი პროფესიონალი მასწავლებლები იღებენ ამ გამოწვევას – თქვენს სწორ და სათანადო მომზადებაზე მთლიანად აგებენ პასუხს. ისინი დაგეხმარებიან, მიიღოთ 2014 წლის ეროვნულ გამოცდებზე მაღალი ქულები, შეუერთდეთ ჩვენთან მომზადებული წარმატებული აბიტურიენტების სიას და გახდეთ სტუდენტები. ჩვენთან მომზადების შემთხვევაში, თქვენთვის სტუდენტობა გარანტირებულია, რადგან „ჩვენი გამოცდილება და პროფესიონალიზმი, თქვენი წარმატების საწინდარია“!

**მისამართი: ჭოველიძის ქუჩა №5 (ყოფილი ბელინსკი, რუსთაველის მეტროსთან); ტელ.: 2-307-113; 555-63-48-01.**

**პოლიციის მიერ ბოლო პერიოდში მასობრივი რეიდების მოწყობამ საზოგადოების ნაწილში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ბ-ნ გივი თარგამაძეს ამ მოვლენებმა შევარდნაძე-თარგამაძის შავბნელი წარსული გაახსენა; რაღაც ნაწილი ფაქტს სრულიად გულგრილად შეხვდა – შესაძლოა, იმ მარტივი მიზეზით, რომ არ შეხებია; დანარჩენები კი აცხადებენ, რომ იმის გათვალისწინებით, თუ რას სჩადიოდა პოლიცია პირველ ოქტომბრამდე, ახლანდელი ქცევა ლანდების ლაციცია, თუმცა მასობრივ რეიდებში მოყოლილები ამტკიცებენ, რომ პოლიციელები საკმაოდ უპატივცემულოდ ექცევიან (და ამ ფონზე ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, პოლიციის არცთუ უმწიკვლო წარსულის გახსენება დიდი ვერაფერი შეღავათია). ასეა თუ სხვაგვარად, რაკი მოქალაქეებსა და პოლიციას გვიწევდა, გვიწევს და მოგვიწევს ერთმანეთთან შეხება, საიას თავმჯდომარე კახა კოჟორიძეს დავეკითხეთ, კანონით, რა უფლებები აქვს და არ აქვს მინიჭებული პოლიციელს მოქალაქესთან ურთიერთობისას.**

# რა პროცედურები უნდა დაიცვას პატრულმა არადამნაშავე მოქალაქის შემოწმებისას და როგორ შეუძლია პოლიციას გონივრულად მოქმედების შემთხვევაში ყველა ქმედების „გაპარავება“

**– რომელი კანონები არეგულირებს მოქალაქეებისა და პოლიციელების ურთიერთობას?**

– მოქალაქეთა და პოლიციელების ურთიერთობას ძალიან ბევრი კანონი და კანონქვემდებარე აქტი არეგულირებს, მაგრამ ძირითადი მაინც არის „პოლიციის შესახებ კანონი“ და „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“. „პოლიციის შესახებ კანონში“ განმარტებული და ჩამოთვლილია ის უფლებამოსილებები, რაც პოლიციას აქვს. „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ კი დადგენილია ის წესები, რის მიხედვითაც ხდება გამოძიება, სისხლის სამართლის საქმის წარმოება და ასე შემდეგ. ყველა ის საპოლიციო, საგამოძიებო უფლებამოსილება, რაც აქვს პოლიციას, დეტალურადაა გაწერილი კანონმდებლობაში, ანუ ჩარჩოში ზის. გარდა კანონისა, არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილებები, მათ შორის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და, ზოგადად, სტანდარტია, რომ, თუ კანონმდებლობაში არ არის გაწერილი პოლიციის კონკრეტული უფლებამოსილება, იგულისხმება, რომ ეს უფლება პოლიციას არ აქვს. ანუ იმ ქმედებებს, რაც არ არის აღწერილი კანონმდებლობაში, პოლიცია ვერ განახორციელებს.

**– განსხვავებით სხვა შემთხვევებისგან, როდესაც, რაც არ არის აკრძალული, დასაშვებია?**

– ეს პუნქტი მოქმედებს სამოქალაქო სამართალში, კერძო პირების ურთიერთობაში, მაგრამ პოლიციასთან მიმართებაში მოქმედებს საწინააღმდეგო პრინციპი, რაც კანონით არ არის პირდაპირ გაწერილი, აკრძალულია.



**სტანდარტია: თუ კანონმდებლობაში არ არის გაწერილი პოლიციის კონკრეტული უფლებამოსილება, იგულისხმება, რომ ეს უფლება პოლიციას არ აქვს**

**– სანამ ამაზე გადავალთ, ვთქვათ, ქუჩაში მოძრავ პატრულსა თუ უბნის ინსპექტორებს რა შემთხვევაში აქვთ იმ მოქალაქის შემოწმების უფლება, რომელსაც არაფერი დაურღვევია?**

– ასეთ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა არანაირი ქმედების განხორციელების საშუალებას არ აძლევს სამართალდამცველს. არსებული კანონმდებლობის ნორმალური განმარტება ნიშნავს იმას, რომ, თუ კონკრეტული მოქალაქის მიმართ არ არსებობს კონკრეტული ინფორმაცია, არ არსებობს კონკრეტული გარემოებები და გონივრული ეჭვი იმის შესახებ, რომ მან ჩაიდინა ან აპირებს დანაშაულის ჩადენას, მაშინ იმ მოქალაქესთან მიმართებაში არ შეიძლება რამე სახით ასეთი ღონისძიების გატარება. ეს არის ჩვენი კანონმდებლობის სწორი განმარტება. სხვათა შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებაც ასეთია. საიამ ლევან იზორიასთან ერთად სარჩელი შევიტანეთ საკონსტიტუციო სასამართლოში. საკონსტიტუციო სასამართლომ კი 2013 წელს მიიღო გადაწყვეტილება და განმარტა, რომ გონივრული ეჭვი არის ის გარემოება ან გარემოებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს უქმნის იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ პირმა ჩაიდინა, ან აპირებს დანაშაულის თუ სამართალდარღვევის ჩადენას. ანუ უნდა არსებობდეს გონივრული ეჭვის საფუძველი; მეორე, კანონი რეიდის ჩატარებას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს; დამნაშავეთა დაკავების მიზნით; სხვა სამართალდამრღვევთა დაკავების მიზნით. ეს ქმედებები უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის მიერ დადგენილი წესით. თუ ჩრეკა და ამოღებაა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით უნდა მოხდეს, რასაც სჭირდება სასამართლოს ნებართვა ან, თუ მაინც მოხდა სასამართლო ნებართვის გარეშე, შემდეგ მაინც არის საჭირო ეს ნებართვა.

**– ის, რაც ბოლო დროს ხდება ჩხრეკა-ამოღებაა, მარტო ჩხრეკა თუ?**

– ჩხრეკა და შემოწმება სხვადასხვა ტერმინია.

**– კი ბატონო, ის, რაც ტარდება, შემოწმებაა თუ ჩხრეკა?**

– ეს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გიარკვეს: ზოგი შეიძლება, გაჩხრიკეს, ზოგი – შეამოწმეს.

**– თქვენ ახლა თქვით, როგორი უნდა იყოს ჩვენი კანონმდებლობის სწორი განმარტება, ოდესმე პოლიციას დაუქვემდებარებია თავისი ქცევები კანონისთვის იმ განმარტებით, როგორც თქვენ ახლა განმარტეთ?**

– შეიძლება, შეუსრულებია კიდეც. მაგალითად, თუ ავტომანქანა მოძრაობისას საეჭვო მანევრებს აკეთებს, ეს შეიძლება, იყოს გარემოება, რომელიც პატრულ-ინსპექტორს გაუჩენს ეჭვს, რომ მძღოლი შესაძლოა, ნასვამია და ამიტომ მოძრაობს ასე უცნაურად. ამ შემთხვევაში მას შეუძლია, გადაამოწმოს თავისი ეჭვი და გააჩეროს. ანუ ეს შეიძლება, გახდეს გონივრული ეჭვის საფუძველი, მაგრამ, როდესაც მოქალაქე არაფერს აშავებს, თავისთვის დგას ქუჩაში და ეუბნები, წადი სახლშიო, როგორც ახლახან მოხდა რამდენიმე შემთხვევაში,

**ჩვენს კანონმდებლობაში არსად წერია, რა არის გონივრული ეჭვი**

ეს უკვე სცილდება პოლიციის უფლებამოსილებას.

**– ძალიან სამწუხაროა, თუ ეს ტრადიცია გააგრძელეს, რადგან არსებობდა სამწუხარო წესი მთელი ბოლო წლების განმავლობაში, როდესაც პატრული ღამით ქუჩაში, ხშირად საკუთარ სახლებთან მდგარ ვაჟებს შლიდა: ახლავე შედით სახლებშიო. ჩემი დაკვირვებით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ეს შეჩერდა, რაც იმითაც იგრძნობა, რომ საღამოობით და ღამით ქუჩები ახმაურდა. თქვენთვის, როგორც უფლებადამცველისთვის, აქამდე უცნობი იყო, რომ პატრულის ქცევის ნორმა გახლდათ ეს საპარლამენტო არჩევნებამდე?**

– ჩემთვის არავის მოუმართავს ინფორმაციით, რომ მასობრივად ქუჩაში არ აყენებდნენ. არ გამიგია, რომ ამას ჰქონდა ადგილი.

**– ხდებოდა და დარწმუნებული ვარ, მკითხველი დამეთანხმება. ანუ თქვენ ამბობთ, ახლა ხდება და ადრე არ ხდებოდა?**

– ახლაც ვერ ვიტყვი, რომ ხალხს მასობრივად არ აყენებენ ქუჩაში, მაგრამ ის ინფორმაცია, რაც ვრცელდება, მოითხოვს ადეკვატურ შეფასებას. თუმცა, ცხადია, თუ ქუჩაში ხმაურით ირღვევა მოქალაქის სიმშვიდე...

**– მე ვიგულისხმე სიცოცხლის მანიშნებელი ხმაური, რადგან, თუ ხმაური მაწუხებს, მე თვითონ დავურეკავ პატრულს და მოვიხმობ დასახმარებლად.**

– მოკლედ, სტანდარტი არის ის, რომ, როდესაც ერთი ადამიანის უფლება სხვა ადამიანის უფლებებს უშლის ხელს, შეიძლება, მოხდეს მისი შეზღუდვა. თუ ხმაურით აწუხებ სხვა მოქალაქეს, ეს ზოგ შემთხვევაში შეიძლება, დაკვალიფიცირდეს წვრილმან ხულიგნობად. თუ ასეთ ინფორმაციაზე მოახდენს რეაგირებას პოლიცია, მას ვერავინ გააკრიტიკებს, პირიქით, პოლიციის მოვალეობაა ამის აღკვეთა. მაგრამ მოქალაქეების მასობრივად შემოწმებას ამ ფორმით, ჩვენი კანონმდებლობა არ ცნობს, რაც ნიშნავს, რომ ეს აკრძალულია. „პოლიციის შესახებ კანონში“ პირდაპირ წერია, რა შემთხვევაში შეუძლია პოლიციას რეიდის განხორციელება. თუ პოლიციას არ აქვს კონკრეტული ინფორმაცია, რომ ვინმემ დანაშაული ჩაიდინა და იმ კონკრეტული ფაქტის გამო არ მოქმედებს, ასეთი რეიდების ჩატარებას ვერ ექნება სამართლებრივი საფუძველი.

**– თქვენ დაგაკმაყოფილათ შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებამ, რომ მასობრივ რეიდებს დანაშაულის პრევენციის მიზანი აქვს?**

– ცხადია, არა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ამ რეიდების დროს გამოვლინდა დანაშაულის ათეულობით ფაქტი და ეს არის პრევენციული ღონისძიებები. გასაგებია, რომ პოლიციას აქვს პრევენციული ღონისძიებების გატარების უფლებამოსილება, მაგრამ არა ამ ფორმით. ეს შემოწმებები, რადგან ბევრი ადამიანი მოწმდება მასობრივად, არის რეიდი, რაც არ შეესაბამება კანონით რეიდის ჩატარებისთვის გათვალისწინებულ მიზეზს. არ ვიცი, კანონის რომელ მუხლში ჯდება, როდესაც ადამიანს ეუბნები, ნუ დგახარ სახლის წინო.

**– ჩემი აზრით, ეს ძველი ტრადიციის გაგრძელებაა, რაც სამწუხაროა, რადგან ნიშნავს, რომ სისტემამ გავლენის ქვეშ მოიქცია**

## დავით გალეგაშვილი – ნონა ჩარგეიშვილი

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი 1969 წელსაა დაბადებული. 1991 წელს თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა, თუმცა, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი მხოლოდ 2008-ში გახდა. მისი შრომითი ბიოგრაფია 1991 წელს „ეროვნულ ბანკში" იწყება, სადაც 2001 წლამდე იმუშავა, ბოლო თანამდებობით – სავალუტო სამმართველოს უფროსი; 2001-2003 წლებში საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ, 2003-ში ფინანსთა მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, 2004-2005-ში – საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარედ, 2006 წელს „ტაობანკის" დირექტორი გახდა, 2008 წელს – „თბილისის წყლის" მენეჯერი. 2009 წელს რუსთავში, შპს „პროგრესის" გენერალურ დირექტორად დაინიშნა და ამ პოსტზე 2012 წლის ნოემბრამდე მუშაობდა, სანამ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ დასახელდებოდა. რაკი სტაჟი არც ჩინოვნიკობის აკლია და არც კერძო სექტორში მუშაობის, ფინანსური დეკლარაციაც მრავალჯერ შეუვსია, ამიტომაც, ბ-ნი გალეგაშვილის ქონებრივი დინამიკის გარკვევისთვის მის მიერ 2005 წელს, საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარეობისას შევსებულ დეკლარაციასაც გავეცანით, რომ შემდეგ ის 2013 წელს შევსებულისთვის შეგვედარებინა.

2005 წლის დეკლარაციაში ბ-ნი გალეგაშვილი ოჯახის წევრებად მიუთითებდა მეუღლეს – ნონა ჩარგეიშვილს და ორ ქალიშვილს: 1990 წელს დაბადებულ ნათიასა და 1989 წელს დაბადებულ თინათინს.

იმხანად გალეგაშვილების ოჯახის უძრავი ქონება ერთი საცხოვრებელი სახლით შემოიფარგლებოდა თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, რომელიც 150 000 ლარი ღირდა და ჩინოვნიკის მეუღლის, ქ-ნი ჩარგეიშვილის საკუთრებას წარმოადგენდა, თუმცა, იმ კონკრეტული დეკლარაციის შევსების დროს, ოჯახის უფროსს, ნაღდი ფულის სახით, 32 000 ლარი ჰქონდა.

# საიდან დააგროვა ნაღდ ფულად სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ 272 000 ლარი

იქვეა აღნიშნული, რომ იმ წელს ბ-ნ გალეგაშვილს ხარჯიც ჰქონია – 3 150 ლარად შეუძენია ტელევიზორი, რემონტი კი 4 300 ლარი დასჯდომია. ხოლო, როგორც საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, წლიურ ხელფასად 35 072 ლარი მიუღია. საბანკო არც სესხები ჰქონია და არც დეპოზიტები.



მას შემდეგ, 2012 წლის ნოემბრამდე, მას სახელმწიფო სექტორში არ უმუშავია, მაგრამ, 2013 შევსებული დეკლარაციით, ვიგებთ, რომ ახლა უკვე ბ-ნი გალეგაშვილის საკუთრებაა: საცხოვრებელი ბინა თბილისში, ალექსიძის ქუჩაზე (104 კვადრატული მეტრი ფართობის); მიწის ნაკვეთი გრიგოლეთში (2 301 კვადრატული მეტრი ფართობის); მიწის ნაკვეთი დუშეთის რაიონში, ბაზალეთის ტბაზე (434 კვადრატული მეტრი ფართობის); ქ-ნი ჩარგეიშვილის უძრავ ქონებას კი არაფერი შეჰმატებია: მას კვლავაც მხოლოდ ის საცხოვრებელი ბინა აქვს ჭავჭავაძის გამზირზე.

დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფული კვლავ ოჯახის უფროსს ჰქონდა: არც მეტი, არც ნაკლები, 272 000 ლარი.

გარდა ამისა, ვიგებთ, რომ დავით გალეგაშვილი არის შპს „კომპანია კ 2-ის" პარტნიორი (თუმცა, როგორც დეკლარაციაში შენიშნავს, ამ შპს-ს მისთვის არანაირი შემოსავალი არ მოუტანია); ასევე, შპს „ჰერიოს" პარტნიორი და მმართველი დირექტორი – ამ საქმიანობას მისთვის 2011 წელს 53 200 ლარი მოუტანია; ასევე, გახლდათ, შპს „დიპექსის" პარტნიორი და დირექტორი, თუმცა, შემოსავალი არ მიუღია. შპს „პროგრესის" დირექტორობაში მან 77 722 ლარი აიღო ხელფასის სახით. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნიუ კრედიტ ოფისის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრობამ კი, სულ რაღაც 1 000 ლარი მოუტანა. დეკლარაციიდანვე ვიგებთ, რომ 2012 წლის ნოემბერში, როდესაც ბ-ნი გალეგაშვილი ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, წილები შპს „ჰერიოსა" და „კომპანია კ 2-ში" მინდობით გადასცა, თუმცა ვის, უცნობია; ერთი ისაა, რომ მინდობის პროცესში მონაწილეობა ნოტარიუს ნუნუ გინტურს მიუღია.

იმავე დეკლარაცია გვამცნობს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ორთვიანი მუშაობის შედეგად, მის სახელფასო ანაზღაურებას 10 880 ლარი შეუდგინია.

განსხვავებით 2005 წლის დეკლარაციისგან, 2013 წლის დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ ბანკებიდან დავით გალეგაშვილს, საერთო ჯამში, მილიონი ლარისა და 211 662 აშშ დოლარის ოდენობის სესხი აქვს დასაფარი, მის უმუშევარ მეუღლეს კი – 8 200 ლარისა და 203 850 აშშ დოლარის ოდენობის. შესაბამისად, გასულ წელს ცოლქმარს ამ სესხების მომსახურებისთვის თანხაც დაეხარჯათ, თუმცა, შემოსვალიც ჰქონდათ ავტომანქანის 47 000 ლარად გაყიდვიდან (ბ-ნმა გალეგაშვილმა ავტომანქანა შპს „ჰერიოს" მიჰყიდა), ასევე, ზეპირი ხელშეკრულებით, 245 000 აშშ დოლარის სესხიც გაუცია უვადოდ, მაგრამ, ჯერჯერობით ამ ოპერაციიდან შემოსავალი არ მიუღია.

**ნინო ხაჩიძე**

---

**ახალი კადრები მმართველობის თავში. დარწმუნებული ვარ, რომ მათთვის, ვისაც ქუაში დგომა უყვარს ღამით, ეს სიახლე არ ყოფილა, თუმცა თქვენ ამის შესახებ არაფერი გსმენიათ.**

– მე არ ვფიქრობ, რომ ასე იყო, ან რომ ახლა არის ასე.

**– მე სხვა რამეს ვამბობ: მე მიკვირს, რომ თქვენ, როგორც უფლებადამცველმა, ეს არ იცოდით.**

– ჩემი აზრით, არც ადრე ხდებოდა მასობრივად მსგავსი რამ და არც ახლა ხდება, რომ ადამიანები ღამით ვერ იდგნენ თავიანთი სახლების წინ. ადრე ადგილი ჰქონია პოლიციელების მხრიდან უფლებების გადამეტებას, მაგრამ ეს არ ყოფილა დიდი პრობლემა.

**– ეტყობა, მე და თქვენ განსხვავებულ გარემოში ვცხოვრობდით. ნათლად რომ ჩამოვაყალიბოთ მოქალაქეების უკეთ ინფორმირების მიზნით, რის უფლება არ აქვს პოლიციელს, თუ მოქალაქე არაფერს ვარღვევ?**

– თუ მოქალაქე არაფერს არღვევს და მის მიმართ არც გონივრული ეჭვი აქვს პოლიციას, რომ მას რამე სამართალდარღვევასთან აქვს კავშირი, მის მიმართ არანაირი ღონისძიება არ უნდა განხორციელდეს. ასეთია ჩვენი კანონმდებლობის მოთხოვნა. თუ პატრული გააჩერებს ნებისმიერ ფეხით მოსიარულე მოქალაქეს ან ავტომანქანას, გარდა იმისა, რომ უნდა წარუდგეს და ფორმა უნდა ეცვას, რაც ცალსახაა, ვალდებულია, განუმარტოს, რატომ შეაჩერა. ისე არ არის, რომ მოუნდა და გააჩერა.

**– საკონსტიტუციო სასამართლოს, მართალია, განუმარტავს გონივრული ეჭვი, მაგრამ, რეალურად, გონივრული ეჭვის რა განმარტებას იყენებენ სამართალდამცველები მოქალაქეების მიმართ?**

– ეს ჩვენს კანონმდებლობაში არსად წერია. ყოველ შემთხვევაში, გონივრული ეჭვი შეიძლება, განმარტებული იყოს ისე, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა. რაზეც მოგახსენეთ. რატომ გამოიყენა საკონსტიტუციო სასამართლომ ობიექტური პირის ცნება? „ობიექტური პირი" ნიშნავს იმას, რომ სტანდარტი არის არა სუბიექტური დამოკიდებულება: მე გამიჩნდა ეჭვი და უბრალოდ მინდა, შეგამოწმო, არამედ, ობიექტური საფუძველი უნდა ჰქონდეს ასეთი ეჭვის გაჩენას.

**– ნებისმიერ შემთხვევაში გამოდის, რომ, თუ პოლიცია გონივრულად იმოქმედებს და არ გადაამლაშებს, მას ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია, შექმნას ასეთი გონივრული ეჭვის საფუძველი, ანუ, თუ კარგად მოემზადება, ნებისმიერ შემთხვევაში „გაამართლებს" თავის ქმედებას?**

– თუ რომელიმე დასახლებულ პუნქტში გაიზარდა დანაშაულის რაოდენობა ან მოხდა დანაშაული და პოლიცია მოქმედებს ცხელ კვალზე, ან მასობრივად ირღვევა ადამიანების უსაფრთხოება და მყუდროება, თუ ასეთი გარემოებები არსებობს, ცხადია, პოლიციის ვალდებულებაა რეაგირება, მაგრამ სასურველი იქნება, თვითონ პოლიციელებმა განუმარტონ მოქალაქეებს, საზოგადოებას, რა კონკრეტული გარემოებები უბიძგებს მათ ამგვარი ქმედებებისკენ. მით უმეტეს, როდესაც ამ ღონისძიებებს ასეთი მასშტაბური სახე ეძლევა.

**– ცნობილია, რომ საპარლამენტო ოპოზიცია, „ნაციონალურ მოძრაობას" ვგულისხმობ, მუდმივად აცხადებს, რომ გაიზარდა დანაშაულის სტატისტიკა და კრიმინალი მძვინვარებს, შეიძლება, პოლიციამ ამ მასობრივი ღონისძიებების საფუძვლად ეს განცხადებები გამოაცხადოს?**

– მე ვერ დავადასტურებ ინფორმაციას, გაიზარდა თუ არა კრიმინალი, რადგან ჩვენ ასეთი სტატისტიკური ინფორმაცია არ გვაქვს.

**– მე ამას არ გეკითხებით: „ნაციონალური მოძრაობის" ეს შეშფოთება შეიძლება, გამხდარიყო პოლიციის გააქტიურების საფუძველი?**

– შეიძლება – გახდეს, შეიძლება – არა. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, დანაშაულის რაოდენობა შემცირებულია, ამიტომ ეს არგუმენტი სამინისტროს ვერ ექნება. თუ ადრინდელზე ნაკლები დანაშაული ხდება ახლა და ადრე არ ტარდებოდა ასეთი ღონისძიებები, ახლა რატომ ტარდება?!

**– შეიძლება, იმიტომ ატარებენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა უსაფრთხოდ იგრძნონ თავი?!**

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

# სოსო ცაბაძე: „ეს თუ გაუშვილათ, ჩათვალეთ, რომ არც ქართული ოქრო იარსებებს და არც სამთამადნო სფეროში ინვესტიციების მოზიდვის შანსი”

## ვის სურს საყდრისის საბადოს თემით ხელის მოთბობა და ნაგავსაყრელად ქცეული ადგილის კულტურის ძეგლად და ტურისტულ მექად გამოცხადება?

**სამეცნიერო თაღლითობა თუ... მითი?! ხელოვნურად „გამოყვანილი” კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თუ უბრალოდ ნაგავსაყრელი საყდრისში, რომელიც სურთ, ვარძიის, დავით გარეჯის, უფლისციხის რანგში აიყვანონ?! – თემა, რომელიც ახალი სპეკულაციების საგანი ხდება. კულტურის სამინისტროს ზოგიერთი მაღალჩინოსნის მხრიდან წარმოქმნილმა საკითხის სიმწვავემ და არაობიექტურმა მიდგომამ სამთამადნო საწარმოს მრავალათასიანი კოლექტივის შეშფოთება გამოიწვია. დღეისთვის საყდრისის საბადოს ათვისება წარმოადგენს უკიდურესად მნიშვნელოვან საეტაპო პროექტს, რომლის განუხორციელების შემთხვევაში, საქართველოში სამთამადნო წარმოება და კომპანია „RMG,” ფაქტობრივად, ფუნქციონირებას შეწყვეტს. ეს კი მარტივად, ციფრებით რომ ვთქვათ, პირველი 5 წლის განმავლობაში ბიუჯეტისთვის 100 მილიონი დოლარის დაკარგვასა და 3 000-მდე თანამშრომლის სახლში გაშვებას ნიშნავს. საწარმოს კოლექტივი და კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ საყდრისის ეგრეთ წოდებული „ძეგლის” პრობლემა ხელოვნურად არის შექმნილი ადამიანთა ვიწრო წრის კერძო ინტერესების დასაცავად, რომელთაც საერთოდ არ აინტერესებთ რაიონისა თუ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ტიპის პრობლემები და საკმარისი არგუმენტების არქონის გამო, ხმაურითა და თემის პოლიტიზირებით ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. ვინ ცდილობს საყდრისის თემით ხელის მოთბობას?! რა სკანდალი ელის კულტურის სამინისტროს და ვინ უშლის ხელს ბიუჯეტში მილიონების შეტანას?! რა ბედი ელის ოქროს წარმოებას საქართველოში, თუ საყდრისის ლამის ნაგავსაყრელად ქცეულ ადგილს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს საბოლოოდ მიაკერებენ?!**

**წინაისტორია**: 2004 წელს გეოლოგები წიაღით სარგებლობის ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობისას, დაბა საყდრისში, წააწყდნენ ძველ სამარხს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, კანონმდებლობის დაცვით, მოწვეულ იქნა არქეოლოგთა ჯგუფი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი დეტალური არქეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა, არც რაიმე ხელშესახები ახალი ფაქტი გამოვლენილა, ობიექტს რატომღაც იმთავითვე უწოდეს ოქროს უძველესი და უნიკალური მაღარო და კანონმდებლობის უხეში დარღვევით, ყოველგვარი წინასწარი მსჯელობისა და განხილვის გარეშე, ძეგლის სტატუსიც მიანიჭეს. იგივეს ადასტურებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის, დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნაც.

მეცნიერები და კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ: აქ ოქრო ხილული არ არის და ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეს ადამიანები ამ ყველაფერს როგორ მოიპოვებდნენ? საუბარია იმაზეც, რომ რამდენიმე დღის წინ, არქეოლოგთა ჯგუფმა ექსპერიმენტები ატარა ცეცხლის გამოყენებით ოქროს მოპოვების სადემონსტრაციოდ, ოღონდ რატომღაც არა მიწისქვეშ, 28 მეტრის სიღრმის ეგრეთწოდებულ „მაღაროში”, არამედ ზედაპირზე, ღია სივრცეში. საინტერესო კი იმის ჩვენება იქნებოდა, როგორ მოიპოვებდა ჩვენი უძველესი წინაპარი ოქროს მადანს მიწის ქვეშ 28 მეტრის სიღრმეზე, სადაც ჟანგბადის შემცველობა დაბალია. როგორ ახერხებდა პრეისტორიული ხალხი იქ ჩასვლას და ცეცხლის დანთებას, სადაც ჟანგბადი თითქმის არაა, რომ 800 გრადუსამდე გაეხურებინათ კლდეები? როგორ ადგენდა პრეისტორიული ადამიანი უხილავი ოქროს არსებობას ამა თუ იმ ქანში? როგორ საზღვრავდა მის შემცველობას? როგორ არჩევდა იმ ქანებს, საიდანაც ოქროს ამოღება მექანიკური გზით იყო შესაძლებელი? როგორ გაიყვანა სუბვერტიკალური 20-30 მეტრი სიღრმის გვირაბები უფრო მაგარ ქანებში, ვიდრე შრომის იარაღებია? საერთოდ, როგორ სუნთქავდნენ ადამიანები 20-30 მეტრ სიღრმეზე ყოველგვარი ვენტილაციის გარეშე? როგორ ანთებდნენ და ინახავდნენ კოცონს? როგორ ხდებოდა განათების უზრუნველყოფა, როდესაც იმ პერიოდის ერთი ჭრაქიც კი არაა ნაპოვნი, ხოლო ჩირაღდანი ადამიანის დახუთვის იგივე შედეგს გამოიწვევდა, რასაც ცეცხლის დანთება. არც ერთ ამ კითხვაზე არავითარი დამაჯერებელი და მეცნიერულ კვლევას დაფუძნებული პასუხი არ არსებობს. მაშ, რას დაეყრდნო გადაწყვეტილება საყდრისის ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის, უფრო მეტიც, ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭებინათ?! ექსპერტთა ნაწილისა და კულტურის სამინისტროს კომისიის მიერ დადებული დასკვნიდან კი ირკვევა, რომ იმ დროისთვის, დაახლოებით 5 400 წლის წინათ, ამ ტერიტორიაზე არსებულ პირობებში ოქროს მოპოვება დაუსაბუთებელია და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ანუ, თუ იქ მაღარო მაინც არსებობს, მას სხვა დანიშნულება უნდა ჰქონოდა და მაშინ ეს მხოლოდ მორიგი არქეოლოგიური ობიექტია და არა ეროვნული კატეგორიისა და მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი, როგორც ამას ამტკიცებენ. საქმეში კიდევ უფრო უხერხულად ამოტივტივდა კულტურის მინისტრის მოადგილე, ქალბატონი მარინა მიზანდარი, რომლის ინტერესებზე საუბრობენ ექსპერტები და მეცნიერები. ჩვენ ვცადეთ ქალბატონ მარინა მიზანდართან დაკავშირებას, თუმცა ის უცხოეთში იმყოფება.

**სოსო ცაბაძე** *(კომპანია „RMG-ის“ მრჩეველი)*: 2012 წლის ივლისიდან წინამორბედისგან კომპანია არცთუ ისე სახარბიელო პირობებში ჩავიბარეთ. ვიცოდით, რომ ერთ-ერთ სალიცენზიო ფართობზე იყო ძეგლი, თანაც ეროვნული კატეგორიის. იმისთვის, რომ ძეგლი არ დაგვეზიანებინა, სამუშაოები დაწყებული იყო მისგან მოშორებულ ტერიტორიაზე. როდესაც საბადოს განვითარების პერსპექტივები შევისწავლეთ, აღმოჩნდა, რომ აქ ძეგლის არსებობა იმდენად ზღუდავდა კომპანიის სამუშაო ზონას, რომ შეიძლე-



ბა, საბადოს ათვისება სულაც უაზრო ყოფილიყო. ჩვენ ვცდილობდით, საბადოს რაც შეიძლება მეტი ტერიტორია აგვეთვისებინა. პარალელურად, დავიწყეთ ძეგლის აქტიურად შესწავლა იმ მიზნით, რომ თუ ჩვენი სამუშაოების ზონა მას მიუახლოვდებოდა, შემთხვევით არ დაგვეზიანებინა. ამ მიზნით მოვიწვიეთ სხვადასხვა სპეციალობის ექსპერტები. სწორედ მათ გამოთქვეს პირველად საფუძვლიანი ეჭვი ამ ეგრეთ წოდებული ძეგლის სტატუსთან დაკავშირებით. გადავწყვიტეთ, ჩვენი აზრები გაგვეზიარებინა მეცნიერებისათვის. მოვიწვიეთ არქეოლოგები, გეოლოგები და შევთავაზეთ იქ არსებული არტეფაქტების სხვა ადგილზე გადატანა, მუზეუმის გაკეთება და დამთვალიერებლებისთვის კარგი პირობების შექმნა, რასაც მთლიანად დააფინანსებდა კომპანია. მით უმეტეს, რომ ამ ადგილას ნაგავსაყრელია და ტურისტებისთვის არც მაინცდამაინც მიმზიდველი. ამით ისტორიულ ინფორმაციასაც შევინარჩუნებდით და საბადოსაც. სწორედ ამ იდეით წერილით მივმართეთ პრემიერ-მინისტრს და მისი გადაწყვეტილების საფუძველზე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შეიქმნა კომისია.

კომისიამ გამოითხოვა ყველა მასალა, რაც ამ ძეგლთან იყო დაკავშირებული და დაიწყო მუშაობა სამი მიმართულებით; ეს იყო სამართლებრივი საკითხები, არქეოლოგია, გეოლოგია და სამთო საქმე. საბადოს და ამ ადგილის გეოლოგიურად შესწავლის ხარისხი საკმაოდ მაღალია, იმიტომ რომ ეს ყველაფერი, თავის დროზე, კომპანიამ შეისწავლა, როცა წიაღისეულის მარაგებს ითვლიდა. როცა კომისია ამ საკითხების შესწავლას ჩაუღრმავდა, აღმოჩნდა, რომ ძეგლს თავის დროზე სტატუსი კანონდარღვევით მიენიჭა. კერძოდ, არსებობდა 1977 წლის კანონი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ. ეს კანონი გააუქმა 1999 წლის კანონმა, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. მაგრამ მხედველობიდან გამორჩათ ის, რომ ამ კანონის გაუქმებასთან ერთად, ძალა დაკარგა ყველა აქტმა, რომელიც ამ კანონის საფუძველზე იქნა მიღებული. ოთხიათასზე მეტი არსებული ძეგლი და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი დარჩა სტატუსის გარეშე. ამიტომაც, კულტურის სამინისტრომ 2006 წელს გადაწყვიტა, ეს საკითხი დაერეგულირებინა საკანონმდებლო აქტით და მინისტრის ბრძანებით, სტატუსი აღუდგინეს ადრე ძეგლებად გამოცხადებულ ობიექტებს. ამ ჩამონათვალში რატომღაც მოხვდა ობიექტი, რომლის შესახებაც არქეოლოგებმა ინფორმაცია პირველად 2004 წელს მიიღეს ჩვენი კომპანიიდან, რასაც თავის შრომებშიც აღნიშნავენ. ეს ადგილი 70-იან წლებშიც ნაწილობრივ იყო შესწავლილი და მაშინ არ მიიჩნიეს იმდენად მნიშვნელოვან ობიექტად, რომ მისთვის ძეგლის სტატუსი მიენიჭებინათ. ამის მერე კი, მას რამდენიმე თვეში მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსიც, გამოცხადდა არქეოლოგიური დაცვის ზონად და მიენიჭა ეროვნული კატეგორია. თანაც, უცნაური თანმიმდევრობით. თანმიმდევრობა კი ასეთია: კანონის მიხედვით ჯერ გამოცხადდა არქეოლოგიურ ზონად; შემდეგ ხდება შესწავლა, რომლის დასკვნაც განიხილება კომისიაზე, მეცნიერებათა აკადემიის კომისია იძლევა რეკომენდაციას და ამის შემდეგ ენიჭება ობიექტს ძეგლის სტატუსი. ამის საფუძველზე კი შეუძლია, კულტურის სამინისტროს პრეზიდენტს გაეგზავნოს ეროვნული კატეგორიის მინიჭებაზე შუამდგომლობა. აღმოჩნდა, რომ აქ მთელი ქრონოლოგია

დარღვეულია. არ არსებობს არც ერთი კომისიის გადაწყვეტილება. თუ კომისია მაინც ჩატარდა, ისიც გაურკვეველია, რა განიხილა მან, რადგანაც ამ ადგილის შესწავლის 2004-2005 წლების ანგარიშები მეცნიერებათა აკადემიის არქივში არ მოიპოვება. ამიტომაც, კომისიამ კვლევის შედეგად დაადგინა, რომ აქ ყველაფერი კანონის დარღვევით იყო გაკეთებული და ამ ობიექტს მოეხსნა ძეგლის სტატუსი.

„ძეგლის" იდეის მიმდევრების მიერ კომისიის სამართლებრივი ნაწილი არასოდეს გაუპროტესტებიათ, მაგრამ ამბობენ: რა მოხდა... ეს მხოლოდ პროცედურული დარღვევები იყოო. უკაცრავად, მაგრამ სწორედ ეს პროცედურები განსაზღვრავს სტატუსის მინიჭებამდე საკითხის ყოველმხრივად განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ამიტომ, ასე მარტივად ხედვა, ან არაკომპეტენტურობის ნიშანია, ან ცალმხრივად დაინტერესებულობის. გარდა საკანონმდებლო დარღვევებისა, გეოლოგიურად და ტექნოლოგიურად, აქ ოქროს მოპოვება ვერ დადასტურდა. გარდა ამისა, არქეოლოგიური კვლევების მასალებიდან, რომელიც კომისიას ოფიციალურად მიეწოდა, გაირკვა, რომ არქეოლოგიური კვლევის მეთოდიკაც დარღვეულია. ექსპერტების აზრით, გვხვდება მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ფაბრიკაცია და არასწორად არის ინტერპრეტირებული ფაქტები. არაერთხელ მომისმენია, თუ როგორ გვდებს ბრალს ქალბატონი ირინე ღამბაშიძე მეცნიერების აზრის იგნორირებაში, ხოლო ალტერნატიული აზრის მქონე მეცნიერებს „დაქირავებულად" მოიხსენიებს. ძალზე ძნელია, დაიქირავო ისეთი დონის მეცნიერები, როგორებიც არიან ბატონები: ალექსანდრე თვალჭრელიძე, ვახტანგ ლიჩელი, დავით ლომიტაშვილი და ომარ ქუცნაშვილი. ისინი შეიძლება, მხოლოდ მოიწვიო. რაც შეეხება დაქირავებას, ქალბატონ ღამბაშიძეს, ალბათ, ავიწყდება, რომ თვითონ იყო „დაქირავებული" კომპანიის მიერ და კომპანიისვე დავალებით 2013 წელს არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა საყდრისის საბადოს სხვადასხვა უბანზე. ეს ეჭვგარეშეა და თანხების გადარიცხვის საბუთები კომპანიის ბუღალტერიაში ინახება. ჩვენ გვდებენ ბრალს ქართული სამეცნიერო აზრის იგნორირებაში, ხოლო თვითონ საკითხის გადასაწყვეტად, საერთაშორისო კომისიის შექმნას მოითხოვენ. სამწუხაროა, როცა ამას ქართველი მეცნიერები ამბობენ და ამით საკუთარი ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის მნიშვნელობას ამცირებენ. რაც შეეხება არქეოლოგიური გათხრების ზონაში ჩატარებულ დემონსტრაციას, ამას უფრო შოუს სახე ჰქონდა და მომწყობთა სასახელოდ უნდა აღვნიშნო, რომ კარგად იყო ორგანიზებული. ვინმეზე შეიძლება ამან შთაბეჭდილებაც მოახდინა. მე კი მაინც მგონია, რომ ამგვარი დემონსტრაციების მოწყობას უფრო ღრმად შესწავლა და ყოველმხრივ გამართული სამეცნიერო დასაბუთების შექმნა სჯობდა. ის, რომ ამ ადგილზე ოქრო მოიპოვება, ახალი ამბავი არაა და ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ამიტომაც აიღო კომპანიამ ლიცენზია. მაგრამ, მეორე საკითხია, შეიძლება თუ არა, ის იყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რაც უკვე აქციეს სხვა ტიპის სპეკულაციის თემად."

***„სამეცნიერო თაღლითობად" მიიჩნევს მომხდარს დავით ლომიტაშვილი, კულტურის სამინისტროში შექმნილი სპეციალური კომისიის წევრი:*** „ეს ჰგავს სამეცნიერო თაღლითობას და ის იმ პროცესების შესატყვისია, რომელიც საყდრისი-ყარაჩიანში ვითარდება. ამ საკითხზე ჩვენ თუ არა, მომავალი თაობა მაინც მოითხოვს პასუხს. ამ კომისიაში აღმოვჩნდი მინისტრ ოდიშარიას ბრძანებით და არ არის დასამალი, რომ ამ ობიექტის კვლევაზე ჯერ კიდევ 2007 წლიდან მქონდა ლეგიტიმური კითხვები. ამ კითხვებზე კი პასუხები მესმოდა, რომ მტკიცებულებები იქნება მომავალში. აღმოჩნდა, რომ სრული ქაოსი და გაუგებრობა იყო ძეგლის სტატუსის ირგვლივ და არავინ იცის, რა ნიშნით მიენიჭა მას ჯერ ძეგლის და მერე ეროვნული, ყველაზე მაღალი კატეგორია. ჩემი დანიშნულება, როგორც კომისიის წევრისა, გახლდათ ის, რომ დაგვედგინა, იყო თუ არა ამ ძეგლის ქუდი უძველესი ოქროს მაღარო, სადაც თურმე ოქროს მოიპოვებდნენ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულის ბოლოსა და მესამის დასაწყისში. წარდგენილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულების მაგალითზე, შემიძლია, დაზუსტებით გითხრათ, რომ იქ არავითარი ოქროს უძველესი მაღარო არ არის და ეს მიმაჩნია, სამეცნიერო თაღლითობად. აქ საუბარია ნივთებზე, რომლებიც მათ აქვთ აღმოჩენილი: ათასობით რიყის ქვა, ერთი ცალი სპილენძის სადგისი, რამდენიმე ათეული კერამიკის ნატეხი, ჭურჭელი და ტიგელის ფრაგმენტი. არქეოლოგიური ექსპედიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს არის ტიგელის (კერამიკული სადნობი) ფრაგმენტები, სადაც ოქრო დნებოდა. მე ვეუბნები მათ, მომიტანეთ ამ ფრაგმენტების ლაბორატორიული ანალიზი, რომ მათზე ოქროს ნიშნები არის. ასეთი ანალიზი და პასუხი არ არსებობს. მათი აზრით, თურმე, ეს პრეისტორიული ადამიანები ჩადიოდნენ ვიწრო ნაპრალებში და ცეცხლს ანთებდნენ... იქ ისეთი უჰაერო სივრცეა, სიგარეტის მოკიდებაც კი წარმოუდგენელია. თუკი იმ პერიოდში იქ ამდენ ოქროს მოიპოვებდნენ, რატომ არ ვლინდება ის საქართველოში არტეფაქტების სახით. მაჩვენეთ ამ პერიოდის თუნდაც ერთგრამიანი ნაკეთობა? მსგავსი რამ არ არსებობს. მით უფრო, რომ ამ კლდეებში ოქრო არ არის ხილული. აფრიალებენ უცხოეთიდან გამოგზავნილ ქაღალდებს და მეუბნებიან, რომ, მინდა თუ არა, ამას უნდა დავემორჩილო. ვეკითხები ქალბატონ მარინა მიზანდარს, ვის უნდა დავემორჩილო? თურმე არ არსებობს მათი ექსპედიციების ანგარიშების მხოლოდ ქართული თარგმანი. ეს რას ნიშნავს? გერმანელები წერენ და ქართველები მხოლოდ აქართულებენ? მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ყველაფრის უკან დიდი ფინანსური საკითხი დგას. სამინისტრო სენსიტიურად განიცდის ამ საკითხს. არ მომერიდება და პირდაპირ გეტყვით, რომ მინისტრის პირველი მოადგილე, მარინა მიზანდარი, ფაქტობრივად, ამ სიტუაციაში მხარეა, რომელიც ღიად ლობირებს ერთი მცირე ჯგუფის ინტერესებს. კომისიამ დადო დასკვნა და მისი გაბათილების ან შეცვლის ერთადერთი გზა უნდა ყოფილიყო სასამართლო და არა მიზანდარის გადაწყვეტილება. ჩემთვის სამწუხაროა, რომ ესენი სანდრო თვალჭრელიძის, ომარ ქუცნაშვილის, ვახტანგ ლიჩელის, გურამ ყიფიანის, გურამ გრიგოლიას აზრს იგნორირებას უკეთებენ. ეს, ან განუვითარებლობაზე, ან ძალიან სერიოზულ ფინანსურ ინტერესებზე მეტყველებს. ეს ცალკე ძიების საკითხია, მაგრამ მე, შემიძლია, ერთი რამ ვთქვა, რომ მეცნიერობანას თამაშს, ამ ხალხმა თავი დაანებოს. ფულის გაკეთება თუ უნდათ, ფული აკეთონ და მეცნიერობა თუ უნდათ, მეცნიერები იყვნენ."

***კულტურის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი თემურ ჩიხრაძე ჩვენთან საუბრისას ადასტურებს, რომ დაბა საყდრისის სამთამადნო მრეწველობის ძეგლად გამოცხადება მოხდა სამართლებრივი ასპექტების უხეში დარღვევით.***

**– ბატონო თემურ, ახლა ხელში მიჭირავს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, ბატონი გურამ ოდიშარიას 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანების საფუძველზე შექმნილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა, რომელსაც, სხვათა შორის, თქვენც აწერთ ხელს. დასკვნაში წერია, რომ, ძეგლის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებისას, დარღვეულ იქნა კანონის მე-5 და მე-9 მუხლები, კანონის მე-11 და კანონის 21-ე მუხლების მთელი რიგი სამართლებრივი ნორმები. თქვენ, ბუნებრივია, ეთანხმებით ამ დასკვნას.**

– კი ბატონო, დასკვნაში დეტალურად წერია, რა დარღვევებია დაფიქსირებული ძეგლის სტატუსის მინიჭებისას. ვეთანხმები კი არა, ჩემი დაწერილია.

**– ანუ, თქვენ ადასტურებთ, რომ ძეგლის სტატუსის მინიჭებისას უხეშად დაირღვა სამარლებრივი ასპექტები**

– დიახ, ასეა.

**– ბატონო თემურ, გასაგებია, რომ ეს თქვენი კომპეტენცია არაა, მაგრამ, სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ ტერიტორიაზე ათასწლეულების წინ ოქროს მოპოვების დასადასტურებლად, გარკვეული ექსპერიმენტი ჩატარდა, რის საფუძველზეც აპირებენ ამ ადგილისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭებას. თქვენ, როგორც იურიდიული დეპარტამენტის უფროსსა და კომისიის წევრს, რომელიც დასკვნაზე მუშაობდა, ხომ უნდა მიგელოთ გარკვეული ფაქტობრივი მტკიცებულებები?**

– რომელი ექსპერიმენტის? დასკვნაში სადმე წერია, რომ ექსპერიმენტი ჩატარდა? ამის შესახებ არაფერი ფაქტობრივი მტკიცებულებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

**– დასკვნაში, შესაძლოა, არ წერია, მაგრამ, არის ამის შესახებ საუბარი. თუნდაც ქალბატონი მიზანდარის ინტერვიუდან ჩანს ეს, სადაც ის ამბობს: „მე ვნახე პრაქტიკული ციკლი ოქროს მოპოვებისა". ექსპერიმენტის ჩატარების დამადასტურებელი რაიმე სახის მასალა ან ფაქტობრივი მტკიცებულებები თუ გინახავთ?**

– არა, მე ნამდვილად არ მინახავს და არც მსმენია, რომ ვინმეს რამე ექსპერიმენტი ჩაეტარებინოს და 28 მეტრის სიღრმეზე ვინმეს ცეცხლი დაენთოს.

**– ბატონო თემურ, არსებობს კულტურის მინისტრის, ოდიშარიას ბრძანებით შექმნილი საკმაოდ კომპეტენტური სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისიის დასკვნა. რატომ დადგა დღის წესრიგში მინისტრის მიერ შექმნილი კომისიის მიერ დადებული დასკვნის სანდოობის განხილვა და იმავე მოადგილეების მხრიდან მისი გაკრიტიკება? მინისტრის მოადგილე მიზანდარზეა საუბარი, რომელიც დაინტერესებულია ამ საკითხით.**

– კულტურის მინისტრის მოადგილე მიზანდარი დაინტერესებული იქნება ამ საკითხით, რადგან ის კურირებს კულტურული მემკვიდრეობის საკითხებს სამინისტროში. მე დანამდვილებით შემიძლია, გითხრათ, რომ ეს ადგილი არის არქეოლოგიური ობიექტი, რაც აღნიშნა კომისიის ყველა წევრმა.

**– ქალბატონი მიზანდარი ერთ-ერთ ინტერვიუში ეჭქვეშ აყენებს სამინისტროს კომისიის დასკვნის სანდოობას, როცა აცხადებს, სამინისტროში შექმნილი კომისიის დასკვნის ნაწილი ჩემთვის ნამდვილად მიუღებელი იყოო.**

– ვერაფერს გეტყვით, არ მსმენია ამის შესახებ. მე არ ვიცი, რა სტატუსი მიენიჭება ამ ძეგლს, ან, გადავა თუ არა ის „იუნესკოს" ძეგლთა სიაში, შესაძლოა, იმავე მინისტრის ბრძანებით მოხდეს არტეფაქტებისთვის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება. ზუსტად არაფრის თქმა არ შემიძლია. როდესაც „მრგვალი მაგიდა" მოეწყო, იქ გეოლოგებმა თქვეს, რომ, თითქოსდა მოძრავი ძეგლის სტატუსი მაღაროს ვერ მიენიჭებაო. არადა, მოძრავი ნივთი რაც არის, ეს განმარტებულია სამოქალაქო კოდექსით. იქ არის ნივთები, ღირებული რაცაა ამ მთაში და იმის გადატანა უნდა მოხდეს, იმ ნივთებს უნდა მიენიჭოს მოძრავი ძეგლის სტატუსი, თვითონ მთა კი არ უნდა გამოცხადდეს ძეგლად. ფრაგმენტები კი, შეიძლება, სამუზეუმო სივრცეში გადავიდეს.

***P.S. ფაქტია, რომ, ყოველივე იმის მიუხედავად, რასაც რესპონდენტები აცხადებენ, პრინციპით – „მიზანი ამართლებს საშუალებას" – კვლავ და კვლავ შეუსვენებლად ხდება ზეწოლა საზოგადოებრივ აზრზე, აშკარა ფალსიფიკაციისა თუ ფაბრიკაციების აბსოლუტურ ჭეშმარიტებად გასაღების მიზნით.***

**ეკა ნაკაიძე**



**თუ კარგი ცხოვრება გვექნა, რაღა გვინდა ევროკავშირში, სადაც, გარდა ხარჯისა, რომელიც საერთო სიტუაციისთვის უნდა გაიღო, არაფერია?! ხვალ რუსეთს ექნება უვიზო რეჟიმი ევროკავშირთან**

**მართალია, ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ, იდეის ავტორთა წარმოდგენით, ევრაზიული კავშირი (რომლის გეოგრაფიულ არეალად ბალტიისპირეთგამოკლებული ყოფილი პოსტსაბჭოთა სივრცე იგულისხმება) პირობითსაზღვრიანი ერთიანი ეკონომიკურ-პოლიტიკური სივრცე უნდა იყოს. უშუალოდ საქართველოში ამ სამომავლო გაერთიანებისადმი კეთილ განწყობას თითქმის არავინ გამოხატავს, საქართველოს უშიშროების ექსმინისტრი კი ევრაზიული კავშირის იდეას მიესალმება. ამ კავშირისადმი თავისი დადებითი განწყობის მიზეზებს ვალერი ხაბურძანია თავად განგვიმარტავს.**

# როგორ უთავსდება ერთმანეთს შიდა დასავლური დემოკრატია და ჩრდილოური ორიენტაცია და ნიშნავს თუ არა ქვეყნის დეგრადაციას ევრაზიულ კავშირში გაერთიანება

**– ევრაზიული კავშირის იდეა ეფუძნება უსაზღვრებო სივრცის შექმნას. როგორ ხედავთ საქართველოს სახელმწიფოებრიობას ამ გაერთიანების ფარგლებში?**

– ჩვენ ვცდილობთ, გავარკვიოთ, რა იქნება ეს ევრაზიული კავშირი. იცით, რომ ჯერ იდეის დონეზეა, მაგრამ, ჩვენ გვაქვს მაგალითი ევროკავშირის სახით და, ვფიქრობთ, რომ, თუ ქართველი საზოგადოების რაღაც ნაწილი იდეოლოგიური დამუშავების შედეგად მიილტვის „ნატოსა“ და ევროკავშირისკენ, რატომ არ შეიძლება, მივილტვოდეთ მომავალი, შესაძლო ევრაზიული კავშირისკენ?!

**– ოღონდ, ჩვენ ჯერ უნდა ვიცოდეთ, რა არის ეს ევრაზიული კავშირი, რომ ლტოლვა გაჩნდეს.**

– ეს იქნება ისეთივე ტიპის გაერთიანება, როგორიც არის ევროკავშირი, ანუ ეს უნდა იყოს სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი გაერთიანება რეგიონულ კავშირში. ვინც რა უნდა ილაპარაკოს, საზღვრების არარსებობა ისე არ უნდა გავიგოთ, რომ საზღვრები აღარ იარსებებს, საზღვრები უნდა დაიშალოს იმ დონეზე და იმ ფარგლებში, როგორც ეს არის ევროკავშირში. თორემ, რა თქმა უნდა, საზღვრები იქნება და ქვეყნები დამოუკიდებლები იქნებიან. ევრაზიულ კავშირში შესვლა ჩვენთვის არ ნიშნავს საბჭოთა კავშირის ტიპის გაერთიანებაში შესვლას და საქართველოს სუვერენიტეტის დაკარგვას, პირიქით, ეს ნიშნავს საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნებას და, ამავდროულად, ქვეყანაში უკეთესი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების დაწყებას.

**– ეს თქვენი აზრია თუ ასეთია ევრაზიული კავშირის ოფიციალური კონცეფცია? გისაუბრიათ ამ იდეის ავტორებთან და იქიდან ასკვნით, თუ, თქვენი წარმოდგენით უნდა იყოს ასე?**

– ეს ჩემი წარმოდგენაა.

**– და, რომ არ დაემთხვას რეალობას თქვენი წარმოდგენა?**

– დღეს სხვა ტიპის გაერთიანებები და კავშირები არ შეიძლება, არსებობდეს. ბელორუსიისა და რუსეთის ურთიერთობა სხვა მიმართულებით მიდიოდა, მაგრამ, იქაც ვერ მოახერხეს უფრო მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი გაერთიანების შექმნა. ჩვენ უნდა შევიდეთ ევროკავშირის ტიპის კავშირში, რა თქმა უნდა და, არ ვისურვებთ საქართველოს სხვა ტიპის კავშირში გაწევრიანებას.

**– აქ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ევრაზიული კავშირის იდეის ავტორებისთვის, მე მათთან მისაუბრია და ამას ადასტურებენ, საქართველო განიხილება სამ დამოუკიდებელ სუბიექტად. ისინი ამბობენ, რომ, თურმე, ეს სამივე უნდა შევიდეს ცალცალკე ამ ევრაზიულ კავშირში, მათ შორის იქნება პირობითი საზღვრები და ასე აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. თქვენთვის ეს მიდგომა მისაღებია?**

– ძალიან ძნელია იმის კომენტირება, ვინ რას ამბობს.

**– ამას ამბობენ ევრაზიული კავშირის იდეის ავტორები: დუგინი, კოროვინი; იმეორებენ შევჩენკო, ლეონტიევი...**

– დუგინი საზღვრების ისეთ პირობითობაზე ლაპარაკობს, როგორი პირობითი საზღვრებიცაა დღეს გერმანიასა და საფრანგეთს შორის. ეს არ არის მავთულხლართი, რომელსაც ახლა ცხინვალის რეგიონს აკრავენ. ლაპარაკია იმაზე, რომ ევრაზიულ კავშირში სახელმწიფო საზღვრებზე არ იქნება მავთულხლართები. რაც შეეხება ჩვენს იქ ყოფნას აფხაზეთთან და „სამხრეთ ოსეთთან“ ერთად: მე ვფიქრობ, უნდა ვეცადოთ და რამენაირად დავასწროთ მათ იქ შესვლა. ჩვენ უნდა დავბლოკოთ მათი შესვლა ჩვენ გარეშე და, თუ მაინც შევლენ ევრაზიულ კავშირში, უნდა შევიდნენ საქართველოსთან გარკვეული ასოცირების ფორმით. მე არ ვიცი, ასოცირების რა ფორმა იქნება ეს: ფედერაციული თუ კონფედერაციული, მაგრამ, ეს აუცილებლად ასე უნდა მოხდეს. მე კონკრეტულად ამ მიზანს დავსახავდი და, სხვა საქმეა, ვინ რას ფიქრობს. ჩვენი მსჯელობა იმას ჰგავს, ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრაამს არქმევდნენო.

**– თუ შევედით, რაღა დროის იქნება მსჯელობა? იმიტომაც ვმსჯელობთ, რომ გავიგოთ, რა გველის.**

– მე ჩემი ხედვა მოგახსენეთ და, მიმაჩნია, რომ მხოლოდ ამ ფორმით შეიძლება ლაპარაკი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. სხვა გზა – იქნება ეს ევროკავშირსა თუ „ნატოში“ შესვლა – ამ ტერიტორიების დაბრუნების თეორიულ შანსსაც კი გვიკარგავს. ევრაზიულ კავშირში შესვლა უნდა იყოს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი, ხოლო, თუ ევრაზიული კავშირი იმ ფორმის იქნება, რომ გამორიცხავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ჩვენ ასეთ კავშირში არ შევალთ.

**– ამბობთ, რომ უნდა დავასწროთ ჩვენს განდგომილ რეგიონებს ევრაზიულ კავშირში შესვლა, არადა, იმ ევრაზიული კავშირის მთავარი მოთამაშე, ყველაზე დიდი, ბირთვული იარაღის მქონე და ასე შემდეგ, არის რუსეთი, რომელსაც აღიარებული ჰყავს ეს ორი რეგიონი. რა გაძლევთ იმის ფიქრის საფუძველს, რომ რუსეთი საქართველოს დაეკითხება, მიიღოს თუ არა ევრაზიულ კავშირში ჩვენი სეპარატისტული რეგიონები?**

– თუ ჩვენ ვიქნებით ევრაზიის კავშირის ერთ-ერთი წევრი, ჩვენთან ერთად იქნებიან სხვა წევრებიც, რომლებმაც მხარი დაუჭირეს არაღიარების პოლიტიკას: ყაზახეთი, ბელორუსია, უკრაინა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდავეთი.

**– აზერბაიჯანს ჯერ არ უთქვამს თანხმობა, რატომ მიათვალეთ?**

– არც ჩვენ გვითქვამს ჯერ თანხმობა, ვალერი ხაბურძანია რასაც ამბობს, ეს ხომ თანხმობას არ ნიშნავს?! თან, ეს გაერთიანება არ არსებობს. ეჭვი გეპარებათ, რომ აზერბაიჯანში გამოჩნდებიან ვილაცეები, რომლებიც იტყვიან, ხომ არ შევიდეთ ევრაზიულ კავშირშიო?! აზერბაიჯანი, ამ თვალსაზრისით, მოზომილ პოლიტიკას ატარებს. ლაპარაკია იმაზე, რომ ყოფილი პოსტსაბჭოთა სივრცე რაღაც ფორმით უნდა აღდგეს, იმიტომ რომ, ეს არის რეგიონული ტიპის გაერთიანება და რეგიონული ურთიერთობები დღევანდელ მსოფლიოში არის გადარჩენის შანსი. თუ გვინდა, ვიყოთ კონკურენტუნარიანები და ცხოვრების მაღალი დონე გვქონდეს, რაღაც რეგიონულ გაერთიანებაში უნდა ვიყოთ. ხომ ვხედავთ, რომ ვერ ვხვდებით ევროკავშირის წევრი?! ფეხბურთის ენაზე

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

რომ ვთქვათ, ჩვენ უნდა ვითამაშოთ იმ ლიგაში, რომელშიც თამაშობენ ჩვენი დონის გუნდები. ხომ ვხედავთ, ვერ გავიდა ჩვენი გუნდი ევროპულ ლიგაში, ამიტომ, უნდა ვითამაშოთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ლიგაში, რომ ავიმაღლოთ კლასი და მივაღწიოთ რაღაც დონეს. რისთვის გვინდა ევროკავშირი? კარგი ცხოვრებისთვის, თორემ, თვითმიზანი კი არ არის ევროკავშირში ყოფნა.

**– მაგრამ, ჯერჯერობით კარგი ცხოვრება მხოლოდ ევროკავშირშია.**

– ევროკავშირში შესვლა კი არ იძლევა კარგ ცხოვრებას, არამედ, ჯერ კარგ ცხოვრებას უნდა მიაღწიო და მერე მიგიღებენ ევროკავშირში.

**– აბა, გალეტილებს რატომ მიგიღებენ?**

– თუ კარგი ცხოვრება გვექნა, რაღა გვინდა ევროკავშირში, სადაც, გარდა ხარჯისა, რომელიც საერთო სიტუაციისთვის უნდა გაიღო, არაფერია?! ხვალ რუსეთს ექნება უვიზო რეჟიმი ევროკავშირთან. ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი დასათვლელია. თუ ჩვენ კარგ ცხოვრებას ევროკავშირის გარეშეც მივაღწიეთ, მაშინ, გარდა შენი რეგიონული გაერთიანებისა, სხვაგან რატომ უნდა იყურებოდე?! ჩვენ უნდა ვიყოთ იმ გეოგრაფიულ ზონაში, რომელშიც ისტორიულად და ღვთის ნებით ვარსებობთ, სხვანაირად ვერ ვხვდებით ვერანაირ ეკონომიკურ ზონაში.

**– თქვენ ფეხბურთის მაგალითი მოიყვანეთ და, არ შემიძლია, არ მოვიყვანო ალტერნატიული მაგალითი: ცნობილია, რომ განვითარების საწინდარია შენს შესაძლებლობებზე დიდი ამოცანის დასახვა; თუ შენი შესაძლებლობების ტოლ ან მასზე დაბალ ამოცანას დაისახავ, განვითარების ნაცვლად დეგრადირდები.**

– მაგრამ, არ გვიღებს არავინ არც ევროკავშირში და არც „ნატოში“. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გვითხრან, რა კრიტერიუმებია?! ამასაც არ გვეუბნებიან. ამბობენ, რომ ვერ ვაკმაყოფილებთ „ნატოს“ სტანდარტებს. იცით, რა არის „ნატოს“ სტანდარტები?!

**– თქვენი ევრაზიული კავშირისა არ იყოს, მეც ჩემი წარმოდგენა მაქვს „ნატოს“ სტანდარტებზე.**

– თქვენი წარმოდგენა კი არ უნდა იყოს, არამედ, ეს უნდა იყოს ჩამოწერილი. თუ ჩვენ მივედით გერმანიისა და საფრანგეთის განვითარების დონეზე, ისმის კითხვა, გვინდა ამის შემდეგ გერმანიასთან და საფრანგეთთან შემდგომი ვალდებულებების წარმოშობა?! ჩემი აზრით, უნდა გვქონდეს შიგნით დასავლური ღირებულებები და გარეთ – ჩრდილოური ორიენტაცია.

**– არც ერთ სახელმწიფოს არ ვაყენებ შეურაცხყოფას, ყველამ თავისი საქმისა თვითონ იცის, მაგრამ, ჩვენ რაღაც სფეროებში მივაღწიეთ იმას, რისთვისაც ჯერ არ მიუღწევია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს, ევრაზიული სივრცის პოტენციურ წევრებს.**

– ძალიანაც ნუ იამაყებთ. ბელორუსიაში არსად არ არის კორუფცია; იქაც არის ჩვენი პატრულის მსგავსი „გაი“, რომელიც არ არის კორუმპირებული; იქაც არსებობს „ერთი ფანჯრის“ პრინციპი.

**– ბელორუსიაში ისევ დგას ცენტრალურ მოედანზე, სხვაგანაც, ლენინის ძეგლი და მას ამკობენ ყვავილებით; ქუჩებში აკრავენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მისალოც პლაკატებს.**

– ლენინის ძეგლი არ ნიშნავს, რომ გამორიცხო კორუფცია „გაიში“.

**– ლენინის ძეგლი ჩრდილავს კორუფციის არარსებობას. მე მენტალურ განსხვავებულობაზე ვლაპარაკობ.**

– ჩვენთან არ იდგა ლენინის ძეგლი, მაგრამ, ერთი კაცის ძეგლი იდგა, რომელიც შუადღეს ილვიძებდა და, რა ხასიათზეც გაიღვიძებდა, იმ ხასიათზე უნდა ყოფილიყო მთელი ქვეყანა.

**– ეს არ მოეწონა საზოგადოებას და ამიტომ შეცვალა არჩევნებზე.**

– მე იმის თქმა მინდა, ძალიან ნუ ვიამაყებთ რაღაც-რაღაცეებით, თორემ, იმას კი არ ვამბობ, რომ, რაც გაკეთდა ჩვენთან, ცუდია.

**თუ კარგ ცხოვრებას ევროკავშირის გარეშეც მივაღწიეთ, მაშინ, გარდა შენი რეგიონული გაერთიანებისა, სხვაგან რატომ უნდა იყურებოდე?!**

მათ ლენინის ძეგლი შეუთავსეს იმას, რითაც ჩვენ ვამაყობთ. ჩვენ კი შევუთავსეთ ვოლუნტარიზმსა და ავტოკრატიას.

**– ჩვენ დავასრულეთ ეს ორი ვადის შემდეგ, მათ კი, ჩემი გათვლებით, დიდხანს ედგებათ ლენინის ძეგლი.**

– მათ განვითარების თავიანთი გზა აქვთ.

**– მეც მაგას ვამბობ, როგორ შევუთავსდებით ერთმანეთს?**

– თუ მათ მოსწონთ ის რეფორმები, რაც საქართველოში განხორციელდა და ბევრი ილტვის ჩვენკენ, ხომ შეიძლება, ჩვენ გავხდეთ მოწინავენი ევრაზიულ კავშირში?! ხომ შეიძლება, ჩვენ ვიყოთ თამაშის წესის შემქმნელები შიდა დემოკრატიის თვალსაზრისით?! რატომ უნდა ვიყოთ ჩამორჩენილები ევროკავშირში და არ ვიყოთ მოწინავეები ევრაზიულ კავშირში?!

**– ეს ძველი დილემაა: რომელი ჯობია, მკვდარი ლომი თუ ცოცხალი ძაღლი?**

– ჩემი აზრით, ცოცხალი ძაღლი ჯობია.

**– მე ლომისკენ ვიხრები. არ მგონია, აფხაზები და ოსები, თუნდაც რუსეთი დათანხმდეს ფედერაციზე, უფრო, ალბათ, კონფედერაციაზე იქნება საუბარი. კონფედერაცია იშლება მაშინვე, როგორც მისი ერთი წევრი ამბობს უარს. თქვენ ეს საფრთხე არ გგონიათ?**

– შვეიცარია კონფედერაციაა.

**– ვიცი და გერმანიაც, მაგრამ, ის სრულიად სხვა სამყაროა.**

– სახელმწიფო მოწყობის სხვა ფორმა ჯერ არ მოუგონიათ.

**– რატომ? ხომ არსებობს უნიტარული სახელმწიფოებიც?**

– თქვენ როგორ გგონიათ, მმართველობის უნიტარულ ფორმაში შემოვა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი?!

**– თუ კონფედერაციაში შემოვა, ეს მათ საბოლოოდ გასვლას ნიშნავს, მაშინ, რა აზრი აქვს ასეთ კონფედერაციას?**

– თუ პირველ მიზნად აღარ ვისახავთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მაშინ, ვთქვათ.

**– არ ფიქრობთ, რომ კონფედერაციაზე თანხმობა ტერიტორიულ რღვევაზე თანხმობაა?**

– მაგრამ, რაღაც ფორმები ხომ უნდა შევთავაზოთ?! არსებობს ფედერაციული და კონფედერაციული ფორმა, მესამე ფორმა, რასაც თქვენ ამბობთ – უნიტარული, გამორიცხულია. მე მესმის, რომ კონფედერაცია მყიფე გაერთიანებაა, მაგრამ, ჩვენ ამით უნდა დავიწყოთ, ხოლო ის, თუ რა სახეს მიიღებს სახელმწიფოთა გაერთიანებები და მსოფლიო 10 თუ 20 წლის შემდეგ, არც თქვენ იცით და არც მე. მერე რა იქნება, ვნახოთ; დღეს, როდესაც სახელმწიფოები ამ ფორმით არსებობენ, ჩვენ ეს ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი. ამიტომ, ჩვენგან უნდა წამოვიდეს შეთავაზება, ოსები და აფხაზები ხომ არ შემოგვთავაზებენ?! ჩვენ უნდა ვიყოთ აქტიურები, თორემ, მათ, როგორც თავად ჰგონიათ, თავიანთ მიზანს მიაღწიეს. თავიანთ თავს დამოუკიდებლად მიიჩნევენ და ამგვარ ნახევრად ცოცხალ მდგომარეობაში იქნებიან წლების და, შეიძლება, საუკუნეების განმავლობაში. ამდენად, ეს ჩვენი პრობლემა უფროა.

**ნინო ხაჩიძე**




**ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება - „თბილისის ტურიზმის აკადემია“**

**გიწვევთ დაეუფლოთ სადღეისოდ მოთხოვნად სხვადასხვა სპეციალობას!**

**გიდი**: ***მესამე საფეხური*** – ადგილობრივი გიდი. ***მიღების მოთხოვნები:*** 1. სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2. ასაკი 18 წელი; 3. არაფორმალური განათლების აღიარება. ***მეოთხე საფეხური*** – სპეციალიზებული გიდი: 1. სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2. ასაკი 18 წელი; 3. გიდის მესამე საფეხურის დიპლომი; 4. არაფორმალური განათლების აღიარება.

**ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი):** ***მესამე საფეხური***: 1. საბაზო განათლება (9 კლასის ზემოთ ასაკობრივი შეზღუდვა არ არის); ***მეოთხე საფეხური:*** 1. ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) III საფეხურის დიპლომი; ***მეხუთე საფეხური:*** 1. ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) IV საფეხურის დიპლომი;

**კორესპონდენტი** – ***მესამე საფეხური:*** 1.საბაზო განათლება (9 კლასის ზემოთ ასაკობრივი შეზღუდვა არ არის);

**მუსიკოს-რეპეტიტორი** – ***მეხუთე საფეხური***: 1.სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2.შემოქმედებითი ტურის გავლა.

***სწავლა დაიწყება მიმდინარე წლის ოქტომბერში სასწავლებელი ავტორიზებულია, ყველა საფეხურზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.***

**თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი**

აცხადებს მიღებას ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2010 წლის 1 სექტემბრამდე ჩარიცხულ პირთათვის სწავლის გასაგრძელებლად (მობილობის წესით) 1. ფინანსები; 2. ტურიზმი; 3. ინგლისური ფილოლოგია; 4. სამართალმცოდნეობა; 5. ჟურნალისტიკა; 6. მასწავლებლის განათლება; 7. კომპიუტინგი/ინფორმატიკა.

**საჭირო საბუთები**: 1) ატესტატი (დედანი); 2) სტუდენტის ბარათი; 3) 4 ფოტოსურათი 3/4; 4) პირადობის მოწმობა (ასლი).

**საბუთების მიღება ყოველდღე ტელ: 2-93-66-03; 2-93-54-30; 2-99-96-26; 599-18-89-24**

**ორივე სასწავლებლის ხელმძღვანელი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**

# რომელი აფრიკელი პრეზიდენტები ამყარებენ თანამდებობაზე ყოფნის რეკორდებს

*ბოლო დროს აფრიკის კონტინენტი მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. ეგვიპტე, ტუნისი, ლიბია – ამ ქვეყნებში, ეგრეთ წოდებული „არაბული გაზაფხულის" ფარგლებში, დიქტატორებად გამოცხადებული მმართველები შეიცვალნენ და ამჟამად ეს ქვეყნები გარდამავალი პოლიტიკის პერიოდში იმყოფებიან. ამ ქვეყნების გარდა, აფრიკაში კიდევ უამრავი რესპუბლიკაა, სადაც, დიდი ხანია, არ შეცვლილა პოლიტიკური ლიდერი. ყველაზე ხანგრძლივად მოღვაწე მმართველების ტოპ-11-ს ჟურნალის ამ ნომერში გაიცნობთ.*

**ჟოზე ედუარდო დუშ სანტუში – ანგოლა**

ჟოზე ედუარდო დუშ სანტუში 1979 წლიდან არის ანგოლის პრეზიდენტი. ის გახლავთ ანგოლის სახალხო გამათავისუფლებელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს – სახალხო ასამბლეის თავმჯდომარე. ანგოლის კონსტიტუციის თანახმად, მოქალაქეებს არ აქვთ უფლება, პირდაპირი წესით აირჩიონ პრეზიდენტი. ეკონომიის გამო, ქვეყანაში მხოლოდ საპარლამენტო არჩევნები ტარდება და შემდგომ დეპუტატები ირჩევენ უმაღლეს თანამდებობის პირს. 2012 წელს სანტუში ხმათა 73 პროცენტით კვლავ აირჩიეს პრეზიდენტად.



**ტეოდორო ობიანგ ნგუემა მბასოგო – ეკვატორული გვინეა**

ეკვატორული გვინეის მოქმედი პრეზიდენტი, ტეოდორო ობიანგ ნგუემა მბასოგო, 1979 წლიდან მოღვაწეობს ამ თანამდებობაზე. მბასოგო სამხედრო გადატრიალების გზით მოვიდა ქვეყნის სათავეში, ჩამოაგდო თავისი ბიძა – ფრანსისკო მასიასა ნგემა და შემდგომ სიკვდილით დასაჯა.



1996 და 2012 წლების არჩევნებში ტეოდორომ ხმათა 97 და 97,5 პროცენტით გაიმარჯვა.

**პოლ ბია – კამერუნი**

კამერუნის პრეზიდენტი პოლ ბია შვიდჯერ არის არჩეული ამ თანამდებობაზე. გარდა ამისა, 1975-1982 წლებში იგი კამერუნის პრემიერ-მინისტრიც გახლდათ. ბია 1982 წლიდან არის კამერუნის პრეზიდენტი და უკანასკნელად 2011 წელს ის მოსახლეობის 77,99 პროცენტმა აირჩია.

**იოვერი კაგუტა მუსევენი – უგანდა**

იოვერი მუსევენი 1986 წლიდან არის უგანდის პრეზიდენტი. პირველი არჩევნები მისი მმართველობის პერიოდში 1996 წელს გაიმართა და მან ხმათა 75 პროცენტით გაიმარჯვა. 2001 წელს მუსევენმა 69 პროცენტით მოიგო არჩევნები. ხოლო 2006 წელს – 57 პროცენტით. 2011 წელს მუსევენმა მოსახლეობის ხმათა 68 პროცენტი მიიღო და კვლავ გახდა პრეზიდენტი. საგულისხმოა, რომ ბოლო სამ არჩევნებში მუსევენის მეტოქე ოპოზიციონერი კიზა ბესიჯეა.

**რობერტ მუგაბე – ზიმბაბვე**

რობერტ მუგაბე 1987 წლიდან არის ზიმბაბვეს პრეზიდენტი, 1980 წლიდან ის პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა. 2013 წლის 3 აგვისტოს 89 წლის რობერტ მუგაბე ზიმბაბვეს საარჩევნო კომისიამ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად გამოაცხადა. ამგვარად, მუგაბე მეშვიდედ აირჩიეს პრეზიდენტად. ჯამში კი, 33 წელია, რაც ის ზიმბაბვეს სათავეში იმყოფება. ზიმბაბვეს ახალი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნა ორი ხუთწლიანი ვადით დადგინდა და რობერტ მუგაბეს 99 წლის ასაკამდე შეუძლია მშვიდად იპრეზიდენტოს ამ აფრიკულ სახელმწიფოში.



**ბლეზ კომპაორე – ბურკინა-ფასო**

ბლეზ კომპაორე 1987 წლიდან უდგას სათავეში ბურკინა-ფასოს საპარლამენტო რესპუბლიკას, ანუ, მას შემდეგ, რაც ის ხელისუფლებაში სამხედრო გადატრიალების გზით მოვიდა. 1991 წელს ქვეყანაში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის თანახმად, განისაზღვრა ორი შვიდწლიანი ვადა საპრეზიდენტო კანდიდატისთვის. კომპაორემ 1991 და 1998 წლების არჩევნებში გაიმარჯვა, 2000 წელს შესწორება შეიტანა კონსტიტუციაში – საპრეზიდენტო ვადა შვიდიდან ხუთ წლამდე დაიყვანა და კვლავ იყარა კენჭი. ჯერჯერობით უკანასკნელად ბურკინა-ფასოს საპრეზიდენტო არჩევნებში ბლეზ კომპაორემ 2010 წელს გაიმარჯვა.

**იდრის დები – ჩადი**

რესპუბლიკა ჩადის ხელმძღვანელი 1990 წლიდან იდრის დებია, რომელმაც თავი თვითნებურად გამოაცხადა პრეზიდენტად. 1996 წლის მრავალპარტიულ არჩევნებში დების თანამდებობა ლეგიტიმური გახდა – ის მოსახლეობის 69 პროცენტმა აირჩია. 2001 წელს დებიმ კვლავ იყარა კენჭი და ამჯერად ხმათა 63 პროცენტით გაიმარჯვა. 2004 წელს ჩადში სამხედრო გადატრიალების მცდელობა იყო, თუმცა, დებიმ მოახერხა კრიზისის გადალახვა და იმავე წელს კონსტიტუციაში შეიტანა შესწორება, რომლის თანახმად, უვადოდ შეუძლია, იყაროს კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებში. 2006 წელს დებიმ ხმათა 64 პროცენტით გაიმარჯვა, ჯერჯერობით ბოლო არჩევნებში კი, 2011 წელს, ჩადის მოსახლეობის 88 პროცენტმა დაუჭირა მას მხარი.



**დენი სასუ-ნგესო – კონგო**

1997 წლიდან კონგოს პრეზიდენტია დენი სასუ-ნგესო, რომელიც მანამდე 1979-1992 წლებში იმყოფებოდა ქვეყნის სათავეში. 2002 წელს სასუ-ნგესო კვლავ აირჩიეს პრეზიდენტად ხმათა 90 პროცენტით. ჯერჯერობით ბოლო არჩევნებში კონგოში ისევ სასუ-ნგესო გახდა პრეზიდენტი.

**ისმაილ ომარ ჰელე – ჯიბუტი**

ისმაილ ომარ ჰელე 1999 წლიდან არის ჯიბუტის პრეზიდენტი. 2005 წელს, ჰელე, კანდიდატების არყოფნის გამო, ხმათა 100 პროცენტით გადაირჩიეს პრეზიდენტად. იგივე განმეორდა 2011 წლის არჩევნებშიც, თუმცა, ამჯერად მან 79 პროცენტი მიიღო.

**ისაიას აფევორკი – ერითრეა**

ისაიას აფევორკი ერითრეის პრეზიდენტია 1993 წლიდან. მაშინ მან არჩევნებში მოსახლეობის ხმათა 99,83 პროცენტი მიიღო. 1997 წელს აფევორკიმ კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილება: საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება სამუდამოდ გააუქმა და თავი მუდმივ პრეზიდენტად გამოაცხადა.

**ომარ ჰასან აჰმად ალ-ბაშირი – სუდანი**

ომარ ალ-ბაშირი 1993 წლიდან არის სუდანის რესპუბლიკის პრეზიდენტი. ამჟამად მას ბრალად ედება მძიმე დანაშაულების ჩადენა დარფურის კონფლიქტის დროს. ალ-ბაშირმა 1996, 2000 და 2010 წლების საპრეზიდენტო არჩევნებში დიდი პროცენტული მაჩვენებლით გაიმარჯვა. კონსტიტუციის თანახმად, შემდეგი არჩევნები 2015 წელს უნდა ჩატარდეს, თუმცა, ალ-ბაშირის თქმით, იგი აღარ აპირებს, იყაროს კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებში.

**უშანგი რუხაძე**

**ივეტა ტოხვაძის გახსენება**

„სადაც უნდა ვიყოთ, ყველგან შენზე ვფიქრობთ, გვენატრები ძალიან".

7 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, ძალიან გვიჭირს უშენოდ შეხვედრა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.



**მეუღლე, შვილები**

# რატომ ყიდის ნიგოზს მილიონად პრეზიდენტობის კანდიდატი თენგიზ გაბიძაშვილი და რის გამო დაიბარეს ის შინაგან საქმეთა სამინისტროში

*თენგიზ გაბიძაშვილი პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატია. შეხვედრა მის სტაბილურ სამუშაო ადგილას, ქუთაისის ცენტრალურ ბაზარში შედგა. მარტივად მივაგენი, შევედი თუ არა მთელ სიგრძეზე გადაჭიმული აბრა დავინახე: „პრეზიდენტობის კანდიდატის, თენგიზ გაბიძაშვილის საარჩევნო უბანი №1“. მთავარ კითხვაზე, თუ რა გახდა პრეზიდენტად გახდომის სურვილის კონკრეტული მიზანი, ნიგვზის თავზე გამოკრულ აბრაზე მიმითითა. მასზე წარწერამ საკმაოდ ამომწურავად გასცა ყველა დასმულ და მომავალში გონებაში გააზრებულ და, დასასმელად მომზადებულ კითხვას პასუხი და ამიტომ, აქვე გთავაზობთ იმ ნაწერევს, რომელიც აბრის სახით „მოწამლულ ნიგოზთან“ იყო გამოკრული: „აპოკალიფსი. ოქროს საწმისი. სარკე. სურათი. ეს ნიგოზი სიგარეტი და ბევრი სხვა ხელოვნურად საწამლავად ქცეული პროდუქტი. ვითომ სოციალისტური, ვითომ მონოპოლისტურ-კაპიტალისტური, ვითომ ფეოდალურ-კლასობრივი, ვითომ ეროვნული რელიგიური. თუ რასობრივი მოტივებით ვრცელდება ხალხში. სინამდვილეში იგი ბრაჰმანულ-კასტურ-ეჩმიადინური; სიონისტურ-ფარაონული ანუ იგივეა უკანონო დანათურ-ვამპირულ-ქურდული საწამლავია პატიოსანთა. გიორგიანელთა გასაჟლეტად გამიზნული. ეს ნიგოზი (ფასი: 100 გრ – 1 000 ლარი) და სიგარეტი იწვევს ნივთიერებათა ცვლის მოშლას, დიაბეტს. ამ დაავადებებით კი ბოლო დროს მხოლოდ გლეხური გიორგიანული წარმომავლობის ხალხს კლავენ.“*

**თენგიზ გაბიძაშვილი**: ლეჩხუმელი ვარ, იქ დაბადებული და გაზრდილი, სკოლაც იქვე დავამთავრე. მერე კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური ფაკულტეტი დავამთავრე. შრომის ეკონომიკის სპეციალისტი ვარ. ვარ დაოჯახებული.

**– ბატონო თენგიზ, საიდან გაჩნდა პრეზიდენტობის კანდიდატობის სურვილი, იდეა?**

– ამ აბრაზე რაც მიწერია, იმან გადამაწყვეტინა. ეს არის ჩემი ნაწარმოები – „ოქროს საწმისი“, ორ ნაწილად დავწერე.




**– ანუ, ნიგოზმა გადაგაწყვეტინათ პრეზიდენტობა?**

– კი, ნიგოზმა და შრომის ხელშეკრულებამ, ამ ხელშეკრულების საშინელი პირობების გამო. შრომითი ხელშეკრულებები შემოვიდა აქ, ახლა. შრომის ეკონომისტი ვარ და, ძალიან კარგად ვიცი, რა არის ის. ვითომ რევოლუცია და გადატრიალება მოახდინეს და, სინამდვილეში, იქ იყო პარაზიტიზმი. კანონმდებლობა იყო პარაზიტიზმი. კომუნისტების კანონმდებლობაც ასეთი იყო, ვამპირობაც იყო და ახლა იმ ხელშეკრულებაზე ქურდობა და ყაჩაღობაა დამატებული. ვიფიქრე, რა არის ახლა, რევოლუცია მოახდინეს ვითომ და, კანონში ხალხისთვის პირიქითაა ყველაფერი. ავდექი და დავწერე ყველაფერი და მერე მაგას დაემატა მთლიანად განხილვა ყველაფრის – რა და რატომ ხდება ეს ყველაფერი.

**– ეს რამე ნაწარმოების სახით გამოეცით?**

– „ოქროს საწმისი. აპოკალიპსი“. ორი წელიწადი, დღე და ღამე ვმუშაობდი. ადრეც მაქვს ეგ თემები გამორკვეული და ახლა წიგნის სახე მივეცი. არ გამომიცია, მაგრამ, პარლამენტს და ზოგიერთ ინსტანციებს გავუგზავნე, ალბათ, ერთი ოცი მიმართულებით. მაგრამ, პასუხი არ მიმიღია. მეორე საკითხია კიდევ ძალიან საშიში – პროდუქციის უხარისხობა. სანაგვედაა გადაქცეული ყველაფერი და, რატომ?! იმიტო, რო, შენ რომ ხახვის ბიზნესმენი ხარ და იგი რო კიტრის ბიზნესმენია და, იმას რომ შამოაქვს და მეტს რომ არავის არ აქვს შემოტანის უფლება. მარტო ერთს შემოაქვს სპეციალურად გამზადებული, გლახა და ხალხს ამას აჭმევენ. ეს ნიგოზი უკრაინიდანაა შემოსული (მიმითითებს წინ მდებარე განსხვავებულ ნიგოზზე, წარწერით: „ბალზამირებული მომწამვლელი უკრაინული ნიგოზი, ფასი 1 მილიონი ლარი“). ნიგოზის ასე ხელოვნურად გაცუდება თეთრკანიანი რასის მოღალატე სიონიზმის მიერ ხდება. ეს არის ერთა და კლასთა ურთიერთდაპისრიპირებაზე აწყობილი ხალხის მოწამვლა-გაჟლეტის მასიური პროცესის ნაწილი. ზამთარში ნიგოზს ბალზამი რად უნდა?! ჯერ ერთი, ასე პირდაპირ ბალზამის დასხმა არ შეიძლება, აქ კი პირდაპირაა დასხმული. ზამთარში, 40 გრადუს ყინვაში, რად უნდა ბალზამი?! ესე იგი, ხალხის დაწყვეტაზე ფიქრობენ ესენი. ამ ყველაფრის მეთაური სიონიზმია! პარაზიტები არიან. საერთოდ, ღმერთმა ასე დააწესა, რომ მათ მოწინააღმდეგე უნდა ჰყავდეთ, მაგრამ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მთლიანად უნდა გაწყვიტონ. ესენი კი მთლიანად გაწყვეტაზე არიან გადასული. საბოლოო ჯამში კი ისაა, რომ დედამიწის განადგურებაა დაგეგმილი.

**– ვის მიერაა დაგეგმილი ეს?**

– აი, პარაზიტები რომ ბობოქრობენ 33 საუკუნეა, მაგათი. თუ კარგი პროდუქტი შემოვიდა, მოწილედ უხდებიან. პარაზიტებს კი მოწილედ ვერ უხდებიან, ცუდს და გაფუჭებულს ხელს ვერავინ ჰკიდებს, რადგან, მას პარაზიტიზმი იცავს. ჰოდა, კარგს თუ შემოიტანენ, მოწილე ჰყავს და, ამიტომ, მეორე შემოტანაზე იძულებული გახდება, თვითონ დაასხას ის საწამლავი. ეს მეორე ჩემი სოფლიდან ჩამოტანილი ნიგოზია და იმიტომაც მიწერია მის აბრაზე – მოდით და მომეშველეთ-მეთქი. არც ერთი არ განძრეულა, იმიტომ, რომ ყველგან ეგენი არიან. იმ სკამებზე არც ერთი არაა გასაჩერებელი, მოსაცილებელი ხალხია ყველა მაგენი.



**საყოველთაო პატიება უნდა გამოვაცხადოთ. საყოველთაო პატიებაში შედის ყველა შავი ფულის დაკანონება, ყველა შავი ეკონომიკის დაკანონება**

**– ბატონო თენგიზ, თქვენ დამოუკიდებელი კანდიდატი ხართ?**

– კი, დამოუკიდებელი. რეგისტრაცია კი გავიარე, მაგრამ, იქ საჭიროა ხმები, მაგაში კი ფულს იხდიან და მე ფული სად მაქვს?!

**– თქვენ კონკურენტებზე რა აზრის ხართ?**

– კონკურენტი არა მყავს. იგენი არიან იმათი პირმშო, ვისზეც ახლა ვამბობდი. ჩემნაირები, დამალულია ზოგიერთი, როლშია, მასხრობს ხალხზე – 1 000 ლარს მივცემ, 500 ლარს მივცემო. საიდან მისცემს?! რა იცის მაგან ბიუჯეტი?! ვინაა, საიდანაა, რა ქონება აქვს რო, ხალხს ურიგებს?! არ იცის იმან არაფერი. გაგატან იმას, რაც დავწერე, წაიკითხე და მიხვდები. დიდი ხანია, რაც ჩერნობილი ააფეთქეს ამ სიონისტებმა და მონოპოლია გამოაცხადეს. კომუნისტური პარტიის რიგებში ვიყავი, ქალაქის საბჭოში ვმუშაობდი და ოცდახუთგვერდიანი წერილი მივწერე პატიაშვილს. ერთი წელიწადი იწვალეს, იქიდან როგორმე რომ გამევეგდე. 500-კაციანმა პარტორგანიზაციამ გამრიცხა ქალაქის საბჭოს წევრობიდან. არავინ არ მომცა სამსახური. შაშიაშვილთან მივედი, მაგრამ, იქედანაც არაფერი – მოჯამაგირედაც არ დამაყენა და წამოვედი მერე ბაზარში. თხუთმეტი წელი შესრულდება მალე, რაც ბაზარში ვარ.

**– რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის პროგრამას თუ გაეცანით?**

– საიდან?! ან ჩემი პროგრამა იცის ვინმემ?! ზუსტად ის 120-გვერდიანი აპოკალიპსი, შენ რო უნდა წაიკითხო, იქ წერია ყველაფერი. დაწერილი გავგზავნე ილია მეორესთან, პრემიერთან, მაგრამ, პასუხი, ჯერჯერობით, არ მიმიღია. შსს-მ დამიბარა – ეტყობა, პარლამენტმა გადააგზავნა შსს-ში და დამიბარეს იქ – თქვენი ნაწარმოები ჩვენთან გადმოაგზავნესო. ის ნაწარმოები გამოძიებული საქმეა, კაცო, იმას ძიება აღარ უნდა, შრომის კანონმდებლობის გულისთვის დავწერე. მე რა დასაკითხი ვიყავი, ყველაფერი იქ მეწერა.

**– რომელიმე მედიის საშუალება თუ იყო მოსული და თუ ჩაგწერათ?**

– „რუსთავი 2“ იყო მოსული. ჯერ არ უნდოდათ აქ მოსვლა – იცოდნენ, რომ ნიგვზის ისტორიის გარეშე არ გავუშვებდი აქედან და ისენიც იმ პარაზიტების დამცველები არიან. შაქრიანი დიაბეტი მაქვს და შაქრის საზომი მაქვს აგერ. ახლავე რომ დაგიმტკიცო, რომ ეს ნიგოზი შაქრის დონეს სწევს, შევჭამ და გავისინჯავ.

**– არ არის საჭირო.**

– ნივთიერებათა ცვლას შლის და სპობს ადამიანს ეს ბალზამირებული, შემოტანილი ნიგოზი. ყველა ყიდდა ამ ნიგოზს და, არ ამბობდა,

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორია გამოძალვის დანაშაულის სამართლებრივი განმარტება, ანუ, რა სახის მოქმედება ჩაეთვლება პირს გამოძალვად?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ გამოძალვა არის სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების, მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების, ანდა, მათთვის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც, შეიძლება, არსებითად დააზიანოს მათი უფლებები.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ისჯება თუ არა ადამიანი იმგვარი ტყუილისთვის, რომელმაც მის ბიზნესპარტნიორს დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი მოუტანა, თუმცა, თვითონ ტყუილის მთქმელს არავითარი სარგებელი აქედან არ მიუღია?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ, ქონების მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, თუ არ არის თაღლითობის დანაშაულის ნიშნები, ასევე, ისჯება სისხლისსამართლებრივად და ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, ვადით 120-დან 180 საათამდე; ან, გამოსასწორებელ სა-



მუშაოს, ვადით 1 წლამდე, ანდა, თავისუფლების აღკვეთას, ვადით 2 წლამდე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს კანონი სამეწარმეო ბიზნესსაქმიანობაში უცხო პირის ისეთი უკანონო ჩარევის გამო, რომელმაც ბიზნესი არსებითად დააზიანა?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის ხელის შეშლისთვის, კერძოდ: დაუსაბუთებლად უარის თქმა საწარმოს რეგისტრაციაზე, ნებართვის ან ლიცენზიის გაცემაზე; ანდა, მისი ეკონომიკური საქმიანობის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა, საწარმოს საქმიანობაზე კონტროლის საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით განხორციელება; აგრეთვე, მის საქმიანობაში ჩარევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ვადით 120-დან 180 საათამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე, ანდა, თავისუფლების აღკვეთით, ვადით 1 წლამდე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს ცრუ მეწარმეობა და რა სახის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს კანონი ცრუ მეწარმეობისთვის?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ, ცრუ მეწარმეობა, ესე იგი, საწარმოს შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების, ანდა, აკრძალული საქმიანობის დაფარვის მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 3 წლამდე; თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემთხვევაში და როგორ ისჯება პირი დიდი ოდენობით გადასახადის გადაუხდელობისათვის?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ, დიდი ოდენობით გადასახადისთვის განზრახ თავის არიდება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 5 წლამდე. ამასთან, დიდ ოდენობად ითვლება, როდესაც გადასახადის თანხა აღემატება 50 000 ლარს, ხოლო, განსაკუთრებით დიდ ოდენობად – როდესაც თანხა აღემატება 100 000 ლარს. აღსანიშნავია, რომ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო შემოწმების შედეგებზე „საგადასახადო მოთხოვნის" მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში გადახდილი, გადავადებული ან კორექტირებული იქნება გადასახდელად დაკისრებული ძირითადი თანხა, ან, მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის სასჯელს ითვალისწინებს რეკეტულ დაჯგუფებებში მონაწილეობა და რეკეტული საქმიანობა ზოგადად?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ, დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად რეკეტული დაჯგუფების საქმიანობის წარმართვა ან სხვაგვარი მონაწილეობა რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში, აგრეთვე, დავების უკანონოდ გადაწყვეტა ან მონაწილეობა დავების უკანონოდ გადაწყვეტაში რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირს შორის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 10 წლამდე. იურიდიული პირი კი ამგვარი ქმედებისთვის ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევითა და ჯარიმით.

**კითხვა: მაინტერესებს და გთხოვთ მაცნობოთ გაუქმდა თუ არა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა?**



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ამგვარი ქმედების დეკრიმინალიზაცია არ მომხდარა და დღესაც, მართლმსაჯულებისთვის შეგნებულად ხელის შეშლა, რაც გამოიხატება მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 1-დან 3 წლამდე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, თავისუფლდება თუ არა შეურაცხადი ადამიანი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ჩადენილი დანაშაულის გამო?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო, არ შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა, ეხელმძღვანელა მისთვის.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ადამიანს ჩადენილი დანაშაულის გამო, როდესაც იგი დანაშაულის ჩადენისას შერაცხადი იყო, ხოლო შემდეგ, პატიმრობისას, შეურაცხადი გახდა?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ, თუ დანაშაული შერაცხადმა პირმა ჩაიდინა, მაგრამ იგი ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია, ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას, პირი სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე მოიხდის შესაბამის სამედიცინო, სამკურნალო დაწესებულებაში.

---

## რატომ ყიდის ნიგოზს მილიონად პრეზიდენტობის კანდიდატი თენგიზ გაბიძაშვილი და რის გამო დაიბარეს ის შინაგან საქმეთა სამინისტროში

(მე-15 გვერდიდან)

რა იყო. აყოლილი არიან ამ სისტემას, რა ქნას ხალხმა, რა?! ქვეყანაში არის ძალიან ცუდი მდგომარეობა, სულ სიონური ლაქიები არიან, სულ, ხოდა, მე თუ იქ მოვხვდები, მე ყველას გადავსვამ იქეთ ნაპირზე, მეორე მხარეზე, აქეთ რო დავხვდები, ყველას თავს მივატეხინებ. მათხოვრები არიან, მათხოვრები!

**– პირველი ნაბიჯები, თქვენი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, რა იქნება?**

– პირველი იქნება ამნისტია. მაგრამ, არა ისეთი, როგორიც იყო. საყოველთაო პატიება უნდა გამოვაცხადოთ. საყოველთაო პატიებაში შედის ყველა შავი ფულის დაკანონება, ყველა შავი ეკონომიკის დაკანონება. ქურდი-მურდი მე არ ვიცი. გამოვა ის ქურდი და ჩვეულებრივი ბიზნესმენი იქნება. თუ კაცი არ ჰყავს მოკლული და თუ ნაწამები არ ჰყავს კიდო, გამოვიდეს.

**– კიდევ რა ცვლილებებს გეგმავთ? მაგალითად, სოფლის მეურნეობაზე თუ გაქვთ რამე გეგმა ან ცვლილება?**

– სოფლის მეურნეობა მაქვს ძირითადათ და პატარა მედიცინასაც მივაყოლებ ცოტას. სხვა ყველაფერზე ბევრი მაქვს ნაფიქრი. აკადემია მინდა გავაკეთო. ყველაფერი იქნება, ყველა მიმართულებით იმუშავებს. „ოქროს საწმისში" მაქვს ეგ ნახსნები. რეგიონებს არ შევეხები – ეგ ცხოვრებამ შექმნა ასე.

**– ეს აზრა თქვენ დაამზადეთ?**

– კი, გავაკეთებინე. 48 ლარი გადავიხადე. არავინ არ მეხმარება. ახალი ტიპის დონკიხოტი ვარ. ორი პატარა შვილი მყავს, მეექვსე და მესამე კლასებში. ახლა მაგ ჩემი დაწერილის გამოქვეყნებისთვის თავი არ მიაკლა, ახალგაზრდა ხარ. მე მაინც არავინ მომცემს ხმას.

**ლიკა გოგოლაშვილი**

# ინტიმური საუბრები

## მშობლები „ჩემიანები“ აღარ არიან

დაახლოებით 15 წლის წინ ჩემი მშობლები რუსეთში წავიდნენ სამუშაოდ, რადგან აქ მათი სამსახურები დაიხურა, უმუშევრები დარჩნენ და ოჯახს ველარ არჩენდნენ. უფრო სწორად, თავიდან მამაჩემი წავიდა ურალში, სადაც მისი ჯარის მეგობარი მუშაობდა და იმან უთხრა: ჩამოდი და მაღალხელფასიან სამუშაოზე მოგაწყობო. ორი წლის შემდეგ კი დედაც მასთან გაემგზავრა – არ უნდოდა, მისი ქმარი იქ მარტო ყოფილიყო და, როგორც თვითონ ამბობდა, რუს ქალებში „ეგულავა“. ცხადია, ახალგაზრდა კაცი ოჯახიდან ცხრა მთას იქით რომ მიდის, ქალთანაც გაივლის და, შეიძლება, უარესიც ქნას. მოკლედ, დედაჩემმა გამოაცხადა, რად მინდა მისი გამოგზავნილი ფული, ოჯახი თუ დამენგრაო და ქმართან გაემგზავრა. ახლა რომ ვფიქრობ, ხან ვამართლებ დედაჩემის საქციელს – უყვარდა ქმარი და მარტო არ მიატოვა; მაგრამ, მეორე მხრივ, ვერაფრით ვერ ვიგებ, როგორ უნდა დატოვოს ქალმა სამი პატარა შვილი თუნდაც ქმრის გამო და თუნდაც საიმედო ხელში. მოკლედ, დედამ მე და ჩემი და-ძმა ბებიას, ბაბუას (თავის მშობლებს) და დეიდას ჩაგვაბარა და წავიდა. თვითონ დარწმუნებული იყო, რომ წელიწადში ორსამჯერ მოახერხებდა ჩამოსვლას, მაგრამ, ისე გავიდა წლები, ვერც ერთხელ ვერ ჩამოვიდნენ. თან, მაშინ კომპიუტერი ჯერ კიდევ არ იყო ისე მასობრივად, რომ ყველას ჰქონოდა და ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ ტელეფონის ზარით შემოიფარგლებოდა, ისიც – თვეში ერთხელ. მერე ყვებოდა დედა, ისეთ ადგილას ვცხოვრობდით და ვმუშაობდით, რადიოს გარდა არაფერი გვქონდა და თქვენთან რომ დაგვერეკა, სამი ტრანსპორტი უნდა გამოგვეცვალა, რაიონულ ცენტრში რომ ჩავსულიყავით, რადგან, მხოლოდ იქ იყო საფოსტო განყოფილებაო, მაგრამ, ჩვენ პატარები ვიყავით, დედა გვენატრებოდა (მამაც, მაგრამ დედა უფრო მეტად) და არანაირი მიზეზი არ „ჭრიდა“. დედაც რომ გაემგზავრა, მაშინ მე 13 წლის ვიყავი, ჩემი ძმა – 10 წლის, და კი – 8-ის. ბებია, ბაბუა და დეიდა თან გვყვებოდნენ, ჩვენი მშობლებიც გვიგზავნიდნენ ფულსაც და ათას სხვა რამესაც, ანუ, არაფერი გვაკლდა, მაგრამ, მაინც სულ სევდიანები ვიყავით. ჩემი და ისე გათხოვდა, ბაბუა ისე გარდაიცვალა და დეიდაჩემს ისე გაუკეთეს ურთულესი ოპერაცია, დედამ ჩამოსვლა ვერ მოახერხა. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ჩემი დის გათხოვება ძალიან უიღბლო აღმოჩნდა – ნარკომანმა ქმარმა ორი თოთო ბავშვით გამოაგდო სახლიდან და არც მის მშობლებს გამოუჩენიათ მერე რამე ყურადღება, ანუ, საერთოდ მოიშორეს თავიდან. გარდა ამისა, ჩემი ძმა გარიცხეს ინსტიტუტიდან და დღემდე უსაქმურად დაყიალობს – ვერაფერს დაუდო გული. თანაც, ისეთი ნერვიულია, ხმას ვერ გასცემ. ამ ყველაფერს მამაჩემი ბებიას და დეიდას აბრალებს – ჩემს შვილებს ყურადღება ვერ მიაქციესო. სხვათა შორის, დედაც მას ეთანხმება და ამაზე ძალიან ვბრაზდები. ვერც ერთი ვერ გრძნობს საკუთარ დანაშაულს, განსაკუთრებით – დედაჩემი. სამივე ძალიან გაუცხოებულები ვართ მშობლებთან და სწყინთ – თქვენ გამო ცხრა მთას იქით ვიყავით გადაკარგულები, მონებივით ვმუშაობდით, რომ ყველაფერი გქონოდათ, თქვენ კი ცივად გვექცევითო. არ ვიცი, შეიძლება, ჩვენც არ ვართ ბოლომდე მართლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ვგრძნობთ, რომ აღარ არიან „ჩვენიანები“ და, არ ვიცი, ეს მდგომარეობა როდის გამოსწორდება.

**მეგი, 28 წლის.**

## მე ყოველთვის ჩემი ძმის მხარეზე ვიქნები

ჩემს ძმას შეუყვარდა გოგო, რომლის ცოლად მოყვანაც გადაწყვიტა, მაგრამ, ჩემი მშობლები იყვნენ წინააღმდეგები (ძირითადად – დედაჩემი), რადგან, ის გოგო განათხოვარია და, ხომ იცით, რაც ხდება ხოლმე ასეთ დროს. მაგრამ, ვერ ვხვდები, რატომ არის ეს ფაქტი ასეთი საშინელება. რა ქნას იმ ადამიანმა, თუკი არ გაუმართლა ცხოვრებაში? თავი მოიკლას თუ მონაზვნად აღიკვეცოს?! იმ ბიჭმა ისე მოიტაცა, წესიერად არც კი იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ ხათუნას მამამისის შეეშინდა და თქვა, ჩემი ნებით წავყევიო, მერე კი გაირკვა, რომ იმ თავის ძალად ქმარს საერთოდაც არ ჰყვარებია და სადისტურად ექცეოდა. ამიტომ, ერთი თვის შემდეგ ქმრის ოჯახიდან  გამოიპარა და მშობლებთან დაბრუნდა. კიდევ კარგი, ორსულად არ დარჩა, თორემ, ისეთ დღეში აგდებდა ის ნაძირალა, აუცილებლად ავადმყოფი ან დებილი შვილი გაუჩნდებოდა.

ხათუნა თითქმის ჩემი ტოლია, თან, საოცრად წესიერი და კარგი ადამიანია, ძალიან უყვარს ჩემი ძმა და, ამიტომ მე მის მხარეზე ვარ. კატეგორიულად არ ვეთანხმები ჩემს მშობლებს, როცა სარძლოს დაწუნების მიზეზად მის განათხოვრობას ასახელებენ, უფრო სწორად, საშინლად მაღიზიანებს მათი ასეთი საქციელი, რადგან მეც გაყრილი ვარ ქმართან, 2 წლის შვილიც მყავს, მაგრამ, აქტიურად ცდილობენ, კარგად გამათხოვონ: უცოლო, პერსპექტიულ, შეძლებულ და სიმპათიურ მამაკაცს ეძებენ სასიძოდ და, იმას საერთოდ არ კითხულობენ, ასეთ მამაკაცს ან მის ოჯახს თუ აწყობს განათხოვარი და შვილიანი ქალი.

ჩემს მშობლებს ეს პირდაპირ ვუთხარი, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, რითაც ორივე ძალიან გავანაწყენე; ჩემმა დეიდაშვილმა კი, რომელიც ჩემს მშობლებს ეთანხმება, პირში მომახალა, შენ იმიტომ ემხრობი შენს ძმას, არ გინდა, შენზე უკეთესი გოგო მოიყვანოს ცოლად, რომ მერე შენზე „ვერხი“ არ აიღოსო. მოკლედ, ჩვენი ოჯახური მსჯელობა ჯერ კამათში, მერე კი საკმაოდ სერიოზულ ჩხუბში გადაიზარდა. ყველაზე მეტად კი იმან გამამწარა, რომ არავის არ აინტერესებდა არც ჩემი ძმის გრძნობები, არც ხათუნას კარგი ადამიანობა, მათთვის მთავარი ის იყო, მეზობლებს არაფერი ეთქვათ და ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებში ეტრაბახად რძლის ოჯახითა და წრით. ერთი სიტყვით, მათმა სიტყვებმა დამარწმუნა, რომ ჩემი ძმა, მათი წყალობით, შეიძლებოდა, დეპრესიაში ჩავარდნილიყო და სამუდამოდ ჩაექნია ხელი ცხოვრებაზე. ამიტომ, მისი აქტიურად დახმარება გადავწყვიტე, მას და ხათუნას ჩუმად მოველაპარაკე და ჩემი გადაწყვეტილებაც ერთ კვირაში მოვიყვანე სისრულეში: მთელი ჩემი დანაზოგი თანხა (მანქანის ყიდვას ვაპირებდი) მივეცი ჩემს ძმას, მან თავისიც დაუმატა, მერე ბილეთები ავუღე და ერთ-ერთ ეგზოტიკურ ქვეყანაში (ჩემი მეგობრის წყალობით, ტურისტული ვიზები გავუკეთე) გავუშვი საქორწინო მოგზაურობაში. რომ დაბრუნდებიან, მერე სიტუაცია გვიჩვენებს, როგორ მოვიქცევით. ბოლოს და ბოლოს, ჩემს ძმას აქვს თავისი ერთოთახიანი ბინა და თავიდან იქ იცხოვრებენ. ჩემს მშობლებს კი ვერასდროს ვერ გავუგებ და ვერ გავამართლებ.

**გვანცა, 24 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

*ხელოვნების მოყვარულებს კიდევ ერთი მიზეზი გაუჩნდათ, რომ ნიუ-იორკის „მეტროპოლიტან მუზეუმს" ეწვიონ. 2013 წლის 10 აპრილს მილიარდერმა ლეონარდ ლაუდერმა, კორპორაცია „ესტე ლაუდერის" მფლობელმა მუზეუმს თავისი ხელოვნების ნიმუშების კოლექცია გადასცა, საერთო ღირებულებით 1,1 მილიარდი დოლარი. მილიარდერის ამ ქმედებამ „ფორბსს" იმ მილიარდერების ჩამონათვალი გაახსენა, რომელთაც უკანასკნელ წლებში ხელოვნების ნიმუშთა საკუთარი კოლექციები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადეს.*

# „ფორბსის" ყველაზე გულუხვი მილიარდერები, რომლებმაც საკუთარი კოლექციები მუზეუმს გადასცეს საჩუქრად

## ელი ბროდი

ამერიკელი მაგნატი ელი ბროდი, რომლის კაპიტალი 2013 წლის „ფორბსის" მონაცემებით 6,3 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს, სამშენებლო ბიზნესშია ჩართული. ბროდის „ფორბსის" მილიარდერების რეიტინგში 191-ე ადგილი უკავია და რამდენიმე ათეული წელია, ის ხელოვნების სამსახურში დგას. 1980-იანი წლების დასაწყისში ბროდი ლოს-ანჯელესის „კონტემფორარი არტის" მუზეუმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. 1984 წელს, მეუღლესთან ერთად, ბროდიმ დააფუძნა ფონდი „ბროდი არტ-ფაუნდეიშენი", რომლის აქტივები 2,4 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. ფონდის საქმიანობაში შედის თანხების გაცემა მუზეუმებისა და არტ-საზოგადოებებისთვის. ფილანტროპის დიდ ინტერესს იწვევს თანამედროვე ხელოვნება, ის ნიმუშები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შეიქმნა. ელი ბროდის პირად კოლექციაში 50-მდე ფერწერული ტილოა, ხოლო ფონდის კოლექციაში – სამასამდე ხელოვნების ნიმუში. ელი ბროდი ფლობს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში შექმნილ ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ ტილოს – ჯეფ კუნსის „ბოცვერი". 2005 წელს ბროდიმ ის 12 მილიონ დოლარად შეიძინა, ხოლო 2009 წელს იგივე ავტორის მსგავსი ტილო 80 მილიონ დოლარად გაიყიდა. 2007 წელს ელი ბროდიმ მიჩიგანის უნივერსიტეტის მუზეუმს, სადაც თავად სწავლობდა, 27 მილიონი დოლარი გადასცა. 2012 წელს მან პირადი კოლექციიდან იგივე მუზეუმს 19 ფერწერული ტილო აჩუქა – როქსი პეინის, პიტერ ჰელის, ტერი უინტერსის, რობერტ ლონგოს და სხვათა ნამუშევრები, რომელთა საერთო ფასი 2 მილიონი დოლარია.



## ლეონარდ ლაუდერი

კოსმეტიკური კორპორაციის „ესტე ლაუდერის" მფლობელის, ლეონარდ ლაუდერის ქონება, „ფორბსის" 2013 წლის ცნობით, 8,1 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს და მილიარდერების რეიტინგში 81-ე პოზიციაზეა. ამ ქონების მერვედს ლაუდერის ხელოვნების ნიმუშების კოლექცია შეადგენს. ლაუდერის კოლექციაში პაბლო პიკასოს 33, ჟორჟ ბრაკას 17, ხუან გრისას 14 და ამდენივე ფერნან ლეჟეს ტილოა, რომელთა საერთო ღირებულება 1,1 მილიარდი ამერიკული დოლარია. მილიარდერის ბოლო გადაწყვეტილებით, ყველა ეს ნამუშევარი საჩუქრად გადაეცა ნიუ-იორკის „მეტროპოლიტან მუზეუმს" და ამერიკიდან ნებისმიერ დამთვალიერებელს შეუძლია იხილოს „კუბიზმის" ეპოქის ხელოვანთა ნამუშევრები.




## ჯულიან რობერტსონი

2009 წელს ახალი ზელანდიის „ოკლენდ არტ-გალერიმ" საჩუქრად მიიღო 15 ფერწერული ტილო – რამდენიმე პორტრეტი, რომელთა ავტორია პაბლო პიკასო, ასევე, ფერნან ლეჟეს და სალვადორ დალის ნამუშევრები და ანრი მატისის გრაფიკა. საჩუქრად გადაცემისას კოლექცია 120-150 მილიონ დოლარად იყო შეფასებული. ეს საჩუქარი გალერეას ამერიკელმა მილიარდერმა, საინვესტიციო კომპანია „ტაიგერ მენეჯმენტ კორპის" მფლობელმა ჯულიან რობერტსონმა გაუკეთა, რომლის ქონება „ფორბსის" ვერსიით, 2,8 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს და 508-ე ადგილი უკავია მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების 2013 წლის რეიტინგში. ახალზელანდიური გალერეის არჩევა კი რობერტსონისგან არავის გაჰკვირვებია, რადგან მრავალი წელია, ის ინვესტიციებს ამ ქვეყანაში ახორციელებს. უძრავი ქონების გარდა, რომელსაც რობერტსონი ზელანდიაში აკონტროლებს, ის მართავს ფონდს, რომელიც ოკეანიაში სამეცნიერო კვლევებს ემსახურება. ფონდის აქტივები 850 მილიონ დოლარად არის შეფასებული.



## ხორხე პერესი

2011 წელს ამერიკელმა მილიარდერმა ხორხე პერესმა (2013 წლის მონაცემებით კაპიტალი შეადგენს 1,2 მილიარდ დოლარს, №1 175-ე „ფორბსის" რეიტინგში) განაცხადა, რომ მაიამის არტ-მუზეუმისთვის 35-40 მილიონი დოლარის თანხის გადაცემას აპირებდა. ეს თანხა, მილიარდერის თქმით, მუზეუმის მოდერნიზაციას და განვითარებას უნდა მოხმარდეს. პერესის თქმით, ის დიდი ხანია, ოცნებობს მშობლიურ ქალაქში მაღალი დონის არტ-სივრცეზე. პერესმა შეასრულა დანაპირები და მუზეუმს გადასცა საჩუქრად პირადი კოლექციიდან ლათინოამერიკელი ხელოვანის 43 ნამუშევარი, მათ შორის დიეგო რივერას, ვიფრედო ლამას და სხვათა ნამუშევრები. ხორხე პერესი ბუენოს-აირესშია დაბადებული და გატაცებულია ლათინოამერიკული ხელოვნებით. კოლექცია, რომელიც მან მუზეუმს გადასცა საჩუქრად 15 მილიონ დოლარად არის შეფასებული. ცნობისთვის, მაიამის არტ-მუზეუმი ხორხე პერესის სახელს ატარებს.



## დონალდ ფიშერი

დონალდ ფიშერმა - კომპანია „გეპის" თანადამფუძნებელმა, რომლის ქონება 2007 წელს 1,3 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენდა განაცხადა, რომ სან-ფრანცისკოში, ერთ-ერთ პარკში ხელოვნების მუზეუმის შენებას აპირებდა. მუზეუმში მილიარდერი საკუთარი კოლექციის გამოფენას გეგმავდა. 2009 წლის ზაფხულში ფიშერის გეგმები შეიცვალა. საქალაქო საბჭომ მას პარკებში მშენებლობის წარმოება აუკრძალა და მილიარდერი იძულებული გახდა, თავისი კოლექცია „სან-ფრანცისკოს თანამედროვე ხელოვნების" მუზეუმისთვის გადაეცა. ფიშერმა 1 100 ხელოვნების ნიმუში გადასცა საჩუქრად მუზეუმს, მათ შორის, პოპ-არტის ვარსკვლავის, როი ლიხტენშტეინის, ენდი უორჰოლის, პროგრესული ამერიკელი მოქანდაკის ალექსანდერ კოლდერისა და სხვათა ნამუშევრები. მიახლოებითი დათვლებით, ფიშერის კოლექცია მილიარდ ამერიკულ დოლარადაა შეფასებული. მილიარდერი მას 40 წელი აგროვებდა. სამწუხაროდ, თავისი კოლექციის პირველ გამოფენას რობერტ ფიშერი ვერ მოესწრო. 2009 წლის სექტემბერში რობერტ ფიშერი 81 წლის ასაკში გარდაიცვალა.




**უშანგი რუხაძე**

**დიზაინერი დავით ქოიავა არაბეთის ემირატებში, კერძოდ, დუბაიში ცხოვრობს და იქაური ბობოლა შეიხების დაკვეთით ინტერიერისა თუ სხვა სახის დიზაინს აკეთებს. ის ჯერ ავტოტრანსპორტის დიზაინზე მუშაობდა კიევში, შემდეგ კი დუბაიში წავიდა და კარიერა იქ განაგრძო. დავითმა რამდენიმე პრესტიჟულ კონკურსში გაიმარჯვა და მალე საკუთარი მასშტაბური გამოფენის მოწყობასაც გეგმავს**

# როგორ მოხვდა ქართველი დიზაინერი დუბაიში არაბი დამკვეთების მიწვევით და როგორ შექმნა მან „შპიონური“ მაჯის საათები

**დავით ქოიავა**: სრული სამხატვრო განათლება არ მაქვს მიღებული – აკადემიიდან სტუდენტობის პერიოდში წავედი, პირველი კურსიც არ მქონდა დამთავრებული. პირადი ცხოვრება ისე შემეცვალა, იძულებული გავხდი, უცხოეთში წავსულიყავი. ინდუსტრიული დიზაინის, ინტერიერის და მსგავსი რაღაცეების ინტერესი სულ მქონდა. 90-იან წლებში მუსიკალურ ჯგუფში ვუკრავდი და საკუთარი ხელით ავაწყვე ელექტროგიტარა. ეს გიტარა ძალიან ცნობილი იყო მთელ თბილისში, ახლა კი სახლში მიდევს, ცოცხალი თავით არავის არ მივყიდე ***(იცინის).*** 18 თუ 19 წლის ვიყავი, რომ გავაკეთე. ჩემს გვარში ძალიან ბევრი არქიტექტორი, მხატვარი და დიზაინერია. გვაროვნული ტრადიცია გვაქვს ამ საქმის ***(იცინის).*** ჩემი სახელისა და გვარის სამი ადამიანი მუშაობს არქიტექტურასა და დიზაინში, მარინე ფერაძის სიტუაცია იყო. ამიტომ, ხშირად იქმნებოდა კურიოზული სიტუაციები.

– **შემდეგ უცხოეთში წახვედით.**

– უცხოეთს რაც შეეხება, პირველად უკრაინაში მომიწია წასვლა, კიევში. არის ძალიან ცნობილი კომპანია, „დეტალ”, რომელიც ამზადებს სპეცმანქანებს – სასწრაფოსთვის, აეროპორტისთვის, სახანძროსთვის და რა ვიცი კიდევ... შემთხვევით დავიწყე ამ კომპანიაში მუშაობა – მეგობართან მივდიოდი უკრაინაში და იქ შემომთავაზეს სამსახური. ავიღე ჩემი პორტფოლიოები, ძალიან მოეწონათ და მაშინვე ჩამსვეს შტატში. ვმუშაობდი ავტომობილების დიზაინზე ამ კომპანიისთვის. თბილისში ავეჯისა და ინტერიერის დიზაინზე ვმუშაობდი, ასევე, ვკითხულობდი ლექციებს. ცნობილი ქართველების შეკვეთითაც გამიკეთებია ინტერიერის დიზაინი, კომპანიების დაკვეთითაც, თუმცა, ახლა არ დავასახელებ მათ ვინაობას. მარჯანიშვილის მოედანი, ქუჩა და აღმაშენებლის გამზირი ჩვენი გაკეთებულია. ამჟამად უფრო უცხოეთში მიწევს მუშაობა, გაერთიანებულ ემირატებში. რაც რამე ცოდნა გამაჩნია „ინდუსტრიალ დიზაინში,“ ყველაფერი კიევმა მომცა – იქ ძალიან მაღალი ტექნოლოგიებია და ბევრი რამის საშუალებას გაძლევს, ასევე, დუბაიშიც. ამიტომ, ეს სფერო ვერ ვითარდება თბილისში. ისეთი ძვირია ტექნოლოგიები, თბილისში არ ხერხდება ჩამოტანა. კიევში ვმუშაობდი როგორც ავტომანქანების სალონების, ისე გარე დიზაინზე. გამიკეთებია ინტერიერიც იქაურების – კერძო პირებისა და დაწესებულებების დაკვეთით. ვუკეთებდი ლოგოს, სარეკლამო მასალებს, ვუქმნიდი კორპორაციულ ფერებს.

– **ემირატებთან როგორ მოხდა თქვენი დაკავშირება?**

– დიდი ხანია, მქონდა სურვილი რამენაირად მოვხვედრილიყავი ამ ქვეყანაში – ეს ყველა ინდუსტრიული დიზაინერის ოცნებაა, რადგან, ემირატების ქალაქები, განსაკუთრებით – დუბაი და აბუ დაბი, გაჯერებულია უახლესი ტექნოლოგიებით. თბილისში, წინააღმდეგობები მხვდებოდა – მეუბნებოდნენ, არ გამოვა, ან დაინგრევაო. არ ჰქონდათ სათანდო საშუალებები, ძვირია. დუბაიში სახსრები მეოთხე-მეხუთეხარისხოვანი თემაა. ნავთობის მაგნატები არიან და, ოღონდ კი რამე ინოვაცია შესთავაზე, ყველაფერზე მოგყვებიან. მე ვკითხულობდი ლექციებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსტიტუტში, 3D გრაფიკასა და დიზაინის კურსს და შემარჩიეს ემირატებში გასაგზავნად, როგორც ერთ-ერთი წარმატებული დიზაინერი. თავიდან ძალიან გამიჭირდა დუბაიში, ფინანსურადაც რთული იყო, მაგრამ, პირველი რეაქცია, რაც მქონდა, აეროპორტიდან რომ გავედი, ისეთი ცხელი ჰაერი მომხვდა სახეში, კინაღამ მოვკვდი ***(იცინის)*** – ვინც იქით ნამყოფია, დამეთანხმება. ველარ ვსუნთქავდი, თავიდან სულ განცდებში ვიყავი, მეშინოდა, რაიმე გადაცდომები არ მომსვლოდა სამსახურის მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მაღალი ტემპერატურაა, საშინელი ნესტია და კონდინციონერი სულ ჩართულია. დუბაიში მსოფლიოს წამყვანი დიზაინერების ობიექტებია და ჩემთვის დიდი პატივია, რომ მეც მათთან ერთად ვმუშაობ. კურიოზი რა არის, იცი? ხომ ასეთი მაღალი ტექნოლოგიების ქალაქია, პერიფერიებში მაინც ბარაკებია, ზოგან კი საერთოდ არაა საგზაო ნიშნები და შენ თვითონ უნდა მოისაზრო, როგორ გადახვიდე გზაზე.



შეიძლება მივიღო შეკვეთა დუბაის სანაპიროზე ხელოვნური კუნძულის შექმნაზე

– **ყოფით სივრცეში არ გაქვთ დისკომფორტის მომენტები?**

– პოსტსაბჭოთა სივრცეში გაზრდილი ადამიანისთვის ცოტა ძნელია შეჩვევა. აქ ძალიან განსხვავებული ხალხია, ჩემთვის ბევრი რამ ყოფილა მიუღებელი და თავი ვერ შემიკავებია. ემირატებში არ მოქმედებს შარიათი, კანონები ნაკლებად მკაცრია, ვიდრე სხვა არაბულ ქვეყნებში, თუნდაც, სასმელთან დაკავშირებული შეზღუდვები... უბრალოდ, აქაურებს უფრო თავიანთი ნაციონალური ტანსაცმელი უყვართ – სიცხისგან კარგად იცავს. არაბები ჩაკეტილი ხალხია, ძალიან იშვიათად, რომ სახლში დაგპატიჟონ ან რამე ეგეთი. დუბაიში ქალები კაფეებშიც დადიან, ბარებშიც და თეატრებშიც.

**გაკეთებული მაქვს მაჯის საათები, თინეიჯერული ხაზი, ანუ, სერია ახალგაზრდებისთვის: ფოტოკამერით, ასევე, ეხსნება სამაჯური და აქვს ფლეშ-შესაერთებელი**

– **თქვენს სამუშაოს დავუბრუნდეთ. რას აკეთებთ დუბაიში?**

– დუბაიში ვმუშაობ ერთ-ერთ უმსხვილეს არაბულ კორპორაციაში დიზაინერად, ეს არის ჰოლდინგი, რომელსაც ჰყავს შვილობილი კომპანიები და მუშაობენ დუბაის „ჯიპიეს“ სისტემებზე. კერძო შეკვეთები მქონია შეიხებისგან, თუმცა. შეიხი მუჰამედი დუბაის მეპატრონეა და ჯერჯერობით მისთვის არ მიმუშავია, მაგრამ, სხვა მდიდარი შეიხებისთვის დამიპროექტებია ვილები, ინტერიერის დიზაინი, საიუველირო მაღაზიები, სალონები... მყავს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული უცხოელი ბიზნესმენები, რომელთა კერძო დაკვეთებსაც ვასრულებ.

– **ავეჯის და ინტერიერის დიზაინი ვნახე თქვენს პორტფოლიოში.**

– ესენი დამზადებულია როგორც სერიული წარმოებისთვის, ასევე, ინდივიდუალური შეკვეთით. უკრაინაში მივიღე „ბრითიშ ტობაკო კომპანის” კონკურსში მონაწილეობა. „კენტის” საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით უნდა მოგვეფიქრებინა რამე კონცეპტუალური, ავდექი და გავაკეთე სანთებელა, რომელსაც უკან „იუ ეს ბი“ „ფლეშკა„ ჰქონდა, ძალიან ორიგინალური გამოვიდა და გავიმარჯვე ამ კონკურსში – პირველი ადგილის მფლობელი გავხდი. ვარ, ასევე, „რედ დოთ ევორდის“ გამარჯვებული, რომელიც ძალიან პრესტიჟული კონკურსია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მასში ვმონაწილეობ როგორც ინდუსტრიული და არა ინტერიერის დიზაინერი. ბევრი საერთაშორისო კონკურსის პრიზიორი ვარ.

– **როგორც ვიცი, ინდუსტრიულ დიზაინზეც მუშაობთ.**

– დიახ, ასეა და ამჟამად ვგეგმავ დიდი გამოფენის გაკეთებას დუბაიში. ახლახან დავამთავრე სავაჭრო ცენტრზე მუშაობა, რომელიც აშენდება უდაბნოში. ვმუშაობ ლამპებზე, მონიტორებზე, გაკეთებული მაქვს მაჯის საათები, თინეიჯერული ხაზი, ახალგაზრდებისთვის: ფოტოკამერით, ასევე, ეხსნება სამაჯური და აქვს ფლეშ-შესაერთებელი. ეს საათები წარმოებაშია ჩაშვებული და შეზღუდული რაოდენობით გამოვა. შეგიძლია, კომპიუტერში გადაიტანო ინფორმაცია, მოკლედ, ტექნიკურად კარგად არის აღჭურვილი. სახელი „სპაიონ ვოტჩ” ჰქვია, ჩაფიქრებული იყო, როგორც „შპიონის საათი“.

– **ესე იგი, გამოფენას გეგმავთ?**

– დიახ, მალე ვგეგმავ დუბაიში გამოფენას, სადაც საკმაოდ მსხვილი დამკვეთები და კომპანიების წარმომადგენლები იქნებიან მოწვეულები, მინდა გამოფენაზე გავიტანო როგორც კონცეპტუალური, ასევე, რეალიზებული ნამუშევრები. იქნებიან კომპანიის წარმომადგენლები, რომლებიც ქმნიან ხელოვნურ კუნძულებს. შეიძლება, მივიღო შეკვეთა ხელოვნური კუნძულის შექმნაზე დუბაის სანაპიროზე.

– **არაბებმა რამე თუ იციან საქართველოზე?**

– დიახ, იციან და ძალიანაც მოსწონთ ქართველები, იციან, რომ სტუმართმოყვარე და კეთილგანწყობილი ხალხია – მუშაობენ აქ ქართველები და იცნობენ. უკვე ორი წელია, აქ ვცხოვრობ და ბევრთან მაქვს მეგობრული ურთიერთობა. ის სტერეოტიპი რომ ქართველები ყველგან ქურდები და ყაჩაღები არიან, რომ ამბობენ, ქართულად არის გერმანიაში ვიტრინებში გამოკრული: „ქართველებო, არ მოიპაროთ” ან „არ ჩაამტვრიოთო”, ასეთი რამ აქ არ არის. თვითონ არაბები, როგორც გითხარით, საკმაოდ ჩაკეტილი ხალხია. არ ხდება აქ ისე, რომ სახლში დაგპატიჟონ, ცოლი გაგაცნონ ან რამე ასეთი ***(იცინის)***. შეიძლება, უბრალოდ, გარეთ შეგხვდეს და საქმიანი ურთიერთობა გააბას შენთან, მაგრამ, გარკვეული რელიგიური ბარიერები მაინც არსებობს.

**ქეთი დიდებულიძე**

# შეიძლება თუ არა, დიდი სიყვარული ქალისთვის ღალატის მიზეზად იქცეს



**სიყვარულისთვის, საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნისთვის, ზოგჯერ უდიდეს მსხვერპლს გავიღებთ ხოლმე; მივდივართ ტყუილზეც, მერე კი ვიმართლებთ თავს და სინდისს ვიმშვიდებთ იმით, რომ არსებობს „წმინდა ტყუილიც,“ ანუ, ტყუილი გადარჩენისთვის; რომ არის სიტუაციები, როცა ტყუილი ერთადერთი გამოსავალია... თუმცა, არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ტყუილს მაინც არ აქვს გამართლება, ის ყოველთვის საფრთხის შემცველია, უპირველესად – ტყუილის მთქმელისთვის. მას ელის იმედგაცრუებაც და გულის ტკენაც და, რაც მთავარია, ვიღაცის „გადასარჩენად“ ნათქვამი ტყუილი არასდროს ტოვებს კმაყოფილს და მადლიერს თვით „გადარჩენილს“.**

**არსებობს დიდი რისკი იმისაც, რომ თავად დაიჯერო საკუთარი ტყუილი – როცა „კეთილი ტყუილის“ მთქმელი ატყუებს საკუთარ თავსაც და საყვარელ ადამიანსაც.**

**ნატალია** *(31 წლის):* ამ ამბავს იმიტომ არ გიყვებით, რომ ვინმეს წინაშე თავის გამართლება მინდა. მიმაჩნია, რომ ჩემს სიტუაციაში სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. მოსახდენი მოხდა! არსებობს დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება „მდე“ და „შემდეგ“ გაყო და უკან ვეღარაფერს დავაბრუნებ. რომც დავაბრუნო, მეეჭვება, რამე შევცვალო. ჩემთვის საშინელებაა იმაზე ფიქრი, რაც გავაკეთე. თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს და, როცა ყველაფერს ამ მეორე მხრიდან ვუყურებ, ყველა ღალატი ღალატი აღარ არის. უფრო სწორად, მასაც აქვს გამართლება.

**– თქვენ არ ხართ გამონაკლისი. მოღალატეები, ზოგადად, ცდილობენ, გაამართლონ თავიანთი საქციელი.**

– ეს ის შემთხვევა არ არის. მე არ ვცდილობ, გავამართლო საკუთარი საქციელი, არაფერში მჭირდება. მთავარია, საკუთარ თავთან ვიყო მართალი და, კიდევ, იმ ადამიანის წინაშეც, ვის გამოც ეს მსხვერპლი გავიღე. შეიძლება, მან ვერ გამიგოს, ან, ისე არ გაიგოს, როგორც საჭიროა და, გული რომ არ ვატკინო, სიმართლეს არ ვეუბნები, რადგან, მართლა ძალიან მიყვარს, სიყვარული კი, თურმე, ბევრ რამეზე მოგაწერინებს ხელს.

**– ღალატზეც?**

– უკვე ვთქვი, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი ღალატი. არც ავხორცი ვარ და არც თავგადასავლების მაძიებელი. მიყვარს მხოლოდ ქმარი და, რაც გავაკეთე, მისი სიყვარულით გავაკეთე.

**– ქმრის სიყვარულით გაიჩინეთ საყვარელი?**

– საყვარელი არ გამიჩენია, ფული მჭირდებოდა და სპონსორი ვიპოვე. თუმცა, ესეც ძალიან უხეშად ნათქვამია. ალბათ, რთულია, ზუსტად გადმოვცე საქმის არსი, ის ყველაფერი, რასაც მე ვგრძნობდი და ვგრძნობ. ექვსი წელია, გათხოვილი ვარ და ერთი წუთიც არ ყოფილა ისეთი, ჩემი არჩევანი მენანოს. პირიქით, მუდმივად ვრწმუნდებოდი, რომ გვერდით ის ადამიანი მყავდა, რომელზეც ვოცნებობდი. ყველაფერში ვუგებთ ერთმანეთს. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ, სერიოზულად არასდროს გვიკამათია. ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა მეცოცხლა ჩემი ქმრის გარეშე, ერთი დღეც ვერ ვძლებდი მის უნახავად. რაც გავთხოვდი, მეგობრის დაბადების დღეზეც არ წავსულვარ მარტო. ღამით მშობლებთანაც კი არ დავრჩენილვარ.

**– თვითონაც ასე იყო?**

– დიახ. ცალმხრივი რომ ყოფილიყო, მალე გამივლიდა, როგორც ამას ჩემი მეგობრები მეუბნებოდნენ. ამიტომ, როცა ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი, რომ, შეიძლებოდა, ერთ დღესაც, ქმრის გარეშე დავრჩენილიყავი, მივხვდი, რომ ყველაფერზე ვიყავი წამსვლელი, ოღონდ კი ეს არ მომხდარიყო. ექიმმა მისი დიაგნოზი განაჩენივით მითხრა. ჩემი ქმრისთვის არ გამიმხელია – არ მინდოდა, სულით დაცემულიყო. ფული მჭირდებოდა, თანაც – სასწრაფოდ. რა უნდა მექნა? დავლოდებოდი, როდის გამომეცლებოდა ხელიდან ჩემი ჯანმრთელი, ახალგაზრდა, ენერგიით სავსე ქმარი? თუ, ყუთით ხელში ქუჩა-ქუჩა მევლო ფულის შესაგროვებლად? ვერც ერთს ვიზამდი და ვერც მეორეს. ამიტომ, მივიღე გადაწყვეტილება, რომ ფული ნებისმიერ ფასად უნდა მეშოვნა.

**– ქმარს რატომ დაუმალეთ სიმართლე? არ ჯობდა, ერთად გემოქმედათ? ან, იქნებ, სხვა გამოსავალი მოგეძებნათ?**

– დავუმალე იმიტომ, რომ დრო ცოტა მქონდა და წუთის დაკარგვა არ შემეძლო. კაცები სუსტები არიან. ისინი გამოსავალს ადვილად ვერ პოულობენ. თან, ჩემი ქმარიც არ არის ისეთი, ქვას რომ წვენს გამოადენს. მე გაცილებით ძლიერიც ვარ და ამაყიც. როგორც გენებოთ, ისე გამიგეთ, მაგრამ, მათხოვრობა, წუწუნი და ტირილი არ შემიძლია. ისიც ზუსტად ვიცოდი, რომ საკმაოდ დიდხანს გაიჭიმებოდა თანხის შეგროვების პროცესი.

**– საყვარლისგან თანხის მიღება უფრო სწრაფი და უპრობლემო საშუალება აღმოჩნდა?**

– საკითხს სწორად არ სვამთ: „საყვარლისგან თანხის მიღება“ ცოტა სხვა რამეა. მე არ მყავდა საყვარელი, რომ მივსულიყავი მასთან და ფული მეთხოვა; არც „პანელზე“ დადგომა მიფიქრია. არსებობდა ადამიანი, რომელთანაც მხოლოდ სამსახურებრივი ურთიერთობა მქონდა. ანუ, ვეკონტაქტებოდი მხოლოდ საქმიანი მიზნებით. არ ვიტყვი, სად ვმუშაობ – ზედმეტად ვერ გავიხსნები და ვერც ვხედავ ამის საჭიროებას. ადამიანი, რომელმაც დახმარების ხელი გამომიწოდა, არ არის ქართველი. ვამჩნევდი, რომ ჩემ მიმართ არ იყო გულგრილი – საკმაოდ კორექტულად და თავაზიანად იჩენდა ყურადღებას... გულახდილად გეტყვით, თავიდან იმის წარმოდგენამ, რომ უცხო მამაკაცს უნდა ჩავწოლოდი ლოგინში, შემაძრწუნა. მაგრამ, ჩემი ქმრის სიკვდილი ან ინვალიდის სავარძელში ჩაჯდომა უფრო დიდი ტრაგედია იქნებოდა ჩემთვის. ამიტომაც გავიღე ეს მსხვერპლი.

**თქვენს ქმარს თუ უღირდა თავისი ჯანმრთელობა ამ ფასად? თუ, მისი აზრით არ დაინტერესებულხართ?**

– არ დავინტერესდი, იმიტომ, რომ ლაპარაკი იყო არა მის ჯანმრთელობაზე, არამედ, სიცოცხლეზე – ეს არის მთავარი და გადამწყვეტი. არ მინდოდა დაქვრივება, ვერც მე ვიცოცხლებდი მის გარეშე. არ მინდოდა, შვილი მამის გარეშე გაზრდილიყო. სასწორზე ბევრი ისეთი რაღაც იდო, რომ ვეღარ

**არ მყავდა საყვარელი, რომ მასთან მივსულიყავი და ფული მეთხოვა. არც „პანელზე“ დადგომა მიფიქრია**

ვიყოყმანე. ყველაფერს გეფიცებით, არასდროს ფიქრადაც კი არ გამივლია ქმრის ღალატი. უკეთ რომ გამიგოთ, ერთ შედარებას მოვიყვან მაგალითისთვის: ხომ არსებობენ სუროგატი დედები, რომლებიც ცხრა თვე მუცლით ატარებენ ბავშვს და ამაში იღებენ ფულს, რომ თავიანთი საკუთარი შვილები გადაარჩინონ შიმშილს?! დაახლოებით ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი. თქვენ მეტყვით, რომ ეს ერთი და იგივე არ არის და მეც გეთანხმებით, თუმცა, იმასაც ბევრი იტყვის, რომ ის დედები ამორალობას სჩადიან, ყიდიან შვილს და ცოდვაში არიან ჩავარდნილნი. რამდენი ადამიანიც არის, იმდენი აზრი არსებობს, ხომ მართალია? იმ ქალებს რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, სხეული მხოლოდ ჭურჭელია და მთავარი სულის მდგომარეობააო (სხვათა შორის, რელიგიაც ამას გვასწავლის). მეც ამ მიმართულებით წავედი. სულშიც და გულშიც მხოლოდ ჩემი ქმარი მყავს და ყოვე-

# როგორ ეძებს 1975 წელს მესამე სამშობიარო სახლიდან გაშვილებულ ვაჟიშვილს 67 წლის ქალბატონი

***67 წლის ლია მშვენიერაძე (ფსევდონიმი) ეძებს 1975 წლის გაზაფხულზე დაბადებულ ვაჟიშვილს.***

**ისტორია**: ვეძებ ჩემს შვილს. ამჟამად ის 38 წლის უნდა იყოს. ჩემი ისტორია საკმაოდ მძიმეა. შვილის შესახებ თითქმის არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ ის ძალიან ჰგავს თავის ძმას, ანუ, ჩემს უფროს ვაჟიშვილს, რომელიც ამჟამად ცოცხალი აღარაა. 1975 წლის გაზაფხულზე ვიმშობიარე თარხნიშვილის ქუჩაზე მდებარე სამშობიარო სახლში. მეყოლა ვაჟი. იმ დღესვე მითხრეს, რომ ბავშვი გარდაიცვალა. მაშინ მე ეს ამბავი დავიჯერე. მაგრამ, გავიდა წლები და, სრულიად შემთხვევით, ქუჩაში დავინახე კაცი, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ჩემს უფროს ვაჟიშვილს.

**ჟურნალისტის შენიშვნა**: რუბრიკა „დაკარგულებში" დაბეჭდილია არაერთი ისტორია, როდესაც დედა ეძებს გაშვილებულ ან რაიმე სხვა მიზეზით დაკარგულ შვილს. ბუნებრივია, რომ ყველა ისტორია ინდივიდუალურია და თითოეული მშობელი ძალიან განიცდის შვილთან კავშირის არქონას. ჩემი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი კი ნამდვილად დაზარალებული დედაა, რომელიც ულმერთოდ მოატყუეს სამშობიარო სახლში. ქალბატონ ლიას (ფსევდონიმი) ძალიან უნდა თავისი შვილის პოვნა. ვთხოვ მკითხველს, ყურადღებით წაიკითხოს ისტორია და დააკვირდეს ფოტოსურათს (ფოტოზე გამოსახულია ლიას უფროსი ვაჟიშვილი, ანუ, დაკარგულის გარდაცვლილი ძმა). თუკი ვინმე ამ სურათს მიამსგავსებთ თავის ახლობელს ან ნაცნობს, აუცილებლად დაგვიკავშირდით. ერთობლივად დავეხმაროთ დედას შვილის პოვნაში.

**– გვიამბეთ თქვენი ისტორია, რა მოხდა 1975 წელს თქვენს ცხოვრებაში?**

– რთული ცხოვრება მქონდა (მეუღლე სულ ციხეებში ან ეგრეთ წოდებულ „ზაპოიში" იყო), მაგრამ, ბედს შეგუებული ვიყავი და მეუღლეს არ გავშორებივარ, რადგან შვილი მყავდა. როდესაც ჩემი უფროსი ბიჭი დაახლოებით 2 წლის იყო, ისევ ორსულად დავრჩი. მთელი ორსულობა ნერვიულობაში გავატარე და, როდესაც ორსულობის მეშვიდე თვეში ვიყავი, ნაადრევი მშობიარობა დამეწყო. თარხნიშვილის ქუჩაზე მდებარე სამშობიარო სახლში მიმიყვანეს და იქ გავაჩინე მეორე ვაჟი. ბიჭი ჯანმრთელი დაიბადა, მე მისი ტირილიც კი გავიგონე. შემდეგ კი მითხრეს, რომ ბავშვი მოკვდა. როგორც უკვე გითხარით, მძიმე მდგომარეობაში ვიყავი და ეჭვიც არ შემპარვია ამ ამბავში. მას შემდეგ გავიდა წლები და ჩემი უფროსი ვაჟიშვილი ძალიან ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა, მისგან ორი შვილიშვილი დამრჩა. ერთხელაც, 1998 წელს, სრულიად შემთხვევით, ქუჩაში დავინახე „ჟიგულიში" მჯდარი ახალგაზრდა კაცი, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ჩემს გარდაცვლილ ვაჟს. მას შემდეგ მოსვენება დავკარგე. ბევრი ვიფიქრე და მივედი იმ დასკვნამდე, რომ სამშობიარო სახლში მომატყუეს.



ძალიან მინდა შვილის პოვნა. იმედია, მან იცის, რომ ნაშვილებია – როგორც წესი, ამას დიდხანს ვერავინ მალავს. მე დიდი მადლობელი ვარ მისი აღმზრდელების და მათ არაფერში ვადანაშაულებ, უბრალოდ, ძალიან მინდა შვილის ნახვა, მინდა, იცოდეს, რომ მე ის არ მიმიტოვებია.

**– დაწვრილებით გვიამბეთ, სად და როგორ ნახეთ თქვენი შვილი 1998 წელს?**

– მე და ჩემი რძალი მიხაილოვის საავადმყოფოდან გამოვდიოდით. მაშინ ჩემი უფროსი შვილი დაახლოებით ორი წლის გარდაცვლილი იყო. ამ დროს ლენინგრადის ქუჩიდან „ჟიგულიმ" გამოიარა (თუ არ ვცდები, თეთრი ფერის „06" იყო), საჭესთან იჯდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ისე ჰგავდა ჩემს შვილს – გელას, რომ გზაში კინაღამ გული წამივიდა. ჩემმა რძალმა ძლივს დამიჭირა – რა გჭირს, რა დაგემართაო... ის ბიჭი ძალიან ჰგავდა ჩემს ბიჭს და ეჭვიც არ დამრჩენია, რომ ის იყო ჩემი მეორე შვილი. სავარაუდოდ, ის თბილისში უნდა ცხოვრობდეს. თუკი ვინმე გამომეხმაურება და რამე ინფორმაციას მომაწვდის მის შესახებ, ძალიან ბედნიერი ვიქნები. ძალიან მინდა, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვნახო ჩემი ბიჭი და გულში ჩავიკრა. იმედია, ის მე ყველაფერს მაპატიებს.

***თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

ლთვის ასე იქნება. ჩემი ტვინი ციებცხელებიანი ადამიანის ტვინივით მუშაობდა. ფიქრები მატერიალურია და ისინი ხშირად მექანიკურად გვკარნახობენ პირობებს, როგორ მოვიქცეთ. ჩემი უცხოელი პარტნიორი აქ ხელშეკრულებით, კონტრაქტით მუშაობს და სურვილი აქვს, რომ მუდმივი პარტნიორი ჰყავდეს. მითხრა, რომ მე მოვწონვარ და, მზად არის, ჩემთან „იმეგობროს" გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. პირდაპირ ვუთხარი, რომ მჭირდებოდა ფული ქმრის ოპერაციისთვის. 45 წლის არის, ძალიან გამგებიანი და თბილი ადამიანია. ყველაფერი რომ

## იმის წარმოდგენამ, რომ უცხო მამაკაცს უნდა ჩავწოლოდი ლოგინში, შემაძრწუნა

მოვუყევი, მითხრა, კიდევ უფრო მომწონხარ, მოხიბლული და გაოცებული ვარ შენი ასეთი ერთგულებითო. წარმოგიდგენიათ? იმან გაიგო ჩემი საქციელის ჭეშმარიტი არსი. აქაური ვერავინ გამიგებს. ისეთები გამლანძღავენ, სიამოვნებისთვის უყოყმანოდ რომ ულალატებენ ქმრებს და შეიძლება, ულალატიათ კიდეც. ხომ იცით, როგორც ხდება: მორალურად მტკიცე ადამიანები ჩუმად არიან, სხვებს კი ისინი განსჯიან, თავად უარესი რომ აქვთ გაკეთებული. ქმარი იმაზე მეტად მიყვარს, ვიდრე მიყვარდა. ბოლომდე მაქვს გაცნობიერებული ის, რომ, შეიძლებოდა, სამუდამოდ დამეკარგა. სწორედ ასეთ მომენტში გრძნობ საყვარელი ადამიანის ჭეშმარიტ ფასს. მე გადავარჩინე ის, ვისთვისაც ვცოცხლობ.

**– თუ თქვენი ქმარი მაინც გაიგებს ამას, რა მოხდება?**

– არ უნდა გაიგოს. ამით ყველაფერი გაფუჭდება და დაინგრევა. არ უნდა გაიგოს – ეს უსამართლობა და სისასტიკე იქნება.

**– იმ კაცს ისევ ხვდებით?**

– ასე უცებ ვერ გავწყვეტ მასთან ურთიერთობას, დავალებული ვარ მისგან. თუმცა, ხვდება, რომ მხოლოდ მოვალეობას ვიხდი და, ალბათ, მალე ყველაფერი დასრულდება. გავაფრთხილე, რომ არ უნდა შევუყვარდე. იცის, რომ ქმარი ჩემთვის ერთადერთი მამაკაცია.

**– მიუხედავად იმისა, რომ მასთანაც წევხართ?**

– დიახ, მიუხედავად ამისა. გრძნობა რომც ჰქონდეს, მაინც არ მეტყვის. ძალიან შეგნებული და თადაჭერილი ადამიანია. პატივს მცემს – სულ ეს არის. ქმარი ჩემი ცხოვრებაა, ჩემი სიხარული და სიცოცხლის არსია... ძალიან მაწუხებს ის, რომ მოვატყუე, მაგრამ, ვიცი, ეს ტყუილი მეპატიება – ამით სიცოცხლე გადავარჩინე... ამიტომ, ბევრ ქალზე პატიოსანი ვარ.

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ცოლთან პრობლემები მაქვს. ზოგადად, ეჭვიანი არ ვარ და მის პირად თავისუფლებას აქამდე არ ვზღუდავდი, მაგრამ ახლა იძულებული ვარ, გავაკონტროლო. აშკარად რაღაცას მიმალავს. პირადი საიდუმლო გაუჩნდა. მგონი, ვიღაც კონკრეტულ „მამრსაც" ეპრანჭება. მესიჯობს, ტელეფონზე ხმადაბლა და სხვა ოთახში საუბრობს. როცა ვეკითხები, მპასუხობს: მე ხომ არ ვკითხულობ, შენ ვისთან ჩურჩულებ. ხომ გაქვს თავისუფლება, მეც ასევე მჭირდება ეს ყველაფერიო. რა ვქნა, სკანდალი მოვუწყო? ნერვები მეშლება...**

**გამოხმაურება:** რაღაცას ბოლომდე არ ამბობთ. მაგალითად, როგორ იქცეოდით თავად. ხომ არ აკეთებდით იგივეს და ეს ცოლის საპასუხო რეაქცია ხომ არ არის? თუკი უცნაურად მოქცევა დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო, მიზეზი საკუთარ თავში ეძებეთ და იყავით გულახდილი. უბრალოდ, არაფერი ხდება და ეს თქვენც მშვენივრად იცით.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**საზოგადოებრივი მაუწყებლის ევროპული ბიუროსთვის ბრიუსელში მუშაობას ქეთი ქარდავა ჟურნალისტიკის სამოთხეში მოხვედრას უწოდებს. ქალაქში, სადაც ყველგან პოლიტიკის, შოკოლადისა და ყავის სურნელი ტრიალებს, ჟურნალისტიკა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთი ინტერვიუს მოპოვება, ერთი სიუჟეტის მომზადება და სტენდაფები. ბრიუსელში ჟურნალისტიკა ცხოვრების წესი, ურთიერთობები და კავშირებია, რომელიც ახლოს არის მეგობრობასთან. თუმცა, არასდროს იზრდება ფამილარობაში. აქვე გეტყვით, რომ ქეთი ქარდავა, ერთადერთი ჟურნალისტია „ნატოს“ საშვით, უფრო სწორად, ერთადერთი ქართველი და იმედია, ეს საშვი საქართველოსაც მალე ექნება.**

# რატომ შესთავაზა სამსახური მაგნიტსკის დამქირავებელმა მილიონერმა ქეთი ქარდავას და რა სთხოვა ჯეიმს აპატურაიმ ქართველ ქალებს

**ქეთი ქარდავა**: ყველაფერს თითქოს თავიდან ვიწყებ. ხუთი წელი ბრიუსელიდან ვმუშაობდი, ძალიან დაძაბულ რეჟიმში, თუმცა არა ყოველდღიურად და მაინც მიმაჩნია, რომ ის ეტაპი ჯერ არ დასრულებულა. ძალიან მინდა, ის ცოდნა და გამოცდილება, იმ კონტაქტებთან და კავშირებთან ერთად, აუცილებლად კიდევ გამოვიყენო. ვამაყობ, რომ ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი. ამ ბოლო ხუთმა წელიწადმა ყველაფერი შეცვალა ჩემში, როგორც გემოვნების, ისე ინტერესების და პროფესიონალიზმის თვალსაზრისით. აქ ჩამოსვლის შემდეგ, ყველას ეგონა, რომ გამიჭირდებოდა ამ რეჟიმში დაბრუნდება, ყოველდღიურ გადაღებებზე სიარული, მაგრამ პირიქით. იმდენად მიყვარს ეს საქმე, რომ პირიქით, ყოველდღე ძალიან დატვირთული მინდა, ვიყო.

**– და ცდილობ, მუშაობის ახალ სტანდარტს ჩაუყარო საფუძველი.**

– ვაქტიურობ „ფეისბუქზე“. იქ გავიარე სპეციალური კურსი, თუ როგორ უნდა გამოიყენო სოციალური მედია, უპირველესად, საკუთარი თავისა და შემდეგ იმ საქმის პიარისთვის, რომელსაც აკეთებ. ძალიან მაინტერესებს შემდეგ ინტერაქცია, რადგან არ მინდა, რვა საათზე, იმ რამდენიმე წუთში დამთავრდეს ჩემი სიუჟეტის ისტორია. პირადში, ისედაც უამრავი წერილი მომდის, მიდის მსჯელობა და ეს ძალიან ცოცხალი პროცესია.

**– მომიყევი, როგორი იყო პირველი ჩასვლა ბრიუსელში...**

– მივიღე შემოთავაზება, რომ ევროპის ბიუროში მემუშავა, თან ძალიან მალე გვიწევდა წასვლა. აბსოლუტურად ყველაფერი მე და ჩემმა ოპერატორმა თავად გავაკეთეთ, არც სახლი გვქონდა, არც აკრედიტაცია, არაფერი... თან ეს იყო სეზონის დასაწყისში, სექტემბერში. უამრავი გადაღება გვქონდა და თან, ყველა ყოფითი საკითხი მოსაგვარებელი. ურთულესი იყო, მაგრამ აეწყო და ყველაფერი კარგისკენ წავიდა. პირველი, რაც იქ უნდა გააკეთო, გაცნობაა. თუ არ გაგიცნეს, ჩათვალე, არც არსებობ. პირველივე ბრიფინგზე, უზარმაზარ დარბაზში, ავწიე ხელი, რომ კითხვა დამესვა. მახსოვს, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბრიფინგი იყო, რომელიც იმ პერიოდში ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყანა გახლდათ და ძალიან მინდოდა, საქართველოზე კითხვა დამესვა. მოკლედ, კითხვა კი არა, საერთოდ არავინ არაფრად ჩამაგდო, ზედ არავინ შემომხედა. თან, არც ერთი ქართველი ჟურნალისტი, მხოლოდ „ბიბისი“, „ევრონიუსი“... ბრიფინგის დასრულების შემდეგ, მივედი პრესმდივანთან და ვეკითხები: რას აპირებთ, რას ნიშნავს, რომ კითხვის დასმის საშუალებას არ მაძლევთ, საქართველოდან ვართ, ბიურო გავხსენით და კითხვა არ დამასმევინეთ-მეთქი. უცებ მეუბნება: აქ ასე არ არის, ჯერ ერთმანეთი უნდა გავიცნოთ, ერთხელ მაინც უნდა დავლიოთ ფინჯანი ყავა და ამის შემდეგ, ვისაუბრებთ კითხვებზეო. მეც მაშინვე ვუთხარი: როდის დავლიოთ ყავა-მეთქი ***(იცინის).***

**– ყველაფერი ყავაზე ხდება იქ?**

– აბსოლუტურად. ყავა რომ არ იყოს, ალბათ, ბრიუსელში არაფერი იქნებოდა. ყველაფერი აინტერესებდა ამ ადამიანს ჩემი და ჩემი ქვეყნის შესახებ. დეტალურად გამომკითხა ამბები და ასე დავამყარეთ ძალიან მეგობრული ურთიერთობა. სწორედ ამ მეგობრული ურთიერთობის გამო, აბსოლუტურად ყველა ბრიფინგზე, ხელის აწევაც კი აღარ მჭირდებოდა, პრესმდივანი პირდაპირ აცხადებდა: „მადამ ქალდავა ფრომ ჯორჯია“ და ვსვამდი კითხვას. როდესაც თვითონ გიძახებენ ეს უკვე სხვა, ბევრად მაღალი დონეა ***(იცინის).*** არის უამრავი წესი. მაგალითად, გენერალური მდივნის ჩაწერა. ძალიან ვამაყობ იმით, რომ ჯერ იქ ყოფნის პერიოდში, მინიმუმ წელიწადში ორჯერ ხომ ვწერდი, აქ რამდენჯერაც ჩამოვიდა ჩავწერე და სანამ წამოვიდოდა, მაშინაც ბოლოს ვამბობდით, რასმუსენი იტყვის, კონკრეტულად შენ მიგიღებ, ოღონდ თავი დამანებეო. როგორც ევროკავშირში, ისე „ნატოში“ ჯერ ამყარებ კონტაქტს პრესსამსახურთან და მერე გადიხარ საკმაოდ გრძელვადიან პროცედურას, რომ მიიღო საშვი. ერთადერთი ქართველი ჟურნალისტი ვარ, ვისაც „ნატოს“ საშვი აქვს.

**– Tet-a-tet ინტერვიუების მოპოვება როგორ ხდება?**

– ამაზე მოთხოვნას ვაკეთებდი ყოველი წლის



**მეგობრული ურთიერთობის გამო, ბრიფინგებზე ხელის აწევაც კი აღარ მჭირდებოდა, პრესმდივანი პირდაპირ აცხადებდა: „მადამ ქალდავა ფრომ ჯორჯია“ და ვსვამდი კითხვას**

დასაწყისში. წარმოიდგინე, შენ გარდა, იქ აკრედიტირებულია ექვსი ათასი ჟურნალისტი. თან, მათ უფრო ეხებათ მათთან ინტერვიუ, ვინაიდან წევრი ქვეყნების ჟურნალისტები არიან, ვიდრე მე. მაგრამ, როდესაც ინტერესები ემთხვევა, ვთქვათ, საქართველოში ჩამოდის ან საქართველოზე განცხადების გაკეთება უნდა, ამ შანსს, უპირველესად, აძლევს მას, ვინც იქ იმყოფება და „ნატოს“ აკრედიტაცია აქვს გავლილი. ეს

## ერთადერთი ქართველი ჟურნალისტი ვარ, ვისაც „ნატოს“ საშვი აქვს

არის საშვი მომავალში ***(იცინის).*** უამრავ ტრენინგსა და შეხვედრას ატარებენ, რომ შენც ძალიან კარგად ერკვეოდე იმაში, რასაც აკეთებ. მოკლედ, ინტერვიუს დროს აუცილებლად უგზავნი შეკითხვებს, უფრო სწორად თემებს, რომელთა გარშემოც, შემდეგ კითხვების ლავირების საშუალება გაქვს. არავითარ შემთხვევაში, გენერალურ მდივანს სიურპრიზად არ ხვდება თემები. მაგრამ, ამის გარდა, ხშირად შემეძლო მასთან გასაუბრება. თვითონაც, სხვათა შორის, ჩვენი არჩევნების შემდეგ, ჟურნალისტებთან პირველ შეხვედრაზე მოვიდა და მკითხა: რას ფიქრობ, რა მოხდა, უკეთესობისკენ შეიცვალა სიტუაცია თუ უარესობისკენ, როგორ ხედავ ახალ პირობებში ჟურნალისტის როლსო. ყველაფერი აინტერესებდა. თან, რომ იცი, შენ პასუხზე თუ არა, მის შეხედულებაზე უამრავი რამ არის დამოკიდებული, ნერვიულობ. როდესაც მასთან ბოლო ინტერვიუ ჩავწერე საქართველოში, მითხრა, რომ ჩვენ ერთმანეთს ისევ ბრიუსელში შევხვდებითო. ეგონა, რომ მხოლოდ იმ ინტერვიუსთვის ვიყავი ჩამოსული. ვუთხარი, ტელევიზიამ ბიუროს დახურვის გადაწყვეტილება მიიღო-მეთქი. ამაზე ძალიან უარყოფითი რეაქცია ჰქონდა. ეგრევე დაუძახა აპატურაის და ეკითხება: რა შეიძლება გავაკეთოთ, რომ საზოგადოებრივმა არხმა ბიურო და კონკრეტულად, ეს ადამიანი დატოვოსო. გამომიგზავნეს რეკომენდაცია მათი ხელმოწერით, რაც მართლა უდიდესი პატივია ჩემთვის. წერილში წერია, რომ ჩვენ ყველა დონეზე, პიროვნულად, პროფესიონალურად ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა ამ ადამიანთან. ამასთან ერთად, ამჟღავნებდა „ნატოს“ დიდ ცოდნას და მივიჩნევთ, რომ აუცილებელია ეს ადამიანი აქ, ბრიუსელში დარჩესო. ეს წერილი ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს ჩემთვის.

**– აპატურაისთან ფოტოს გამო ქალების რისხვა არ დაიმსახურე?**

– რაც შეეხება აპატურაის და ქალების ურთიერთობას. ერთ-ერთი ინტერვიუს წინ, გრიმს იკეთებდა და ამ დროს ოპერატორს ვუთხარი, ჩვენთვის ფოტოები გადაეღო – „ფეისბუქზე“ ინტერვიუ დავაანონსოთ-მეთქი. ერთ-ერთ ფოტოში გრიმს პერანგი რომ არ დაესვარა, სპეციალური საყელო უკეთია და ამ ფოტოზე ატყდა ყველაზე დიდი ამბავი. ბოლოს მითხრა, ეს ფოტოები „ფეისბუქზე“ უნდა დადოო? მე კი ვუთხარი: აუცილებლად და თან, არა მხოლოდ უნდა დავდო, უკვე დავდე-მეთქი. ახლა ხომ ძალიან დიდი ამბავი ატყდებაო. კი ძალიან ბევრ „გულებს“ დაწერენ-მეთქი და უცებ მეუბნება: აი, ვერაფრით ამიხსნია, რატომ ვარ საქართველოში პოპულარულიო.

**– ანუ, იცის, რომ ქალები მასზე გიჟდებიან?**

– იცის. ერთ-ერთ ჩამოსვლაზე სააკაშვილმა მითხრა, ჩემს ქვეყანაში ჩემზე მეტად პოპულარული ხარო და ამაზე მერე ბევრი ვიხუმრეთო. ჩემს ქვეყანაში, კანადაში ნამდვილად არ ვარ ასეთი პოპულარულიო. შენთან გადაღებული ფოტო განწირულია უამრავი ლაიქისთვის-მეთქი. რატომ, რატომ? – მეკითხებოდა, ნუთუ ასეთი ეგზოტიკური ვარ ქართველებისთვისო.

**– ცოლი ჰყავს?**

– მეც ვკითხე, ყველას აინტერესებს თქვენი ოჯახური მდგომარეობა-მეთქი და სამწუხაროდ, მინდა ვთქვა, რომ ცოლი ერთი კი არა, ბევრი მყავსო. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ამდენი გულშემატკივარი მყავსო, ამდენივე „ნატოს“ რომ ჰყავდეს, კარგი იქნებოდაო. მითხრა, სთხოვე შენს მეგობრებს, რომ კომენტარი ჩემთვის გასაგებ ენაზე დაწერონ, მხოლოდ გულებს ვხედავო. ერთ შაბათს, ქუჩაში, ბავშვებთან ერთად შემხვდა და გეხვეწები, ფოტო არ გადამიღო, ამ ამპლუაში იმათ არ მოეწონებათო ***(იცინის).*** ამ ურთიერთობას აშენება უნდა. ერთ დღეში არ ხდება ეს ყველაფერი და რაღაც გამოცდებს სულ გიტარებენ. მაგალითად, რასმუსენთან ინტერვიუ ჩაიწერა

**(გაგრძელება 46-ე გვერდზე)**

# თბილისის რომელი კარია მოხსენიებული, როგორც საბაჟო, საიდან წარმოიშვა დასახელება „ჩუღურეთი" და რით იყო განთქმული მეარღნე „ქამრიანი სონა" ძველ თბილისში

*თბილისის ისტორია არაერთ დავიწყებულ სახელწოდებას ინახავს. არსებობს უამრავი ძველთბილისური ქუჩის, ადგილის, მოედნის, ტერიტორიის დასახელება, რომლებიც, სავარაუდოდ, უკვე ხანდაზმულ თბილისელებსაც კი აღარ ემახსოვრებათ. იმავეს თქმა შეიძლება ძველი თბილისის მცხოვრებლების – ყარაჩოხელებისა და უბრალო მოქალაქეების შეახებ, რომელთა შორის გამორჩეულებს წარსულში მთელი თბილისი იცნობდა. ძველი სახელწოდებებისა და თბილისის მცხოვრებლების შესახებ ძველი ფოტოების დახმარებით „თბილისელების" ამ ნომრიდან შეიტყობთ.*



აბანოთუბანი, ისტორიული „აბანოს კარის" ადგილი მეცხრამეტე საუკუნეში

### აბანოს კარი

აღმოსავლეთიდან თბილისისკენ მიმავალი განჯის გზა დღევანდელი გრიშაშვილის ქუჩის ხაზს აჰყვებოდა და შემდეგ ორად იყოფოდა: ერთი ტოტი ლეღვთახევის პირას გაშენებულ ბაღებს უქცევდა მხარს და სამხრეთიდან მიადგებოდა განჯის კარს; გზის მეორე განშტოება კი დაღმა ჩაჰყვებოდა გრიშაშვილის ქუჩის ხაზს და აბანოების უბანში, წავკისის წყალზე გადებული ხიდის მეშვეობით, ქალაქის გალავნის აღმოსავლეთ კედელში გაჭრილ აბანოს კართან მთავრდებოდა. მისი სახელწოდებაც სწორედ იმით აიხსნება, რომ ის აბანოების უბნისკენ იყო მიმართული. აბანოს კარი დაახლოებით ახლანდელი გრიშაშვილის ქუჩის ღერძზე მდებარეობდა. აბანოს კარიდან მგზავრი დღევანდელი სამღებროს ქუჩის სწვრივად მიმავალი გზით, ციხის, იგივე თათრის მოედანზე ხვდებოდა. ჩვეულებრივ, ქალაქის კარი საბაჟო პუნქტის დანიშნულებასაც ასრულებდა. ასე, მაგალითად, მეფე როსტომის ბრძანებაში (მეჩვიდმეტე საუკუნის 40-იანი წლები) კონკრეტულად იყო მითითებული ბაჟის რაოდენობა, რომელიც მეციხოვნეებს უნდა აეღოთ ქალაქში შემსვლელ ვაჭართაგან, შემოსატანი საქონლის მიხედვით. ამიტომაა, რომ ალექსანდრე პიშჩევიჩის მიერ 1785 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე აბანოს კარი, №53-ით, მოხსენიებულია, როგორც საბაჟო.



მეტეხის ციხე და თათრის ბაზარი (მეცხრამეტე საუკუნე)

### ნაღარხანა

ეს სახელი მეფის დასისთვის განკუთვნილ შენობას ერქვა, რომელიც თბილისის ერთ-ერთი მთავარი მოედნის სამხრეთ მხარეს იდგა. პუპლია ორბელიანის ცნობით, ნაღარხანაზე „დაუკრამდნენ დილას, საღამოსა დაფდაფებსა და ქოსნაღარასა".

### ნოვოტროიცკის დასახლება

მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების თბილისის ტერიტორია ოთხ საპოლიციო უბნად იყოფოდა. ახლად შექმნილი „ნოვოტროიცკის დასახლება" მესამე უბანს ეკუთვნოდა და ავლაბრის ზემოთ მდებარეობდა, შავ სოფელსა (იგივე მირზააბადს) და ნავთლუღს შორის. 1896 წლის გეგმაზე დასახლება ავლაბარს არის მიკუთვნებული.



აბანოთუბანი, ხედი გრიშაშვილის ქუჩაზე მეცხრამეტე საუკუნეში

### სოლდებილი

დღევანდელი მეტეხის პლატოზე პირველი ციხესიმაგრის აგების თარიღის ზუსტი ცნობები არ მოიპოვება. არც იმის საბუთი არსებობს, თუ როდის გამოჩნდნენ აქ პირველი მოსახლენი. პლატონ იოსელიანს მიაჩნდა, რომ ციხესიმაგრე და პირველი ეკლესია ამ ადგილზე ვახტანგ გორგასლის ზეობის ხანაში ააგეს, მაგრამ, მას არ მოჰყავს რაიმე საბუთი. სახელწოდების წარმოშობას ხსნიან გადმოცემით, რომ მეექვსე საუკუნეში სპარსეთის მეფეს, ხოსრო პირველს, სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებით, აქ ჩამოუსახლებია სპარსული მოდგმის ტომი – სოლდები და აქედან მოდის სახელწოდება – „სოლდებილი". ზოგიერთის აზრით კი, „სოლდებილი" სასაფლაოს აღმნიშვნელი სიტყვიდან – „საგოდებლიდან" უნდა იყოს ნაწარმოები. ამ ადგილებში სასაფლაოს (საგოდებლის) არსებობაზე მოწმობს იოანე საბანისძე თავის თხზულებაში „მარტვილობაი ჰაბო ტფილელის": აბოს ცხედარი გაასვენეს „...გარეშე ქალაქსა და აღირეს ადგილსა, რომელსა საგოდებელი ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაი". არაბ ისტორიკოსებს ბუღათურქის შემოსევის (853 წელი) აღწერისას ნახსენები აქვთ ციხესიმაგრე „სოლდებლის მედინა". ატ-ტაბარი თბილისის ხუთ კართა შორის იხსენიებს „სოლდებლის კარს". ბუღათურქის დამსჯელმა ექსპედიციამ მიწასთან გაასწორა თბილისის ციხესიმაგრეები და მათ შორის სოლდებლის ციხე – „მედინა". „მოვიდა და მოადგა ტფილისს ქალაქსა, რამეთუ არა მორჩილობდა სააკ ამირა: მოკლა სააკ, შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოხრნა ყოველნი არენი მისნი," – წერია „ქართლის ცხოვრებაში". როგორც ჩანს, ამის შემდგომ ხელახლა აგებულ ციხესიმაგრეს ეწოდა ახალი სახელი – ისანი.

### ჩუღურეთი

დასახელება თურქული სიტყვიდან – „ჩუქორ", „ჩუღური" უნდა იყოს ნაწარმოები, რაც ხევს, ფერდობს ნიშნავს. ეს უბანი ნაჩვენები აქვს ვახუშტი ბაგრატიონს თბილისის გეგმაზე. აქ დასახლება მტკვრის მარცხენა ტოტამდე აღწევს და მას შუაზე კვეთს ეგრეთ წოდებული ავჭალის გზა. სოფელს ხევი სამი მხრიდან ერტყა, ხოლო მეოთხე მხრიდან მტკვარი ჩაუდიოდა. მეცხრამეტე საუკუნის 20-იან წლებში სოფელი თბილისს შეუერთდა. ჩუღურეთში იყო განლაგებული თბილისის მექოთნეთა საწარმოების დიდი ნაწილი.



თანამედროვე ხედი მეტეხის ციხესა და ავლაბარზე

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**„როდესაც თქვენს მცირერიცხოვნებას შევყურებ და ვხედავ, რომ ჩვენი სამწყსო ყოველი შეკრების შემდეგ სულ უფრო მცირდება, ერთდროულად ვწუხვარ და მიხარია. მიხარია თქვენ გამო, ვინც ახლა აქ ხართ; ვწუხვარ მათზედ, ვინც თქვენთან არ არის. ქების ღირსი ხართ, რადგან, მიუხედავად სიმცირისა, არ გახდით გულგრილნი; ისინი კი განკიცხვას იმსახურებენ იმის გამო, რომ თქვენებრ მოშურნენი არ არიან...”– ამბობს იოანე ოქროპირი. რატომ არის საჭირო ეკლესიაში სიარული, რა ხდება დღეს ადამიანების დაბრკოლების მიზეზი, ამის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი).**

# რას არ უნდა ელოდებოდეს ადამიანი ღმერთისგან და რის გამო არ უნდა დადიოდეს ქრისტიანი ეკლესიაში

**– მამაო, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ადამიანების დიდი ნაწილი აღარ დადის ეკლესიაში და ბევრი ამბობს კიდეც: რატომ უნდა წავიდე ეკლესიაში, ეს რა საჭიროაო. ალბათ, ამისთვის ბევრი მიზეზი არსებობს. თავად სასულიერო პირებიც აბრკოლებენ მათ და ეკლესიისკენ მიმავალ გზას უჭრიან.**

– დღეს ძალიან ბევრი მიზეზი არსებობს იმისთვის, რომ ადამიანმა არ იაროს ეკლესიაში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამის ხელშემწყობი ძალიან ბევრი პირობა არსებობს. რა თქმა უნდა, საინტერესოა, თუ რატომ გაუუცხოვდა ადამიანი ეკლესიას. როგორც აღვნიშნე, ამის ბევრი მიზეზი არსებობს, თუნდაც ის, რომ, ჩვენ, სასულიერო პირები, არ ვიქცევით შესაბამისად, ვაბრკოლებთ ქრისტიანებს, ხშირად მათ არასწორად ვასწავლით – ჩვენსას და არა სახარებისას. ამას გარდა, სხვა მიზეზებიც არსებობს: გაჭირვება, სოციალური პრობლემები, მაგრამ, დღევანდელი ადამიანის აზროვნება გადასულია სიბრტყისეულ მდგომარეობაში. მაგალითად, ის ფიქრობს: მე ვიარე ტაძარში, ან, მინდა, ვიარო, მაგრამ, სამსახური მაქვს და არ მცალია. დღეს სამსახურის შოვნა საკმაოდ რთულია და თუ იშოვიან, იმდენად დატვირთულები არიან, მართლა არ რჩებათ ტაძარში მისასვლელი დრო. ბუნებრივია, მოძღვრები ვერავის ვაიძულებთ, მოვიდნენ ეკლესიაში, იყვნენ ეკლესიის ერთობაში, რადგან, ამის გამო, შეიძლება, სამსახურიდან გაუშვან და ოჯახი მშიერი დაურჩეს. თუმცა, ეკლესიისადმი გაუცხოების მიზეზი მხოლოდ ეს არ არის, მთავარი პრობლემა მაინც ჩვენს აზროვნებაში, ეკლესიის, რელიგიური ცხოვრებისადმი მიდგომაშია. ღმერთი ადამიანის ცხოვრების ზნეობრივი, მორალური კანონია. ათ მცნებას, ეკლესიის ადათ-წესებს ან სჯულის კანონს რომ გადავხედოთ, არც ერთს არ აქვს ადამიანის ცხოვრებაში იძულების ფორმა. რა თქმა უნდა, ყველას სჭირდება საკუთარი თავის იძულება იმისთვის, რომ კარგი ადამიანი იყოს, მაგრამ, არც ერთი კანონი და არც ერთი მცნება, პირდაპირი გაგებით, არ გვავალდებულებს რამის კეთებას; ეს არც სასჯელია და არც იძულება, ეს მხოლოდ მოწოდებაა და უფლის სიყვარულის გამოხატულება ადამიანების მიმართ. უფალი გვეუბნება: ადამიანო, შენ თუ ამ მცნებებს შეასრულებ, მე კი არ მარგებ, საზღაურს მე კი არ გადამიხდი, საკუთარ თავს გაუკეთებ ყველაფერს! დღეს ეკლესიაში სიარულს ასე ვუდგებით: რადგან დავდივარ ეკლესიაში, აღსარებას ვამბობ, ვეზიარები, ესე იგი, უფლის წინაშე დამსახურებებს ვიღებ – ეს წმიდა წყლის კათოლიკური სწავლებაა. ეკლესიაში იმისთვის კი არ უნდა ვიარო, რომ ღმერთთან დამსახურებები ჩამეწეროს და მერე ღმერთმა თავზე ხელი გადამისვას – რა კარგად იქცეოდიო. დღეს ქრისტიანი ეკლესიაში მოდის იმიტომ, რომ ლოთი მეუღლე ჰყავს და, უნდა, რომ ის განიკურნოს. მაგრამ ამას ვერ აღწევს. ზოგი იმიტომ დადის, რომ სურს მატერიალური გაჭირვებისგან დაიხსნას თავი, ან, მძიმე სენი აქვს და განიკურნოს. მაგრამ, როდესაც ამას ვერ აღწევს, რადგან დღეს აღარ არის ის ეპოქა, როდესაც ხილულად ხდებოდა სასწაულები, მერე უკვე იწყება მისი გაუცხოება რელიგიურ ცხოვრებასთან, ეკლესიასთან. ადამიანის „მინდასა“ და „შემიძლიას“ შორის მუდმივად არსებობს კონფლიქტი: მინდა ეს, მაგრამ, რამდენად შემიძლია ამის გაკეთება, ამაზე აღარ ვფიქრობ.



**ეს ჩვენ ვართ, ადამიანები ხან კარგ ხასიათზე, ხან ცუდზე; ხან გვწყინს და ხან გვიხარია, ღმერთი კი სიყვარულია უცვალებელი. ღმერთი უცვალებელია თავის სიყვარულში, მას არ შეუძლია, ერთი უყვარდეს და მეორე ეჯავრებოდეს**

**– ამიტომაც, ადამიანის ხასიათიდან გამომდინარე, ლოგიკურია, როდესაც მას ამ ყველაფრის შემდეგ უფლისადმი გაუცხოება ეუფლება.**

– ბევრს უთქვამს ჩვენთვის: „მამაო, ეკლესიაში ვიარე, მაგრამ, ჩემი ქმარი არ გამოსწორდა“, ან, „ისევ ის პრობლემები მაქვს, არაფერი იცვლება ჩემს ცხოვრებაში და არ მჭირდება ისეთი ღმერთი, რომელიც არ მეხმარება.“ რა თქმა უნდა, ეს არასწორი მიდგომის ბრალია. ჩვენ ეკლესიურ ცხოვრებას იმისთვის კი არ ვიწყებთ, რომ ღმერთს ვასიამოვნოთ; ეს ჩვენთვის არის საჭირო და არა ღმერთისთვის. როგორ შეიძლება, ღმერთმა ვინმე დასაჯოს?! ღმერთის წყენინებაზე რომ მიდგეს საქმე, ანუ, ჩვენი ცოდვები მას რომ შეურაცხყოფას აყენებდეს, კაცობრიობა იმდენ რამეს აშავებს, ისე ვცოდავთ და ძალიან ხშირად ისე ცუდად ვიქცევით, რომ ღმერთზე შეურაცხყოფილი არსება არ იქნებოდა არც ამქვეყნად და არც იმქვეყნად. ჩვენ ჩვენი ცოდვებით ღმერთს კი არ შეურაცხვყოფთ, არამედ, საკუთარ თავს, საკუთარ ღირსებას და ჩვენს უკვდავ სულს ვექცევით უდიერად. ზოგიერთის მიდგომით, თუ კარგ საქციელს ჩავდივართ, ღმერთი გახარებულია, თუ ვცოდავთ, მაშინ ღმერთი გაბრაზებულია ჩვენზე ან დაღვრემილი ზის. როგორ შეიძლება, ეს სიმართლე იყოს?! ეს ჩვენ ვართ, ადამიანები, ხან კარგ ხასიათზე, ხან ცუდზე; ხან გვწყინს, ხან გვიხარია, ღმერთი კი სიყვარულია უცვალებელი. ღმერთი უცვალებელია თავის სიყვარულში, მას არ შეუძლია, ერთი უყვარდეს

**უფალი გვეუბნება: ადამიანო, შენ თუ ამ მცნებებს შეასრულებ, მე კი არ მარგებ, საზღაურს მე კი არ გადამიხდი, საკუთარ თავს გაუკეთებ ყველაფერს!**

და მეორე ეჯავრებოდეს. ბევრი იმასაც ამბობს: ღმერთმა მიმატოვა. თითქოს ის ზის ზეცაში, ღრუბლებს ამოფარებული გადმოგვყურებს და, ერთი სული აქვს, დაინახოს, რას გავაფუჭებთ ან გავაკეთებთ და მერე ადეკვატურად გვექცევაო. რა თქმა უნდა, ეს არასწორია. ღმერთი ჩვენთვის ზნეობრივი კანონია. თუ ადამიანი ღმერთს დაკარგავს საკუთარ თავში, ის ადამიანობასაც კარგავს, რადგან, ის ღმერთის ხატად არის შექმნილი თავისუფალი არჩევნის საშუალებით. ასე რომ, ეკლესიაში იმიტომ კი არ დავდივართ, ღმერთმა საჩუქრები მოგვცეს, საზღაური მოგვიზღას, არამედ, იმისთვის, რომ სულიერად განვიკურნოთ. ადამიანმა ჯერ საკუთარი თავი უნდა განკურნოს და მერე უნდა იზრუნოს სხვაზე.

**– გამიგონია, რომ დღეს სასულიერო პირები აბრკოლებენ ქრისტიანებსო. შეიძლება ითქვას, რომ შეგნებულად ხდება? ან, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

– ცოტა ხნის წინ ყველამ ვნახეთ, როგორ მისდევდა სასულიერო პირი ადამიანებს გინებით. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ მას ხმა ჰქონდა დადებული. შემიძლია, ასეთი კითხვა დავსვა: რატომ მე არ მივრცელებენ ასეთ ხმას?! ის, რომ სასულიერო პირი ცუდია, არ ნიშნავს იმას, რომ ეკლესიაა ამაში დამნაშავე, ის არის ცუდი. მე, როგორც სასულიერო პირი, ჩემს ღირსებაზე, ქცევაზე თვითონ ვაგებ პასუხს. თითქმის ყველა საუკუნეში იყვნენ ისეთი სასულიერო პირები, რომლებიც ხალხს აბრკოლებდნენ, ამიტომაც იწვევდნენ საეკლესიო კრებებს. დღეს კი დეგრადაცია ხდება სასულიერო პირების აზროვნებაში და, აქედან გამომდინარე, ერშიც. სასულიერო პირებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, განსაკუთრებით – დღეს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, ადამიანები არ დავაბრკოლოთ. არ ვამბობ, რომ ვინმე ანგელოზია, ყველა მეტ-ნაკლებად ცოდვილები ვართ, მაგრამ, უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს საზოგადო და ინდივიდუალური ცოდვები. როდესაც სასულიერო პირი ფარულად სცოდავს, მრუშობს, ეს მხოლოდ მათ იციან  და ღმერთმა, არავის არ აბრკოლებენ; მაგრამ, მეორე შემთხვევაში, სასულიერო პირი ამას ღიად აკეთებს და ეს ყველამ იცის. საეკლესიო კანონიკიდან გამომდინარე, ერთსა და იმავე ცოდვაზე ორივე სასულიერო პირს ერთნაირი პასუხი არ მოეთხოვება. ორივე ცოდვაა, მაგრამ, საზოგადო ცოდვას უფრო მეტი სიმძიმე გააჩნია, რადგან, ამით ბევრი ადამიანი დაბრკოლდა. მესმის იმ სასულიერო პირების, ქართველები მაინც კონსერვატორები ვართ და, შეიძლება, ასეთი რაღაცეები არ მოგვწონს, ვღიზიანდებით. მამაკაცი რომ ხარ, შეიძლება, რაღაცაზე გაბრაზდე და გინებაც წამოგცდეს, განრისხდე, მაგრამ, ეს საკუთარ თავში უნდა გააკეთო. რა თქმა უნდა, არც ეს არის სასიამოვნო, მაგრამ, ამით ხმამაღლა არავის აყენებ შეურაცხყოფას. როგორი მართალიც უნდა იყოს სასულიერო პირი, მან მაინც უნდა შეიკავოს თავი, უნდა მოთოკოს რისხვა, რადგან, მას დღეს ათი ათასი თვალი უყურებს და თავისი ქცევით სხვა არ უნდა დააბრკოლოს, თორემ, ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც მოგვდის გული, თუმცა, საჯაროდ მაინც არ უნდა გამოვიდეთ და ჩვენი ქცევით ქრისტიანები არ უნდა დავაბრკოლოთ, ეს არ უნდა გახდეს იმის მიზეზი, რომ ისინი ეკლესიაში აღარ მოვიდნენ. დღეს, მართლაც, ბევრი აღარ მოდის ტაძარში. ისინი ამბობენ: „მე ვნახე, სასულიერო პირი ასე იქცევა, ამას აკეთებს, არ იქცევა კარგად და, არ მინდა, მოვიდე ტაძარში, რადგან, მე შენც არ გენდობი.“ ეს, რა თქმა უნდა, არასწორი გადაწყვეტილებაა. მადლობა ღმერთს, კარგი მოძღვრებიც არსებობენ და შენ მაინც ნუ მოსწყდები ეკლესიას, უფლის სწავლებას. თუ სასულიერო პირები არ ვიქცევით კარგად, ადამიანის არჩევანი მაინც არ უნდა იყოს ეკლესიისგან განდგომა.

**ნათია უტიაშვილი**

### გარდაცვლილი გოგონა პროფესორს გამოეცხადა

მეოცე საუკუნის დასაწყისში მოსკოვში ცხოვრობდა ცნობილი ექიმი, ვლადიმირ ნიკოლოზის ძე როზანოვი.

ის ავადმყოფებს შინ იღებდა. მორიგი პაციენტი რომ გააცილა, მის კაბინეტში თორმეტიოდე წლის ბაფთიანი, ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი გოგონა შევიდა.

– ექიმო, – მიმართა მან პროფესორს, – დედაჩემი ძალიან ცუდადაა. ძალიან გთხოვთ, ახლავე წადით, – და თავისი მისამართი უთხრა.

პროფესორი გააოცა ბავშვის ჩაცმულობამ და მისმა დაჟინებამ. ალუთქვა მოვალო და გაისტუმრა.

ექიმი სამგზავროდ გამოეწყო და მისაღებში მსხდომ პაციენტებს სთხოვა, დალოდებოდნენ, რადგან, სასწრაფოდ უნდა ენახა იმ გოგონას დედა, ახლა რომ იყო მასთან.

– რომელი გოგონა? – გაოცდნენ ისინი, – თქვენს კაბინეტში არავინ შემოსულა და არც იქიდან გამოსულა ვინმე. ჩვენც გაგვიკვირდა, როცა გავიგონეთ, რომ ვილაცას ესაუბრებოდით.

გაოცებული როზანოვი სასწრაფოდ გაეშურა იმ მისამართზე, გოგონამ რომ მისცა.

კარი შეშფოთებულმა მასპინძლებმა გაუღეს.

– ექიმო, რა კარგია, რომ მოხვედით! ვინ შეგატყობინათ, ასე რომ გვჭირდებოდით?

პროფესორი სასწრაფოდ შეიყვანეს სასტუმრო ოთახი. იქ მას გონდაკარგული ქალი დახვდა, რომელსაც თითქმის აღარ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი. ოთახის შუაგულში კი მიცვალებული ესვენა – ვარდისფერკაბიანი და ბაფთიანი პატარა გოგონა, სწორედ ის, ვინც სულ ცოტა ხნის წინ ექიმმა საკუთარ კაბინეტში ნახა.

როგორც ჩანს, დედის მწუხარებამ და მისმა მძიმე მდგომარეობამ ისე აალელვა პატარა მიცვალებულის სული, რომ, ღვთის მადლით, საშუალება მიეცა, დედისთვის ექიმი გამოეძახებინა.

### ქართველი ეპისკოპოსი ორჯერ სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს

20-30-იან წლებში, სანამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქად აკურთხებდნენ ეფრემს (სიდამონიძე), იგი ეპისკოპოსის ხარისხში ასრულებდა მსახურებას. სწორედ ამ დროს დააპატიმრეს ის და ათი წლით ციმბირში გადაასახლეს. სწორედ მის მონაყოლს გადმოგვცემს თავის ქადაგებაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე: „... მან ციხეში 7 წელი გაატარა. უწმიდესისა და უნეტარესის, კალისტრატეს (ცინცაძე) თხოვნითა და მეოხებით, იგი მრავალ სხვა სასულიერო პირთან ერთად გაათავისუფლეს.

... სასწაულებრივი იყო მისი ცხოვრება ციმბირში. იქ ციხის ზედამხედველი, ვინმე ებრაელი ყოფილა, რომელსაც სრულიად უმიზეზოდ (აბანო ცუდად გაათბო) კარცერში მისი ჩასმა გადაუწყვეტია. კარცერს გისოსები ჰქონია, მაგრამ შუშა – არა. ეს ხდებოდა ზამთარში, რაც იმას ნიშნავდა, რომ დილით იქიდან გაყინულ ადამიანს გაიტანდნენ – ეს პირდაპირ სიკვდილის მისჯას ნიშნავდა. როცა მომავალი პატრიარქი კარცერში ჩასასმელად მიჰყავდათ, ციხის უფროსი დაინტერესებულა, თუ სად მიდიოდნენ. როდესაც შეიტყო, იგი თავისთან წაუყვანია. ასე გადაარჩინა ამ კაცმა სიკვდილს ეფრემ მეორე.

როცა სამშობლოში ბრუნდებოდა, შიმშილისაგან სულ დასიებული და იმდენად დაუძლურებული ყოფილა, რომ ექთანი გამოაყოლეს. მისულან კასპიის ზღვასთან, სადაც გემზე ასასვლელად დიდი რიგი იდგა. როდესაც მისი რიგი მოვიდა, უკვე ადგილი აღარ დარჩა. შემდეგ ის ყვებოდა, რომ ტირილი დაიწყო და იხვეწებოდა, როგორმე ადგილი გამოენახათ მისთვის, რადგან ამდენი წელი თავისი ქვეყანა არ ენახა, მაგრამ, უარი მიიღო. გავიდა ორი-სამი საათი და შეიტყვეს, რომ ეს გემი ხალხთან ერთად ჩაიძირა. ასე გადაურჩა იგი რამდენჯერმე სიკვდილს და ბოლოს ჩამოვიდა თბილისში...

*(უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის ქადაგებიდან ბარბარობის დღესასწაულზე, 2005 წლის 17 დეკემბერს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში)*

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რა სარგებლობა უნდა მომიტანოს ისეთმა ლოცვამ, რომელსაც მხოლოდ ბაგეებით წარმოვთქვამ და არც მისი მნიშვნელობა მესმის და გონებაც გაფანტული მაქვს.**

პასუხი: როგორც ოპტელი ბერი მაკარი ამბობდა: შენ არ გესმის, მაგრამ, სამაგიეროდ, ეშმაკებს ესმით და ძრწიან. დამშვიდდი და მთელ ძალისხმევით განაგრძე ლოცვა.

**კითხვა: შეიძლება თუ არა სხვებთან ერთად ლოცვის დროს სულის შინაგანი მოძრაობები გარეგნულადაც გამოვხატო?**

პასუხი: სხვებთან ერთად ლოცვის დროს საკმარისია, გულითა და გონებით გამოხატოთ უფლის წინაშე სულის შინაგანი მოძრაობა და არ მიიღოთ სევდიანი გამომეტყველება, რათა არ გამოიწვიოთ უხერხულობა ან დაცინვა. მაგრამ, როდესაც მარტონი ლოცულობთ, მაშინ შეგიძლიათ, ხმაც დაგისევდიანდეთ, ცრემლებიც წამოგივიდეთ და ხელებიც აღაპყროთ და ისე ილოცოთ.

**კითხვა: როგორც გავიგე, ჩემს წინაპარს ძალიან მძიმე ცოდვა ჩაუდენია – ეკლესიის დანგრევაში მიუღია მონაწილეობა. მითხარით, როგორ გავთავისუფლე ამ ცოდვისგან?**

პასუხი: წინაპრის ცოდვა შთამომავალზე არ გადმოდის, თუმცა თქვენ აუცილებლად უნდა შეუდგეთ ეკლესიურ ცხოვრებას – მოძღვრის წინაშე აღიარეთ თქვენი პირადი ცოდვები, მიიღეთ შენდობა და ილოცეთ თქვენი წინაპრის სულისთვის.



**კითხვა: ვარ ხანშიშესული მამაკაცი. დედა სომეხი მყავდა და მისი გავლენით ბავშვობაში მომნათლეს სომხური წესით. ჩემს ასაკში გვიანი ხომ არ არის მართლმადიდებლობაზე გადანათვლა?**

პასუხი: მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან ზიარება გვიანი არასდროს არის. ცნობილია, რომ ქრისტიანობის დიდი ბურჯი, ეკლესიის მიერ წმიდანად აღიარებული ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე დიდი სიკვდილის წინ მოინათლა.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### გლოვა ცოდვილზე

ღირს მამა ნიფონტს, შემდგომში კი კვიპროსის ეპისკოპოსს (მეოთხე საუკუნე) იმდენად ნათელმოსილი გონება ჰქონდა, რომ ადამიანების გულის საიდუმლოებებს ჭვრეტდა. იგი იმგვარადვე ცხადლივ ესაუბრებოდა ანგელოზებს, როგორც თავის მეგობრებს.

ერთხელ, როცა წმიდა ანასტასიას ეკლესიიდან (კონსტანტინოპოლში) მოდიოდა თავისი ქოხისკენ, ერთი სახლის კართან ყმაწვილის შესახედაობის მწარედ მოტირალი ანგელოზი იხილა. ნიფონტმა ჰკითხა ტირილის მიზეზი. მან უპასუხა: „მე დამაყენეს ადამიანის მფარველად, რომელსაც ახლა ამ სახლში მეძავთან სძინავს. მიჭირს უკანონობის ყურება, რასაც იგი სჩადის. როგორ არ ვიტირო, როდესაც ვხედავ, რა წყვდიადშია დანთქმული ხატი ღვთისა?"

„რატომ არ დასჯი, რომ აღარ შესცოდოს?" – გაუკვირდა ნეტარ მამას. დამწუხრებულმა ანგელოზმა ამოიოხრა და უთხრა: „არ შემიძლია მასთან მიახლოება. მას შემდეგ, რაც შეცოდება დაიწყო, იგი ეშმაკთა მონად იქცა და აღარ მაქვს მასზე უფლება. ღმერთმა ადამიანი თავისუფალი შექმნა, აჩვენა ვიწრო და ფართო გზა, ხოლო არჩევანი კი მას მიანდო".

### დისტანცია

ყველგან დისტანცია დაიცავი, სული კი ღმერთს მიუახლოვე. თუ ცეცხლში წყალს ჩაასხამ, არც ცეცხლი გექნება და არც წყალი.

თუ სხვისას მოისურვებ და შენსას შეიძულებ, ერთსაც დაკარგავ და მეორესაც.

თუ მიეახლები მოსამსახურეს, როგორც ცოლს, არც ცოლი გეყოლება და არც მოსამსახურე.

თუ ხშირად სვამ სხვისი ჯანმრთელობის სადღეგრძელოს, საკუთარს დაკარგავ.

თუ გამუდმებით ითვლი სხვის ფულს, სულ უფრო ნაკლები გექნება საკუთარი.

თუ გამუდმებით ითვლი სხვის ცოდვებს, საკუთარს განამრავლებ.

თუ მელიის მადევარი მას დაეწევი, მამალს დაიბრუნებ; დათვის მადევარი მას დაეწევი, ვერც მამალს დაიბრუნებ და თავსაც დაიღუპავ.

### ტანჯვის საზომი

მებაღე ტოტებს ჭრის, რათა ხე სწრაფად გაიზარდოს და უკეთესი ნაყოფი მოიტანოს. თუ იგი გადაამეტებს და ზედმეტს მოჭრის, ხე გახმება.

გწამდეს, რომ შენი ტანჯვა არასოდეს გადასცდება საზღვრებს. ღმერთი ნებისმიერ მებაღეზე მეტი მზრუნველობითა და გულმოწყალებით ზრუნავს თითოეულ ადამიანზე.

თუ მექოთნემ თიხის ცეცხლში გაჩერების ზომა იცის, რათა ის არ გასკდეს, ნუთუ ღმერთმა არ იცის ჩვენი ტანჯვის საზღვრები? გჯეროდეს, ღმერთს ადამიანზე მეტი განსჯის უნარი აქვს.

# ევროპის რომელი საკალათბურთო ნაკრებები არიან საქართველოს ნაკრების მეტოქეები „ევრობასკეტ 2013-ზე“ სლოვენიაში

*2013 წლის ევროპის ჩემპიონატს კალათბურთში სლოვენია მასპინძლობს და ტურნირი სტარტს 4 სექტემბერს აიღებს. „ევრობასკეტ 2013-ში“ 24 საუკეთესო ნაკრები მონაწილეობს და მათ შორისაა საქართველოს ნაკრებიც, რომლის მეტოქე გუნდების კალათბურთელების შესახებ ამ ნომრიდან შეიტყობთ.*

### პოლონეთი

**მარცინ გორტატი**: *სიმაღლე – 213 სანტიმეტრი; წონა – 109 კილოგრამი.*

პოლონურ ლოძში დაბადებული 29 წლის მარცინ გორტატი პოლონეთის ეროვნულ გუნდში NBA-ს ერთადერთი წარმომადგენელია. იგი „ფინიქს სანზში“ ცენტრის პოზიციაზე თამაშობს. გორტატი 2007 წლიდან ასპარეზობს NBA-ში, თავდაპირველად ის „ორლანდო მეჯიქის“ ღირსებას იცავდა, ხოლო 2010 წლიდან „ფინიქს სანზის“ შემადგენლობაშია. მარცინის მამა ასევე სპორტსმენი იყო – 1972 და 1976 წლების ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი მსუბუქწონოსანი მოკრივე იანუშ გორტატი.



**ტომას კელატი**: *სიმაღლე – 196 სანტიმეტრი; წონა – 95 კილოგრამი.*

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბადებული ნატურალიზებული პოლონელი ტომას კელატი წარმოშობით ერითრეიდან არის. ტომასი 2010 წლიდან იცავს პოლონეთის ნაკრების ღირსებას. მისი მეუღლე პოლონელია და სწორედ ეს ფაქტი დაეხმარა მას მოქალაქეობის მიღებაში. 30 წლის დამცველს მთელი პროფესიული კარიერა ევროპის წამყვან კლუბებში აქვს გატარებული. ამერიკული კოლეჯიდან იგი პირდაპირ ევროპაში წავიდა სათამაშოდ, ისე, რომ დრაფტზე გასვლა არ უცდია. თავისუფალ დროს კელატს ფილმების ყურება და პოკერის თამაში უყვარს.



### სლოვენია

**გორან დრაგიჩი**: *სიმაღლე – 193 სანტიმეტრი; წონა – 86 კილოგრამი.*

27 წლის გორან დრაგიჩი „ფინიქს სანზის“ გამთამაშებელი და სლოვენიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. გორანი სლოვენიაში დაიბადა და თავდაპირველად ფეხბურთელობას აპირებდა, თუმცა ტრავმამ შეუშალა ხელი. ბავშვობაში ის აღფრთოვანებული იყო მაიკლ ჯორდანის, ალენ აივერსონისა და სტივ ნეშის თამაშებით. გორანი ღამის 3 საათზე ილვიძებდა სპეციალურად, რომ NBA-ს მატჩებისთვის ეყურებინა ტელევიზორში. გორანს ჰყავს ძმა – ზორანი, ასევე კალათბურთელი, რომელიც ესპანური „მალაგასა“ და სლოვენიის ნაკრების ღირსებას იცავს.



**მირზა ბეგიჩი**: *სიმაღლე – 221 სანტიმეტრი; წონა – 120 კილოგრამი.*

ბოსნიური წარმოშობის სლოვენიელი მირზა ბეგიჩი ნაკრების ცენტრი და ერთ-ერთი ლიდერია. მირზა ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ ცენტრია, კარიერის განმავლობაში კი არაერთ ცნობილ ევროპულ კლუბში უთამაშია: „რეალ მადრიდში“, „ჟალგირისში“ და „უნიონ ოლიმპიაში“, რომლის ღირსებასაც დიდხანს იცავდა ქართველი ვლადიმერ ბოისა. მირზა ბეგიჩი „ევრობასკეტის“ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მოთამაშეა.



### ესპანეთი

**რიკი რუბიო**: *სიმაღლე – 193 სანტიმეტრი; წონა – 86 კილოგრამი.*

ევროპის 2011 წლის ჩემპიონის, ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, რიკი რუბიო, NBA-ს გუნდის „მინესოტა ტიმბერვულვზის“ გამთამაშებელია. 22 წლის რიკი 2009 წელს NBA-ს დრაფტზე მეხუთე ნომრად აირჩიეს. იგი ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ კალათბურთელად ითვლება. რიკი სანაკრებო დონეზე საკმაოდ ტიტულოვანია – 2009 და 2011 წლების ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლებთან ერთად, იგი 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანიც არის.

**ხოსე კალდერონი**: *სიმაღლე – 191 სანტიმეტრი; წონა – 96 კილოგრამი.*

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 2011 წლის ევროპის ჩემპიონი და 2008-2012 წლების ოლიმპიური თამაშების ვერცხლისმედალოსანი, ესპანელი ხოსე კალდერონი, ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო დამცველად ითვლება. კალდერონმა 2013 წელს გააფორმა კონტრაქტი NBA-ს კლუბ „დალას მავერიქსთან“ 28 მილიონ დოლარზე, სულ კი NBA-ში ზედიზედ მეცხრე სეზონს დაიწყებს, მანამდე იგი „ტორონტო რეპტორზისა“ და „დეტროიტ პისტონზის“ რიგებში ირიცხებოდა. კალდერონი 2008-2009 წლების NBA-ს სეზონის რეკორდის მფლობელია, მან ყველაზე მეტი საჯარიმო ტყორცნა შესარულა – 154-დან 151 შედეგიანი ტყორცნა.

### ხორვატია

**ანტე ტომიჩი**: *სიმაღლე – 218 სანტიმეტრი; წონა – 120 კილოგრამი.*

26 წლის ანტე ტომიჩი ხორვატიის ნაკრების ლიდერი და ევროლიგის 2012-2013 წლების სეზონის „დრიმ ტიმის“ წევრია. ტომიჩის სიმაღლე 218 სანტიმეტრია და 2008 წელს ის NBA-ს დრაფტზე „იუტა ჯაზმა“ აირჩია, თუმცა, ის დღემდე ევროპულ კლუბებში ასპარეზობს. ამჟამად ტომიჩს კონტრაქტი აკავშირებს ესპანურ „ბარსელონასთან“, მანამდე კი იგი „მოსისხლე“ კლუბის – „რეალ მადრიდის“ რიგებში ასპარეზობდა. ტომიჩი 2009 წლიდან თამაშობს ხორვატიის ნაკრებში და „ევრობასკეტი 2013“ მისთვის მეორე დიდი ტურნირია.

**დამირ მარკოტა**: *სიმაღლე – 209 სანტიმეტრი; წონა – 118 კილოგრამი.*

ხორვატიის ნაკრების მძიმე ფორვარდს, დამირ მარკოტას, სათამაშო სტილით სერბეთის ნაკრებისა და „ჩიკაგო ბულზის“ ერთ-ერთ ლიდერს, ვლადიმირ რადმანოვიჩს ადარებენ. მარკოტა სარაევოში დაიბადა, თუმცა, ომის პერიოდში შვედეთში გადავიდა საცხოვრებლად და იქ დაიწყო კალათბურთის თამაში. მარკოტას შვედეთის მოქალაქეობაც აქვს, თუმცა, თავის დროზე მან უარი განაცხადა შვედეთის ნაკრებში თამაშზე და 2005 წლიდან ხორვატიის ნაკრებშია. 2012 წლიდან მარკოტა თურქული „ბეშიქთაშის“ ღირსებას იცავს.

### ჩეხეთი

**იან ვესელი**: *სიმაღლე – 211 სანტიმეტრი; წონა – 109 კილოგრამი.*

ჩეხეთის ნაკრების ლიდერს, იან ვესელის, სათამაშო სტილით ევროპელ სუპერვარსკვლავებს – დირკ ნოვიცკისა და ანდრეი კირილენკოს ადარებენ. ვესელი სლემდანქების ოსტატად ითვლება, იგი „ვაშინგტონ ვიზარდსის“ მსუბუქი ფორვარდია და NBA-ში 2011 წლიდან თამაშობს. ვესელი წარმოშობით სპორტული ოჯახიდან არის: მამა ყოფილი კალათბურთელია, დედა – ფრენბურთელი, და კი ჩეხეთის ქალთა ნაკრების წევრია კალათბურთში.



**ირჟი უელში**: *სიმაღლე – 201 სანტიმეტრი; წონა – 95 კილოგრამი.*

„ნიმბურკის“ მოთამაშე ირჟი უელში ვეტერანი ჩეხი კალათბურთელია, რომელმაც თავისი კარიერის საუკეთესო პერიოდი NBA-ში საკალათბურთო ასოციაციაში გაატარა. 2002 წელს უელში დრაფტზე „ფილადელფია 76-მა„ აირჩია და იმავე სეზონზე „გოლდენ სტეიტ უორიორში“ გადაცვალა. შემდგომ წლებში უელშმა კიდევ რამდენიმე ამერიკული კლუბის მაისური მოირგო: „ბოსტონ სელტიქსი“, „კლივლენდ კავალიერსისა“ და „მილუოკი ბაქსის“. ჩეხეთის ნაკრებისთვის ევროპის 2013 წლის ჩემპიონატი მესამე იქნება, ხოლო უელშისთვის – მეორე.

**უშანგი რუხაძე**

## გუარდიოლა – „ადიდასის" ელჩი

მიუნხენის „ბაიერნის" ესპანელი მწვრთნელი პეპ გუარდიოლა სპორტული საქონლის მწარმოებელი გიგანტი კომპანიის – „ადიდასის" ელჩი გახდა: ფეხბურთის სპეციალისტი ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ სეზონში კომპანიის სახე იქნება. „მოხარული ვარ, რომ „ადიდასის" ელჩი გავხდი და მთელ მსოფლიოში წარვადგენ ამ კომპანიას, რომელიც მსოფლიო სპორტში ფლაგმანად ითვლება. „ადიდასს" დიდი ისტორია აქვს და აღფრთოვანებული ვარ კომპანიის მენეჯმენტის პროფესიონალიზმით", – განაცხადა გუარდიოლამ. შეგახსენებთ, რომ „ადიდასი" მიუნხენური გრანდის ტექნიკური სპონსორია და, ასევე, კლუბის აქციების მცირე ზომის პაკეტს ფლობს.



## ირინა შეიკის ახალი ფოტოსესია

ცეცხლოვანი რუსი მოდელი, კრიშტიანუ რონალდუს საცოლე ირინა შეიკი ამიერიდან არა მარტო მოდელია, არამედ დიზაინერიც. კომპანია „ბიჩ ბანიმ" საზოგადოებას ქალის საცურაო კოსტიუმების ახალი კოლექცია წარუდგინა, რომლის შექმნაშიც ირინა შეიკმა მიიღო მონაწილეობა. ირინა კომპანიის ახალი სახე გახდა და ამ „თანამდებობაზე" ამერიკელი მოდელი კეიტ აპტონი შეცვალა. გულახდილი საცურაო კოსტიუმები საზოგადოების შეძლებულ ფენაზეა ორიენტირებული. კომპანიამ უკვე დაიწყო აქტიური სარეკლამო კომპანია და ირინა შეიკმა ახალი ფოტოსესიისთვის საკუთარ სხეულზე მოისინჯა საცურაო კოსტიუმები.



## მარიამ გვარის გამოცვლა გადაიფიქრა

ქალთა კლასიფიკაციაში მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, მარია შარაპოვამ, გვარის გამოცვლა გადაიფიქრა – ამის შესახებ ინფორმაცია ჩოგბურთელის აგენტმა გაავრცელა. შეგახსენებთ, რომ შარაპოვა ამერიკის ღია პირველობის დაწყებამდე გვარის შეცვლას და კორტებზე „შუგარპოვას" გვარით გასვლას აპირებდა, თუმცა, გადაიფიქრა. „შუგარპოვა" შარაპოვას საკუთარი კომპანიის სახელწოდებაა, რომელიც ტკბილეულსა და კანფეტებს აწარმოებს და გვარის შეცვლა კომპანიის სარეკლამო აქციასთან იყო დაკავშირებული. აგენტის თქმით, გვარის შეცვლა მარტივი პროცედურა რომ ყოფილიყო, მარია ამას აუცილებლად გააკეთებდა.




## კლიჩკო „ესქუაერის" ყდაზე

ვლადიმირ კლიჩკო პირველი უკრაინელია, რომელმაც ცნობილი და გავლენიანი ჟურნალის – „ესქუაერის" ყდა დაამშვენა. მძიმეწონოსანი მოკრივე, მსოფლიო ჩემპიონი IBF, IBO, WBO და WBA ვერსიებით, ვლადიმირ კლიჩკო მორიგი სპარინგისთვის მზადების პერიოდში გადაიღეს ჟურნალისთვის და ინტერვიუ ჩამოართვეს, სადაც მან განაცხადა, რომ არ უყვარს, როდესაც მას მძიმეწონოსანს ან ზეადამიანს უწოდებენ. „მირჩევნია, ასეთი წოდებებით არ მომიხსენიონ. შესაძლოა, ვინმეს ეს სიამოვნებს, მაგრამ, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიყო ის, რაც ვარ, ვიდრე დიადი და ზეადამიანი".

## სპორტული ჟურნალისტის გულახდილი ფოტოები „ფლეიბოიში"

„ფლეიბოის" 2013 წლის „ფლეიმეითმა," 25 წლის რაკელ პომპლანმა, მორიგ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა და საყვარელი ჟურნალისთვის კვლავ გაიხადა. რაკელი ერთ-ერთ ამერიკულ ტელეარხზე სპორტულ ჟურნალისტად მუშაობს და „ბრძოლა წესების გარეშე" შეხვედრებს აშუქებს. რაკელი წარმოშობით მექსიკიდან, ტიხუანიდან არის. ის ცნობილი 2012 წელს გახდა, როდესაც საკუთარი ფოტოები გადაგზავნა „ფლეიბოის" რედაქციაში. პასუხმა არ დააყოვნა და მალე ის ჟურნალის „თვის გოგოდ" გამოაცხადეს, ხოლო 2013 წელს რაკელი პირველი ლათინოამერიკელი მოდელი გახდა, რომელიც „ფლეიბოიმ" წლის „ფლეიმეითად" დაასახელა.




## მაიკ ტაისონი თავს იკლავდა

კრივის ცოცხალმა ლეგენდამ, მაიკ ტაისონმა, აღაიარა, რომ იყო პერიოდი მის ცხოვრებაში, როდესაც იგი თვითმკვლელობაზე ფიქრობდა. ლეგენდარულმა მოკრივემ განაცხადა, რომ, 2009 წელს, მას შემდეგ, რაც უბედური შემთხვევის გამო მისი 4 წლის ქალიშვილი დაიღუპა, ის თავის მოკვლაზე ფიქრობდა – ყოველ ღამით დიდი დოზით იღებდა წამლებს და ოცნებობდა, რომ დილით არ გაეღვიძა, მაგრამ, არ გამოუვიდა. ტაისონი სამჯერ იყო დაქორწინებული და სხვადასხვა ცოლისგან მას რვა შვილი ჰყავს. ამჟამად ექსმოკრივე საკუთარი საპრომოუტერო კომპანიის საქმეებით არის დაკავებული და მომავალში არ გამორიცხავს, რომ ახალგაზრდა მოკრივეების მწვრთნელადაც დაიწყოს მუშაობა.

## ტომაშ ბერდიჰის გულახდილი საუბრები

ჩეხი ჩოგბურთელი ტომაშ ბერდიჰი მამაკაცების იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც ხანგრძლივი და მყარი სასიყვარულო ურთიერთობა იზიდავთ. 2011 წელს ლუსი საფაროვასთან ცხრაწლიანი რომანის დასრულების შემდეგ, ტომაშმა მოდელ ესტერ სატოროვასთან დაიწყო შეხვედრა და მას შემდეგ მათ ყველა საჩოგბურთო ტურნირზე ერთად ხედავენ. 2013 წლის აგვისტოში წყვილმა ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა ჟურნალ „ელისთვის" და ინტერვიუც ჩაწერა. ფოტოსესია საკმაოდ გულახდილი გამოვიდა. შეყვარებულებმა პროფესიონალი მოდელების დონეზე იპოზიორეს და ფოტოგრაფის მოწონება დაიმსახურეს.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## ყურძენი, მწვანე ჩაი და ზღვის პროდუქტები დაბერების პროცესს ანელებს

თავისუფალი რადიკალები უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ კანის, არამედ, ზოგადად ორგანიზმის უჯრედებზე. კვლევების შედეგად, სპეციალისტებმა მავნე რადიკალებთან ბრძოლის საკმაოდ ეფექტური ხერხები შეიმუშავეს, კერძოდ, მათ მიაგნეს ეგრეთ წოდებულ ანტიოქსიდანტებს, ანუ, განსაკუთრებულ ნივთიერებებს, რომლებიც თავისუფალ რადიკალებს ანადგურებენ და კანს დაბერებისგან იცავენ. ანტიოქსიდანტები კანის ღრმა შრეებში აღწევენ, იცავენ მათ გარემოს მავნე ზემოქმედებისგან, ჯანმრთელობას უნარჩუნებენ ორგანიზმს და აფერხებენ დაბერების პროცესს.

ყურძნის წიპწები, რომლის შემცველი კომპონენტი უხვად შეიცავს ძლიერ ანტიოქსიდანტებს – პოლიფენოლებს, ებრძვის დაბერების პროცესს. ეს ნივთიერება ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას, დაზიანებისგან იცავს კოლაგენურ და ელასტიკურ ბოჭკოებს, რომლებიც კანს ელასტიკურობასა და დრეკადობას ანიჭებს, ხელს უშლის კანის ქსოვილის რღვევას და აფერხებს მის ასაკობრივ ცვლილებებს.

ხილში შემავალი ბუნებრივი ალფა-ჰიდროქსიდული მჟავები კანისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა. მათი ზემოქმედებით კანის ზედაპირული შრის მკვდარი უჯრედები უფრო აქტიურად ჩამოიფცქვნება, რისი წყალობითაც კანი უკეთ ინარჩუნებს სინორჩესა და სიჯანსაღეს. ალფა-ჰიდროქსიდული მჟავები ააქტიურებს კოლაგენისა და ჰიალურონის მჟავის სინთეზს, მათი წყალობით კი ორგანიზმი ტენიანობას ინარჩუნებს.

C ვიტამინი ყველაზე ძლიერი ბუნებრივი ანტიოქსიდანტი და თავისუფალ რადიკალებთან ბრძოლის უნიკალური საშუალებაა. ასკორბინმჟავის გარეშე ორგანიზმი ვერ გამოიმუშავებს ცილა კოლაგენს.

კანის ტონუსის შესანარჩუნებლად აუცილებელი შემაერთებელი ქსოვილების მუშა მდგომარეობის უზრუნველყოფაც სწორედ ამ ნივთიერებაზეა დამოკიდებული. C ვიტამინი, ასევე, იცავს ორგანიზმს მზის ულტრაიისფერი სხივების ნეგატიური ზემოქმედებისგან.

მწვანე ჩაის ფოთლები, ყურძნის წიპწების მსგავსად, მდიდარია პოლიფენოლით, რომელიც კანის დაბერებას ანელებს და აქტიურად ებრძვის თავისუფალ რადიკალებს. ანტიოქსიდანტური თვისებებით მწვანე ჩაი C ვიტამინის სერიოზული კონკურენტია. მისი გავლენით ძლიერდება ორგანიზმის დამცავი მექანიზმები.

კანის დაბერებას ხიზილალაც აფერხებს. მისი ამინომჟავური შემადგენლობა მეტად უახლოვდება ადამიანის კანის უჯრედთა ქიმიურ შემადგენლობას. ხიზილალა ყველაზე უკეთ ააქტიურებს და აღადგენს უჯრედთა ფუნქციას. ის მდიდარია იოდითა და თუთიით, რომლებიც შემაერთებელი ქსოვილის სწრაფ ზრდას უზრუნველყოფს.

E ვიტამინი ადვილად აღწევს კანის ღრმა შრეებში, ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას, აჯანსაღებს უჯრედებსა და ქსოვილებს, იცავს კანს გარემოს მავნე ზემოქმედებისგან, აფერხებს ორგანიზმიდან წყლის დაკარგვას და ამით ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს.

ზღვის პროდუქტთა და წყალმცენარეთა ექსტრაქტები განსაკუთრებით სასარგებლო და ეფექტურია საკვები ნივთიერებებით კანის გაჯერების თვალსაზრისით. ამ ბიოექსტრაქტებს, რომლებიც ვიტამინების, მინერალებისა და ცილების უნივერსალური კომბინაციაა, უჯრედები ადვილად ითვისებს. მათი წყალობით კანი ინარჩუნებს ტენიანობას, ბუნებრივ დამცავ მექანიზმებს და ჯანსაღად გამოიყურება დიდი ხნის განმავლობაში.

## ყოველდღიურად სვით ბოსტნეულისა და ხილის გამწმენდი და ანტიმჟანგავი წვენები

გთავაზობთ რამდენიმე სახეობის ხილისა და ბოსტნეულის წვენების შეთავსება-შეხამებას, რომლებიც სამკურნალო ზემოქმედებით გამოირჩევა:

მკვებავი წვენები: ბანანი და მანგო; მარწყვი, ანანასი და ყურძენი; ნესვი, ბანანი, მარწყვი, ქოლო, მანგო და ანანასი; მოცვი და ჟოლო.

გამწმენდი წვენები: სტაფილო, ვაშლი და ჭარხალი; სტაფილო, ჭარხალი და კიტრი; კოჭა, ლიმონი და თაფლი; სტაფილო, ოხრახუში და ნიორი; სტაფილო, ვაშლი, კომბოსტო და ნიახური.

ანტიმჟანგავი წვენები: ფორთოხალი და გრეიპფრუტი; ფორთოხალი და სტაფილო; შავი ყურძენი, მსხალი და ვაშლი; ფორთოხალი, მარწყვი და პომიდორი; პომიდორი და ისპანახი; შავი ყურძენი, ვაშლი და ლიმონი; ვაშლი და წითელი მოცხარი.

ციტრუსის წვენს ყველანაირი წვენი არ შეესაბამება, რადგან, მასში არსებულმა მჟავამ, შეიძლება, სხვა წვენის „აჭრა“ გამოიწვიოს და ეს აუცილებლად გაითვალისწინეთ.

კაროტინით მდიდარ სტაფილოსა და პომიდვრის წვენებში შეურიეთ მცირეოდენი მცენარეული ზეთი, რადგან, კაროტინი მხოლოდ ცხიმთან ერთად შეითვისება.

წვენების მომზადების დროს ნუ გამორიცხავთ კოჭასა და ნიორს, რადგან, მათში ბევრია ფიტონციდი – ნივთიერება, რომელსაც ანტიბაქტერიული და ანტიკანცეროგენური მოქმედება აქვს.

ციტრუსების, ისპანახისა და პომიდვრის მჟავე წვენი აუცილებლად ჩაანაცვლეთ სტაფილოს, ნიახურისა და კომბოსტოს წვენებით, რათა მჟავატუტოვანი ბალანსი არ დაირღვეს.

თუ ზედმეტი წონა ან დიაბეტი გაწუხებთ, მოერიდეთ ბანანისა და მანგოს წვენებს, სხვა ტკბილი წვენები კი წყალში გააზავეთ.

ყველანაირი წვენის დალევა კარგია დილით, უზმოზე. თუ წვენს საკვებს მიაყოლებთ, მათში არსებული მკვებავი ნივთიერებების დიდი ნაწილი ორგანიზმის მიერ არ შეითვისება.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ წვენებს არ შეუძლია ხილისა და ბოსტნეულის შეცვლა, რადგან, საჭმლის ნორმალური მონელებისთვის ბოჭკოებია აუცილებელი. ამიტომ, წვენები სვით, როგორც კვების ჯანსაღი დანამატი.

## რეგულარული ვარჯიში და სწორი კვება კიბოთი დაავადების რისკს ამცირებს

ფიზიკურად აქტიური ადამიანები გაცილებით ნაკლებად ავადდებიან, ვიდრე ზარმაცები. ვარჯიში ააქტიურებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას და ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას. დღეში ნახევარი საათი ვარჯიშიც კი საკმარისია ამისთვის.

რეგულარული ვარჯიში და სწორი კვება ამცირებს კიბოთი დაავადების რისკსაც. დღის განმავლობაში საჭირო რაოდენობით ენერგიის მისაღებად აუცილებელია, მიირთვათ პური, ბრინჯი, მაკარონი, წიწიბურა, ბოსტნეული, ხილი, რძის ნაწარმი და, აგრეთვე, პროტეინების შემცველი პროდუქტები, მაგალითად, საქონლისა და ქათმის ხორცი, თხილი, თევზი.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ, რაც უნდა სრულფასოვნად და სწორად იკვებოთ, დანამატების სახით ვიტამინებისა და მინერალების მიღება მაინც აუცილებელია.

A, B, C, D, E, P ვიტამინები ადამიანის ორგანიზმს რკინითა და ფოსფორით უზრუნველყოფს, რაც ერთიორად ამაღლებს შრომისუნარიანობასა და სასიცოცხლო ტონუსს.

## რა იწვევს ყურის ხშირ ტკივილს

ყურის ტკივილი, რომელიც თანდათან ძლიერდება და გადაეცემა საფეთქლებს, კეფასა და ყბას, ოტიტის დამახასიათებელი და თანმდევი ნიშანია. ამ დროს, ასევე, შეიგრძნობა ტკივილი ღეჭვის, ყლაპვის, ცემინების დროს, ყური კი დაგუბებულია და იმატებს სხეულის ტემპერატურა. თუ ოტიტს დროულად არ უმკურნალეთ, ის შემდგომ საშიშ სტადიაში გადავა და დაჩირქება დაიწყებს. ანთებითი პროცესის ხარისხიდან გამომდინარე, შესაძლოა, ყურიდან ლორწოვანი ან ჩირქოვანი გამონადენი აღინიშნოს; თან, ჩირქი ყოველთვის გარეთ

კი არ გამოდის, არამედ, ყურში გუბდება. ამის გამო, შესაძლოა, მასტოიდიტიც განვითარდეს, რომელიც სერიოზულ სამედიცინო ჩარევას საჭიროებს.

ოტიტი სმენის დაქვეითებასაც იწვევს. ის, როგორც სხვა დანარჩენი ნებისმიერი ანთებითი დაავადება, დაახლოებით ერთ თვემდე გრძელდება. ასე რომ, თუ ყურის ტკივილი ერთ ან ორ დღეში შეგიჩერდათ, ეს სრულ გამოჯანმრთელებას არ ნიშნავს.

ზოგს მიაჩნია, რომ უბრალო გაციება და სურდო საშიში არ არის და მას სათანადო ყურადღებას არ აქცევს. არადა, ხშირად, სწორედ ცხვირ-ხახის დაავადებებია შუაყურში ინფექციების გავრცელებისა და ოტიტის განვითარების მაპროვოცირებელი.

ოტიტის წარმოშობის მიზეზი ხშირად გაციებაა. ის, ვისაც იმუნიტეტი დაქვეითებული აქვს და თან ავიტამინოზიც აწუხებს, ხშირად ავადმყოფობს. მისი ორგანიზმი ვერ ებრძვის სეზონურ დაავადებებსა და ინფექციებს და, ნებისმიერმა ვირუსმა, შესაძლოა, სერიოზული ზიანი მიაყენოს მის ჯანმრთელობას.

მწვავე და ჩირქოვანი ოტიტი სწრაფად ვითარდება ბავშვებში: ეწყებათ ყურის ტკივილი და ჩირქის გამოყოფა დაავადების პირველსავე დღეებში.

ასევე, ოტიტის გამომწვევი მიზეზი, შეიძლება, შემთხვევითი ტრავმა გახდეს. ამ დაავადების ნებისმიერი სიმპტომის გაჩენისთანავე უნდა მიმართოთ ექიმს, რათა თავიდან აიცილოთ შესაძლო გართულებები, მაგალითად, მენინგიტი, მასტოიდიტი და სმენის დაქვეითება.

ყურის ძლიერი ტკივილისა და ჩირქოვანი გამონადენის დროს ანტიბიოტიკებს ნიშნავენ. ასევე, აუცილებელია სისხლძარღვების შემავიწროებელი წვეთები ცხვირში ჩასაწვეთებლად, რათა ცხვირ-ხახის ლორწოვანის შეშუპება არ მოხდეს. სასურველია, ყურიდან ჩირქისა და ლორწოს გამოსადევნად გამოიყენოთ 0,9-პროცენტიანი ნატრიუმის ქლორიდში დასველებული ბამბადახვეული ჩხირები.

ყურის ტკივილის დროს ბევრი ანიჭებს უპირატესობას თბილ საფენებს. ამას სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ, რადგან, მათი გამოყენება მხოლოდ დაავადების პირველ საათებშია რეკომენდებული, ანუ, მანამ, სანამ ჩირქდენა განვითარდება. არ შეიძლება სპირტზე დამზადებული წვეთების ყურში ჩაწვეთება – ამან, შესაძლოა, ლორწოვანის დაწვა გამოიწვიოს.

ოტიტის პროფილაქტიკისთვის მთავარია, მოერიდოთ გაციებასა და ზედა სასუნთქი გზების ინფექციებს. ცხვირი და ყელი ყოველდღე გამოირეცხეთ ოთახის ტემპერატურის წყლით, ბანაობის შემდეგ კი ყურები კარგად გამოიმშრალეთ ბამბით.

### დამწვრობის ტკივილს გულყვითელას ნაყენი დაგიამებთ

გულყვითელას ყვავილს უნიკალური სამედიცინო და სამკურნალო თვისებები აქვს. კერძოდ, მას ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიოციდული, ჭრილობების შემახორცებელი, სპაზმოლიზური, სედატიური და ნაღველმდენი თვისებები. ეს მცენარე უძველესი დროიდან გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც გარეგანი ანტისეპტიკური საშუალება. ნაყენს გამოხატული ბაქტერიოლოგიური თვისებები აქვს. განსაკუთრებით მგრძნობიარეა მის მიმართ სტაფილოკოკი და სტრეპტოკოკი. ის სწრაფად აქრობს ანთებით პროცესს, აჩქარებს ქსოვილის გრანულაციასა და ეპითელიზაციას,ააქტიურებს ადგილობრივ დამცავ მექანიზმს. გულყვითელას ნაყენი და ახალგამოწურული წვენი ეფექტურია დღეში ორჯერ საფენებისა და აბაზანების სახით, ჭრილობების, ნაკაწრების, დამწვრობის, ფურუნკულების, პიოდერმიების დროს. გულყვითელა ასევე, ანალოგიურად მოქმედებს ლორწოვან გარსზეც. პირის ღრუში მისი გამოვლება დღეში სამჯერ ეფექტურია სტომატიტის, პარადონტოზისა და გაინგივიტის დროს. ის ამცირებს ანთებას, შეშუპებას, ტკივილს, ხელს უწყობს ქსოვილის რეგენერაციას, აღადგენს კაპილარების რეზისტენტობას და აჩერებს ღრძილებიდან სისხლდენას.



გვერდები მოამზადა
ნონა დათეშიძემ

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 25 წლის, ბოლო რამდენიმე კვირაა, მკვეთრი მოძრაობისას ან გადახრისას, მაქვს წელისა და კუდუსუნის არეში ტკივილი (დენის გავლის მსგავსი). რისი ბრალი შეიძლება იყოს? ბავშვობიდან მაქვს სქოლიოზი და შეიძლება, მხოლოდ ეს იყოს ამის მიზეზი?**

პასუხი: ძალიან დიდია ალბათობა, რომ მიზეზი მართლაც სქოლიოზი და მასთან დაკავშირებული ნერვებზე ზეწოლა იყოს.

**კითხვა: მალე ვთხოვდები და მაინტერესებს ზღვაში შესვლა თუა რეკომენდებული პირველ ღამის შემდეგ?**

პასუხი: აუცილებელია ჰიგიენის ზედმიწევნით დაცვა და პირველ ხანებში (1-2 კვირა) ზღვაში ბანაობაც არ არის მიზანშეწონილი. ასევე, გარკვეული სიფრთხილეა საჭირო იმ შემთხვევაში, თუ ორსულობა განვითარდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ახალგათხოვილისთვის ზღვას მთის კურორტი ჯობია.

**კითხვა: მაინტერესებს თუ შეიძლება, დედისგან შვილს გადაედოს ჭიები?**

პასუხი: დიახ, ეს შესაძლებელია, თუ ჰიგიენური წესებია დარღვეული.

**კითხვა: რა არის ჰიპერჰიდროზი?**

პასუხი: ჰიპერჰიდროზი გადაჭარბებული ოფლის წარმოქმნაა. ოფლის გამოყოფა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თერმოსარეგულაციო მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც სხეული მუდმივ ტემპერატურას ინარჩუნებს. განასხვავებენ ზოგად (გენერალიზებულ) ჰიპერჰიდროზს, როდესაც ოფლის გამოყოფა მომატებულია მთელ სხეულზე და შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში მეორეულია, ანუ, სხვა მიზეზით არის განპირობებული და, ლოკალურს, რომელიც პირველადია და სრულიად უმიზეზოდ უვითარდებათ პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანებს.

**კითხვა: თუ შეიძლება, რომ ორი თვის ბავშვს ფეხები მასაჟებით გაუსწორდეს? რა ასაკიდან არის მიღებული მასაჟების დაწყება?**

პასუხი: ამ ასაკში ბავშვის ქვედა კიდურების ფორმით ვერ იმსჯელებთ, როგორი ფეხები ექნება მას მომავალში, სანამ ცოტა არ წამოიზრდება. ბავშვის მდგომარეობა თავდაპირველად შეაფასებინეთ პედიატრს, ან, უმჯობესია, ორთოპედს და დამატებით რეკომენდაციებსაც მათგან მიიღებთ.

**კითხვა: რა განსხვავებაა გასტროსკოპიასა და ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპიას შორის?**

პასუხი: გასტროსკოპიის სრული სახელწოდებაა ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია. ესაა ენდოსკოპიური გამოკვლევის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომლის დროსაც შეიძლება საყლაპავის (ეზოფაგო), კუჭის ღრუსა (გასტრო) და თორმეტგოჯა ნაწლავის (დუოდენუმ) დათვალიერება სპეციალური ინსტრუმენტის – გასტროსკოპის საშუალებით.

**კითხვა: რამ შეიძლება გამოიწვიოს პანკრეასის გადიდება?**

პასუხი: პანკრეასის გადიდება შეიძლება აღინიშნებოდეს მწვავე ან ქრონიკული პანკრეატიტის, მუკოვისციდოზის, კუჭქვეშა ჯირკვლის განვითარების ანომალიის, სიმსივნისა და სხვა დაავადებების დროს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

# როგორ დაჭრეს ირაკლი კაკაბაძე 15 წლის ასაკში, როგორ მუშაობდა ის ამერიკაში მტვირთავად და როგორ „ყალთაბანდობდნენ" ის და გიორგი მარგველაშვილი

***ირაკლი კაკაბაძე** რეალობაშიც და სოციალურ ქსელებშიც საკმაოდ აქტიურია. ამბობს, რომ ახალი ხელისუფლების იმედი აქვს, თუმცა ბევრი რამ ისევ შესაცვლელია და რიგ საკითხებში კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტიკასაც აკრიტიკებს.*



**– ირაკლი, ცოტა ხნის წინ დაანონსდა, რომ საერთო-სახალხო აჯანყება მზადდება. არასწორად გავიგეთ რამე თუ რაშია საქმე?**

– არაფერი არ დაანონსებულა, არ მინდა მკითხველმა არასწორად გაიგოს რამე, უბრალოდ, ჩემი „ფეისბუქის" სტატუსების არასწორად წაკითხვა მოხდა. საქმე ისაა, რომ მე ვთქვი: თუ გაგრძელდა ეს პროცესი, ახალაიას მსგავსი ხალხი გაათავისუფლეს ციხიდან; სამართლიანობა არ აღდგა არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკურიც და გაგრძელდა ჩვენი ქვეყნის არსებობა როგორც ნეოლიბერალური, ავტორიტარული, ოლიგარქიული სახელმწიფოსი, მაშინ ხალხს სხვა გზა არ დარჩება, გარდა საერთო-სახალხო აჯანყებისა. სხვათა შორის ეს, კონსტიტუციით გარანტირებული მნიშვნელოვანი უფლებაა.



ირაკლი კაკაბაძე უმცროს შვილთან, ანდროსთან ერთად

**– ანუ თქვენ ხედავთ იმის ტენდენციას, რომ ავტოკრატიული მმართველობა გაგრძელდეს რეალურად?**

– რა თქმა უნდა, ვხედავ! თუნდაც იპოთეკარების საქმე რომ ავიღოთ. თავის დროზე უმრავლესობის წევრებმა და გედევან ფოფხაძემ კარგი კანონპროექტი მოამზადეს, მაგრამ სამწუხაროდ, მთავრობამ უკან დაიხია და დღესდღეობით გვაქვს ისეთი კანონი, რომლის საშუალებითაც, ბანკებისა და მევახშეების მიერ ადამიანების ძარცვა-გლეჯა გრძელდება. 75 000



ოჯახია უკვე გაუბედურებული ამით, ეს მინიმუმ 100 000 ადამიანი ხომ არის? ჩვენი სახელმწიფო დღესდღეობით იცავს მარტო ქონებას და არ იცავს ადამიანებს. ხალხს ძალინ დიდი იმედი ჰქონდა და აქვს ბიძინა ივანიშვილის, რომ ის სიტუაციას შეცვლის. მე იმედი კიდევ მაქვს, მაგრამ ძალიან გაბრაზებული ვარ, ისევე როგორც ბევრი ადამიანი. ქვეყანაში ეკონომიკური განვითარება შეფერხდა და ადამიანების უმრავლესობა ისევ მონობაშია. თავიდან იყო ძალიან კარგი სოციალური რეფორმები, ღარიბ ადამიანებზე გათვლილი, თუნდაც ის, რომ სახელმძღვანელოები უფასო გახდა.

**– ჰო, მაგრამ მაშინ ეგ ნაბიჯი გამომცემლებმა, პოლიტიკოსებმა და საზოგადოების ნაწილმა პოპულიზმად მონათლეს.**

– ადამიანის სიყვარული და ღარიბის დახმარება თუ პოპულიზმად მონათლე, მაშინ გადაგვარებული საზოგადოება ყოფილხარ! საზოგადოება კი არა, კაციჭამიების ორგანიზაცია ხარ მაშინ! ეს არის უკიდურესად მემარჯვენე ბიურგერული ფილოსოფია, რომელიც დამკვიდრებული იყო სააკაშვილის დროს და შევარდნაძის დროსაც, სხვათა შორის, რომელიც სუსტი ადამიანის მოკვლაზე, განადგურებაზეა ორიენტირებული! მაშინ პოპულისტი უწოდონ იესო ქრისტესაც და ყველა სხვა მოძღვრებასაც. სიყვარული რა არის სხვა, თუ არა, სხვისი დახმარება, მით უმეტეს სუსტის. შრომის კოდექსიც ძალიან ნორმალური იყო, მაგრამ მთავრობამ ამჯერადაც უკან დაიხია. მიზეზი კიდევ ის გახლდათ, რომ ძლიერი ზეწოლა იყო მთავრობაზე ბიზნესლობის მხრიდან! ბიზნესლობი ძალიან ძლიერია დღეს საქართველოში და მან ხალხის წარმომადგენლობას და ინტერესებს აჯობა. რეალურად დღეს პარლამენტში წარმოდგენილი უფრო კორპორატიული ლობია, ვიდრე ხალხის ინტერესები. მე არ მინდა, ჩემმა შვილებმა – გიგომ და ანდრომ, რომ გაიზრდებიან, ისეთ ქვეყანაში იცხოვრონ, სადაც განათლება და ჯანდაცვა არის პრივილეგია და არა საყოველთაო უფლება. ეს არის სრულიად მიუღებელი.

**– თქვენზე ამბობენ, თანამედროვე არსენა მარაბდელია: ის ხომ მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდაო...**

– მე არ ვიცი, ვინ რას მიწოდებს, მაგრამ არსენა მარაბდელი თავის დროზე კარგ საქმეს აკეთებდა, სიმდიდრის განაწილება უნდა მოხდეს. დიდი აფროკარიბელი ფილოსოფოსი ფრანც ფანონი, რომელმაც თავის დროზე ალჟირის გამათავისუფლებელ ბრძოლაში დიდი როლი ითამაშა, ამბობდა, დემოკრატია სოციალური სამართლიანობის გარეშე, არ არსებობსო. თუ თქვენ არ გაქვთ არსებობის მინიმალური სახსრები, ვერ მისცემთ არჩევნებში ხმას, უფრო სწორად, თქვენი ხმა იქნება ნაყიდი. სოციალური სამართლიანობის გარეშე, დემოკრატია არ არსებობს. დღეს საქართველოში ბანკების დიქტატურაა – საოცარ პროცენტებად აძლევენ ხალხს სესხებს! თვითონ უცხოეთიდან სესხულობენ მხოლოდ 2 პროცენტად და საქართველოში მოსახლეობას 36-40-პროცენტად აძლევენ სესხს. იცით, სააკაშვილის მმართველობის დროს ხალხის მონობაშიც ჩათრევა როგორ ხდებოდა? სააკაშვილი



რიგით პოლიციელებს აიძულებდა, შეეძინათ „ჯიპი" საკუთარი სახსრებით და იპოთეკით დაეტვირთათ საკუთარი ქონება. აქედან გამომდინარე, ისინი იძულებულები ხდებოდნენ, მინიმუმ რამდენიმე წლით დარჩენილიყვნენ ამ სამსახურში და ვერ გადასულიყვნენ სხვაგან. ეს ერთი და მეორე, რეალურად, რაც შეიძლება დაუნდობლად გასწორებოდნენ იმ დემონსტრანტებს, თუნდაც 26 მაისს ან 7 ნოემბერს..



ირაკლი კაკაბაძე უფროს შვილთან, გიგოსთან ერთად

**– და თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი ვერტიკალური იძულებით არბევდნენ მომიტინგეებს და არა იმიტომ, რომ მათი განწყობა იყო ხელმძღვანელობის ნება-სურვილთან თანმხვედრი?**

– რა თქმა უნდა! მართალია, უნდა დადგეს ბევრის პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ ბევრი მათგანი მართლა მონობის მსხვერპლი იყო.

**– ადრე მითხარით, რომ თავად გახდით მოწმე ნიუ-იორკში პრეზიდენტის ბიძის, თემურ ალასანიას კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისა.**

– *(ღიმება)* შემსწრე როგორ გითხრათ... ის, რომ თემურ ალასანია გაეროს განიარაღების კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი წევრი იყო, თუ არ ვცდები, სტაფის მდივანიც, მოკლედ, სერიოზული თანამდებობა ეკავა – საქმე ის არის, რომ ეს კომიტეტია სწორედ დღევანდელ მსოფლიოში იარაღით ვაჭრობის ერთ-ერთი მთავარი თაოსანი. იქ არის თავმოყრილი ყოფილი საბჭოთა, ჩეხური, ისრაელის წარმოების და სხვა, იარაღი. ამაზე ბევრი დაწერილა ამერიკულ პრესაში. აბა, ნახეთ, რომელიმე საძიებო სისტემა-

ში თემურ ალასანიაზე რაიმე ინფორმაცია თუ არის? – არაფერი არ მოიპოვება საერთოდ. ყველამ კარგად იცის, რომ ალასანია იყო სუკის წარმომადგენელი და საბჭოთა მზვერავი შტატებსა და კანადაში 70-80-იან წლებში. 80-იან წლებში საბჭოთა კვოტით დაინიშნა ამ კომიტეტში. მე არ მინდა, ამ კაცზე მარტო ცუდი



ბიუროს სხდომაზე

ვილაპარაკო. ის თავის საქმის ძალიან დიდი პროფესიონალია, თავისი რანგით ის სუკის იერარქიაში პუტინს არ ჩამოუვარდება, პირიქით, უფრო კარგი კარიერაც ჰქონდა, ვიდრე პუტინს. რა თქმა უნდა, ის ჩართულია იარაღით ვაჭრობაში. ერთი პერიოდი რესპუბლიკურმა პარტიამ მოითხოვა, აშშ-ს საერთოდ შეეწყვიტა დაფინანსება გაეროსთვის, რაც სადამ ჰუსეინთან დაკავშირებული სკანდალი გასკდა.

**– საბანკო ტერორზე საუბრობდით, მისგან თავის დაღწევა როგორ წარმოგიდგენიათ?**

– სოციალურ-ეკონომიკური უფლებების წინ წამოწევით. დღესდღეობით ჩვენ გვთავაზობენ თვითმფრინავიდან ჩამოვარდნის თავისუფლებას – ან შიმშილით უნდა მოკვდე, ან მონობაში გაყო თავი. საბანკო სექტორი და სახელმწიფო მშვენივრად თანაარსებობენ. მაგალითად, ნიკა გილაური და მისი ძმა – ერთი პრემიერი იყო, მეორე ბანკის ხელმძღვანელი და 2 მილიონი ლარი ჰქონდა ხელფასი.

**– მოდით, ცოტა გადავუხვიოთ მძიმე თემებს და აი, ამ საინტერესო ფოტოზე მინდა გკითხოთ, სადაც თქვენ, გიორგი მარგველაშვილი, გიო მგელაძე, ლევან ვასაძე ერთად ხართ გადაღებული.**

– ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვართ, ნაწილი პირველ სკოლაში ვსწავლობდით, ნაწილი – 53-ეში. პერესტროიკის პერიოდი რომ დაიწყო, სტუდენტები ვიყავით. მე და გიორგი მარგველაშვილი ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვსწავლობდით, ჩემი კურსელი იყო, გიო მგელაძე თეატრალურში და ლევან ვასაძე – თსუ-ს გეოლოგიის ფაკულტეტზე. ამ სურათზე 19 წლისები ვართ. ძალიან აქტიურად დავდიოდით მიტინგებში. სერიოზულ მონაწილეობას ვიღებდით დავით გარეჯის ირგვლივ ატეხილ ამბებში. ნუგზარ ფოფხაძე გამოვიდა და შვილებს იფიცებოდა, არ არის დავით გარეჯში პოლიგონიო. არადა, ჩავედით და ვნახეთ, რომ იმ წუთას ხდებოდა აფეთქებები. მეორე დღეს ბიუროს სხდომა იყო, ჯუმბერ პატიაშვილმა თვითონ გორბაჩოვს დაურეკა. მოიყვანეს როდიონოვი და საკმაოდ დატუქსეს. მაშინ დაიბოლმა ქართველებზე და მერე სამაგიეროც გადაგვიხადა მწარედ. სხვათა შორის, მე უნივერსიტეტიდან გამრიცხეს, ძალიან ბევრ მიტინგზე დავდიოდი და დავისაჯე მწარედ.

**– გიორგი მარგველაშვილთან დღემდე მეგობრობთ?**

– რა თქმა უნდა, ძალიან განათლებული ადამიანია, სამართლიანი. მახსოვს, სკოლის მოსწავლეები ვიყავით მე და გიორგი და კედლებზე სფრეი-საღებავით ვწერდით: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! თან, თავზე კოლგოტს ვიცვამდით, თვალებთან ვჭრიდით. გიორგი მარგველაშვილის სახლი იყო სუკის სასადილოს წინ ზუსტად. გამოვიდა მთვრალი თანამშრომელი, ხედავს, კედელზე საღებავით რაღაცას ვწერთ, 80-იანი წლები იყო. რას აკეთებთო, დაგვიყვირა. ტერორისტები ხართო? ჩვენ ვუპასუხეთ, ქალაქის გალამაზებაში ვეხმარებითო. ეტყობა ან ძალიან მთვრალი იყო, ან შევეცოდეთ და წადით, გამასწარით აქედანო – დაგვიყვირა.

**– ამერიკის თემაზე მინდა გკითხოთ, ალბათ, მაინც რთული იყო.**

– ამერიკაში, ჯერ კიდევ ადრე, 90-იან წლებში წავედი, საბჭოთა კავშირი იყო მაშინ. პოლიტიკური თავშესაფარი მივიღე. „ნიუ-იორკ თაიმსსა“ და „ჩიკაგო ტრიბუნში“ გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუები. ძალიან ბევრ ადგილას ვმუშაობდი, ფიზიკურად, სიმძიმეებს ვათრევდი, მაღაზიაში მეპატრონის დამხმარედ... კაცმა რომ თქვას, დიდი ხანია, მატერიალურ სიძნელეებს ვებრძვი, დალხენილი არასდროს ვყოფილვარ. უსახსრობასთან ძალიან ახლო მდგომარეობაში ბევრჯერ ვიყავი, მაგრამ ბევრი ფულის პატრონი ვერასოდეს ვიქნები, ეს ვიცი და არც მინდა. ბევრი ფული აფუჭებს ადამიანს.

ჩემი უფროსი იყო ამერიკაში ძალიან კარგი ადამიანი, ჯონ მაკდონალდი, რომელიც შესანიშნავი დიპლომატია და აქვს საქართველოსთვის ძალიან კარგი სამშვიდობო გეგმა.

**– თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაძლევდათ იმის საშუალებას, რომ მძიმე სამუშაოები შეგესრულებინათ?**

– სხვა რა გზა მქონდა? როცა ოჯახია სარჩენი... ვმუშაობდი გადამზიდავად, ვათრევდი სიმძიმეებს, დორმენად... 17 წლის ასაკიდან დიაბეტი მაქვს, 15 წლის ასაკში დამჭრეს. 2-ჯერ დამჭრეს და 4-ჯერ მაქვს ტვინის შერყევა მიღებული სხვადასხვა ძალადობრივი ქმედების შედეგად. 2005 წელს თავს დამესხნენ, გამძარცვეს და თავში რაღაც ჩამარტყეს, მაგრამ ეს საქმე რატომღაც დღემდე არაა გამოძიებული.



გიორგი მარგველაშვიდი, ლევან ვასაძე, ირაკლი კაკაბაძე, გიო მგელაძე

**– თქვენს შვილებზე გვითხარით ორი სიტყვით.**

– გიგო არის 10 წლის, ანდრო – 6-ის. ძალიან მინდა, სწორი სულიერი ორიენტირები ჩამოვუყალიბო. სამწუხაროდ, ინტერნეტის გაფართოების გამო, ბევრი ცდუნებაა და ეს სერიოზული პრობლემაა.

**მაკა კობალაძე**

# თბილისის რომელი კარია მოხსენიებული, როგორც საბაჟო, საიდან წარმოიშვა დასახელება „ჩუღურეთი“ და რით იყო განთქმული მეარღნე „ქამრიანი სონა“ ძველ თბილისში

**(23-ე გვერდიდან)**

## „ქამრიანი სონა“

ძველ თბილისში არა მხოლოდ კაცები იყვნენ ყარაჩოხელები, „ქამრიანი სონაც“ ყარაჩოხელი იყო. მისი გვარი არ არის ცნობილი. მასზე მცირე რამ ვიცით. იოსებ გრიშაშვილის მონაცემებით, „ქამრიან სონას“ თბილისში დიდი სახელი და ყველაზე კარგი არღანი ჰქონია. ვილაც შურიანს მისთვის არღანი მოუპარავს და მტკვარში



მადათოვის კუნძული, რიყე და ჩუღურეთი (მეცხრამეტე საუკუნე)

გადაუგდია. სასოწარკვეთილ სონას თბილისი დაუტოვებია და ფოთში გაუხსნია დუქანი. სამწუხაროდ, უცნობია, რა გვარი იყო ან რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდა „ქამრიანი სონა.“ სონას შესახებ არაერთი ქალაქური ლეგენდა არსებობს: სონა მოხდენილი ყოფილა, მაგრამ, მის მიხრა-მოხრას ცოტაოდენი კაცური თავდაჯერებულობა და ყარაჩოხლული ამპარტავნობა დაჰკრავდა. ბოხი ხმა ჰქონია, თუმცა, როგორც კი არღანზე დაკვრას დაიწყებდა, ხმა უნაზდებოდა. სონას ყარაჩოხელის ქამარი შიშის ზარს სცემდა კაცებს. ყარაჩოხელთა კოდექსის პარალელურად, სონას საკუთარი კოდექსი ჰქონია, რომელსაც ყველა ყარაჩოხელი პატივს სცემდა. ამბობენ, რომ სონას ახალგაზრდობაში ერთი ვაჟკაცი ყარაჩოხელი



ქამრიანი სონა

ჰყვარებია, რომელიც მძიმე სენის გამო უდროოდ გარდაცვლილა. სონას გარდაცვლილი სატრფოს ქამარი შემოურტყამს წელზე და გამოუცხადებია, ამიერიდან ჩემი ქალობა მოკვდა, ამ ქამრისა და შავი კაბის ქვეშ ვმარხავო. საყვარელი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ შეერთებია ყარაჩოხელთა ამქარს სონა.

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ნაწყვეტები წიგნიდან: თ. კვირკველია, „ძველთბილისური დასახელებანი” (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1985).**




**ჩვენ გარშემო ყველაფერს აქვს ენერგია და, ეს, რასაკვირველია, ფულსაც ეხება. მას უყვარს, როცა ლამაზ საფულეში ინახავენ, უფრთხილდებიან, მაგრამ, არ უყვარს, როცა უდიერად ექცევიან, ჭმუჭნიან, ჯიბეში იკუჭავენ. როგორც პარაფსიქოლოგი, ბატონი მურთაზი ამბობს, ვინც ასე უდიერად იქცევა, მას ფული არასდროს გაუჩერდება ჯიბეში. ხოლო, თუ როგორ მოვიზიდოთ ფულის ენერგია და როგორ ავიცილოთ ჩვენსკენ მომართული ჯადოს ენერგეტიკა, ამაზე თავად გესაუბრებათ.**

# როგორ ადამიანს არ სწყალობს ფულის ენერგია და რატომ არ უნდა გადააგდოთ ნაგავში სახლში აღმოჩენილი უცხო ნივთი

**მურთაზი**: ფული გრძნობს მისადმი ადამიანის დამოკიდებულებას. ამიტომ, როგორც ყველაფერი სამყაროში, ფულიც იმისკენ მიილტვის, ვისაც ის უყვარს, მისი ფასი იცის, ლამაზადაც კეცავს და ხშირადაც ითვლის. ფულს აქვს მენტალური სხეული და სწორედ ამის მეშვეობით გრძნობს, როგორი დამოკიდებულება გაქვთ მის მიმართ. თუ თქვენთვის ფული სიამოვნების, სიხარულის, თავისუფლების, ძალაუფლების, სიმშვიდისა და სტაბილურობის მომტანია და არა მხოლოდ, როგორც იტყვიან, „ხელის ჭუჭყი“, მაშინ ის თქვენდამი კეთილგანწყობილი იქნება.

**– გამიგია, რომ ხშირად ხდება ფულის ენერგიის დასუსტება და ამის გამო ადამიანი მუდამ ვალებშია. ამაზე რას გვეტყვით?**

– დიახ, ასეა. მაგალითად, თუ თქვენ ხშირად წუწუნებთ მის ნაკლებობაზე, ან, პირიქით, ტრაბახობთ რომ საფულეში ფული სულ გაქვთ, ამით მის ენერგიას ასუსტებთ. ფულს უყვარს, როცა მას თავისი ადგილი აქვს. შეარჩიეთ ლამაზი საფულე, ახალ მთვარეზე კი ამოიღეთ იქიდან ფული და დაანახვეთ მთვარეს – ამით მას უფრო მეტად ასიამოვნებთ და მოიზიდავთ. არ გირჩევთ, მისი განკარგვა სხვას მიანდოთ, რადგან, ფულმა გაბრაზებაც იცის. ნუ იტყვით კონკრეტულ თანხაზე – ეს შავი დღისთვის მაქვს გადანახულიო, არც სხვას დაათვლევინოთ ის. თუ თქვენს ფინანსებს სხვას ანდობთ და მას დაათვლევინებთ, ჩათვალეთ, რომ ფულის ენერგიის ნაწილს ის ითვისებს. არსებობს გარკვეული წესები ფულთან მიმართებაში, რომელიც ნებისმიერმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს და დაიცვას. მაგალითად, ფული არ ისესხოთ უცნობი ადამიანისგან, ჯობია, ის ახლობელს გამოართვათ. ამით მისი ენერგეტიკა ოჯახში იტრიალებს და მის დაბრუნებას მალევე შეძლებთ. გარდა ამისა, ის შენარჩუნდება თქვენს საგვარეულოში და მალე შეძლებთ მის გასტუმრებას, მაგრამ, თუ უცნობისგან ისესხებთ ფულს, ამით მისი საგვარეულოს ენერგეტიკა შემოგაქვთ სახლში. არ არის გამორიცხული, ამ ფულმა პრობლემები შეგიქმნათ როგორც თქვენ, ისე თავად გამსესხებელს. ასევე, არ არის გამორიცხული, ამ თანხის დაბრუნების დროს, მას გაჰყვეს თქვენი ოჯახის საგვარეულო ენერგია, რაც მომავალში უფულობას გამოიწვევს. ფულის სესხება უმჯობესია ახალი მთვარის შემდეგ, პირველ კვირაში, მისი დაბრუნება კი სავსე მთვარის შემდეგ ჯობია. ასევე, ფული ისესხეთ დღისით, მზის ჩასვლამდე, რომ მერე მისი დაბრუნება არ გაგიჭირდეთ.

**– ის, რომ საფულეში უცხო ქვეყნის ვალუტის შენახვა ფულის ენერგიას იზიდავს, თუა სიმართლე?**

– კარგია, თუ საფულეში თილისმად ატარებთ ერთდოლარიანს, ერთლარიანს, ერთთეთრიანს ან ნებისმიერი ქვეყნის ფულის ერთ კუპიურას. ზოგადად, ფულთან დაკავშირებით ოდითგანვე არსებობს ოქროს წესები, რომლებსაც ჩვენი წინაპრებიც იცავდნენ. ამ წესების დაცვა კი ერთგვარ პრიორიტეტს ანიჭებს ადამიანს.

**– ბევრისგან მსმენია, სახლში ისეთი ნივთი ვიპოვე, რომელიც ადრე არასდროს გვქონია. საიდან აღმოჩნდა ის ჩვენს ბინაში, აზრზე ვერ მოვდივართ და, არ ვიცით, რა მოვუხერხოთო.**

– დიახ, ეს გადაუჭრელი პრობლემაა ბევრ ოჯახში. ჩემთან ზოგს ბოქლომი მოაქვს, ზოგს ქინძისთავი, ზოგს ძაფი, ზოგს რა და ზოგს – რა... ვერ ხვდებიან, ვინ დადო ის მათ სახლში, ან, საერთოდ, რა ძალა გააჩნია ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ნივთებს. გეტყვით, რომ, ეს აღმოჩენილი ნივთები ძალიან საშიშია, რადგან, შესაძლოა, ისეთი ნეგატიური ძალით იყოს დამუხტული ანუ მოჯადოებული, რომ თქვენი ბედ-იღბალი თავდაყირა დააყენოს, სასოწარკვეთილებაში ჩაგაგდოთ და თავის მოკვლამდეც კი მიგიყვანოთ. რა არის ჯადო, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ და მაინც ვერ ხვდებიან ბოლომდე, რა შედეგები მოსდევს მას? მოკლედ და კონკრეტულად გეტყვით, რომ, ჯადო – ეს არის წინასწარ განზრახული ბოროტება კონკრეტული პიროვნების მიმართ. რომელიღაც საგანი გაჟღენთილია ცუდი ენერგიით და მიმართულია იმ ადამიანისკენ, ვისთვისაც ეს

**თუ თქვენს ფინანსებს სხვას ანდობთ და მას დაათვლევინებთ, ჩათვალეთ, რომ ფულის ენერგიის ნაწილს ის ითვისებს**

კეთდება. რაც მეტია ბოღმა და შური, მით უფრო ძლიერია ჯადო. რაც შეეხება მის განეიტრალებას, არსებობს უძველესი ხერხები, რომლებიც ამ ნეგატიურ ენერგიას ებრძვიან და ახერხებენ კიდეც მისი ზემოქმედების განეიტრალებას. მოკლედ, კარგი იქნება, თუ შეკერავთ ნაჭრის პატარა ლურჯ ტომსიკას, მასში ჩაყრით მარილს და ატარებთ თილისმად, რომ ნეგატიური ენერგია არ მოგეკაროთ და ზიანი არ მიაყენოს თქვენს ცხოვრებას. სახლში კი ჯადოს განეიტრალება ასე შეგიძლიათ: დაყარეთ პატარა თეფშზე მარილი, მასზე დააწვეთეთ ლურჯი სანთლის წვეთები, მოუკიდეთ ცეცხლი და, კვამლს რომ აუშვებს, ამ თეფშით შემოიარეთ ოთახი, საათის ისრის მიმართულებით. ეს რიტუალი უნდა ჩაატაროთ თვის ბოლო კვირაში, შაბათ დღეს, საღამოს საათებში. ეს კვამლი სახლს იცავს ნეგატიური ენერგიის ზემოქმედებისგან. ამ რიტუალის გაკეთების დროს სახლის კარ-ფანჯარა კარგად დაკეტეთ, შემდეგ კი, როცა კვამლი მარილს აღარ აუვა, კარ-ფანჯარა გამოხსენით. ამ კვამლს გაჰყვება ის ცუდი ენერგია, რომელიც სახლში იყო დაგროვილი და ხელს გიშლიდათ წარმატებული და მშვიდი ცხოვრების მოწყობაში. თუ სახლში ასეთ ნივთს აღმოაჩენთ და მას ნაგავში მოისვრით, ეს, რასაკვირველია, საშიშია. რა მნიშვნელობა აქვს მისაღებ ოთახში გამოჭიმავთ მას თვალშისაცემ ადგილას თუ ნაგვის ურნაში ჩააგდებთ?! მისი ენერგია მაინც სახლში ტრიალებს და მოქმედებას მაინც განაგრძობს. უმჯობესია, სახლში აღმოჩენილი საეჭვო ნივთი ღამით გზაჯვარედინზე გაიტანოთ და იქ დატოვოთ, ან, მდინარეში წყალში მოისროლოთ. უბრალოდ, ინფორმაცია უნდა გქონდეს ასეთ რამეებზე და გაერკვევი, რა გიქმნის ცხოვრებაში წინაღობებს, რისგან უნდა დაიცვა თავი და როგორ აირიდო პრობლემები თუ გაუგებრობები.

**– ძველი ხალხი ამბობს, რომ, სარკე ჯადოს გვარიდებს თავიდან, ბევრი უბედურებისგან გვიცავს და სიკეთის მოტანაც შეუძლია. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?**

– ეს მართალია. სარკე, თუ მისი სწორად მართვა იცით, გათვალვისა და ჯადოსგან დაგიცავთ. სხვათა შორის, ნეგატიური ინფორმაციისა და ბოროტი ადამიანების ზრახვების განეიტრალება ყველაზე უკეთ სარკეს შეუძლია. კარგად გაწმინდეთ სარკე წყალში გახსნილი ძმრით, დადექით მის წინ, დიდხანს უცქირეთ საკუთარ თავს, მოდუნდით და თან გონებაში იმეორეთ, რომ თქვენ ძლიერი პიროვნება ხართ; რომ თქვენზე ვერ იმოქმედებს სხვა ადამიანის ფარული ზრახვები, შური და ბოღმა. მერე თვალები დახუჭეთ და იფიქრეთ კარგზე. გაახილეთ თვალები, ისევ დააკვირდით საკუთარ თავს სარკეში და მიხვდებით, რომ უფრო გაძლიერდით, მეტად თავდაჯერებული და ძლიერი პიროვნება გახდით. ამ დროს სარკე თქვენგან იღებს უარყოფით ენერგიას და გმუხტავთ დადებითით. ეს რიტუალი საკუთარ ძალებში თვითრწმენას ჰბადებს, რაც ადამიანის წარმატებისთვის, დამეთანხმეთ, ნამდვილად აუცილებელია. სხვათა შორის, ამით აურასაც ისუფთავებთ. თუ ხვდებით, რომ ხშირად ითვალებით, ჩასვით ჩარჩოში თქვენი ფოტო, რომელიც მოგწონთ და კარგად გიჩანთ სახე, დადეთ ისე, რომ სარკეს უყურებდეს და ასე დატოვეთ რამდენიმე დღის განმავლობაში – ეს ავ თვალსა და მისგან გამოწვეულ ნეგატიურ მოქმედებას აგარიდებთ; ხოლო, თუ დეპრესიული ადამიანი ხართ, მაშინ ხშირად დადექით სარკესთან და იფიქრეთ წარსულში განცდილ სასიამოვნო დღეებზე, რომანტიკულ შეხვედრებზე და ასე შემდეგ. ეს დაგამშვიდებთ კიდეც და ოპტიმიზმისკენაც გიბიძგებთ. ოდითგანვე ცნობილია, რომ, თუ ადამიანს ხშირი კონტაქტი აქვს სარკესთან, ადვილად გაანეიტრალებს ჯადოს, გათვალვას და საგვარეულო წყევლასაც კი.

**ნონა დათეშიძე**

## არც გმირი და არც მეფე...

ის, უბრალოდ, მამაკაცია – არც გმირია, არც მეფე და არც ბატონი... ყოველთვის ჩვეულებრივი იქნება, თუკი თქვენ თავად არ მიანიჭებთ სტატუსსა და უფლებებს. ნებისმიერი ადამიანის ხასიათშია ისეთი თვისებები, რომელთა ზედაპირზე ამოტანა და გააქტიურება მასში მბრძანებელს აღვიძებს.

არსებობენ ქალები, რომლებსაც მოსწონთ და უნდათ ქმარი-მბრძანებელი, თუმცა, მხოლოდ მანამდე, სანამ ასეთი ქმრის ხუშტურებს საკუთარ თავზე გამოსცდიან. რატომ უნდა იყოს მამაკაცი მბრძანებელი? რა არის ეს – სტერეოტიპი თუ საბედისწერო შეცდომა?! ცუდი ის არის, რომ მამაკაცებიც სიხარულით იჯერებენ ამას და იფერებენ კიდეც. გაინტერესებთ, როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე ქალი, რომელმაც ქმარი უნებლიეთ დაარწმუნა, რომ ის ერთპიროვნული ლიდერია ოჯახში?! – ზუსტად ისეთში, როგორშიც არის უუფლებო ყმა. შეიძლება, ქმარმა ზოგჯერ ინანოს, რომ მეტისმეტად მკაცრი იყო, მაგრამ „ყმას" იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ხვალ მას თანაბარ უფლებებს მიანიჭებენ. არადა, ურთიერთობის დასაწყისში ყველაფერი სხვანაირად იყო. თავადვე იფიქრეთ – შეუძლია კი შეცვლა ადამიანს, რომელიც მბრძანებლობით საკუთარ „ეგოს" ანიჭებს სიამოვნებას?! ილუზიების აყოლას არასდროს მოაქვს სასურველი შედეგი. „ყმას" მალე აღარ მოუნდება დაემორჩილოს „მეფეს", მაგრამ „მეფე" პოზიციებს არ დათმობს.

ასე რომ, იფიქრეთ, სანამ ვინმეს, თუნდაც ძალიან საყვარელ ადამიანს, განუსაზღვრელ უფლებებსა და ისეთ სტატუსს მიანიჭებდეთ, რომელიც არ ეკუთვნის. ნუ გააღვიძებთ მასში ჯერ ეგოისტს და მერე – მოძალადეს. – ეს ძვირად დაგიჯდებათ.

## დარჩი ჩემთან!

სიყვარული ისევ არ გაძლევს საშუალებას, გაუშვა ის... არადა, წასვლა უნდა და ამას არც მალავს. შენ კი ეძებ მიზეზს, საშუალებას, როგორმე გააჩერო, თუმცა, შინაგანად ხვდები, რომ ამის გაკეთება ადვილი არ იქნება. უნდა დანებდე? ღირს კი ბრძოლა სიყვარულისთვის?!

ცრემლები, ხვეწნა – ეს ხომ თავის დამცირებაა, საკუთარ „მეზე" გადაბიჯება და ხშირად – პრინციპებზე უარის თქმაც. ნუთუ, სიყვარული მართლა აკარგვინებს ღირსებას ადამიანებს, მით უმეტეს – ქალს, რომლისთვისაც სიამაყე მთავარი უნდა იყოს?! სამწუხაროდ, სიყვარული ხშირად აჩლუნგებს დანარჩენ გრძნობებს, მით უფრო, თუ ძლიერია... მისი გავლენით ვიტყუებთ თავს, ვხუჭავთ თვალს და... შედეგად ვიღებთ გულისტკენასა და იმედგაცრუებას. მამაკაცს წასვლისთვის სტანდარტული მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ჰყავს სხვა და იმასთან უნდა; ფიქრობს, რომ ბედნიერი არ არის, რადგან, ეზღუდება თავისუფლება; ცოტა ხნით აუცილებლად მარტო უნდა იყოს; რაღაცით ძალიან შეურაცხყავით და ამის დავიწყება არ შეუძლია; რაღაც იძულებით გააკეთებინეთ – ამას ვერ გაპატიებთ; ან, უბრალოდ, აღარ უყვარხართ... რა უნდა ქნას ამ დროს ქალმა? – ერთადერთი სწორი საქციელია, მოიქცეს ღირსეულად. იმიტომ კი არა, რომ კაცი ამას დაინახავს, დააფასებს და აღარ წავა, არა, უპირველესად, ღირსების შენარჩუნება თავად ქალს სჭირდება. კაცი დაბრუნდება და აუცილებლად მოინდომებს თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს, თუკი ისეთ დროს გაუშვებთ, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ელოდება... ანუ, „დარჩი ჩემთან" კი არა, არამედ – „წადი!" – ზოგჯერ ამის თქმა გაცილებით მომგებიანია.

## მასაც დაუტოვე...

თუ ერთ დღეს აღმოაჩენთ, რომ მარტო ხართ გადაწყვეტილებების მიღებაში და ეს აღმოჩენა შეგაწუხებთ, ნურავის გაუბრაზდებით – დამნაშავე თავად ხართ. მამაკაცი ბუნებით ზარმაცია და თუკი გაზარმაცების საშუალებას მისცემთ, უარს არაფრის დიდებით არ იტყვის.

ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, ისე, რომ, შესაძლოა, თავადაც არ გინდოდეთ, გადაწყვეტილებების მიღებასთან ერთად, მბრძანებლობსაც დაიწყებთ. პრეტენზიული და მომთხოვნი ტონი ისე შემოგეპარებათ, ვერც კი მიხვდებით, ეს როგორ მოხდა. მამაკაცს კი, თუნდაც ძალიან სუსტს, საშინლად არ უყვარს, როცა მასზე მბრძანებლობენ. შეიძლება, არაფერი თქვას და რაღაც პერიოდის განმავლობაში „გაატაროს", მაგრამ, წყენას დაიგროვებს, ერთ დღეს კი „ვულკანიც" ამოიფრქვევა და განხეთქილება გარდაუვალია. გეშინოდეთ იმის, ვინც ჩუმად არის. ასეთებმა გაბრაზება ერთხელ იციან და ურთიერთობას მაშინვე ამთავრებენ. ნუ მიიყვანთ სიტუაციას კრიტიკულ ზღვრამდე. მასაც დაუტოვეთ გადაწყვეტილების მიღების უფლება, გადაუნაწილეთ პასუხისმგებლობა. ნუ გააკეთებთ ისე, რომ მისი არგუმენტი იყოს: „შენ მე არ გჭირდები, უჩემოდაც მშვენივრად იქნები!"

არ გადაიქცეთ „დედიკოდ". იზრუნეთ იმაზე, რომ იყოთ ნაზი და დაუცველი – ყოველ შემთხვევაში, მის თვალში მაინც...

## ყველაფრის მიუხედავად

მამაკაცების ბუნებაა, ნებისმიერ ფასად მიაღწიონ თავისას. თუმცა, როცა ასე ქალი იქცევა, ძალიან არ მოსწონთ. დაგიმტკიცებენ იმას, რომ ეს არის აკრძალული მეთოდებით ბრძოლა და რომ ამას ცუდი შედეგები მოაქვს. სინამდვილეში, მამაკაცები უფრო ხშირად და დაუფიქრებლად აბიჯებენ ყველას და ყველაფერს საკუთარი მიზნებისთვის, ვიდრე ქალები. ავანტიურაზეც მიდიან, ინტრიგებსაც ხლართავენ და სისულელეებსაც სჩადიან.

მამაკაცებს უყვართ თქმა: თოკით დაბმული ძაღლიც კი არ არის ბედნიერიო, მაგრამ, ეს ქალის პროვოკაციაზე წამოგების მცდელობაა. ყველაფრის მიუხედავად, მამაკაცები მაინც არ მიდიან და მაინც ვერ ძლებენ ქალების გარეშე. თავადაც იციან, სად არ არიან მართლები, მაგრამ, გამოტეხა უჭირთ. თვითკრიტიკა მათთვის ღირსების შემლახველია. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ურთიერთობის გადარჩენა არ უნდა სცადოთ. მოუსმინეთ პარტნიორს და აგრძნობინეთ, რომ მას მისცემთ არჩევნის თავისუფლებას ყველა საკითხში და გადაწყვეტილებებსაც მასთან ერთად მიიღებთ.

არავითარი პრინციპები – საშიშია, სისულელეა და, ამასთან, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩადენილი სისასტიკეც. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ხომ მაინც ერთმანეთისთვის ვართ შექმნილი!

## მშვიდი და ბედნიერი

ამჩნევთ, როგორ ჭიკჭიკებენ ჩიტები და როგორი მწვანე ბალახია გაზონებზე?! თუ არა, მაშინ ნერვული სისტემა წესრიგში არ გქონიათ. თუკი არ იცით, როგორ უნდა მიიღოთ სიამოვნება ცხოვრებისგან, მაშინ ბედნიერება თქვენგან ძალიან შორს არის; უფრო მეტიც – წვრილმანი პრობლემები პანიკაში გაგდებთ. მაგალითად, მუდმივად ნერვიულობთ, რომ ვერ მოასწრებთ, დაგაგვიანდებათ, დაგავიწყდებათ... ეს ყველაფერი თითქოს წვრილმანებია, თუმცა, ბოლოს სერიოზულ და სავალალო შედეგებამდე მიგიყვანთ. შესაძლოა, ახლა ყურადღებას არ აქცევთ, მაგრამ ეს ყოველდღიური „კარუსელი" აუცილებლად გაგანერვიულებთ. ამას ქრონიკული სტრესი ჰქვია და ლამის ყოველ მესამე ადამიანს აწუხებს. თუმცა, რადგანაც არ აქვს მკვეთრად გამოხატული კლინიკური სურათი, არავის ჰგონია, რომ ავად არის. სიმშვიდეს მოაქვს სტაბილურობა და ბედნიერება. რთულია, მაგრამ, უნდა დაინახოთ თქვენი შფოთვის რეალური მიზეზი – ის მხოლოდ თქვენშია. თუ გარშემო მყოფებზე გადაიტანთ აგრესიას, ამით ვერაფერს მიაღწევთ. შედეგი იმაზე უარესი იქნება, ვიდრე, შესაძლოა, ელოდოთ. გამოიძინეთ და დილით ცხოვრებას სხვა თვალით შეხედეთ: დაირწმუნეთ თავი, რომ ყველაფერი კარგად არის; დაინტერესდით მოდით, კულტურის სიახლეებით; ისეირნეთ მეტი და გაერთეთ მეგობრებთან ერთად. თუ ფიზიკურად ჯანმრთელი ხართ – ეს უკვე კარგია, დანარჩენს კი ყველაფერს ეშველება... და, რაც მთავარია, ხშირად გაიღიმეთ. გახსოვდეთ, მშვიდი ადამიანები უფრო ადვილად პოულობენ ბედნიერებას!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# ჰოლივუდის რომელმა ვარსკვლავებმა აღიარეს საჯაროდ თავიანთი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ 2013 წლის აგვისტოში

*ცნობილი მსახიობების მხრიდან აგვისტოში „ქამინ აუთი," ანუ, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ღიად დაფიქსირების ორი შემთხვევა მოხდა – საუბარია „გაქცევის" ვარსკვლავის – უენტვორტ მილერისა და „პარფიუმერში" მთავარი როლის შემსრულებლის, ბენ უიშოუს ორ აღიარებაზე, რამაც შოკის მომგვრელი ეფექტი იქონია მათ თაყვანისმცემელ მანდილოსნებზე. საყოველთაო ინტერესის გათვალისწინებით, გთავაზობთ მილერისა და უიშოუს შესახებ გავრცელებულ ფაქტებს.*

## უენტვორტ მილერი

* უენტვორტ ერლ მილერ მესამე დაიბადა 1972 წლის 2 ივნისს, ჩიპინგ-ნორტონში, ინგლისში. უენტვორტის მამა ვაჟის დაბადების მომენტში ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლობდა. მალე ოჯახი ნიუიორკში, ბრუკლინში გადავიდა საცხოვრებლად. უენტვორტს ორმაგი მოქალაქეობა აქვს – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების.



* უენტვორტის მამა წარმოშობით აფროამერიკელია, იამაიკური, სომალიური, ებრაულ-გერმანული, ჩეროკის ტომის ინდიელებისა და ბრიტანული ფესვებით; ხოლო დედას რუსული, ფრანგული, სირიული, ჰოლანდიური და ლიბანური წარმომავლობა აქვს. უენტვორტის მამა პროფესიით ადვოკატია, დედა კი – სკოლის მასწავლებელი.

* უენტვორტის სამსახიობო დებიუტი საბავშვო ბაღში შედგა: მამამ მას დინოზავრის კოსტიუმი შეუკერა, ხოლო დინოზავრის თავი ქაღალდისგან გააკეთა და უენტვორტმა ამ კოსტიუმით მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

* უენტვორტი ბრუკლინში, მიდვუდის სკოლაში სწავლობდა. შავკანიანი მამის გამო თანაკლასელები მას „ნიგერს" უწოდებდნენ და ხშირად უყვიროდნენ, რომ „პლანტაციაზე" წასულიყო სამუშაოდ. უენტვორტი ხშირად ხდებოდა რასისტული გამოხტომების მსხვერპლი. უფროს კლასებში მას „სუნიან ზანგს" ეძახდნენ, რის გამოც მას ხშირად ჰქონდა კონფლიქტი თანაკლასელებთან.

* უენტვორტ მილერს პრინსტონის ცნობილი უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული ინგლისური ენის სპეციალისტის დიპლომით. სადიპლომო თემაზე მუშაობის პერიოდში უენტვორტმა ორი ცნობილი რომანის – „ჯეინ ეარისა" და „ანტუანეტას" სტრუქტურები შეადარა ერთმანეთს.

* კოლეჯში სწავლისას უენტვორტი სიმღერით იყო დაკავებული და სასწავლებლის აკაპელაში მღეროდა, რომელთან ერთადაც ნახევარი მსოფლიო მოიარა გასტროლებით.

* პრინსტონის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მშობლებისთვის მოულოდნელად, უენტვორტი საცხოვრებლად ლოს-ანჯელესში გადავიდა და მსახიობობა გადაწყვიტა.

* კარიერის დასაწყიში უენტვორტ მილერი ოთხი წლის განმავლობაში უშედეგოდ დადოდა ქასთინგებზე. მას არ ჰქონდა ბინის დაქირავების საშუალება და თითქმის ყოველ ღამეს სხვადასხვა ადგილებში ათენებდა.

* თავდაპირველად უენტვორტ მილერი გამოჩნდა სერიალებში: „ბაფი – ვამპირების გამანადგურებელი", „სასწრაფო", „საუკეთესო" და „დინოტოპია". ამ უკანასკნელში უენტვორტი ცნობილმა რეჟისორმა რობერტ ბენტონმა შეამჩნია და მიიწვია თავის პროექტში „შელახული რეპუტაცია". უენტვორტ მილერის პარტნიორები ფილმში ენტონი ჰოპკინსი და ნიკოლ კიდმანი იყვნენ, უენტვორტმა კი, ფილმში პრაქტიკულად, საკუთარი თავი განასახიერა – თეთრკანიანი ადამიანი, რომლის მშობელი შავკანიანია.

* 2005-2009 წლებში უენტვორტ მილერი მთავარ როლს ასრულებდა სუპერპოპულარულ ტელესერიალში – „გაქცევა". მისი კინოგმირი, მაიკლ სკოფილდი, ტელესერიალების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დასამახსოვრებელ პერსონაჟად ითვლება. საგულისხმოა, რომ ამ როლზე უენტვორტ მილერი გადაღებების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე დაამტკიცეს.

* მაიკლ სკოფილდის როლისთვის უენტვორტ მილერს სხეულზე ყოველდღე უკეთებდნენ ტატუირებას საღებავებით – ციხიდან გაქცევის გეგმის ნახატის სახით გადატანას სხეულზე გრიმიორები ხუთ საათზე მეტ დროს ანდომებდნენ, ხოლო ნახატის მოშორებას 45 წუთი სჭირდებოდა.

* უენტვორტ მილერი ცნობილი „კოფემანია" – ის დღეში რამდენიმე ჭიქა ყავას სვამს და უპირატესობას „სტარბაქსის" ყავებს ანიჭებს.

* 2010 წელს უენტვორტ მილერმა, ტედ ფოლკის ფსევდონიმით, დაწერა სცენარი, სახელწოდებით – „ბიძია ჩარლი". მოგვიანებით ამ სცენარის მიხედვით სამხრეთკორეელმა რეჟისორმა პაკ ჩან უკმა გადაიღო თრილერი „სტოკერი", სადაც მთავარ როლებს ნიკოლ კიდმანი, მეთიუ გუდი და მია ვასიკოვსკა ასრულებენ.

* უენტვორტ მილერმა 2013 წლის აგვისტოში ღიად განაცხადა, რომ ის გეია და უარი განაცხადა რუსეთში, სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო კინოფესტივალზე ჩასვლაზე * ამით მან პროტესტი გამოხატა რუსეთში მიღებული ჰომოფობიური კანონების წინააღმდეგ.

## ბენ უიშოუ

* ბენ უიშოუ დაიბადა 1980 წლის 14 ოქტომბერს, ინგლისში, ბერდფორდშირში. მისი მშობლები არიან კოსმეტოლოგი ლინდა ჰოუპი და ინფორმაციული ტექნოლოგიების მკვლევარი ჯოზეფ უიშოუ. ბენს ჰყავს ტყუპისცალი ძმა – ჯეიმსი.

* პროფესიული განათლება ბენს დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიაში აქვს მიღებული, რომელიც 2003 წელს დაამთავრა. სწავლის პარალელურად ის „ტინ სპირიტის" დასის წევრი იყო და მთავარ როლებს ასრულებდა ისეთ სპექტაკლებში, როგორებიცაა „ჰამლეტი" და „თოლია".



* ბენ უიშოუს ვარსკვლავურ როლად ითვლება მთავარი როლი ტომ ტიკვერის გახმაურებულ ფილმში „პარფიუმერი: ერთი მკვლელობის ისტორია", სადაც მან ჟან-ბატისტ გრენუას როლი შეასრულა.

* „პარფიუმერის" ქასთინგზე უიშოუს კანდიდატურა ლეონარდო დიკაპრიოსა და ორლანდო ბლუმს ამჯობინეს – პირადად რეჟისორის მოთხოვნა იყო, რომ გრენუას როლი უიშოუს ეთამაშა.

* ბენს პროფესიონალური ხმა აქვს. რომ არა მსახიობობა, ის საოპერო მომღერალი გახდებოდა.

* ბენი კატების მოყვარულია. სხვადასხვა დროს, ლონდონში, მის სახლში 8-13 კატა ცხოვრობდა.

* ბენ უიშოუს ჰობია მოგზაურობა, მუსიკა და ცეკვა.

* აღსანიშნავია ბენ უიშოუს დასამახსოვრებელი როლები ისეთ ფილმებში, როგორებიცაა: „ვენეციელი ვაჭარი", „მე იქ არ ვარ", სადაც მან ბობ დილანი განასახიერა, „007: კოორდინატი „სკაიფოლი" ჯეიმს ბონდის ასისტენტის – ქიუს როლი და „ღრუბლიანი ატლასი".

* ბენ უიშოუ რეჟისორ ტომ ტიკვერის ფავორიტი მსახიობია.

* 2013 წლის 12 აგვისტოს მსახიობის წარმომადგენელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ბენ უიშოუ გეია და 2012 წლიდან ოფიციალურ ქორწინებაში ცხოვრობს მაიკლ ბრედშოუსთან, რომელიც 2009 წელს გაიცნო. უიშოუს „ქამინ აუთმა" თეატრალური და კინოსამყარო შოკში ჩააგდო.

**უშანგი რუხაძე**



ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო..............................

მარიკა 599 24 28 31

# როგორ გამოჰყავდა სტალინს „პახმელიიდან“ ნიკიტა ხრუშჩოვი



1942 წლის თებერვლის მიწურულისთვის, მოსკოვთან შექმნილი საფრთხე თითქმის სრულად იქნა ლიკვიდირებული, დარჩენილი იყო ფაშისტთა უმნიშვნელო ძალები, რომელთა განადგურებას წარმატებით ახორციელებდა ჩვენი ჯარი. აქედან გამომდინარე, სტალინი მშვენიერ გუნება-განწყობაზე იმყოფებოდა და წითელი არმიის 24-ე წლისთავს ბრწყინვალე გუნებაზე შეხვდა. 22 თებერვლის საღამოს სტალინმა პოსკრებიშჩევს დაავალა: „ჩვენი დიადი არმიის ზეიმზე, ხვალინდელ დღესასწაულზე, ყველა აქ მყოფი ხელმძღვანელი დაპატიჟეთ. მათ დაიმსახურეს ყურადღება და, თუ გნებავთ, მცირე გართობაც კი. ოღონდ, არავინ გამოგრჩეთ“. ხრუშჩოვი იმ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი იყო, რაღაც საქმეებზე მცირეხნიან მივლინებაში იმყოფებოდა დედაქალაქში და, ბუნებრივია, ისიც დაპატიჟებულთა სიაში მოხვდა. ტრადიციულად, ყველა დღესასწაული თითქმის ერთნაირი სქემით მიმდინარეობდა: ჯერ საზეიმო სხდომა იმართებოდა ხოლმე დიდ თეატრში, რომელიც კონცერტით მთავრდებოდა, ბოლოს კი ეს ყველაფერი კრემლის დიდ დარბაზში გაშლილი სუფრით გვირგვინდებოდა. ბანკეტი ზოგჯერ გამთენიამდე გრძელდებოდა და ამ თავყრილობებზე უშუალო, გულღია ატმოსფერო სუფევდა. დიდი თეატრის შემდეგ, 23 თებერვალს, სტუმრებმა კრემლში გადაინაცვლეს. სტუმრებს შორის უცხოელი დიპლომატებიც იმყოფებოდნენ. პირველი სადღეგრძელო, ტრადიციულად, დიდმა ბელადმა წარმოთქვა და ჩვენი სახელოვანი წითელი არმია ადღეგრძელა. მომდევნო სიტყვაში კი მოლოტოვმა დიდი ბელადის სადღეგრძელო შესვა. სტუმრებს სასმელი მოერიათ, ნელ-ნელა შექეიფიანდნენ და ატმოსფერო უშუალო გახდა. ტრადიციისამებრ, სუფრები აალაგეს, უფრო სწორად, დიდი მაგიდები აიღეს და საჭმელ-სასმელი პატარ-პატარა მაგიდებზე გადაიტანეს, დარბაზი კი ერთგვარ იმპროვიზებულ სცენად გადაიქცა, სადაც სტუმრებს ცეკვა, სიმღერა და ლექსების წარმოთქმა შეეძლოთ, პარალელურად კი სადღეგრძელოები გრძელდებოდა. ასეთ დროს დიდი ბელადი დარბაზის ერთ-ერთ სვეტთან ჩერდებოდა ხოლმე თავის მცირერიცხოვან გარემოცვასთან ერთად და იქიდან ადევნებდა თვალს მრავალრიცხოვანი სტუმრების საქციელს. ჯერ კიდევ სუფრების ალაგებისას, კრემლის მომსახურე პერსონალმა ძლივს წამოაყენა მაგიდიდან პირდაპირ სუფრაზე ჩაძინებული ხრუშჩოვი, რომელიც საშინლად გამოთვრა და თავისი ღორული ფიზიონომია ვინეგრეტით სავსე თეფშში ჩაყო. სტალინის მახვილ თვალს ხრუშჩოვის ეს საქციელი არ გამოჰპარვია, თუმცა, მწვავე რეაგირება არ მოუხდენია, მხოლოდ დაცვის ერთ-ერთ წევრს დაავალა, ფრთხილად გაეყვანათ დარბაზიდან. მართლაც, სახემოსვრილი ნიკიტა ხრუშჩოვი ჩვენმა ბიჭებმა შეუმჩნევლად გაიყვანეს და ზეიმი გაგრძელდა. დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ ხრუშჩოვი კვლავ გამოჩნდა, ოღონდ, სახე დაბანილი ჰქონდა და, ცდილობდა, წონასწორობა შეენარჩუნებინა. ასე, ბოდიალ-ბოდიალით შემოიარა მან კრემლის უზარმაზარი დარბაზი, გზადაგზა კი სასმელს კვლავ წრუპავდა, რომელსაც თითქმის ყველა მაგიდიდან იღებდა. ამგვარად, სანამ ხრუშჩოვმა „ლოთიანი“ წრე შემოუარა დარბაზს, ისე ძლიერ შეუბრუნა სასმელმა, რომ სივრცისა და დროის კოორდინაციის მცირედი კონტროლის უნარიც კი დაკარგა. ხრუშჩოვის ეს „რვიანები“, უკვე მთელი დარბაზისთვის თვალშისაცემი გახდა. სტალინი ოდნავ გაღიზიანდა კიდეც, ცინიკური ღიმილით მიანიშნა მოლოტოვს ხრუშჩოვზე და ამასობაში, მასზე რაღაც გადაულაპარაკა. გალეშილმა ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელმაც წითელი ღვინო ჯერ ტანისამოსზე გადაისხა, შემდეგ ბოკალი იატაკზე დაემსხვრა, ბოლოს კი დარბაზის ცენტრში გადაინაცვლა, რაღაც გაურკვეველი წაილუღლუღა და „გოპაკის“ წაცეკვება სცადა... ნიკიტამ ჩაბუქნა და მარცხენა ფეხის გაშლა მოინდომა. მაგრამ, კოორდინაცია დაკარგა და კასრივით გაგორდა კრემლის დარბაზის მოკრიალებულ იატაკზე. ეს უკვე მეტისმეტი იყო. სტალინის მრისხანება მის სახეზე გაჩენილი წითელი ლაქებით გამოიხატა, თუმცა, სიტყვა არ დაუძრავს და მხოლოდ თვალებით ანიშნა ვლასიკს, ეს უმსგავსობა აღეკვეთა. ჩვენმა ორმა თანამშრომელმა გაგორებული ხრუშჩოვი ჰაერში აიტაცა და თვალის დახამხამებაში მოაშორა დარბაზს. სტალინმა ვლასიკი იხმო და უბრძანა: „ეზოში ჩაიყვანეთ (გულისხმობდა კრემლის ეზოს, სადაც იმ მომენტში 25 გრადუსი ყინვა იდგა) და, ნაძვების ქვეშ რომ სკამებია, იქ დასვით. სანამ აზრზე მოვა, იჯდეს, შემდეგ კი შეგიძლიათ, თბილი ქურქი მიაშველოთ, რომ არ გაიყინოს. უთხარით, რომ ფეხი არ მოიცვალოს ჩემს სპეციალურ ბრძანებამდე და იქ დაელოდოს გამოძახებას“.

ვლასიკს გაეღიმა და დაუყოვნებლივ გაეშურა ბრძანების შესასრულებლად. წვეულება კი გამთენიამდე გაგრძელდა. ხრუშჩოვი „გამოსაფხიზლებელში“ რომ გაიყვანეს, ღამის 2 საათი იყო. გათენდა, სტუმრები კმაყოფილები დაიშალნენ და სტალინიც თავისი საძინებლისკენ გაეშურა. მზე ჯერ არ იყო ამოსული, თუმცა, უკვე ყველაფერი კარგად ჩანდა და სტალინმა ფანჯარაში გაიხედა, საიდანაც დაინახა თბილ ქურქში გახვეული, ნაძვების ქვეშ მყოფი ხრუშჩოვი, რომელიც უკვე სრულიად ფხიზელი იყო და, რომ არ გაყინულიყო, შეუჩერებლად ხტუნაობდა. სტალინი ფანჯარას მოსცილდა და შემოუბრუნებლად, სიარულში გვიბრძანა: „ცოტას წავუძინებ, ეგ კი მანდ იყოს, ფეხი არ მოიცვალოს“.

სამი საათის შემდეგ სტალინი უკვე თავის სამუშაო კაბინეტში იყო. პირველად მან პოსკრებიშჩევი იხმო, რომელსაც დავალება მისცა, შემდეგ მე დამიძახა და მიბრძანა: ის ლოთი მოიყვანეთ, უნდა დაველაპარაკოო. ხრუშჩოვთან რომ მივედი, ის უკვე აღარ ხტუნაობდა, რადგან, ეტყობოდა, არაქათი გამოლეოდა და სკამზე იყო ჩამომჯდარი. „ნიკიტა სერგეევიჩ, ამხანაგი სტალინი გიხმობთ“, – ვუთხარი ხრუშჩოვს, რომელზეც სტალინის ხსენებამ მაგიურად იმოქმედა, ზეზე წამოხტა და უხმოდ მომაჩერდა. ხრუშჩოვი გზაში ეშმაკურად ცდილობდა იმის გარკვევას, რა მოხდა წუხელ, მაგრამ, მე მხოლოდ მხრებს ვიჩეჩავდი და პასუხი არ გამიცია. სტალინის მისაღებში ხრუშჩოვი პოსკრებიშჩევს „ჩავაბარე“ და ჩვენს ოთახში წავედი. რაც შემდეგ იქ მოხდა, ამაზე უკვე წლების შემდეგ მიამბო მოლოტოვმა, რომელიც იმ მომენტში სტალინთან იმყოფებოდა. მოლოტოვი იხსენებს: „სტალინის კაბინეტის კარი ფრთხილად გაიღო და, ჯერ ხრუშჩოვის მოტვლეპილი თავი გამოჩნდა, რომელიც ჭარხალივით გაწითლებოდა, შემდეგ კი ტანიც. მე და სტალინი ოთახის კუთხეში, პატარა მაგიდასთან ვისხედით, რომელზეც საუზმე სამ კაცზე იყო გაშლილი. იქვე ერთი ბოთლი წითელი ღვინო და თეთრი სითხით სავსე დოქი ეწყო. ხრუშჩოვი ისე იყო დაბნეული, თავდაპირველად ვერ შეგვამჩნია და მას სტალინი დაეხმარა: „შემოდი, ნიკიტა, კეთილი იყოს შენი მობრძანება“, – მიაგება მას სტალინმა სიტყვა და მაგიდასთან მოიხმო. „ისევ მთვრალი ხარ თუ უძილობამ დაგძლია?“ – არ მოეშვა სტალინი და ანიშნა, დამჯდარიყო. ხრუშჩოვს ფერი-ფური წაუვიდა, მძიმედ დაეშვა სავარძელში და გაშეშდა. „როგორ გრძნობ თავს?“ – ჩაეკითხა სტალინი და ღიმილით გადმომხედა. ხრუშჩოვმა გაღიმება სცადა, თუმცა, არ გამოუვიდა და ძალზე უცნაური გამომეტყველება მიიღო. „რას გაჩუმებულხარ?“ – ჩაილაპარაკა სტალინმა და ფერფლი ჩიბუხიდან საფერფლეზე გადმოყარა. თან, ახალი თუთუნი მოიმარჯვა და ჩიბუხი გამართა. „იოსებ ბესრაიონოვიჩ, – ენის ბორძიკით დაიწყო ხრუშჩოვმა, – მაპატიეთ, წუხელ, ცოტა არ იყოს, ზედმეტი გადავკარი, ვერ განვსაზღვრე ჩემი ძალები...“ სტალინს ხმა არ გაუცია და ჩიბუხი გააბოლა. ხრუშჩოვი დადუმდა, სტალინმა კი განაგრძო: „რას უყურებ, ჭიქები შეავსე, ვისაუზმოთ“. ხრუშჩოვმა ღვინის ბოთლი გაუბედავად აიღო, ჯერ სტალინს დაუსხა, შემდეგ მე და ის იყო, საკუთარი ჭიქაც უნდა შეევსო, რომ სტალინმა შეაჩერა: „რას შვრები, ნიკიტა, კვლავ ღვინის დალევას აპირებ?“ ხრუშჩოვს ბოთლიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა და ერთ ადგილზე გაიყინა. სტალინი დოქს დასწვდა, ხრუშჩოვის ჭიქაზე ააპირქვავა და თეთრი სითხით შეუვსო: „ღვინო არ გეკუთვნის, რძე დალიე. ეგ ბოთლი კი დადგი, არ გაგივარდეს და არ გადაისხა“.

„ვისაუზმოთ“, – მტკიცედ უბრძანა მას სტალინმა და ხრუშჩოვსაც მეტი გზა აღარ ჰქონდა – გაუბედავად დასწვდა ხორცის ნაჭერს. სამივემ უხმოდ ვისაუზმეთ. მე და სტალინი მშვენიერ წითელ ქართულ „ხვანჭკარას“ მივირთმევდით, ხრუშჩოვი კი – რძეს. ტრაპეზი რომ დავასრულეთ, სტალინმა ხრუშჩოვს ფრონტის ამბები გამოჰკითხა, რაზეც ხრუშჩოვი სხაპასხუპით პასუხობდა. მოკლედ, სტალინმა ის ისე გაართო საუბარში, რომ ხრუშჩოვს წინა ღამის კოშმარები დაავიწყდა და გამოცოცხლდა. ბოლოს სტალინმა სამივე ჭიქა წითელი ღვინით შეავსო და, სასმისები ჩვენც რომ ავწიეთ, თქვა: ამ ჭიქით ჩვენი მომავალი გამარჯვების სადღეგრძელო იყოსო, – და, დალია. მეც იგივე გავიმეორე და ჭიქა ბოლომდე გამოვცალე. ხრუშჩოვმა ჭიქა ასწია, „ვიყოთო“ (ტრადიციული რუსული სადღეგრძელო) – ჩაილაპარაკა და გამოცალა. სტალინს ირონიულად გაეცინა, წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და ხრუშჩოვს მიუგო: „დურაკ ტი, ნიკიტა, ეი ბოგუ!“ (სულელი ხარ შენ, ნიკიტა, ღმერთმანი!) – და ფანჯრისკენ მიტრიალდა. ხრუშჩოვი გაშრა, სტალინს კი ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, თავის სამუშაო მაგიდასთან მივიდა, ტელეფონს დასწვდა და პოსკრებიშჩევს უთხრა, საუზმე დავამთავრეთ, სუფრა აალაგონო. შემდეგ მე მომიხმო და მიმდინარე საქმეებზე დამელაპარაკა. ხრუშჩოვი კი წამოდგა, თაგვივით გაიპარა კარისკენ და კაბინეტიდან გაიძურწა“...

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან".*

**კურტ ვონეგუტი**

# როგორ გავთავისუფლდეთ დეპრესიისგან, ცუდი აზრებისა და საშიში ემოციებისგან ცეცხლისა და წყლის დახმარებით

წყალი და ცეცხლი ენერგეტიკულ ზემოქმედებას ახდენს ყველაფერზე, რაც მათ გარშემოა. ასტროლოგიურად ცნობილია, რომ ცეცხლი სივრცეს ასუფთავებს, წყალი კი ყველა ინფორმაციას ინახავს და, რაც მთავარია, ამ ორივე სტიქიას კავშირი აქვს პარალელურ სამყაროსთან. ასევე, ცეცხლისა და წყლის მეშვეობით, შეგვიძლია, უარყოფითი ენერგიისგან საკუთარი ძალებითაც გავიწმინდოთ ორგანიზმი.

ავ სულებს ძალიან ეშინიათ ცეცხლის კვამლის, ამიტომ, სახლში ხშირად უნდა დაანთოთ ფერადი, სურნელოვანი სანთლები, მოატაროთ ისინი საათის ისრის მიმართულებით და კვამლი ხელით მიმოფანტოთ სივრცეში. ბნელი ძალები ამას გრძნობენ და ასეთ გარემოს ერიდებიან. საერთოდ, სახლის გასაწმენდად კარგია ვარდის, ჟასმინისა და პიტნის სურნელის მქონე სანთლების დანთება. ასეთი სანთლები, გარდა იმისა, რომ ბნელ ძალებს აფრთხობს, იქ მცხოვრებ ადამიანებზე დამამშვიდებლად მოქმედებს. ცეცხლის ენერგიას კვამლის საშუალებით გააქვს დაგროვილი უარყოფითი ენერგია საცხოვრებელი ბინიდან, ბინაში მცხოვრებნი კი ცუდი აზრების, ფიქრებისა და ემოციებისგან თავისუფლდებიან. თუ ხვდებით, რომ ცუდი განწყობა გეუფლებათ, მთელი დღის განმავლობაში ხელი გეცარებოდათ, არაფერი გამოგდიოდათ და ყველაფერი გაღიზიანებდათ, კარგად ჩაკეტეთ სახლის კარ-ფანჯარა, აანთეთ წითელი ფერის, ვარდის სურნელიანი სამი სანთელი, დაჯექით, დახუჭეთ თვალები, ღრმად ისუნთქეთ ვარდის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი და არ იფიქროთ ცუდზე. თქვენი ემოცია აუცილებლად გაიგზავნება კოსმოსში, იქიდან კი თქვენკენ წამოვა დადებითად დამუხტული ენერგეტიკა. სულ რაღაც ხუთი წუთის შემდეგ მიხვდებით, როგორ მშვიდდებით, როგორ ისვენებს ორგანიზმი, გემატებათ ძალები, გიბრუნდებათ კარგი განწყობა, ანუ, უარყოფითი ემოციები ძალიან მალე მოგშორდებათ და თავს შესანიშნავად იგრძნობთ.

ცეცხლის მსგავსად, წყალსაც აქვს მაგიური თვისებები. მისი დახმარებით ბევრი შეძლებს, თავი დაიცვას და მოიშოროს კოსმოსიდან წამოსული ცუდი ენერგიებისგან გამოწვეული სტრესი, შიშები, დეპრესია თუ ცუდი გუნება-განწყობა. თუ დიდი სტრესი ან ნერვიულობა გადაიტანეთ და თავს ცუდად გრძნობთ, საკუთარ თავს ასე დაეხმარეთ: ჩაასხით ჯამში სავსე მთვარეზე აღებული, გამდინარე წყალი, ჩაყარეთ მასში ვერცხლისფერი მონეტები, ცოტაოდენი მარილი, ფიჭვის წიწვები. ჩაყავით თითები, თვალები დახუჭეთ და იყავით ასე დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში. შემდეგ თითები ამოიღეთ წყლიდან და თავზე გადაისვით, ანუ, თმაზე შეიმშრალეთ. მერე ხელები იატაკისკენ დაიქნიეთ სამჯერ და ასე მოიშორეთ ორგანიზმიდან დარდი და ცუდი განწყობა.

არსებობს დღეები, როცა გამდინარე წყალი იძენს მაგიურ თვისებებს და ეს დღეები აუცილებლად უნდა ვიცოდეთ. მაგალითად, ახალი მთვარის დღეს აღებული წყალი ადამიანს ბევრი ცუდი და ნეგატიური „ჭუჭყისგან" ათავისუფლებს. ამ დღეს აღებული გამდინარე წყალი შეინახეთ და შემდეგ ის გააზავეთ ხოლმე აბაზანაში, ჩაწექით მასში დაახლოებით ათი წუთით და მეორე დღესვე იგრძნობთ, რომ მსუბუქად დადიხართ და უფრო შრომისუნარიანი და ენერგიულიც ხართ. ასევე, კარგია, თუ ამ წყალს ყოველ დილით, უზმოზე დალევთ – ის მთელი დღის განმავლობაში დაგიცავთ ნეგატიური ზემოქმედებისგან. სახლში დაბრუნებულმა კი, დაახლოებით ორი-სამი წუთით მაინც, ხელები გამდინარე წყალს შეუშვირეთ, რომ გარედან შემოტანილი ენერგეტიკული „ჭუჭყი" კარგად ჩამოირეცხოთ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1987 წლის 10 მაისს. რომელი პროფესია იქნება ჩემთვის მისაღები და რომელ ნიშანთან მირჩევთ ოჯახის შექმნას?**

**პასუხი:** თქვენთვის კარგია ოჯახის შექმნა: მერწყულის, ვერძის, ქალწულის, თხის რქის, თევზების ან კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანთან; პროფესიებიდან კი მისაღებია: დრამატურგია, სცენარისტობა, რეჟისურა, სოციოლოგია, ავიაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, დიზაინი, არქიტექტურა, საინჟინრო საქმიანობა, აუდიო, კომპიუტერული, პროგრამული, მობილური და ვიდეოსისტემები. ასევე, წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ, წარმატება გელით შემდეგ სფეროებში: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო სფეროს ფართო სპექტრი, უძრავი ქონების ბიზნესი, საიუველირო საქმიანობა, საკონდიტრო ინდუსტრია, სამუზეუმო, საარქივო, საბიბლიოთეკო საქმიანობა, მშენებლობის ფართო სპექტრი.

**კითხვა: დავიბადე 1998 წლის 16 მარტს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე. რომელი პროფესიებია ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი:** თქვენთვის წარმატების მომტანია: ტურისტული ბიზნესი, რადიო, ტელევიზია, ჟურნალისტიკა, პრესა, საგამომცემლო, სარეკლამო ინდუსტრიის ფართო სპექტრი, სამეცნიერო-კვლევითი საქმე, მთარგმნელობითი საქმიანობა, იურისპრუდენცია, ფოტოგრაფიის ხელოვნება ან ბიზნესი, სადალაქო საქმე, საკონდიტრო სფერო, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ხელოვნება, პოეზია, ლიტერატურა, დიზაინი, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1995 წლის 22 თებერვალს, დილის 6 საათზე. მაინტერესებს, რომელი სპეციალობა უნდა აირჩიოს, რომ შემდგომში წარმატებას მიაღწიოს და რომელ სფეროში ურჩევთ დასაქმებას?**

**პასუხი:** მისი კოსმოსური მისია უკავშირდება უცხოეთს, ამიტომ, რაც მეტად ექნება კავშირი უცხოეთთან, მით მეტი წარმატების შანსი მიეცემა. პროფესიებიდან მისთვის კარგია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, იურისპრუდენცია, ქორეოგრაფია, ფოტოგრაფიის ხელოვნება ან ბიზნესი, სამოდელო სფერო, არქიტექტურა, კოსმეტიკური საქმიანობა, სადალაქო საქმე, საკონდიტრო სფერო, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტიკა, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი, სპორტი.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2004 წლის 7 თებერვალს. მაინტერესებს, რა არის მისი კარმული მისია და რომელ პროფესიებში მიაღწევს ის წარმატებებს?**

**პასუხი:** მის კარმულ-კოსმიურ მისიას წარმოადგენს ის, რომ წარმოაჩინოს სულიერი თვისებები, იყოს აქტიური, ინიციატივიანი, პრაქტიკული, ენერგიული. უნდა შესძლოს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ლიდერული თვისებების გამოვლენა; ასევე, სადაც საჭიროა, იყოს უშიშარი და გამოავლინოს მებრძოლის თვისებები. სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე, ჰარმონია და არა დეპრესია და აგრესია. მეტად დაეყრდნოს ოპტიმიზმსა და კეთილშობილებას. იყოს კანონმორჩილი, სამართლიანი, დიპლომატიური. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: სპორტი, მანქანათმშენებლობა, მანქანების ბიზნესი ან დიზაინი, პოლიტიკა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, საკონსტრუქტორო, საგამომგონებლო საქმიანობა, სახანძრო, სამაშველო სამსახური, სამართალდამცავი და სადაზღვევო ორგანოები, იურისპრუდენცია, დიზაინი, სამოდელო საქმე, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა; სადალაქო, საკონდიტრო საქმე, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოეზია, ლიტერატურა – ზოგადად ხელოვნება.

# კალეიდოსკოპი

## სექსუალური ცხოვრების აქტივობა გამომუშავების პირდაპირპროპორციულია

აქტიური სექსუალური ცხოვრების მქონე ადამიანი არა მარტო ჯანმრთელი და ბედნიერია, არამედ უფრო მდიდარიცაა, – ამტკიცებენ მკვლევრები. მათი გამოთვლებით, ადამიანები, რომლებიც სექსით კვირაში ოთხჯერ და მეტჯერ არიან დაკავებულნი, უფრო მეტ ფულს გამოიმუშავებენ, ვიდრე მათი ნაკლებაქტიური კოლეგები.

საბერძნეთში ჩატარებულ გამოკითხვაში 26-დან 50-მდე ასაკის 7,5 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. მათ სთხოვდნენ, მოეთხროთ საკუთარ ჯანმრთელობასა და სექსუალურ აქტივობაზე, ასევე, სამსახურის შესახებ და გამომუშავებული თანხის რაოდენობაზე.

შედეგებმა აჩვენა: ვინც სექსით კვირაში ოთხჯერ და მეტჯერ იყო დაკავებული, 5 პროცენტით უფრო მეტ თანხას გამოიმუშავებდა, ვიდრე ის, ვისი ცხოვრებაც სექსუალურად ნაკლებდატვირთული იყო. ვინც საერთოდ არ იყო სექსით დაკავებული, 3,2 პროცენტით ნაკლებ თანხას იღებდა, ვიდრე მათი ნაკლებსექსუალური კოლეგები.

რითაა გამოწვეული ასეთი ურთიერთკავშირი სექსუალურ აქტივობასა და გამომუშავებულ თანხას შორის, სწავლულებმა ზუსტად ვერ დაადგინეს. თუმცა, გამოთქვეს აზრი, რომ ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ უფრო წარმატებული ადამიანები ირგვლივ მყოფებს უფრო მიმზიდველად ეჩვენებათ. მეორე ვერსიით, ფულის არსებობა საშუალებას აძლევს ადამიანს, თავის შეყვარებულს უფრო მეტი საჩუქრები უძღვნას. ამგვარად, მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ სექსით დატვირთული ცხოვრება, არ ნიშნავს ხელფასის მომატებას. ანუ „უკუღმა, ასინეთა...“

## სამყარო სულაც არ ფართოვდება – „საჰაერო ბურთის“ თეორიას „კოსმოსური პიანინოს“ თეორია ცვლის

საყოველთაოდ ცნობილი სამყაროს გაფართოების თეორია, რომელსაც თანამედროვე მეცნიერთა უმრავლესობა ეყრდნობა, შესაძლოა, უარყოფილ იქნას. თეორიული ფიზიკის გერმანელმა სპეციალისტმა კრისტოფ ვეტერიხმა გადახედა ისეთ მოვლენას, რომელიც ცნობილია, როგორც წითელი წანაცვლება. თითქმის ასი წლის წინ, სახელდობრ, ამ თეორიამ უკარნახა ასტრონომებს, რომ გალაქტიკები დროის განმავლობაში სულ უფრო და უფრო შორდებიან ერთმანეთს.

რა არის წითელი წანაცვლება? ყოველი ქიმიური ელემენტი შთანთქავს ან გამოასხივებს ელექტრომაგნიტურ ტალღებს მკაცრად განსაზღვრულ სიხშირეებზე და, ამგვარად, ყოველი მათგანი წარმოქმნის სპექტრში განუმეორებელ სურათს ხაზებისგან. ის გამოიყენება დაშორებული ობიექტებიდან გამოსხივების სპექტრულ ანალიზში, მაგალითად, ვარსკვლავებიდან. თუ ობიექტი გვშორდება, მაშინ ხაზები ინაცვლებს სპექტრის წითელ (გრძელი ტალღების) ნაწილში. ამას უწოდებენ წითელ წანაცვლებას.

სახელდობრ, ასეთ მოვლენას აკვირდებოდა ჯერ კიდევ 1920 წელს ასტრონომი ედვინ ჰაბლი იმ დროისთვის მსოფლიოში უმძლავრეს ტელესკოპ Hooker-იდან. წითელი წანაცვლების ეფექტი გალაქტიკების უმრავლესობიდან მიიღეს, ამავე დროს ის თანდათან ძლიერდებოდა. აქედან ერთადერთი დასკვნა ასეთი იყო – გალაქტიკები ერთმანეთს იმის გამო შორდებოდნენ, რომ სამყარო „იბერებოდა“, როგორც საჰაერო ბუშტი.

ახლა კი პროფესორმა ვეტერიხმა მიუთითა: სინათლე, რომელსაც ატომები ასხივებენ, მათ მასაზეცაა დამოკიდებული. თუ ატომები კარგავენ მასას, მხოლოდ მაშინ ჩანს წითელი წანაცვლება, ხოლო თუ ატომების მასა იზრდება, მაშინ სპექტრული ხაზები წაინაცვლებენ ნარინჯისფერი (მოკლეტალღოვანი) ნაწილისაკენ. აქედან გამომდინარე, გერმანელმა ფიზიკოსმა ივარაუდა, რომ წარსულში ატომების მასები, ალბათ, უფრო დიდი იყო, მაგრამ თანდათან მცირდებოდა, რამაც მოგვცა წითელი წანაცვლება. მისი ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, რამდენადაა დაშორებული დედამიწიდან ესა თუ ის გალაქტიკა. თუმცა, პროფესორ ვეტერიხის თეორიამ არ მოგვცა განსაზღვრული პასუხი. პირიქით, ახალი თავსატეხი წარმოიშვა.

შოტლანდიის სენტ-ედრიუსის უნივერსიტეტის თანამშრომელი, რომელიც გრავიტაციის ალტერნატიულ თეორიას ამუშავებს, გერმანელი კოლეგის თეორიას სრული სერიოზულობით უყურებს. მისი პოეტური გამონათქვამია: „სამყარო პიანინოს კლავიშებივითაა, რომლებზედაც უკრავენ დაბალიდან მაღალ რეგისტრამდე. ვეტერიხის თეორიიდან გამოდის, რომ „კოსმოსური პიანინოს“ პირველი ნოტი იყო გრძელი და დაბალი.

**მოამზადა ლაშა გაბელიამ**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

## ორშაბათი 2 სექტემბერი

**08.00** დ/ფ " გაზაფხული დაკვირვების ქვეშ" **09.00** საბ. მხ/ფ **"ფიქრები თავისუფლებაზე"** **10.30** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" ფ **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** ან/ფ "ვაშლის მარცვალი: EX მანქანა" **14.30** დ/ფ "წიგნის მშვენება" **15.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **18.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05** ტ/სერ. "მაგდა ემი" **21.00** ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" **22.00** მხ/ფ " ბნელი რაინდი".

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** . **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. **"ცივი გული"** **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50, 18.50, 19.05** სერ. **"მაგნატები"**. **21.00** სერ. **"დაბრუნება"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. **"ცხელი ძაღლი"** **00.15** მხ/ფ. **"თავშესაფარი"**.

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ "GHOST BUSTERS" **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"ახალი არკადია "** **14.00** სერ **"ერთგულების ძალა"** **15.30** შერეკილები. **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50** სერ. **"ტიტების დრო"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00:30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ.

# ვინ იყო ბანდიტი „ღამურა“ და როგორ ძარცვავდა ის და მისი ბანდა შემნახველ სალაროებს

### ოპერაცია

პროფესორი დიმიტრი ჯაფარიძე ზარის ხმამ გააღვიძა, სწრაფად წამოდგა და კედლის საათს შეხედა. ღამის სამი საათი სრულდებოდა. მან ხალათი მოიცვა და კარის გასაღებად კიბეზე დაეშვა. ღვაწლმოსილი ქირურგი ჩვეული იყო ასეთ ვიზიტებს და არც ეს ზარი გაჰკვირვებია, მაგრამ გული მაინც აუჩქარდა და უცნაური წინათგრძნობა დაეუფლა. ჯაფარიძემ

**ჯაფარიძის 20 წლის ვაჟი მურელებმა დაცხრილეს, ის მდინარეში ჩავარდა და ცხედარი ვეღარ იპოვეს**

კარი გააღო და ქუჩაში მდგომი ახალგაზრდა შეათვალიერა, რომელიც უხერხულად უღიმოდა პროფესორს.

– გისმენთ, ყმაწვილო, – მიმართა ჯაფარიძემ ყმაწვილს.

– მე ქირურგი დიმიტრი ჯაფარიძე მინდა, – უთხრა ახალგაზრდამ.

– მე გახლავართ, გისმენთ.

– ბოდიშს გიხდით, რომ ასე გვიან გაწუხებთ. თქვენთან სასწრაფო საქმე მაქვს და შეიძლება, შემოვიდე?

– მობრძანდით, – შეიპატიჟა ჯაფარიძემ ყმაწვილი და თავის კაბინეტში შეიყვანა პირველ სართულზე. მოსულს სავარძელი შესთავაზა, თვითონაც დაჯდა და თქვა, – გისმენთ, ჩემო ბატონო, რა გნებავთ?

– კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, ბატონო დიმიტრი შეწუხებისთვის, მაგრამ ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდეთ.

– თქვენთან ერთად? კი მაგრამ, რატომ და სად?

– სად, ვერ გეტყვით, მაგრამ მეგობარი მყავს ტყვიით დაჭრილი და უნდა უშველოთ, ოპერაცია უნდა გაუკეთოთ.

– რას ბრძანებთ, რის ოპერაცია. თუ ტყვიითაა დაჭრილი, სასწრაფოდ მორიგე საავადმყოფოში წაიყვანეთ და იქ დაეხმარებიან. გნებავთ, ჩემს სამსახურში დავრეკავ და გავაფრთხილებ, რომ საოპერაციო გაამზადონ და სანამ პაციენტს მიიყვანთ, მეც მოვალ.

– არა, პროფესორო, ეს შეუძლებელია. თქვენ ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდეთ. დრო არ ითმენს. ჩემი მეგობარი შეიძლება, დაიღუპოს და დროზე უნდა ვუშველოთ, – უთხრა ახალგაზრდამ და ჯაფარიძეს ნაგანი მიუშვირა, თან უთხრა – კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს.

პროფესორმა სტერილური საოპერაციო ინსტრუმენტები და წამლები საექიმო ჩემოდანში ჩააწყო და დაუპატიჟებელ სტუმარს გაჰყვა. პროფესორის სახლის უკან ფურგონიანი „გაზ 21“ იდგა. ჯაფარიძე უკანა სავარძელზე დაჯდა, გვერდით ყმაწვილი მიუჯდა, კიდევ ერთხელ მოუხადა ბოდიში ჯაფარიძეს და შავი ნაჭრით თვალები აუხვია. მანქანა ადგილიდან დაიძრა. ნახევარი საათის შემდეგ პროფესორი უკვე ფარდაჩამოშვებულ, კარგად განათებულ ოთახში იდგა და ოცდათხუთმეტიოდე წლის მამაკაცს ოპერაციას უკეთებდა. ასისტენტობას კი მას ის ყმაწვილი უწევდა, რომელმაც პროფესორი წამოიყვანა.

ოპერაციამ ორ საათს გასტანა. ახალგაზრდა კაცი მუცელში იყო დაჭრილი, თუმცა გამჭოლ ტყვიას ორგანოები არ დაუზიანებია. პაციენტს საკმაოდ ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული და დასუსტებული იყო. ჯაფარიძემ ოპერაცია დაასრულა, ავადმყოფს წამლები დაუნიშნა, მის მეგობრებს აუხსნა, როგორ მოევლოთ ავადმყოფისთვის და წასასვლელად გაემზადა.

– ეს თქვენ, ექიმო, ალალი იყოს, – უთხრა ჯაფარიძეს დაჭრილის ერთ-ერთმა მეგობარმა და 5 ათასი მანეთი ჯიბეში ჩაუდო. შემდეგ პროფესორს ისევ თვალები აუხვიეს და მანქანით წაიყვანეს.

ჯაფარიძემ რომ სახვევი მოიხსნა, დაინახა, რომ ჩელუსკინელების ხიდის ქვეშ იდგა. მან საათს დახედა. ისრები დილის 10 საათს უჩვენებდა.

### დაკითხვა

პროფესორი ვერაზე ცხოვრობდა, კერძო სახლში, ცოლთან და 19 წლის ქალიშვილთან ერთად. დიმიტრი ჯაფარიძეს სხვა შვილიც ჰყავდა. მას ანდრო ერქვა და 20 წლის იყო, როდესაც მოსკოვში მილიციელებმა მოკლეს. ანდრო ჯაფარიძე მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, მაგრამ მხოლოდ პირველი კურსი დახურა. შემდეგ სწავლა მიატოვა და მთელი ორი წლის განმავლობაში მშობლებს ატყუებდა, ვითომ სწავლობდა. სინამდვილეში კი, ქურდების ბანდაში გაერია და ცუდ გზას დაადგა. ანდრო და მისი მეგობრები მდიდარი მოსკოველების ბინებს ქურდავდნენ და კარგა ხანს მოუხელთებელნიც იყვნენ. მაგრამ, ერთ-ერთი საქმის დროს მათ ბინის პატრონი იუველირი შემოაკვდათ. ის ანდროს ერთ-ერთმა მეგობარმა მისსავე დანაზე წამოაგო.



სწორედ, ამ შემთხვევის შემდეგ გაიშიფრა ანდრო და ორ კვირაში „მურის“ ოპერჯგუფთანაც მოუწია შეტაკება. ურთიერთსროლისას ორი მილიციელი დაიჭრა, ტყვიებით დაცხრილული ანდრო კი მდინარეში ჩავარდა, წყალმა წაიღო და მისი ცხედარი ვერ იპოვეს. დიმიტრი ჯაფარიძემ და მისმა მეუღლემ, ლიამ, მძიმედ გადაიტანეს ერთადერთი შვილის სიკვდილი, თუმცა ჯერ ისევ ახალგაზრდები იყვნენ და ერთი წლის შემდეგ მათ ქალიშვილი, ნატო შეეძინათ.

პროფესორმა ეს ყველაფერი იმ დროს გაიხსენა, ჩელუსკინელების ხიდის ქვეშ რომ იდგა და ტაქსის აჩერებდა. შვილის გახსენებაზე ჯაფარიძეს თვალზე ცრემლი მოადგა. თუმცა, მალევე მოთოკა თავი და ცოლ-შვილი დაუდგა თვალწინ, რომლებიც ბათუმში ზღვაზე ისვენებდნენ. „კიდევ კარგი, რომ წუხელ მარტო ვიყავი სახლში“, – გაიფიქრა ჯაფარაძემ და ამ დროს ტაქსისტიც მის სახლს მიადგა.

პროფესორს სამოქალაქო სამოსში გამოწყობილი მამაკაცი მიუახლოვდა და ჰკითხა:

– პროფესორი დიმიტრი ჯაფარიძე ბრძანდებით?

– გახლავართ. ვისთან მაქვს საუბრის პატივი?

– პოდპოლკოვნიკი ლადო ცინცაძე გახლავართ. თქვენთან ერთი კითხვა მაქვს.

– ბრძანეთ.

– სად ბრძანდებოდით წუხელ?

– სად, არ ვიცი, მაგრამ ახალგაზრდა კაცს მუცლის ღრუ გავუსუფთავე, რომელიც ტყვიით იყო დაჭრილი... იქ უცნობმა ახალგაზრდებმა ძალით მიმიყვანეს.

– ბატონო დიმიტრი, შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა წამობრძანდეთ დაკითხვაზე, – უთხრა ცინცაძემ ჯაფარიძეს.

დაკითხვამ თითქმის 3 საათს გასტანა. პროფესორმა მილიციელებს დაწვრილებით უამბო ყველაფერი. მან ზუსტად აუწერა ცინცაძეს როგორც დაჭრილის, ასევე, დანარჩენი სამი ადამიანის გარეგნობაც, რომლებსაც ის შეხვდა.

– მათთან კიდევ ერთი კაცი უნდა ყოფილიყო და ის ხომ არ შეგიმჩნევიათ? – ჰკითხა ცინცაძემ ჯაფარიძეს.

– არა. მე ყველაფერი ზუსტად მოგიყევით. მაინც, რა მოხდა, თუ საიდუმლო არ არის?

– ბოროტმოქმედებს ჩვენს თანამშრომლებთან მოუვიდათ შეტაკება და მათ ვეძებთ. ერთ-ერთი მათგანი, ვისაც თქვენ ოპერაცია გაუკეთეთ, ჩვენიანმა დაჭრა. ვიცოდით, რომ ისინი საავადმყოფოში არ წავიდოდნენ და თქვენ ამ გზით მოგაგენით. შეგიძლიათ წაბრძანდეთ და თუ დაგვჭირდით, დაგირეკავთ, – უთხრა ცინცაძემ.

პროფესორმა ჯიბიდან 5 ათასი მანეთი ამოიღო, მაგიდაზე დადო და თქვა:

– ეს ფული ოპერაციაში გადამიხადეს.

ცინცაძემ ფულის დასტა შეათვალიერა და კოლეგებს უთხრა:

– აი, ასეთი ორასი დასტა წაიღო „ღამურამ“ და მისმა ბანდამ გუშინ და ყველაფერი უნდა ვიღონოთ მათ შესაპყრობად, – ეს რომ თქვა, ენაზე იკბინა, მერე კარამდე მიაცილა პროფესორი, მადლობა გადაუხადა და დაემშვიდობა.

ცინცაძეს სიტყვებით ჯაფარიძემ დაასკვნა, რომ ვიღაც „ღამურამ“ და მისმა კოლეგებმა მილიონი მანეთი გაიტაცეს წინა ღამეს, მაგრამ საიდან და როგორ, არ იცოდა. პროფესორი ისევ „ღამურაზე“ ფიქრობდა, როცა თავში გაუელვა: „მილიონი ქუჩაში არ ყრია, არც ვინმეს ექნებოდა სახლში, ესე იგი გუშინ ბანკი გაძარცვეს“.

### ძარცვა

დიმიტრი ჯაფარიძე მართალი იყო. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თბილისში არა ბანკი, არამედ შემნახველი სალარო გაძარცვეს და იქიდან გატაცებული თანხა ზუსტად მილიონი მანეთი იყო. შემნახველი სალარო თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე მდებარეობდა. მძარცველებმა იქ ზემოდან, ანუ ერთ-ერთი მობინადრის ბინიდან ჩააღწიეს. სეიფი იქვე გახსნეს და უკვე სამშვიდობოს გადიოდნენ, რომ მილიციის სამორიგეო ჯგუფი შემთხვევით შეეფეთათ. ამ დროს ატყდა სროლა და ერთ-ერთი მძარცველი მუცელში დაიჭრა, თუმცა ბოროტმოქმედები გაიქცნენ და „გაზ 21-ით“ მიიმალნენ.

მსგავსი ტიპის ძარცვები ერთი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში არაერთხელ მოხდა და მისი უნიკალურობა იმაში მდგომარეობდა, რომ ბოროტმოქმედები აწყობილად მოქმედებდნენ. ისინი ჯერ მობინადრეებს ატყვევებდნენ, მერე სიგნალიზაციას თიშავდნენ, სუფთად ხსნიდნენ სეიფებს და იქიდან უზარმაზარი თანხით უჩინარდებოდნენ. საოცარი იყო მათი ინფორმირებულობაც – ცარიელი სეიფი არასდროს გაუხსნიათ. ბანდამ სულ, 21 საქმიდან 3 მილიონ 800 ათასი მანეთი გაიტაცა. თბილისის ძარცვით კი მათ ზღაპრული წილი შეხვდათ. იმ შემნახველ სალაროში თბილისის 31-ე საავიაციო ქარხნის თანამშრომლების ხელფასი ინახებოდა, რომელიც მეორე დღეს უნდა დაერიგებინათ.

**როდესაც „ღამურა“ გამოჯანმრთელდა, ის გაასამართლეს და 15 წლით ციხეში ჩასვეს**

ოპერატიული მონაცემების თანახმად, მილიციამ იცოდა, რომ მსგავს ძარცვებს ვინმე „ღამურა“ და მისი კოლეგები სჩადიოდნენ. თუმცა, მათ შესახებ მეტი არაფერი იცოდნენ – არც ის, თუ რა ეროვნების იყვნენ. თბილისში მომხდარმა ძარცვამ კი იმას მოჰფინა ნათელი, რომ ხუთკაციანი ბანდის მინიმუმ ორი წევრი ქართველი თუ არა, ქართულ ენაზე მოლაპარაკე იყო. ღამურას ბანდის შესახებ ეს ინფორმაცია მილიციამ ჯაფარიძის დაკითხვით შეიტყო და უკვე ოთხი მათგანის მეტ-ნაკლებად ზუსტი აღწერილობა ჰქონდათ. გარდა ამისა, პროფესორმა მილიციას აცნობა, რომ ბანდიტები, სავარაუდოდ, ვერაზე იმალებოდნენ.

– კი მაგრამ, ამას როგორ ასკვნით? – უთხრა პროფესორს პოდპოლკოვნიკმა ცინცაძემ.

– მე ვერაზე ვცხოვრობ. იქ ვარ დაბადებული და გაზრდილი და თითოეული ქუჩა ზედმიწევნით ვიცი. მთავარი კი ისაა, რომ როცა ვერაზე ავდივარ, ჩემი წნევა სტაბილური ხდება და თავს მშვენივრად ვგრძნობ. ამიტომ, აქ შეცდომა გამორიცხულია. როდესაც გამიტაცეს და თვალები ამიხვიეს, ნახევარი საათის განმავლობაში ქალაქში ვიარეთ. დაახლოებით ათი წუთი პლეხანოვზე ვმოძრაობდით და ეს იმით ვიგრძენი, რომ წნევა უკიდურესად დამივარდა. ყოველთვის ასე მემართება, როდესაც პლეხანოვზე მიწევს ყოფნა და ამ უბანს ვერიდები. ბოლოს ისევ ნორმაში ჩავდექი და მივხვდი, რომ ვერაზე ავედით. ერთი სიტყვით, ჩემი გამტაცებლების ცრუ მანევრმა არ გაამართლა. გარდა ამისა, სადაც მე ოპერაცია გავაკეთე, ის ბინა კერძოა. ხის ლობე-კარი აქვს, ასასვლელი კიბე ათი საფეხურისგან შედგება, მეცხრე ჩატეხილია და კიბეებიც და მოაჯირიც ხისაა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ზემო ვერის 80 პროცენტი ისეთი იყო, როგორც პროფესორმა აღწერა, მილიციას მაინც მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონდა და მათ ინტენსიურად, მაგრამ ფხიზლად დაიწყეს ღამურას და მისი ბანდის ძებნა. ამ საქმეში თბილისის მილიციის მნიშვნელოვანი ძალები იყო ჩართული და ის პირად კონტროლზე ჰქონდა აყვანილი „ცეკას“ პირველი მდივანს, ვასილ მჟავანაძეს...

### „ღამურა“

ოპერმუშაკების სამკვირიანმა მუხლჩაუხრელმა შრომამ შედეგი გამოიღო და იმ სახლს მიაგნეს, სადაც ბანდიტები იმალებოდნენ. კერძო სახლი ვინმე რეზო რაზმაძეს ეკუთვნოდა, რომელიც მარტოხელა იყო და მძღოლად მუშაობდა. ცინცაძემ მას ხელი არ ახლო, რომ მძარცველები არ დაეფრთხო და ხელქვეითებს უთხრა:

– აყვანის ოპერაციას შუაღამეზე დავიწყებთ, მაგრამ უკიდურესად მობილიზებულები უნდა ვიყოთ. ხომ გახსოვთ, რომ ამავე ხალხმა ორი თანამშრომელი დაგვიჭრა და ხელიდან გაგვისხლტდნენ.

რაზმაძის სახლს მილიცია ორი დღე-ღამის განმავლობაში უთვალთვალებდა, შემდეგ ცინცაძის ნიშანზე ოპერმუშაკები ბინაში შეიჭრნენ და იქ მყოფებს დანებება მოსთხოვეს. თუმცა, ბინის პატრონისა და დაჭრილის გარდა, იქ სხვა არავინ დახვდით. პოდპოლკოვნიკს ქვევიდან მანქანის ძრავას ხმა მოესმა და იღრიალა:

– გარაჟიდან მანქანით გარბიან, ქვევით ჩავიდეთ!

მილიციის ოპერები ეზოში ჩაცვივდნენ და გარაჟიდან უკუსვლით გამავალ „ვოლგას“ ცეცხლი გაუხსნეს. მანქანიდანაც საპასუხო ცეცხლი გახსნეს. ორმხრივ სროლაში ორი მილიციელი და ორი მძარცველი დაიჭრა, რომლებიც იქვე აიყვანეს. მესამესთან ერთად, რომელიც საღ-სალამათი იყო მეოთხემ გაქცევა ისე მოასწრო, რომ მილიციამ არ იცოდა, რა მდგომარეობაში იყო.

– მე მგონი, დაჭრილია. ჩქარა, დავედევნოთ! – ღრიალებდა ცინცაძე.

რაზმაძის ეზოდან გაქცეული მძარცველი თვით ღამურა გახლდათ, რომელსაც ტყვიამ მარცხენა ფილტვი გაუხვრიტა. თუმცა, მას ჯერ კიდევ ჰყოფნიდა ძალები და ბავშვობიდან ნაცნობ ქუჩაზე მოძრაობა უკუნეთ სიბნელეშიც კი არ უჭირდა. მან ათიოდე წუთს ირბინა. შემდეგ ერთ-ერთ კერძო სახლს მიადგა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. კარი მალევე გაიღო და პროფესორმა დიმიტრი ჯაფარიძემ სტუმარს ჰკითხა:

– რა გნებავთ, ახალგაზრდავ? გისმენთ!

ღამურამ პროფესორს გაუღიმა და უთხრა:

– მიშველე! ფილტვში ვარ დაჭრილი, მამა...

დიმიტრი ჯაფარიძე შოკირებული იყო, მაგრამ ცოლ-შვილის დახმარებით ანდრო საოპერაციოში აიყვანა, ქალიშვილი დაიხმარა და 20 წლის უნახავი შვილის ოპერირებას შეუდგა.

ცინცაძე და მისი ხელქვეითები ძაღლებთან ერთად ერთი საათის შემდეგ მიადგნენ პროფესორს. მის სახლს ალყა შემოარტყეს, შემდეგ შიგნით შევიდნენ და ოპერაციის დამთავრებამდე ხმა არ ამოუღიათ.

ნაოპერაციები ანდრო ჯაფარიძე, იგივე „ღამურა“, გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით, თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს და დაცვა მიუჩინეს. როცა გამოჯანმრთელდა, გაასამართლეს და 15 წლით ციხეში ჩასვეს.

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 2 სექტემბერი

1870 – საფრანგეთის არმიამ და თვით იმპერატორმა ნაპოლეონ მესამემ სედანთან განცდილი მარცხის შემდეგ გამოაცხადეს კაპიტულაცია გერმანელთა წინაშე.

1944 – იაპონელებმა წყნარი ოკეანის თავზე ჩამოაგდეს ჯორჯ ბუში უფროსის თვითმფრინავი; ბუში წყალქვეშა ნავის ეკიპაჟმა გადაარჩინა.

1945 – დასრულდა მეორე მსოფლიო ომი.

### 3 სექტემბერი

1778 – მილანში გაიხსნა ოპერა „ლა სკალა“.

1795 – დაარსდა პარიზის კონსერვატორია.

1921 – პირველად გამოიყენეს ავიაცია მავნე მწერების მოსასპობად.

1949 – ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია NBA.

### 4 სექტემბერი

1842 – განახლდა 1248 წელს დაწყებული და 1558 წელს შეწყვეტილი კიოლნის ტაძრის მშენებლობა (დასრულდა 1880 წელს).

1888 – ჯორჯ ისთმენმა მიიღო პატენტი ფოტოაპარატზე შიგ ჩასადები ფოტოფირით.

1975 – დაარსდა თამაში „რა, სად, როდის?“.

### 5 სექტემბერი

1905 – ამერიკაში დაიდო პორტსმუტის ხელშეკრულება. რუსეთ-იაპონიის ომის დასასრული.

1970 – ჩილეს პრეზიდენტად აირჩიეს მემარცხენე ძალების წარმომადგენელი სალვადორ ალიენდე.

1972 – პალესტინელმა ტერორისტებმა ოლიმპიურ მიუნხენში მოკლეს 11 ებრაელი სპორტსმენი, დაიღუპა კიდევ 6 ადამიანი.

### 6 სექტემბერი

1689 – პირველი ოფიციალური ხელშეკრულება – ნარჩენის ხელშეკრულება – ჩინეთსა და რუსეთს შორის.

1991 – ლენინგრადს დაუბრუნდა ძველი სახელი – სანკტ-პეტერბურგი.

1991 – დამოუკიდებლობა გამოაცხადა ჩეჩნეთმა.

### 7 სექტემბერი

1822 – პორტუგალიის ტახტის მემკვიდრე დონ პედრუმ გამოაცხადა ბრაზილიის დამოუკიდებლობა პორტუგალიისგან.

1859 – მთიან აულ გუნიბში ალყაშემორტყმული შამილი ტყვედ ჩაბარდა რუსებს.

### 8 სექტემბერი

1903 – ბულგარელთა გენოციდი თურქების მიერ. დაიღუპა 50 ათასი ადამიანი.

1905 – მიწისძვრა სამხრეთ იტალიაში. დაიღუპა 5 ათასი ადამიანი. 20 ათასი – უსახლკაროდ დარჩა.

1914 – მფრინავმა ნესტეროვმა პირველმა გამოიყენა „ტარანი“. უფრო ადრე პირველად მანვე შეასრულა „მკვდარი მარყუჟი“.

1921 – გამოვლინდა პირველი „მის ამერიკა“ – მარგარეტ გორმანი.

1987 – ბარენცის ზღვაში ატომური წყალქვეშა ნავის „კომსომოლეცის“ ავარია. დაიღუპა 39 ადამიანი. ატომური კატასტროფის საშიშროების წინაშე დადგა მიმდებარე ტერიტორიის დიდი ნაწილი.

**21 წლის კოკა დავლაძე, მართალია, ამერიკაში სასწავლებლად წავიდა, მაგრამ ბილიარდის თამაშით, და კიდევ უფრო მეტის მოგების სურვილით, ისე გაერთო, რომ ერთი წლით აკადემიური აიღო. დღეს კოკა ამერიკაში, კერძოდ, ნიუ-იორკში, ერთ-ერთ ბილიარდის ცნობილ და წარმატებულ მოთამაშედ ითვლება. საკმაო გავლენაც აქვს ამ სპორტის „მამებთან" და მასზე დიდ იმედებს ამყარებს მისი სპონსორი. როგორც თავად ამბობს, მთავარია, მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მოხვდეს და ამისთვის ძალ-ღონეს არ დაიშურებს.**

# სად „უჯოკრავს" კოკა დავლაძე მსოფლიოში წამყვან ბილიარდის „მამებს" და რატომ მოსწონს მას მაგიდაზე გადაწოლილი გოგონები



**ჩემი სპონსორი კერძო პირია, საკმაოდ შეძლებული. მოეწონა ჩემი თამაში, დამელაპარაკა და დიდი დაფინანსება შემომთავაზა**

**კოკა დავლაძე:** უკვე ერთი წელიწადია, რაც ამერიკაში სასწავლებლად ჩამოვედი, მაგრამ ერთი წლით აკადემიური ავიღე. აქტიურად ვთამაშობ ბილიარდს და დრო აღარ მრჩებოდა. ბილიარდის თამაში დაახლოებით ექვსი წლის წინ დავიწყე, საქართველოს ჩემპიონიც გავხდი და 18 წლის ასაკში, კიევსა და ესპანეთშიც გახლდით ტურნირებზე, სადაც საკუთარი ფინანსებით წავედი – საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე და კარგი შედეგებიც ვაჩვენე. ძალიან მომწონდა ბილიარდის თამაში. ბევრი ვივიარჯიშე, „დავამულამე" და მივხვდი, ეს ის სპორტია, რომელშიც ჩემს სათქმელს მსოფლიო ასპარეზზე ვიტყოდი. ახლა ამის „მულამი" მაქვს. დამეთანხმებით, უცხო ქვეყანაში ჩასულს, პრეტენზია გქონდეს ბილიარდის წამყვანი მოთამაშე გახდე და შენი სათქმელი თქვა ამ სპორტის სახეობაში, რთულია. მით უმეტეს, რომ ეს ის სპორტია, სადაც ყოველდღიურად თუ არ თამაშობ, სწორი ხედვა და გათვლა არ გაქვს, შედეგს ვერ მიაღწევ. თან, ეს ერთადერთი სპორტის სახეობაა, სადაც, რაც წლები გემატება, მით მეტი გამოცდილება გაქვს და მეტ შედეგს აჩვენებ. თავიდან, ამერიკაში რომ ჩამოვედი, ინტერნეტის საშუალებით ვიღებდი ინფორმაციას, თუ სად ტარდებოდა შეჯიბრებები, ტურნირები და უბრალოდ, სად ხდებოდა ვარჯიში. აქ უამრავი ტურნირი ტარდება ყოველ შაბათ-კვირას საბილიარდოებში და ძალიან მაღალი დონეცაა. მეც მივედი, ვცადე და მოვიგე რამდენიმე ტურნირი. ასე დაიწყო ჩემი წარმატება და ვცდილობ, უფრო მეტს მივაღწიო.

**– პირად საუბარში აღნიშნე, სპონსორიც მყავს და დიდ იმედებს ამყარებს ჩემზეო. ალბათ, რთულია უცხო მხარეში ჩახვიდე სრულიად მარტო, შენით გაიკვლიო გზა და სპონსორიც იშოვო?**

– სპონსორიც მყავს და მგონი, დიდ იმედებსაც ამყარებს ჩემზე ***(იცინის).*** თუ შენში რაღაც პერსპექტივა და პოტენციალი არ დაინახა სპონსორმა, ისე არ დაგაფინანსებს. ვის აქვს ორი თავი და გადასაყრელი ფული? ჩემი სპონსორი კერძო პირია, საკმაოდ შეძლებული. მოეწონა ჩემი თამაში, დამელაპარაკა და დაფინანსება შემომთავაზა. დღეს უფრო მეგობრები ვართ. სამწუხაროდ, საქართველოში, ბილიარდი არ არის პოპულარული, არც სათამაშო მაგიდები ვარგა და არც თამაშის დონეა სახარბიელო. წარმოიდგინეთ, საქართველოს ჩემპიონი გავხდი და 150 ლარი გადმომეცა ჯილდოდ. მახსოვს, ვხუმრობდი, ჯანდაბას ტაქსის ფული ხომ მაინც ავინაზღაურე-მეთქი ***(იცინის).*** ამერიკაში კი, საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარიდან იწყება. უბრალო შეჯიბრებებში 2 500-3 000 დოლარიც მომიგია. მაგალითად, ერთი კვირის წინ, ოთხ წუთში, 1 400 დოლარი მოვიგე. ასეთი მოგებები ხშირია.

**– მსოფლიო ჩემპიონატზე თუ აპირებ საქართველოს სახელით გასვლას?**

– თუ დამაფინანსებს საქართველოს ფედერაცია, მაშინ გავალ ჩემი ქვეყნის სახელით, თუ არადა, ამერიკის ჰიმნის ფონზე ვიასპარეზებ, სხვა რა გზაა?

**– ამერიკაში, საკმაოდ ბევრი გოგონა თამაშობს ბილიარდს. თუმცა, ამბობენ, ეს მანდილოსნებისთვის ცოტა უხერხული სპორტიაო.**

– მე ძალიან მომწონს, ქალი რომ ბილიარდს თამაშობს. რაღაცნაირად უხდება ***(იცინის).*** აბა, წარმოიდგინეთ, გოგონა რომ მოიმარჯვებს კიას, გადაწვება მაგიდაზე, წამით გაირინდება და ბურთებს დაშლის, რა მაგარი სანახავია. ქართველი გოგონები ამას ვერ აკეთებენ. უფრო სწორად, სექსუალურობაც აკლიათ, მაგიდაზე გადაწოლაც უხერხულობას უქმნით და ვერც თამაშობენ. თან, ქართველ გოგონებს ისე გიჟურებენ, თითქოს მათი ვალი გაქვს. ამერიკელი გოგონები კი უფრო უკომპლექსოები და მოქნილები არიან თამაშის დროს. ძალიან მაგრადაც თამაშობენ ბილიარდს. ჩემი ქართული ბუნებაც ხიბლავთ და თუ კარგად თამაშობ, ეს კიდევ ერთი პლუსია მათ თვალში. ტურნირზე ბევრი ამერიკელი გოგონა მოდის და უნდა ნახოთ, რა თვალით მიყურებენ ***(იცინის).*** თამაშის დროს კი მე მათთვის არ მცალია, ამ დროს ასტრალში ვარ, მხოლოდ ერთ რამეზე – სოფუსტებზე ვფიქრობ. როცა ბილიარდს ვთამაშობ, გოგო კი არა, საკუთარი სახელი და გვარიც არ მახსოვს. ზოგადად, ამერიკელები ქართველებს საერთოდ არ გვგვანან. აქ სხვა წესებია, სხვა მენტალიტეტი, ცხოვრება დუღს. თავიდანვე მომხიბლა ამ ქვეყანამ და ვერ მოგატყუებთ და ვერ გეტყვით, ქართული ტრადიციები მენატრება და ნოსტალგია მაგიჟებს-მეთქი. აქ ვარჯიშიც უფასო მაქვს, სპონსორიც მყავს და მეტი პერსპექტივაც მაქვს. ვივარჯიშებ და მომავალი წლიდან აქტიურად ჩავებმები არა მარტო ამერიკის, არამედ, იაპონიის, აზიის, ფილიპინების თუ სხვადასხვა ქვეყნის ტურნირებში.



**ამერიკის ჩემპიონი რომ გავხდე ბილიარდში, მექნება ბევრი ფული, მეყოლება მაგარი მანქანა, მექნება „შიკარნი" ვილა და დიდი მედალი ჩამოკიდებული გულზე. იმედია, ეს ოცნება დროში არ გამეწელება**

**– ესე იგი, ჯოხით ხელში, მსოფლიოს დაპყრობას გეგმავ?**

– ჰო, ვგეგმავ, ჯოხით ხელში უნდა დავიპყრო მთელი გლობუსი ***(იცინის).*** მთავარია, არ დაგეზაროს დროის ხარჯვა, ივარჯიშო, იშრომო და შედეგს აუცილებლად მიაღწევ.

**– წარმოიდგინე, ამერიკის ჩემპიონი რომ გახდე ბილიარდში, რა შეიცვლება შენს ცხოვრებაში?**

– რა მოხდება და, მექნება ბევრი ფული, მეყოლება მაგარი მანქანა, მექნება „შიკარნი" ვილა და დიდი მედალი გულზე. იმედია, ეს ოცნება დროში არ გამეწელება. ***(იცინის).*** ხშირად აქ, ბილიარდის სათამაშოდ, კოსტიუმში გამოწკეპილები მოდიან „სვეტსკი" ამერიკელები. ასე ჩაცმა აუცილებელია, ისე არ შეგიშვებენ კლუბში. მე კი, ყველა მიცნობს და ჯინსის შარვლითა და ბოტასებითაც კარგად მიშვებენ, ყოველგვარი „ფეისკონტროლის" გარეშე. გავიცანი მსოფლიოში ცნობილი, ათეულში შესული მობილიარდეები – ჯეისონ შო, ბრონი ალკანო და ასე შემდეგ. მათთან ერთადაც ხშირად ვთამაშობ და ერთ ტურნირზე მოვუგე კიდეც. ჩემზე მინიმუმ, ოცი წლით უფროსები არიან. მათთან ერთად ვვარჯიშობ და ბევრ რამეს ვსწავლობ. რომ ვეუბნები, ქართველი ვარ-მეთქი, „რუსს" – ასე მეძახიან. ვუხსნი, რუსი არა, ქართველი-მეთქი. მათთვის საქართველო, მაინც რუსეთთან ასოცირდება. მეუბნებიან, ჯერ 21 წლის ხარ და ყველაფერი წინ გაქვსო. ბევრი ახალგაზრდა თამაშობს ბილიარდს, მაგრამ წარმატებას ცოტა აღწევს.

**– დავიჯერო, ხინკალი, ხაჭაპური და შემწვარი დედალი არ მოგენატრა?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, არა. აქაც არის ქართული რესტორანი და თუ მომენატრება, მივალ და მივირთმევ. ძირითადად, ქუჩაში მიწევს ჭამა. სახლში ვერაფერს ვაკეთებ, მირჩევნია გარეთ ვჭამო. მომწონს ამერიკა და ვაპირებ, აქ ავიწყო კარიერა, აქ დავსახლდე და დავიხარჯო. ამ ეტაპზე ასეა, მერე კი ვნახოთ. ფილიპინები და ამერიკა – ის ქვეყნებია, სადაც ბილიარდს დიდ პატივს სცემენ. ამიტომ, მეც ამ ეტაპზე აქ მირჩევნია ცხოვრება. ამერიკაში, ოცნებები ხდება, მაგრამ, ამისთვის ბევრი უნდა ინვალო, იშრომო და მაქსიმუმი გააკეთო. ჩემთვის ერთ ღამეში იცვლება ცხოვრება – ხან ვიგებ, ხან ვაგებ. ფულზე თამაში ოფიციალურია და თუ არ გარისკე, ისე შამპანურსაც ვერ დალევ. საქართველოში კი ფულზე თამაში არ ღირს. მანდ არ წამიგია, მაგრამ ხშირად, მოგებაც მინანია.

**– რატომ?**

– აბა, კაცს რომ ფულზე ეთამაშები, მოუგებ, ის კი შუქისა და გაზის გადასახადებს ფულს გაძლევს და წუწუნზე რჩება, ცოტა უხერხულია. ნამუსიც ხომ უნდა გქონდეს, მოგებულ ფულს რომ ჯიბეში იდებ? აქ კი ასპარეზიც დიდია, ფულიც ტრიალებს და არც მოგების გრცხვენია. თუ ბილიარდი ფულზე არ ითამაშე, ისე თამაშის დონეს ვერ აწევ. ჩაფიქრებული მაქვს, მსოფლიო რანგის მობილიარდე გავხდე და ყველა ქვეყნის ტურნირები მოვიგო. დღეს, ეს ჩემი ყველაზე მთავარი დევიზია და სხვა არაფერზე ვფიქრობ.

**ნონა დათეშიძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: საიმედოა თუ არა დიაგნოსტიკური აპარატის, ეგრეთ წოდებული კომპიუტერის მიერ დასმული დიაგნოზი? ავტომობილს რაღაც გაუმართაობა სჭირს, კომპიუტერმა აჩვენა კონკრეტული დაზიანება, შევცვალე და მისი მდგომარეობა არ გამოსწორდა. რა უნდა ვქნა ამ დროს?**

პასუხი: ამა თუ იმ დაზიანების შემთხვევაში, სწორი დიაგნოზის დასმა მაინც ჭირს. კომპიუტერს შეუძლია, ის პრობლემა „დაინახოს", რომელიც უშუალოდ ელექტროსისტემებთან არის დაკავშირებული და ის მარტივად გასარკვევია. თუ ჩვენმა ავტომობილმა აანთო ეგრეთ წოდებული „ჩეკი" – „ჩეკ ენჯინი", წითელი ნათურა, რომელზეც ძრავა ხატია ან პირდაპირ წერია ინგლისურად – „ჩეკ" მაშინ კომპიუტერი ხარვეზებს უპრობლემოდ აღმოაჩენს. თუ „ჩეკი" არ აანთო, სწორედ მაშინ რთულდება ავტომობილის სატკივარის გამოცნობა, რადგან, კომპიუტერისთვის ყველაფერი მწყობრშია. პრობლემას კომპიუტერი ვერ აგვარებს, თუ მექანიკური დეტალებია დაზიანებული. მექანიკურ დეტალებს ის საერთოდ ვერ ხედავს. აზრიც არ აქვს კომპიუტერულ დიაგნოსტიკაზე მიყვანას, მაგალითად, იმ დროს, როდესაც ძრავას რაღაც ხმები აქვს, სავალი ნაწილი ახმაურდა და, მით უმეტეს, არ ანთია „ჩეკი". შესაძლოა, ამ დროს ავტომობილმა საწვავის წვას მოუმატოს, მაგრამ, ვერც ამ დროს მიაგნოს კომპიუტერმა პრობლემას. სენსორი, რომელიც კომპიუტერს ინფორმაციას აწვდის, მცდარ ინფორმაციას გადასცემს. თუმცა, მცდარია თუ არა ის, ამას კომპიუტერი, რა თქმა უნდა, ვერ არჩევს. ამიტომ, გირჩევთ, რა ტიპის პრობლემაც არ უნდა გქონდეთ, კარგი ხელოსანი მოიძიოთ და მას მიმართოთ.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> მიხაილ შუმახერი

**კითხვა: რამდენად საიმედოა დატენილი ამორტიზატორები? როგორ მოვიქცე, ხომ არ ჯობია, გამოვიწერო რომელიმე უცხოური საიტიდან?**

პასუხი: ნებისმიერი ტიპის ამორტიზატორის აღდგენაა შესაძლებელი, თუმცა, ძალიან ცოტა ხელოსანს შეუძლია საქართველოში ამის კარგად გაკეთება. თავიდანვე უნდა იცოდეთ, რომ ნებისმიერი აღდგენილი ამორტიზატორი ვერასდროს ვერ იმუშავებს ისე, როგორც ორიგინალი. კატასტროფაა, თუ ერთი ამორტიზატორი აღდგენილია, მეორე კი – ორიგინალი, რადგან, ისინი შესაბამისობაში ვერანაირად ვერ მოვლენ. დატენილი ამორტიზატორი, მით უმეტეს, თუ სწრაფად სიარული გიყვართ, დამატებით საფრთხეს ქმნის. თუ მაინც გიწევთ ამორტიზატორის აღდგენა, უმჯობესია, ორი წინა ან ორი უკანა ერთდროულად მაინც აღადგინოთ. მართალია, ერთნაირები მაინც ვერ იქნება, მაგრამ, შედარებით უფრო უკეთ იქნებიან მორგებული, ვიდრე დატენილი და ორიგინალი. ამ დროს ავტომობილი უფრო კარგი სამართავი იქნება. არ გაგიკვირდეთ, თუ აღდგენილი ამორტიზატორის შემთხვევაში, ავტომობილი საერთოდ სხვანაირად იქცევა – ის უფრო ხისტია, ან, შეიძლება, უფრო რბილიც; სხვანაირად უხვევს. ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ხელოსანი აღადგენს მას. საერთოდ, რისკის გაწევას, გირჩევნიათ, თუნდაც იაფიანი, დაბალი ხარისხის, მაგრამ, მაინც ქარხნული ამორტიზატორი შეიძინოთ. ამ დეტალში, მინიმუმ, ის ქარხნული სტანდარტები იქნება გათვალისწინებული, რომლებიც იმ კონკრეტულ მოდელს სჭირდება. ძალიან ბევრი გათვლა სჭირდება ამორტიზატორს, რომ ზუსტად მოერგოს ავტომობილს, მისი ზამბარებიდან, ავტომობილის სიმძიმიდან და სხვა გასათვალისწინებელი ფაქტორებიდან გამომდინარე. მწარმოებელი დაიცავს ქარხნულ პარამეტრებს, რასაც ვერც ერთი ძალიან მაგარი ხელოსანიც კი ვერ დაიცავს ამორტიზატორის დატენისას. რაც შეეხება გამოწერას, თუ ამის საშუალება და დალოდების დრო საკმარისი გაქვთ, ნებისმიერ შემთხვევაში, უმჯობესია ორიგინალი ნაწილის გამოწერა.

**კითხვა: მყავს „ბეემვე ზეტ 3", 2.8 ძრავით. ხელსაწყოების დაფაზე ავტომობილს განთავსებული აქვს ღილაკი, წარწერით – ASC. როდესაც ვაწვები, ხელსაწყოების დაფაზე ყვითელი ინდიკატორი ინთება. იქნებ, ამიხსნათ, რას ნიშნავს ეს ღილაკი, როდის და რა მიზნით უნდა გამოვიყენო, როდის არის ის ჩართული და როდის გამორთული? მანქანის ხელახალი დაქოქვისას ნათურა ჩამქრალია და, ვერ ვხვდები, სისტემა მუშაობს თუ არა.**

პასუხი: ASC იშიფრება, როგორც „სტაბილურობის ავტომატური კონტროლი." ეს სისტემა არ აძლევს ჩვენს ავტომობილს იმის უფლებას, რომ მოცურდეს და ავტომობილის აჩქარების დროს მართვა დაგვაკარგვინოს. ამის ალბათობა კი „ბეემვეს" ამ მოდელის შემთხვევაში ძალიან მაღალია. „ზეტ 3" საკმარისად მძლავრია იმისთვის, რომ აჩქარებისას დაბუქსავდეს და მოცურდეს. რაც შეეხება ჩართვასა და გამორთვას, ნებისმიერი ხელახალი დაქოქვისას, სისტემა ჩართული და მობილიზებულია. ღილაკზე ხელის დაჭერითა და ხელსაწყოების დაფაზე ყვითელი ინდიკატორის ანთებით, ჩვენ სისტემას ვთიშავთ და ავტომობილს იმის უფლებას ვაძლევთ, რომ დაბუქსავდეს. ვინაიდან ეს ავტომობილი სპორტულია, ის აღჭურვილია უკანა ხიდის ბლოკირებით და დაბუქსავების შემთხვევაში, იოლად ახერხებს ეგრეთ წოდებულ დრიფტს. ანუ, ეს ღილაკი იმათთვისაა, ვისაც უნდათ, რომ ამ ავტომობილით გაერთონ ან სპორტული დანიშნულებით გამოიყენონ, – მწარმოებელი აძლევს მათ ამის საშუალებას; მაგრამ, იმისთვის, რომ ღილაკი ჩვეულებრივ მძღოლს შემთხვევით არ გაეთიშოს ისე, რომ ამის შესახებ არ იცოდეს, სწორედ ამიტომ გადააზღვია „ბეემვემ" სისტემა და ყოველ დაქოქვაზე ის თავიდან ირთვება. ASC-ს სხვადასხვა ავტომობილში სხვადასხვა საფეხურებად იყენებენ. თვითონ „ზეტ 3-ის" 3.0-იან ვერსიაში, შეგვიძლია, ღილაკზე ხელის ერთი დაჭერით სისტემა ნახევრად გამოვრთოთ, მაგრამ, თუ ჩვენ ხელს ღილაკზე რამდენიმე წამით გავაჩერებთ, სისტემა სრულად ითიშება. უფრო თანამედროვე ავტომობილები, იგივე „ბეემვეს" უკანასკნელი მოდელები კიდევ უფრო მეტად დახვეწილია და დისპლეიზე განთავსებულ მენიუში შესვლით სხვადასხვა სისტემის უფრო დეტალურად დარეგულირებაა შესაძლებელი.



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**კითხვა: მყავს ავტომობილი „რავ 4". ამ ბოლო დროს ხელის მუხრუჭის მაჩვენებელი სულ ანთია. აზიანებს თუ არა ეს რამეს? სამუხრუჭე სითხე გადავამოწმე და არ აკლია. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

პასუხი: სამუხრუჭე სისტემის მაჩვენებელს სულ ორი სენსორი ანთებს: ერთი დგას იქ, სადაც სამუხრუჭე სითხე ასხია, რომელიც იმ შემთხვევაში რეაგირებს და ანთებს ნათურას, თუ სითხე დააკლდა, მეორე სენსორი კი თვითონ ხელის მუხრუჭთან დგას. თუ სითხე არ აკლია, ამ შემთხვევაში, ორიდან ერთ-ერთი სენსორი იქნება დაზიანებული. იმ ავზის სენსორის გადამოწმება, სადაც სამუხრუჭე სითხე ასხია, ძალიან მარტივია: ავზის ხუფთან ერთდება სადენები, რომლებიც ძალიან იოლად იხსნება. ამ სადენების გამოერთების დროს ხელის მუხრუჭის მაჩვენებელი ანთებული უნდა დარჩეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სენსორი არაფერ შუაშია. ზოგადად, ეს სენსორი მილიონში ერთხელ გამოდის მწყობრიდან, მაგრამ, იმდენად იოლია მისი გადამოწმება, რომ სწორედ ამით ვიწყებთ შემოწმებას. ამის შემდეგ რჩება მეორე მიზეზი – სენსორი, რომელიც ხელის მუხრუჭთან არის დამონტაჟებული და არც მისი შეცვლაა დიდი პრობლემა. თუმცა, ამას თქვენი ძალებით ვერ მოახერხებთ, აუცილებლად უნდა მიხვიდეთ ხელოსანთან.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**



ვოკალური ნაწარმოები

ფრანგული გაზეთი / მარცხი

ვიმყოფები / მანანწალა

ჩვენი ქალაქი

გადასახადი / (....) ბორისოვნა

არგენტინელი ფეხბურთელი

დიდი რუსი ფეხბურთელი

ძია ვასო ომამდე

ჩხუბი რინგზე

ქართლის სადგური

რბოლა / სარეცხს ალურჯებს

ფსიქიური შეტევა

არის ასეთი ეკალი

ხომალდი

სი–მდე / ახირება

შემოკლება / საფულე

იშვიათობა

ინგლისის ქალაქი / სიტურფე და სილამაზე

არასერიოზულობა

პირველი ლედი

ქვირფასი ქვა

ყველგან საქმებარი

უილიამი მოკლედ

(.....)-გრეკო

ჩვენი მდინარე / მოწონება

ჩვენგან შორს

ნიადაგი / ტელედიქტორი ლია...

პირველი პირი

ბაბლის წინ

აფრიკული ხე

ირინა / ყვავილი

ვაზის ტოტები / აშშ-ს ქალაქი

მტრის სასარგებლოდ ქმედება

ლოლობრიჯიდა

არეულობა

ფერმკრთალი / დარიც, ავდარიც

ვოკალი ანუ / ანტიკომუნისტი

უმცროსი ბუშის ცოლი / ფართობის საზომი

ლოდი

ორგანიზმის კვლევა

სამი – ნარდში

დამბლის დაცემა

ხარირემი (რუს.)

სკკპ-ს ორგანო

გრძნობა

იგივე რობერტი

გორკი / ჩვენ ვართ... ისინი?

არის ასეთი მეგრული გვარი

ლენინის გაზეთი / სკანდინავიელი

შოტლანდიის ტბის ურჩხული

ფილა / (.....) არტური

დეკაბრისტი

მორების შეკვრა

ფაფუკი ანუ?

...დე მოპასანი / დიახ

ჩრდ. კავკასიელი

აქლემს აქვს

ბურთი თამაშგარეთ

ძვ. ფრანგი პოლიტიკოსი

ეგვიპტელი წარჩინებული პირი მამლუქთა ეპოქაში

ლაპარაკი სიმღერით

(......) მერფი

ბოლდუინი / 10 წამი ძირს

სასახლე

პრაქტიკული მოღვაწეობა

ავანსი

საფრანგეთის ქალაქი

„იქ“ ძველი ფორმით

დიდი თეფში / რუსეთის ქალაქი

კომში / უმეცარი

თოხის „საზომი“

მღვიმელი / ფარდა

(.......) მინელი

ადვილი

ფეხბურთის მეფე

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 7 | 5 | 3 | 1 | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | 3 | 8 | 12 | 15 | 16 | 17 | 17 | 17 | | 17 | 17 | 17 | 7 | 5 | 3 | 1 | | | | | | | | |
| 1 | 2 | 4 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 6 | 7 | 7 | 9 | 9 | 9 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 30 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 7 | 7 | 5 | 3 | 2 | 1 |

| | | |
|---|---|---|
| | | 1 |
| | | 1 |
| | | 10 |
| | | 12 |
| | | 12 |
| | | 12 |
| | | 12 |
| | | 12 |
| | | 12 |
| | | 12 |
| | | 12 |
| | | 12 |
| | | 12 |
| | | 12 |
| | 3 | 13 |
| | 3 | 12 |
| | 3 | 13 |
| | 4 | 12 |
| | 4 | 13 |
| | 7 | 1 |
| 8 | 1 | 5 |
| 9 | 1 | 6 |
| | | 27 |
| | | 25 |
| | | 24 |
| | | 22 |
| | | 21 |
| | | 19 |
| | | 18 |
| | | 16 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 7 | | 6 | 3 | | 8 |
| | 4 | 3 | | 9 | 5 | | 6 | |
| 7 | | 1 | | 8 | | 5 | 9 | 4 |
| | 5 | | 6 | 7 | | 1 | 3 | |
| | | 7 | 5 | | 4 | 8 | 2 | 6 |
| 6 | 1 | | | 3 | 9 | | | 5 |
| 1 | | 4 | | | 7 | 9 | 5 | 2 |
| 5 | 8 | | 9 | 2 | | | 4 | |
| | 7 | | 4 | | 3 | 6 | | 1 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 6 | | | 8 | | | |
| | 8 | | | 5 | | | 6 | 7 |
| | | | 7 | | | 8 | | |
| | 2 | | 5 | | 3 | | 1 | |
| | | 3 | | 2 | | | | 4 |
| 6 | 5 | | 1 | | 7 | 9 | 2 | |
| 2 | | 5 | | | | 4 | | 9 |
| 4 | | 8 | 9 | | | 6 | | |
| | 9 | | 4 | | 2 | | | 8 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად






თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება





## გაიკვლიე გზა ცენტრამდე



## იპოვე შესაბამისი ჩრდილები



# გველი

## (იგავ-არაკი)

გველმა ზევსს შესჩივლა, ეს რა უსამართლობაა, ადამიანებმა მცემესო. ზევსმა უთხრა:

– პირველივე მომხდური რომ დაგეკბინა, დანარჩენებიც მოგეშვებოდნენო.

თუ პირველსავე მომხდურს სილას აგემებ, სხვები მაშინვე ჩამოგეხსნებიანო.

## რიცხვრებუსი

,10, ,5,, ,10, 10,,



# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა**: **აუცილებელია, ძაღლის აცრა ერთი თვის ასაკიდან დავიწყოთ?**

**პასუხი**: ძაღლების აცრა ერთი თვის ასაკიდან კი არა, 45 დღის ასაკიდან იწყება. ეს აუცილებელია თქვენი ძაღლის ჯანმრთელობისთვის, რადგან, მაღალი ხარისხის ვაქცინა შეიცავს რამდენიმე დაავადების საწინააღმდეგო შტამებს: ენტერიტის, ჰეპატიტის, ძაღლის ჭირის, პარაგრიპის, ლეპტოსპიროზისა და ძაღლსაშენების ხველების სინდრომის. თუ ძაღლი მაინც დაავადდა, ეს აცრები მისი გადარჩენის შესაძლებლობას იძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინფექციური ენტერიტი, რომ იტყვიან, შიდსზე მეტად საშიშია და ცხოველის სიკვდილით მთავრდება. მაგალითად, კუჭ-ნაწლავის საკმაოდ გავრცელებული დაავადება ენტერიტი, რომელსაც ენტეროვირუსები იწვევს და გამოვლინდება შეუჩერებელი ფაღარათით. ეს იმდენად მძაფრ და შემაწუხებელ სუნს გამოყოფს, რომ, ერთხელ მაინც თუ შეიყნოსეთ, ცხოვრებაში მეორედ აღარ შეგეშლებათ. ძაღლს ეწყება უმადობა, ფაღარათი, უჩქარდება გულისცემა, თანდათან აპათიური ხდება.

**კითხვა**: **ძალიან მინდა დეკორატიული ჯიშის ძაღლის შეძენა. მათი ხასიათის შესახებ ბევრი რამ შევიტყვე. მაინტერესებს, რამდენია დეკორატიული ძაღლების მინიმალური და მაქსიმალური წონა?**

**პასუხი**: რაც თბილისში ყველაზე მოდური დეკორატიული ძაღლებია შემოყვანილი, ყველაზე ნაკლებს იწონიან იორკშირ-ტერიერები, ჩიხუახუა და რუსული ტიო-ტერიერები. მათი მინიმალური წონა დაახლოებით 1,600 გრამიდან იწყება. მაქსიმალურს რაც შეეხება, დეკორატიულ ძაღლებში ყველაზე დიდი სენბერნარია, რომელიც, საორიენტაციოდ, 60 კილოგრამზე ნაკლებს არ იწონის.

**კითხვა**: **8 წლის მეტისი გვყავს, რომელიც წლებია, ეზოს პირობებში ცხოვრობს. ბოლო დროს პრობლემები შეექმნა, რის გამოც მის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება და გვირჩიეს ოპერაციის გაკეთება. დასაშვებია ამ ასაკში ქირურგიული ჩარევა?**

**პასუხი**: უკეთესი იქნებოდა, კონკრეტულად დაგესახელებინათ, რა პრობლემები შეექმნა თქვენს ძაღლს და რა სახის ოპერაციაზეა საუბარი. ზოგადად კი გეტყვით, რომ ასაკს მნიშვნელობა არ აქვს – ასაკოვან ცხოველებს ქირურგიულ ოპერაციას უკეთებენ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. უფრო მეტიც, რეალურად, ყველაზე ხშირად ოპერაციულ ჩარევას ასაკოვანი ცხოველები საჭიროებენ. ამ დროს ოპერაციულ ჩარევას სასიცოცხლო ჩვენება აქვს, თუმცა, მაღალია ანესთეზიოლოგიური რისკი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული რისკის ხარისხი დგინდება კლინიკური და სხვა სახის გამოკვლევების მონაცემების ობიექტურად შეფასების საფუძველზე და მხოლოდ მას მერე ხდება გადაწყვეტილების მიღება, გაუკეთდეს თუ არა ცხოველს ოპერაცია.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა**: **როგორ მოვუარო მაგნოლიას ქოთნის პირობებში?**

**პასუხი**: მაგნოლია სუბტროპიკული მცენარეა, ამიტომ მცენარე საერთოდ არ არის პრეტენზიული. მას როგორც ზამთარში, ასევე ზაფხულში ესაჭიროება ერთი და იგივე კლიმატი. არ ეშინია არც სიცხის, არც ყინვების. მცენარე იოლი შესანახია და არ არის პრეტენზიული. მას ახასიათებს კარგი ყვავილობა და მარადმწვანეა ჩვენს პირობებში. მცენარე გვხვდება ზღვისპირა რაიონებში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც კარგად გრძნობს თავს. საერთოდ, მაგნოლია ქოთნის პირობებში არც ისე კარგად იზრდება. ამიტომ მას ესაჭიროება ძალიან დიდი ზომის, განიერი ქოთანი და ნიადაგის გამდიდრება ტორფით, ნაკელითა და ქვიშით. ასევე, გახსოვდეთ, რომ ყოველ ადრე გაზაფხულსა და შემოდგომაზე უნდა მიაწოდოთ დამატებითი საკვები ნივთიერებები, რაც მცენარეს ხელს შეუწყობს ზრდასა და ფესვის კვებაში. მაგნოლია ზაფხულში ირწყვება ყოველ სამ დღეში ერთხელ, ხოლო თუ ზამთარში აივანზეა, ყოველ ათ დღეში ერთხელ, ოთახის პირობებში – აუცილებლად სამ-ოთხ დღეში ერთხელ. მაგნოლია დადგით მზიან ადგილას. ზამთრის ტემპერატურა უნდა იყოს +14-18 გრადუსი. მცენარე ყვავის 3-5 წლის ასაკში და ყვავილობა გრძელდება დაახლოებით ერთი თვე. მრავლდება კალმით და ასევე, კარგი აღმოცენება აქვს თესლს, რომელიც ადრე გაზაფხულზე ითესება.

**კითხვა**: **როგორი პირობები უყვარს ოთახის კამელიას?**

**პასუხი**: კამელია სუბტროპიკული მცენარეა და ესაჭიროება ჩვეულებრივი კლიმატი. ის კარგად გრძნობს თავს, როგორც ქოთანში, ასევე ღია გრუნტში. მცენარეს მკვებავი ნივთიერებები სჭირდება ქოთნის პირობებში. შეგიძლიათ კამელია დარგოთ ღია გრუნტშიც. მას არ ეშინია სიცივის და არც სიცხეების. ამიტომ, არ არის პრეტენზიული. შეგიძლიათ გაახაროთ, როგორც თესლით, ასევე კალმით, რადგან მალევე ფესვიანდება. რაც მთავარია, კამელია მარადმწვანე მცენარეა და ფოთლებს არ ყრის. მისი ყვავილობა დიდხანს გრძელდება, რადგან მორიგეობით ხსნის საყვავილე კოკრებს. სახლის პირობებში მცენარე დადგით აღმოსავლეთის მხარეს. ეს ადგილი მისთვის უნიკალურია. მას ახასიათებს ამონაყარიც, რომელიც უფესვოდ ამოდის ნიადაგიდან. ამონაყარი არასდროს მოაცილოთ. შეგიძლიათ, ადრე გაზაფხულზე გახევებული ტოტები მოაჭრათ და დააფესვიანოთ.

**კითხვა**: **როგორ მოვიქცეთ, თუ ოთახის ია არ ყვავილობს?**

**პასუხი**: ოთახის ია ტროპიკული მცენარეა და ტროპიკული გარემო სჭირდება. ეს ნიშნავს, რომ მცენარე უნდა ამყოფოთ ხელოვნურ განათებასა და 40-პროცენტიან ნესტიანობაში. მას ახასიათებს უხვი ყვავილობა და კარგი ბოჭკოვანი ზრდა. იას აქვს სუსტი ფუნჯოვანი ფესვის სისტემა, ამიტომ ეცადეთ, მცენარე მოჭრილ ქოთანში დარგოთ, რათა ფესვებმა კარგად იმუშაოს. თუ დიდ ქოთანში დარგავთ, მისი ფესვები ზრდას დაიწყებს და შესაძლოა, მცენარე სავავლალო მდგომარეობამდე მივიდეს. ასეთ დროს ია გადაიტანეთ მომცრო ზომის ქოთანში, რათა ნორმალურ პირობებს დაუბრუნდეს. ოთახის ია მალევე ბერდება, ამიტომ საჭიროა, ძველი ფოთლები მოაცალოთ ან გამოხშიროთ, რომ ისევ ახალი ფოთლები წამოიზარდოს და გაახალგაზრდავდეს. ის ფესვიანდება თავისივე ფოთლებით.

**მოამზადა**
**თეოგა გოზალიშვილმა**

# 16 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის ბებიის საყვარელი 12 წლით დააპატიმრეს



არასრულწლოვნის გაუპატიურებისთვის 52 წლის სულიკო ც-ს სასამართლომ 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა. კაცი რვა წლით უფროს ქალთან ქმრის სტატუსით ცხოვრობდა, მის შვილებს „მამასავით" ექცეოდა, მისი შვილიშვილები კი „ბაბუს" ეძახდნენ. თუმცა, „ბაბუა" „შვილიშვილის" გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს...

საქმის მასალებით, როდესაც სულიკო ც. მეგობარ ქალთან, ანუ, ოლია ქ-სთან საცხოვრებლად გადავიდა, ცოლთან ოფიციალურად გაყრილი არ იყო. ის ოლიას თითქმის ერთი წლის განმავლობაში ხვდებოდა და, მიუხედავად რვაწლიანი ასაკობრივი სხვაობისა, ვინაიდან ერთმანეთი შეუყვარდათ და თავს ერთად კარგად გრძნობდნენ, არარეგისტრირებული ცოლ-ქმარი გახდნენ. სწორედ ოლიას სიყვარულის მოტივით, ბრალდებული კატეგორიულად უარყოფდა, რომ 16 წლის გოგონასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა, თუმცა, გამოძიებით დადგენილია, რომ მსგავსი კონტაქტი დაზარალებულთან მას ერთადერთხელ არ ჰქონია.

ჩვენებაში ბრალდებული თავადვე წერს, რომ ოლიას შვილებთან და შვილიშვილებთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა. მათ ის ოჯახის წევრად მიაჩნდათ და, ბავშვებს არა მხოლოდ უტოვებდნენ, სასეირნოდაც ატანდნენ. ის კი არა, მოგვიანებით, როდესაც ის და ოლია საცხოვრებლად ცალკე გავიდნენ, სულიკო „შვილიშვილებს" ძველ სახლში მაინც აკითხავდა, რადგან, მასაც და ბავშვებსაც, თურმე, ერთმანეთი ენატრებოდათ.

საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებულმა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ოლია ქ-ს შვილიშვილთან სქესობრივი კავშირის დამყარება განიზრახა. 21 აგვისტოს, დღის 12 საათზე, ის ბავშვის სახლთან მივიდა, სადაც შენიშნა, რომ 16 წლის მზია, 9 წლის დასთან ერთად, მეზობლის ბავშვებთან თამაშობდა. განზრახვისთვის ხელი რომ არ შეშლოდა და 16 წლის გოგონასთან განმარტოება მოეხერხებინა, სულიკომ 9 წლის სალომეს 15 ლარი მისცა და მეგობრებთან ერთად ნაყინის საჭმელად გაუშვა. ამის შემდეგ, ის მზიასთან ერთად სახლში ავიდა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, მან გოგონას სთხოვა, ბებიამისის, ოლიას სახლში წაჰყოლოდა, რადგან იქ თავისი შვილიშვილები უნდა მოსვლოდნენ და, სურდა, ბავშვებს ერთმანეთი გაეცნოთ. როდესაც მზიამ უთხრა, სალომეც წავიყვანოთო, სულიკო ც-მ დაარწმუნა, რომ მისი შვილიშვილები უფროსები იყვნენ და 9 წლის სალომესთვის მათთან ურთიერთობა საინტერესო არ იქნებოდა.

16 წლის მზია, რომელსაც კაცი ბაბუად მიაჩნდა, საბოლოოდ დათანხმდა წასვლაზე. მასთან ერთად ავიდა სახლში, ტანსაცმელი გამოიცვალა და „ბაბუას" ბებიის სახლში გაჰყვა, თუმცა, შინ მისულებს არავინ დახვდათ, რაზეც „ბაბუამ" უთხრა, რომ მალე მოვიდოდნენ. როგორც გამოძიება ამტკიცებს, კაცმა გოგონას სხვადასხვა თემაზე გაუბა საუბარი და მოულოდნელად მოფერება დაუწყო. გოგონამ გარეთ გასვლა დააპირა და გასასვლელი კარისკენ წავიდა, მაგრამ, ბინიდან გასვლა ველარ შეძლო – „ბაბუამ" ხელი მოჰკიდა და ძალის გამოყენებით უკან შეაბრუნა. გოგონამ დაყვირება სცადა, მაგრამ მამაკაცმა მას პირზე ხელი ააფარა და საწოლზე დააგდო... მზია მოძალადისგან თავის დაღწევას ცდილობდა, თუმცა, ვერ მოახერხა. მოძალადემ მას კაბა და საცვალი ძალით გახადა და სქესობრივი კავშირი დაამყარა, ამის შემდეგ კი გოგონას დაემუქრა, რომ მომხდარი არავისთვის ეთქვა და სახლში თავადვე წაიყვანა...

გამოძიების მასალებით, მომხდარის შემდეგ მსგავსი ფაქტი კიდევ მოხდა, მაგრამ, ამჯერად სულიკო ც-მ მოზარდზე ძალადობა უკვე გოგონას ბინაში განახორციელა. სულიკო ც-მ იცოდა, რომ ბავშვები სახლში მარტოები იყვნენ, თუმცა, როგორც პირველ შემთხვევაში, მან 9 წლის სალომე ფულით „მოქრთამა" და გარეთ გაუშვა სათამაშოდ...

სულიკო ც. სასამართლოს წინაშე უმძიმესი ბრალდებით წარდგა. მის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე – გაუპატიურების მუხლით აღიძრა.

სასამართლო პროცესზე დაიკითხნენ როგორც გოგონას დედა, ასევე, ბებია. დედა ამბობდა, რომ მომხდარის შესახებ შემთხვევით, მას შემდეგ გაიგო, როდესაც 9 წლის სალომემ სამსახურში დაურეკა და უთხრა, რომ სულიკო „ბაბუამ" მზია სადღაც წაიყვანა, მას კი კარი გარედან ჩაუკეტა და ეშინოდა.

დაზარალებულის დედის ჩვენებიდან: „სამსახურში ვიყავი, როდესაც ბავშვმა ტირილით დამირეკა. მითხრა, რომ მზია სულიკომ სადღაც წაიყვანა, თვითონ კი ჩაკეტა. ამის შემდეგ მზიას დავურეკე, რომელმაც დათრგუნული ხმით მითხრა, რომ სახლში მალე დაბრუნდებოდა. მისმა ხმამ შამაშინა. თანამშრომლის მანქანით მაშინვე სახლში დავბრუნდი. შინ მისულს მზიაც დამხვდა, რომელიც შეშინებული ჩანდა. მითხრა, რომ „ბაბუამ" ბაზრობაზე გაიყოლა და ამიტომ წავიდა სახლიდან. მას იმ დღეს სიმართლე არ უთქვამს. მეორე დღეს კი, დახეული კაბა მაჩვენა და გამომიტყდა, რომ გააუპატიურეს. როდესაც მოძალადის ვინაობა გავიგე, მისი მოკვლა მინდოდა. მაშინვე დედაჩემს დავურეკე, რომელიც შემდეგ ჩემთან ერთად სულიკოსთან დაკავშირებას ცდილობდა, მაგრამ ის ჩვენს ზარებს არ პასუხობდა. ამის შემდეგ პოლიციას მივმართე, რომელმაც დამნაშავე ერთ საათში დააკავა."

არასრულწლოვანმა დაზარალებულმა დამნაშავე თავადაც ამხილა: „სულიკო ბებიას ბინაში ცხოვრობდა. ჩემ მიმართ თავიდანვე ყურადღებას იჩენდა და სახლში მას შემდეგაც გვაკითხავდა, რაც ის და ბებია სხვაგან გადავიდნენ. იმ დღეს ვცადე მისგან გაქცევა, მაგრამ, უშედეგოდ – კარს რომ მივვარდი, დაკეტილი დამხვდა. საძინებელში ძალით შემიყვანა. ვყვიროდი, მაგრამ, პირზე ხელი ამაფარა. მოშორებას ვცდილობდი, მაგრამ ვერ მოვერიე, საწოლზე დამაგდო, ძალით გამხადა საცვალი და გამაუპატიურა... შემდეგ მითხრა, თუ იტყვი, მოგკლავო. სახლში მისულმა ტანსაცმელი გავიხადე და დავმალე... ძალიან აფორიაქებული ვიყავი. ის მომდევნო დღეებშიც ვნახე, ცუდად ვექცეოდი, რაც ჩემმა დამ შენიშნა და მეჩხუბებოდა, ბაბუას ცუდად რატომ ელაპარაკებიო. მომხდარიდან რამდენიმე დღის შემდედ ისევ მოვიდა. იმ დროს ჩვენთან მეზობელი იმყოფებოდა. მუსიკას ავუწიე, რომ კარზე კაკუნის ხმა არავის გაეგო. შემდეგ ეზოში დავინახე, ჩემს დას ელაპარაკებოდა. შიშის გამო დედას თავიდან სიმართლე ვერ ვუთხარი. მომხდარი გავუმხილე, მაგრამ, შემდეგ დავარწმუნე, რომ მოვატყუე, თუმცა, მერე სიმართლე მაინც ვუთხარი..."

ჩვენება გოგონას პატარა დამაც მისცა, რომელმაც დაადასტურა, რომ ბოლო დროს „ბაბუამისი" ფულს ხშირად აძლევდა. ანალოგიური შინაარსის იყო მისი მეგობრების ჩვენებაც. ბავშვები არაერთხელ გახდნენ იმის მომსწრენი, რომ სალომე ბაბუას ფულს არ ართმევდა, მაგრამ ის ძალით უდებდა ჯიბეში.

რაც შეეხება გოგონას ბებიას, რომელიც მოწმის სტატუსით დაიკითხა, განმარტა, იგი ბრალდებულთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა და ერთად თითქმის წელიწადი ცხოვრობდნენ. მისი თქმით, სულიკოს მის შვილთან და შვილიშვილებთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა, განსაკუთრებით უყვარდა მზია, რაც ცუდად არ აღუქვამს, რადგან, მისი ასაკის შვილიშვილი სულიკოსაც ჰყავდა. მაგრამ, ვინაიდან სულიკო ოჯახიდან წამოვიდა, შვილები და შვილიშვილები აღარ ეკონტაქტებოდნენ და მზიასადმი ასეთ ყურადღებას სწორედ ამ ფაქტორს უკავშირებდა.

„იმ საღამოს სახლში რომ მოვედი, სულიკო აფორიაქებული მომეჩვენა. მითხრა, რომ სამსახურის გამო იყო აღლვებული. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი ნათესავის დაბადების დღეზე წავედით. იქ ჩემი შვილი და შვილიშვილებიც იყვნენ. ყურადღება არ გამიმახვილებია, მაგრამ შევნიშნე, რომ მზია ჩემს ქმარს აგდებულად ექცეოდა, რაც ძალიან მეწყინა, რადგან, სულიკოს ის განსაკუთრებულად უყვარდა. მიმაჩნდა, რომ ბავშვისგან ასეთ მოპყრობას არ იმსახურებდა. ამ ამბიდან დაახლოებით ათ დღეში სულიკომ გამოაცხადა, რომ მისი უფროსი შვილი კაფელს აგებდა, უნდა დახმარებოდა და ცოტა ხნით მასთან უნდა გადასულიყო. გამიხარდა, რადგან, ვიფიქრე, მამა-შვილი შერიგდა-მეთქი. ეჭვი არაფერში შემიტანია, ტანსაცმელი გავუმზადე და წავიდა. იმავე დღეს ჩემი ქალიშვილისგან შევიტყვე, რომ მან ჩემი შვილიშვილი გააუპატიურა," – განაცხადა ბრალდებულის ეგრეთ წოდებულმა მეუღლემ.

დაზარალებული მხარე ბრალდებულის უმკაცრესად დასჯას მოითხოვდა, თუმცა, თავად ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ ცნო.

ბრალდებულის ჩვენებიდან: „ოლია თავად მთხოვდა, რომ ბავშვებისთვის ყურადღება მიმექცია. სწორედ ამიტომ ვაკითხავდი ხოლმე მის შვილსა და შვილიშვილებს სახლში. იმ დღეს, როდესაც მზია სახლში წამოვიყვანე, ცოტა ხნით ლიმონათის საყიდლად მაღაზიაში გავედი. რომ დავბრუნდი, მისაღებ ოთახში გამომწვევად იწვა. ხელი მომკიდა და დივანზე ძალით დამსვა. მისთვის არაფერი დამიშავებია..." – აცხადებდა განსასჯელი, რომელიც გამართლებას ითხოვდა, მაგრამ, სასამართლომ მისი თხოვნა არ გაითვალისწინა. საქმე ისაა, რომ მას განსხვავებული, ანუ, რეალური ჩვენება ჰქონდა მიცემული გამოძიების პირველივე ეტაპზე. ის პირველ ჩვენებაში ამბობდა, რომ ბავშვმა დივანზე თვითონ წამოაწვინა ძალით და, აღიარა, რომ „თავი ველარ შეიკავა" და მასთან ინტიმური კავშირი დაამყარა...

რაც შეეხება ჩვენებაში აღწერილ კაბის გახდასა და სხვა ინტიმურ დეტალებს, განსასჯელი ამბობდა, რომ ეს გამოძიების მიერ შეთითხნილი სრული აბსურდი იყო, ისევე, როგორც დაზარალებული ბავშვის ჩვენება. სულიკო ც. ირწმუნებოდა, რომ გოგონა მას არ გაუუპატიურებია, რადგან ის ქალწული არ იყო. მისი თქმით, მზიამ გაუმხილა, რომ პირველი ინტიმური კავშირი მას შეყვარებულთან ჰქონდა, რომელმაც შემდეგ მიატოვა...

რაც შეეხება ექსპერტებს, რეალურად, გოგონას ექსპერტიზა გვიან ჩაუტარდა, რის გამოც სხეულზე დაზიანების კვალი – სისხლჩაქცევები და ასე შემდეგ. ვერ აღმოუჩინეს, მაგრამ, მოზარდს საქალწულე აპკი დარღვეული ჰქონდა...

შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა არც ბრალდებულის და არც მისი დაცვის პოზიცია. ჩათვალა, რომ ბრალდებულის ჩვენებები წინააღმდეგობაში მოდიოდა როგორც გამოძიების ეტაპზე მიცემულ მის ჩვენებასთან, ასევე, მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეულ დანარჩენ მტკიცებულებებთან და ბრალდებულ სულიკო ც-ს 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა...

**ეკა ბარაბაძე**

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-35(661)

ციხიდან ერთი კვირის გამოსული ვიყავი, როდესაც ლაშამ და ლევანმა საშინელი ამბავი მაცნობეს. მეძინა. ძალიან ციოდა და მიუხედავად იმისა, რომ ოთხი პლედი მეფარა, ძილშიაც ვგრძნობდი იანვრის სუსხს. მთელი ღამე ვასია ბრილიანტი მესიზმრებოდა, რომელიც რაღაცას მეუბნებოდა, თითქოს ინფორაციას მაწვდიდა, მაგრამ ვერაფერს ვგებულობდი. ძლიერი ბრახუნის ხმამ გამომაღვიძა. თვალი რომ გავახილე, ცხრას თხუთმეტი წუთი აკლდა. გაბრაზებული ავდექი, კარი გავაღე და გაფითრებული ლაშა და ლევანი დავინახე შეშლილი სახეებით. მივხვდი, ცუდი ამბავი მოიტანეს. ისინი ჯერ სახლში შემოვიყვანე და მერე ვკითხე:

– რა მოხდა?

– ბერძენა მოკლეს! – მითხრა ლევანმა.

ასეთ საშინელ ამბავს ნამდვილად არ ველოდი. ამიტომ ელდა მეცა და ნიკაპი ამიკანკალდა. რის ვაი-ვაგლახით სიგარეტი ამოვაცურე კოლოფიდან. რომ გავაბოლე და ცოტა ძალები მოვიკრიბე, ვიკითხე:

– როდის, სად?

– მე ცოლს არასდროს ვუღალატებ, – სიცილით თქვა ნიკამ, მერე კი ისევ ზურაბს ჰკითხა: მაინც, როგორ ათქმევინეთ, რომ დანაშაულის ამხელა ჯაჭვი მისი „აკინძული" იყო?

– ცხადია, დამხმარეები ჰყავდა, მაგრამ, ყველაფრის სულის ჩამდგმელი თავად გახლდათ. ისე, ამ დონეზე რომ არ გაღორებულიყო, შეიძლება, მართლა ქვეშიდან გამომძვრალიყო. როგორ ნაძირალას არ შევხვედრივარ ცხოვრებაში, მაგრამ, ასეთს – არასდროს. მაპატიეთ და, უარესი თახსირი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. კუთხეში რომ მივამწყვდიეთ, ყველანაირად ცდილობდა, თავისი შავი საქმეები სხვებისთვის გადაებრალებინა და ისეთი ადამიანების გასვრას შეეცადა, ამ საქმეებთან კავშირიც რომ არასდროს ჰქონიათ, მაგრამ, არაფერი გამოუვიდა. სხვათა შორის, ახლაც გაოცებული ვარ, სად და როდის შეისწავლა ეს „კაგებეშნიკური" მეთოდები. ჩვენ თანაკურსელები ვიყავით. მაგრამ, ეტყობა, სკოლის ასაკიდანვე ასწავლა ვიღაცამ თვალთვალი, დასმენა, ტყუილი კომპრომატების შეთითხვნა, რადგან, პირველი კურსიდანვე უკვე ასეთი იყო. მისი დაბეზღების წყალობით გარიცხეს მაშინ რამდენიმე საუკეთესო პროფესორი და არაჩვეულებრივი ადამიანი და, სხვათა შორის, მეც იმიტომ გამრიცხეს, რომ ერთ-ერთი ასეთი „ჩაშვების" გამო ცხვირ-პირი ამოვუნაყე უნივერსიტეტის ტუალეტში და, რა თქმა უნდა, მეორე დღესვე ამიკრეს გუდა-ნაბადი. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოვახერხე იურიდიულზე ჩაბარება, თუმცა, არა აქ, არამედ, ურალის მთელის გადაღმა...



ნიკა აშკარად დაიღალა, მაგრამ ისე აინტერესებდა ყველა წვრილმანი, სული მოითქვა თუ არა, ზურაბის გამოკითხვა განაგრძო: ერთი ის გამაგებინეთ, ანდრო სირაძე რატომ მოაკვლევინა? საბუთების



მიხედვით, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ნანა სირაძის ხელმოწერა იყო გაყალბებული, ბანკშიც და დაზღვევაშიც, ოფიციალურად ყველაფერი კანონის დაცვით იყო გაფორმებული და, როგორც სანიმუშო გადამხდელისგან, ყველა სარგებელს მიიღებდა, ასე არ არის?

– ასეა, მაგრამ, ჩვენი ინფორმაციით, ანდრო სირაძემ შემთხვევით რაღაცა გაიგო რუხაძის შავბნელი საქმიანობის შესახებ და, მიუხედავად იმისა, რომ ანდრო არც დამუქრებია და არც შანტაჟისთვის მიუმართავს, რუხაძეს შეეშინდა და... მით უმეტეს, გირაოში ჩადებული ქონება გაცილებით მეტი იყო იმ თანხაზე, რაც სირაძემ გაიტანა, თანაც, ცოლი ვერაფერზე ველარ განაცხადებდა პრეტენზიას, რადგან ყველა საბუთზე მისი ხელმოწერა იყო დაფიქსირებული...

– ანუ, რუხაძეს ყველგან თანამზრახველი ჰყავდა?

– მკვლელობაში თანამზრახველი – არა მგონია, მაგრამ საკმაოდ მსუყე ლუკმებს ყველას უდებდა პირში და, შესაბამისად...

– ის ხომ არ გაგირკვევიათ, „ინტელგრუპჯორჯია“ რა მაქინაციებს ეწეოდა?

– მაგას, რომ მოვა, დოდო მოგიყვება, მით უფრო, რომ იქ თვითონ მუშაობდა წლების განმავლობაში. „ინტელგრუპჯორჯიას“ ცალკე მოუწევს სასამართლოებში სირბილი და იქიდანაც ბევრს გაუცვდება ციხის ნარების ხეხვით შარვალი უკანალზე, – ბრაზით თქვა ზურაბმა, – შემდეგ კი შერბილებული ტონით ჰკითხა: კიდევ რა გაინტერსებს?

– აბსოლუტურად ყველაფერი, თანაც – დაწვრილებით, ცნობისმოყვარეობა არ მასვენებს, – მიუგო ნიკამ.

– დაწვრილებით მოყოლას მთელი დღეღამე არ ეყოფა, ამიტომ, ჯობია, ამჯერად კონკრეტული კითხვები დაგვისვა, დაწვრილებით კი მაშინ გაეცნობი საქმეს, როცა აქედან გაგწერენ, – თქვა ზურაბმა.

– კონკრეტულადაც ყველაფერი მაინტერესებს. მაგალითად, რატომ მოკლეს ვერულიძე.

– ახლა ჩვენ მოგვეცით პასუხის გაცემის უფლება, ბატონო ზურაბ, – შეკავებული წყენით წარმოთქვა პროკურატურის წარმომადგენელმა, რომელიც ჩინით უფროსი უნდა ყოფილიყო, – თორემ, ისე გამოდის, რომ ჩვენ ამ ყველაფერთან არაფერ შუაში ვართ.

– კი ბატონო, ახლა თქვენ უპასუხეთ, არც მე მაქვს არაფერი საწინააღმდეგო, და დარწმუნებული ვარ, არც ნიკას, – ღიმილით დაუთმო ზურაბმა.

– დიდი მადლობა, – თავაზიანად თქვა ჩინით უფროსმა და ნიკას მიუბრუნდა, – რაც შეეხება ვერულიძის მკვლელობას, ამ შემთხვევაში ორი ვერსია არსებობს და დღეს-ხვალ დადგინდება, რომელია სწორი.

– რა ორი ვერსია?

– ერთი ის, რომ რუხაძემ გაიგო ვერულიძისა და სირაძის დაძაბული ურთიერთობა ნანა სირაძისა და ვერულიძის ეგრეთ წოდებული რომანის გამო და გადაწყვიტა, ეს მომენტი სათავისოდ გამოეყენებინა.

– ანუ? – ჩაეკითხა ნიკა.

– ანუ, ვერულიძე ისეთ გარემოებაში მოეკლა, რომ მისი და ანდრო სირაძის სიკვდილი ერთმანეთთან ყოფილიყო დაკავშირებული. კონკრეტულად კი, შექმნეს ისეთი სიტუაცია, თითქოს ვერულიძემ ჯერ ანდრო სირაძე მოკლა, შემდეგკი თავი მოიკლა.

– ეს ერთი ვერსია. მეორე ვერსია როგორია?

– მეორე ვერსიის მიხედვით, – განაგრძო პროკურატურის წარმომადგენელმა, – როდესაც რუხაძის მიერ დაქირავებულმა მკვლელმა მოკლა ანდრო სირაძე და ბინიდან გასვლას აპირებდა, სწორედ ამ დროს მოვიდა სირაძესთან ვერულიძე, რომელიც კარში შეეჩეხა მკვლელს, ან, უბრალოდ, დაინახა მისი სახე. ქილერმაც თავი დაიზღვია – ხომ შეიძლებოდა, ვერულიძეს პოლიციისთვის მიემართა და, შემდეგ, გამოძიების მსვლელობისას ისე მომხდარიყო, რომ ვერულიძეს ამოეცნო მკვლელი თუნდაც სურათზე?! მკვდარი ვერულიძე კი ვერაფერს ავნებდა, მით უფრო, თუ ქილერი თვითმკვლელობის ინსცენირებას მოაწყობდა.

– ჰო, პრინციპში, ორივე ვერსია მისაღებია, – ჩაილაპარაკა ნიკამ.

– დიახ, ორივე მისაღებია, მაგრამ რომელია ამათგან სწორი ვერსია, როგორც უკვე გითხარით, ამ დღეებში დავადგენთ. კიდევ რა გაინტერესებთ?

– როგორც ვიცი, ალექსანდრე ნინუაც იმავე ორგანიზაციებთან იყო დაკავშირებული, უფრო სწორად, მასაც დიდი თანხა ჰქონდა შეტანილი „ინტელგრუპჯორჯიაში“. ნინუაც, ისევე, როგორც სირაძე, საკმაოდ საეჭვო ვითარებაში მოკლეს. მისმა ოჯახმა კი ეს მკვლელობა, როგორც იტყვიან, „გადაყლაპა“ და არც სამშენებლო კომპანიაში შეტანილ უზარმაზარ თანხაზე გამოუთქვამს რამე პრეტენზია, მიუხედავად იმისა, რომ „ინტელგრუპჯორჯიამ“ ლამის ოფიციალურად გამოაცხადა – საერთოდ აღარ ვაპირებ არანაირი კომპლექსის აშენებას არც დიღომში და არც სადმე სხვაგან, რადგან, სათანადო ინვესტიციები ვერ მოვაგროვეო და არც აღებული თანხების უკან დაბრუნება დაუპირებია. კომპანიის მაქინაციები, ასე თუ ისე, გასაგებია, მაგრამ, თუ შეიძლება, ასე ითქვას, რამდენად ადეკვატურად მიგაჩნიათ ნინუას ოჯახის საქციელი?

– თუ გახსოვთ, ბატონო ნიკა, ნინუა სირაძეზე რამდენიმე ხნით ადრე მოკლეს. პირადად ნინუა სირაძესთან არანაირად არ იყო დაკავშირებული. ისინი, ალბათ, არც კი იცნობდნენ ერთმანეთს. მათ მხოლოდ ერთი ჰქონდათ საერთო – მკვლელობის იარაღი, ანუ, ორივე ერთი და იმავე იარაღით იყო მოკლული, ისევე, როგორც დიმიტრი გაბისონია.

– გაბისონიაზე მერე გკითხავთ. მანამდე კი ის მითხარით, ნინუასთან რა კავშირი ჰქონდა რუხაძეს?

– ნინუაც ნარკობიზნესში იყო რუხაძესთან ერთად და, როგორც ჩანს, რაღაც ვერ გაიყვეს. ნინუას თავიდან მოშორების შემდეგ კი რუხაძე მის ოჯახს დაემუქრა: თანხის მოთხოვნის ან რაიმეს გარკვევის მცდელობის შემთხვევაში, რუხაძე მთელ „შავ“ ინფორმაციას გაუგზავნიდა სამართალდამცველებს ნინუას შესახებ და მისი ოჯახი მთელ ბიზნესს დაკარგავდა.

– როგორ, რუხაძე, თანამდებობის პირი, პროკურორი, თვითონ მივიდა ნინუას ოჯახში, დააშანტაჟა და არ შეეშინდა, რომ შესაძლებელი იყო, ნინუას შვილს იქით მოეწყო მისთვის შანტაჟი?

– რუხაძე ნაძირალაა, მაგრამ, სულელი ნამდვილად არ არის. ცხადია, ის თვითონ არ მისულა ნინუებთან. იქ ისეთი კაცი გაგზავნა, ვისაც კარგად შეეძლო დაშინებაც და დარწმუნებაც.

ნიკა ცოტა ხანს გაჩუმდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაცის კითხვა უნდა და ვერ გადაუწყვეტიაო. ზურაბი მიუხვდა და შეეცადა, გაემხნევებინა.

– ნუ გერიდება, რაც გინდა, გვკითხე. ნებისმიერ შეკითხვაზე გაგცემთ პასუხს, თუკი, რა თქმა უნდა, გვექნება ამის შესახებ ინფორმაცია.

ნიკამ კიდევ ცოტა ხანს იყოყმანა და

მერე მაინც გადაწყვიტა, ბოლომდე გაერკვია ყველაფერი, რაც აინტერესებდა, უფრო სწორად, რისი დადგენაც უნდოდა.

– ალბათ, გახსოვთ, იპოდრომზე ცხენიდან რომ გადმოვვარდი... – ნიკამ ყველას მოავლო თვალი და გაჩუმდა.

– ცხადია, გვახსოვს, – ერთხმად დაეთანხმნენ პროკურატურის წარმომადგენლები. ზურაბმაც თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

– ისიც გეხსომებათ, მაშინ სასწაულით გადავურჩი სიკვდილს, – განაგრძო ნიკამ.

ისევ ყველამ დაუქნია თავი. თითოეულ მათგანს აშკარად ეტყობოდა მოუთმენლობაც და ცნობისმოყვარეობაც – ერთი სული ჰქონდათ, გაეგოთ, რისი კითხვა უნდოდა კერძო დეტექტივს.

– ცოტა უფრო დაწვრილებით რომ შეგახსენოთ, იპოდრომის მეჯინიბემ, დიმიტრი გაბისონიამ, ყველაზე წყნარი და მშვიდი ცხენი შემირჩია, სახელად „ოსკარი“, რომელიც, როგორც მაშინ ითქვა, მანქანის სიგნალის, სინამდვილეში კი საყვირის ხმაზე დაფრთხა, გადმომაგდო და თვითონ ზემოდან დამეცა. მოგვიანებით დაადგინეს, რომ იმ საყვირს ბუჩქებს ამოფარებულმა დიმიტრი გაბისონიამ ჩაჰბერა სწორედ იმ მიზნით, რომ „ოსკარი“ დამფრთხალიყო და მე გადმოვეგდე, რასაც მისი გათვლით, ჩემი სიკვდილი უნდა მოჰყოლოდა... – ნიკას აშკარად დაეტყო აღელვება. ზურაბს შეეშინდა, ცუდად არ გახდესო, ამიტომ ანიშნა, გაჩუმდიო და თვითონ განაგრძო:

– ჰო, დიმიტრი გაბისონიამ სწორედ ამ მიზნით დააფრთხო ცხენი, მაგრამ, შენ გადარჩი. აი, გაბისონია კი სწორედ იმიტომ მოკლეს, რომ შენ არ მოკვდი.

– ეგ ყველაფერი ვიცი, მაგრამ, მე სხვა რამ მაინტერესებს, – ისევ დაიძაბა ნიკა.

– სხვა რაღა უნდა გაინტერესებდეს? – ვერ მიხვდა ზურაბი.

– რა და... – ნიკამ პაუზა გააკეთა, თითქოს ისევ ყოყანობდა, ეთქვა თუ არა, რაც ასე აწუხებდა, მერე კი სძლია თავს და განაგრძო: რა და, იმ დღეს იპოდრომზე დოდომ წამიყვანა – როგორც მაშინ მითხრა, სიურპრიზი მომიწყო... – ნიკა ისევ გაჩუმდა.

– მერე? – ვეღარ მოითმინა პროკურატურის ჩინით უმცროსმა წარმომადგენელმა.

– მერე ის, რომ, – სიტყვა ჩამოართვა ნიკას ზურაბმა, – ნიკას აინტერესებს, დოდოც ხომ არ იყო მათთან შეკრული, ანუ, იმიტომ ხომ არ წაიყვანა ის დოდომ იპოდრომზე, რომ, მომხდარიყო ის, რაც მოხდა, ოღონდ, ლეტალური შედეგით. სწორად ჩამოვუყალიბე შენი შეკითხვა? – მიუბრუნდა ბოლოს ნიკას.

– ჰო, სწორედ ეგ მაინტერესებს. მოსვენებას არ მაძლევს იმაზე ფიქრი, დოდო იმიტომ ხომ არ დამიახლოვდა, რომ რუხაძის დავალებას ასრულებდა? – ნიკამ დარცხვენილმა გახედა პროკურატურის წარმომადგენლებს, რადგან, თავი ვერ შეიკავა და მათი თანდასწრებით იკითხა ის, რაც მხოლოდ მისი იყო, პირადული.

– თავიდან ეჭვი ჩვენც გაგვიჩნდა და ყველაფერი ძალიან ფრთხილად გადავამოწმეთ, – ისე ჩვეულებრივი ტონით დაიწყო ზურაბმა, რომ უხერხულობა მაშინვე გაჰქრა, – მაგრამ, დანამდვილებით გავარკვიეთ, რომ დოდომ არაფერი იცოდა. დიმიტრი გაბისონია მეჯინიბე იყო, რომელსაც დოდო კარგად იცნობდა, რადგან, ხშირად დადიოდა იპოდრომზე და, როგორც მეჯინიბეს ჰკითხა, ჰყავდათ თუ არა მშვიდი ცხენი სრულიად გამოუცდელი მხედრისთვის. გაბისონიამ უთხრა, რომ სწორედ ასეთი ცხენი იყო ოსკარი. მერე კი ჰკითხა, ვინ იყო ის გამოუცდელი მხედარი – ქალი თუ მამაკაცი. დოდომ ქალურად დაიტრაბახა, რომ სიურპრიზის გაკეთება უნდოდა თავისი თაყვანისმცემლისთვის, რომელიც სტუდენტობიდან მოსწონდა და, ამდენი წლის შემდეგ, ახლახან შეხვდა შემთხვევით, მერე კი შენი სახელი და გვარიც უთხრა, ესეც იმიტომ გააკეთა, რომ, თუნდაც ვიღაც უმნიშვნელო მამაკაცისთვის ეთქვა, მარტო არ ვარო – ესეც სუფთა ქალური ამბებია. გაბისონიამ კი, რომელსაც უკვე დავალებული ჰქონდა რუხაძისგან შენი თვალთვალი და ხელსაყრელ მომენტში შენი უმტკივნეულოდ ლიკვიდაცია, შეატყობინა ეს ამბავი რუხაძეს და კონკრეტული შეკვეთაც მიიღო, რაც მისთვის კრახით დამთავრდა.



– მართლა? – გაუხარდა ნიკას, – ესე იგი, დოდო ნამდვილად არაფერ შუაშია?

– იმ დღესთან დაკავშირებით მართლა არაფერ შუაშია და, საერთოდაც, არც ერთ მკვლელობასთან არ არის არანაირ კავშირში.

– ამაზე სასიხარულოს, ალბათ, არაფერს მეტყოდი, – შვებით ამოისუნთქა ნიკამ.

– კიდევ დაგრჩა რამე გასარკვევი თუ ახლა მაინც ამოწურე ყველა კითხვა? – ღიმილით უთხრა ზურაბმა.

– კიდევ ბევრი რამის დადგენა მინდა, მაგრამ, ერთსაც გკითხავთ და მეტს აღარ შეგაწუხებთ, – კვლავ მორიდებით თქვა ნიკამ.

– მიდი, გისმენთ, – გაამხნევა ზურაბმა.

– რა როლს ასრულებდა ამ ყველაფერში ფიფია და რატომ გამოიყვანა რუხაძემ ციხიდან გაბისონია და ზარქუა? თუმცა, რა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ ეს ორი კრიმინალი ქილერებად სჭირდებოდა.

– სწორად მიხვდი. ფიფია კი, უბრალოდ, პატივმოყვარე იდიოტი გამოდგა, რაც მშვენივრად გამოიყენა რუხაძემ.

– ანუ, ნინუას გარდა, ყველა დანარჩენი, ზარქუამ დახოცა? – დასაზუსტებლად იკითხა ნიკამ.

– ჰო, – მოკლედ უპასუხა ზურაბმა.

– გამოდის, რომ ნანა სირაძესაც ეგ ურეკავდა მუქარით, ჩვენი ბიჭებიც მაგან დახოცა და ნანას და დოდოსაც ეგ დაესხა თავს?

– ჰო, – ისევ ერთი სიტყვით გასცა ზურაბმა პასუხი.

– ანუ, მე სწორედ ზარქუას მივდევდი, პოლიციელებმა რომ მესროლეს?

– ზურქუას მისდევდით, ბატონო ნიკა, – დაეთანხმა პროკურორის წარმომადგენელი, – მაგრამ პოლიციელებმა ვერ გიცნეს და მკვლელი თქვენ ეგონეთ.

– სად არის ახლა ზარქუა, დაიჭირეთ? – ჰკითხა მას ნიკამ.

– ზარქუა ისევ რუხაძეს ეახლა ანგარიშის ჩასაბარებლად და იმ თანხის გამოსართმევად, რასაც რუხაძე შეჰპირდა, მაგრამ, ჩვენი პატივცემული პროკურორი სულაც არ აპირებდა არაფრის მიცემას და, მით უმეტეს, მიზეზიც ჰქონდა – ზარქუამ დავალება სრულყოფილად ვერ შე-

ასრულა და ამიტომ ფულის მიცემაზე უარი უთხრა. ამაზე ისინი წაკამათდნენ და ზარქუა ჩაშვებით დაემუქრა. ამიტომ, რუხაძემ ზარქუა ერთი გასროლით მოკლა, თუმცა, ისედაც აპირებდა მის მოშორებას – რაში სჭირდებოდა ასეთი მოწმე?! – ამ სიტყვებთან ერთად, კარი გაიღო და პალატაში გაღიმებული დოდო შემოვიდა, – ყველას მოგესალმებით და გილოცავთ ამდენი მკვლელობის ერთდროულად გახსნას, – მერე ნიკას საწოლთან გაჩერდა და მზრუნველობით ჰკითხა: როგორ ხარ, ტკივილები აღარ გაწუხებს?

– მოკლედ, ისეთი დახლართული საქმეა, აგათა კრისტი და ჟორჟ სიმენონიც რომ ვერ მოიფიქრებდნენ, – ღიმილით თქვა ნიკამ, მერე კი დოდოს შეხედა გაბრწყინებული თვალებით, – მე თითქმის კარგად ვარ და მიხარია, რომ დღეს ასეთ ლამაზს გხედავ.

ზურაბიც და პროკურატურის წარმომადგენლებიც შეთანხმებულივით ერთდროულად წამოიშალნენ და ნიკას დაემშვიდობნენ.

– ხვალაც შემოგივლი, ყოჩაღად იყავი, – ხელი ჩამოართვა ზურაბმა, თვალი ჩაუკრა და პალატის კარისკენ გაემართა.

– შეიძლება, ნანა სირაძეს დავურეკო? – კითხვა დაადევნა ნიკამ.

– ახლა უკვე ყველაფერი შეიძლება, – ღიმილით უთხრა ზურაბმა, ხელი აუწია და პალატიდან გავიდა.

დოდო და ნიკა რამდენიმე წუთს უხმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. დოდოს ცრემლი მოადგა თვალებზე, ნიკას ხელი აიღო, ნაზად მოეფერა და უთხრა:

– მაპატიე. ჩემ გამო ჩავარდი ამ მდგომარეობაში...

– შენ ჩემ ადგილას სხვანაირად მოიქცეოდი?

– არა.

– ჰოდა, დაივიწყე. შენ კი არა, მე უნდა გთხოვო პატიება... – გაუბედავად უთხრა ნიკამ.

– პატიება?! რის გამო? – გაუკვირდა ქალს.

– რაღაც მომენტში შენში ეჭვი შემეპარა – მეგონა, რომ...

– შენ ადგილას მეც ასე დამემართებოდა, ამიტომ, შენც დაივიწყე, – გაუღიმა დოდომ და შუბლზე აკოცა.

– ხომ არ გეწყინება, ნანას ახლა რომ დავურეკო? – თითქოს ბოდიშს უხდისო, ისე ჰკითხა ნიკამ.

– არ მეწყინება, – გაეცინა დოდოს, – მით უმეტეს, რომ ახლა სწორედ ნანასგან მოვდივარ. მოკითხვა და მადლობა შემოგითვალა. თვითონაც უნდოდა, დაერეკა, მაგრამ, არ იცოდა, შეგეძლო თუ არა მასთან ლაპარაკი.

ნიკამ მობილური აიღო და ნანას ნომერი აკრიფა.

– გისმენთ! – გაისმა ოდნავ მისუსტებული ხმა.

– ნანა, ნიკა ვარ. როგორ ხარ?

– შენ როგორ ხარ? – ნანას ისე გაუხარდა ნიკას ხმის გაგონება, პასუხის გაცემაც კი დაავიწყდა.

– მგონი, ორივე გამოვძვერით, არა? – გაეხუმრა ნიკა.

– ჰო, ღვთის და შენი წყალობით. ძალიან მადლობელი ვარ შენი, ჩუმად უპასუხა ქალმა.

– ჩემი წყალობით საავადმყოფოში მოხვდი და კიდევ მადლობას მიხდი? სიმართლე გითხრა, აღარც კი ვიცი, რა ფორმით მოგიხადო ბოდიში. როგორც ჩანს, პროფესიონალობამდე კიდევ რაღაც მაკლია.



– ზედმეტად კრიტიკული ხარ საკუთარი თავის მიმართ, – თქვა ნანამ, მერე მცირე პაუზა გააკეთა და განაგრძო: მარტო იმიტომ არ ვარ შენი მადლობელი, ქონება რომ დამიბრუნდება, შენ მე ადამიანების მიმართ რწმენა დამიბრუნე... შენ და დოდომ... – ნანამ ღრმად ჩაისუნთქა და ოდნავ გასაგონი ჩურჩულით თქვა: ნიკა, ბოდიშიც უნდა მოგიხადო.

– ბოდიშს რატომ მიხდი, ნამუსზე მაგდებ?

– არა, დოდოს გამო გითხდი ბოდიშს, უფრო სწორად, იმ სიტყვების გამო, რაც ერთხელ მასზე გითხარი. მაპატიე... მაშინ ისე ვიყავი შეშინებული, ყველა მტერი მეგონა, არადა, დოდო მართლა ძალიან კარგი ადამიანი აღმოჩნდა, თბილი და მზრუნველი ვერც კი წარმოიდგენ, თავზე რომ მადგა, როგორ მივლიდა. ექიმებიც კი მისგან ილებდნენ პალატაში შემოსვლის ნებართვას.

– ძალიან მიხარია ამის გაგონება.

– და, კიდევ, მინდა ერთი რამეც იცოდე. შეიძლება, თვითონ ეს არასდროს გითხრას...

– რა „რამე“? – დაიძაბა ნიკა.

– დოდოს უყვარხარ...ისე, ჩვეულებრივად კი არა, თავგანწირვამდე უყვარხარ და ამას დაფასება სჭირდება...

– დიდი მადლობა ყველაფრისთვის, ნანა. შენც სხვანაირად დამანახვე ადამიანები. იმედია, მეგობრებად დავრჩებით.

– აუცილებლად. მე და დოდო უკვე დავმეგობრდით.

– რომ გამოვალ, გინახულებ. აბა, ყოჩაღად იყავი!

– შენც... – თქვა ნანამ და ტელეფონი გათიშა.

დოდოს და ნიკას ნანა აღარ უხსენებიათ – ერთმანეთს უხერხული სიტუაცია არ შეუქმნეს.

– შენს ექიმს ველაპარაკე და, მითხრა, ერთ კვირაში გავწერთ, მაგრამ, ყველაფერი უნდა შეასრულოს, რასაც ვეტყვითო.

– კიდევ რა გითხრა?

– კიდევ ის მითხრა, რომ კარგი მოვლა სჭირდებაო. ამიტომ, აქედან პირდაპირ ჩემთან წავალთ და მე მოგხედავ. სანამ ბოლომდე არ გამოგაჯანმრთელებ, სახლში არ გაგიშვებ.

– პირანიები თუ რაღაც მსგავსი თევზები კიდევ გყავს? – ჰკითხა ნიკამ და დოდოს სასიამოვნოდ გაუკვირდა, რომ ნიკამ მასთან წასვლა არ გააპროტესტა.

– არა, ყველა მოვიშორე თავიდან. არც ერთ სფეროში აღარ მინდა ძალადობა, ახლა მხოლოდ მშვიდობისმოყვარე თევზები მყავს და ორი პაწაწინა წყლის კუ, – სიცილით უთხრა დოდომ.

***

ერთი კვირის შემდეგ უკვე მოლონიერებული ნიკა დოდოსთან ერთად გამოეთხოვა ექიმებს. საავადმყოფოს კიბეებზე რომ ჩამოდიოდნენ, ნიკა ქალს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– იმ ჩვენს საქმესთან დაკავშირებით, იცი, რა მაინტერესებს? „ინტელგრუპჯორჯიასა“ და „ჯი აი აის“ მაქინაციები.

– ოო, ეგ და კიდევ ბევრი სხვა სიამოვნება წინ გელის. შეგიძლია, საქმის მასალებს დაწვრილებით ისე გაეცნო, რომ სავარძლიდან ფეხიც კი არ მოიცვალო.

– ეგ როგორ?

– ყველა მასალა მოვიპოვე და კომპიუტერში ავტვირთე.

– რანაირად მოიპოვე, მოიპარე?

– ეს უკვე პროფესიონალური საიდუმლოებაა, ჩემო კარგო, – გაეცინა დოდოს და მანქანის კარი გამოაღო.

**დასასრული**

**ძალიან უნდა ენდობოდე ადამიანს, მის გემოვნებას, მონდომებას, სურვილებს და შემოქმედებით უნარს, რომ საკუთარი ქორწილი ისე გააკეთებინო, თავად მხოლოდ ის იცოდე, როგორი კაბა გეცმევა. ქორწილების ორგანიზატორების შემთხვევაშიც კი, დასაქორწინებელი წყვილი, მათი მშობლები, მეგობრები, მშობლების მეგობრები, მეზობლები და ნათესავები ყველა წვრილმანში ერევიან და თავად წყვეტენ, რა, როგორ იყოს. ამ ფონზე გადაცემა „ქორწილს“ ძალიან დიდი ნდობა აქვს და რაც მთავარია, იქ ყველაფერი პატარძლის ტირილისა და მოთქმის გარეშე მთავრდება, რადგან ყველა სიურპრიზი მათთვის და მათ გარშემოა.**

# ვისგან აქვს ეკო ფანგანს სრული თავისუფლება და რა საოცნებო ნივთი გაუუბრალოვდა მას

**ეკო ფანგანი**: ეს არის ყველაზე პოზიტიური გადაცემა. ყველაზე მაგარ შოუებშიც კი, არის დაძაბულობა, ცოტა ტკივილი, ცრემლი, ჩვენგან განსხვავებით. ჩვენმა გადამღებმა ჯგუფმა ყველაზე კარგად იცის, რა ემოციები აქვთ ამ ადამიანებს, რას განიცდიან, როგორი ბედნიერები არიან. ერთკვირიანი გადაღება რომ ერთ საათში მონტაჟდება, ყველაფერს ვერ ჩადებ. თუმცა, ვცდილობთ, მათი განწყობა მაქსიმალურად ვაჩვენოთ. ნერვიულობენ ყველაფერზე, მაგრამ ჩვენი ნდობა აქვთ. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე. ხალხი ამაზე მთელი ცხოვრება ფიქრობს – წარმოუდგენიათ ეს დღე როგორი იქნება, მერე თვეობით ემზადებიან და საშინლად განიცდიან. ჩვენთან კი მოდიან, მათ სურვილებს ვიგებთ და ვეუბნებით, ერთი კვირით ადრე დაგირეკავთ და ამ ერთ კვირაში ხდება ყველაფერი. თან, ყველა ადამიანის სურვილია, ამ დღეს მაინც ხდებოდეს ცხოვრებაში ისეთი რაღაცეები, რაც მხოლოდ კინოში გვინახავს: როცა თავად კი არ ხარ ამა თუ იმ სიურპრიზის შემოქმედი, მართლა არაფერი იცი და უამრავი ადამიანი მუშაობს იმისთვის, ბედნიერება მოგანიჭოს. თან ქორწილი ბოლო ბლოკია და მანამდე, ამ ადამიანების სიყვარულის ისტორიას ვყვებით, ვუქმნით მათ ზღაპარს, რომელში მოხვედრაზეც ყველას უოცნებია. სიყვარული იმდენნაირია, რამდენი ადამიანიც და რამდენი წყვილიცააო, ამბობენ. ამიტომ, ჩვენი ყველა გადაცემა განსხვავებული და უნიკალურია.



**ჩემი საოცნებო ქორწილია, რომ ქორწილი საერთოდ არ იყოს**

**– შენ როგორ ქორწილზე ოცნებობ?**

– ხან ერთი ეტაპი მაქვს ცხოვრებაში, ხან – მეორე. ხან როგორი მინდა და ხან – როგორი. ბავშვობაში, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ალბათ, როგორც ყველა პატარას, მეც ფუშფუშა, უზარმაზარშლეიფიან კაბაზე ვოცნებობდი. მერე ეს კაბა ნელ-ნელა დავიწროვდა. ბოლოს უკვე სხეულზე შემომეტმასნა ***(იცინის).*** არასდროს თქვა, არასდროსო, არ ვიცი, როდის რა მომიფრენს, მაგრამ, რადგან დღეს მეკითხები, დღეს ამ აზრზე ვარ: ჩემი საოცნებო ქორწილია, რომ ქორწილი საერთოდ არ იყოს. არ მინდა, არ მომწონს...

**– მგონი, დაიღალე.**

– ამ გადაცემამდეც ასე იყო. შეიძლება, გავიზარდე, რაღაცეები გადავაფასე და ამ დღემ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. შეიძლება, მქონდეს კიდეც ლამაზი ქორწილი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს არ იქნება ტრადიციული, ქართული ქორწილი, გრძელი სადღეგრძელოებით, თეფშებისა და ჭიქების მტვრევით. არ მგონია, ისეთი ადამიანი შემიყვარდეს, ვისაც ქორწილში მელექსე თამადა და თეფშების მტვრევა ენდომება. ეჭვი მეპარება... როდესაც პატარა ასაკში ქორწინდებიან და მშობლები უხდიან ქორწილს, მათ სურვილებს ემორჩილებიან. იქ შეკრებილი თანამშრომლები, მეზობლები და ყველა ის, ვისთანაც მამას უნდა, იამაყოს: აი, ჩემს შვილს რა ქორწილი გავუკეთე, რამდენი საჭმელი და სასმელიაო. ეს ჩემთვის ტანჯვასთან ასოცირდება. ჩემს ქორწილში ის ადამიანები უნდა იყვნენ, ვინც ძალიან მიყვარს, თუნდაც ჩემი მშობლების მეგობრები, ვისთანაც მეც ვმეგობრობ და არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ჩემს სახლში სულ სუფრა და სულ სტუმრიანობაა. გუშინაც მამაჩემის მეგობრები იყვნენ აგარაკზე ამოსული, ჩამოვიდა მისი მეგობარი, რომელიც „ლა სკალას“ კონცერტმაისტერია. მშვენივრად გავერთე მათთან ერთად. ყოველთვის ასე იყო და იქნება. ეს ორი ადამიანის ბედნიერების დღეა და არა მშობლების ამბიციების დაკმაყოფილების დღე. მე ისედაც ასე ვცხოვრობ, აბსოლუტური თავისუფლება მაქვს ჩემი მშობლებისგან და ისე ვიქცევი, როგორც მე მინდა და გამიხარდება. მათთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს და ზუსტად ვიცი, მამაჩემი არასდროს დადგება და არ დამიწყებს თითის ქნევას, შენს ქორწილში ეს უნდა დავპატიჟოო.

**– კაბა, როგორც უკვე თქვი, ტანზე მოტკეცილი გახდა, არა?**

– ამწუთას ასე წარმომიდგენია. თან, იცი,

**რაღაც ხაფანგში აუცილებლად გამხვევი და ბარემ თავი იმით მაინც დავიმშვიდოთ, რომ უფლისწულია**

რა არის?! ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ცხოვრებაში იმდენნაირი საქორწილო კაბა მცმია, საქორწილო კაბის უკმარისობის განცდა ნამდვილად არ მაქვს. ცხოვრებაში ერთხელ თეთრი კაბის ჩაცმაზე ყველა ოცნებობს. ამაში არის თითქოს რაღაც მაგიური, მაგრამ ჩემთვის ესეც გაუბრალოვდა, ფასი დაკარგა. ამ გადაცემისთვისაც უკვე იმდენი კაბა მაქვს მორგებული, სიუჟეტებისთვისაც მილიონნაირ კაბას მარგებენ... ხშირად წვეულებებზეც კი ისეთი კაბით მივდივარ, რომელიც ვიღაცისთვის საქორწილო კაბაა. ახლა თუ ქორწილი მექნება, ალბათ, დიდ კაბას ჩავიცვამ, დიდს თავისი მნიშვნელობით და არა სიდიდით.

**– ამდენ ქორწილში ხარ ნამყოფი, განცდილი გაქვს მათი ემოციები, მათთან ერთად იხარჯები ბოლომდე. ღირს ეს დღე ამდენ ოცნებად და წვალებად?.. და ცხოვრობდნენ ისინი ტკბილად და ბედნიერად... ეს იგრძნობა?**

– ეს ინდივიდუალურია. ასე, ვერ განსაზღვრავ. იმ კონკრეტულ მომენტში, ყველას ჰგონია, რომ ის ერთადერთია, ვისთანაც მთელი ცხოვრების გატარება უნდა. მაგრამ, ასე ყოველთვის არ ხდება. საერთოდ, ძალიან რეალისტი, პრაგმატული ადამიანი ვარ. ცაში გამოკერებული არ ვარ და ვარდისფერი სათვალე არ მიკეთია. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც მჯერა სიყვარულის და ამ დღის. შიგნიდან მაინც რომანტიკოსი ვარ და მჯერა ყველაფრის. უფრო სწორად, ვიჯერებ იმას, რაც მომწონს და რაც ცხოვრებას მილამაზებს. თუნდაც ეს ქორწილს არ ეხებოდეს. ერთ დღესასწაულს აღვნიშნავდი – მოვრთე ყველაფერი, მაგრად დავიხარჯე. აღარ მახსოვს, რომელლაც უცხო ქვეყნის დღესასწაული იყო. ჩემმა მეგობარმა მკითხა, გჯერა ამ დღისო და მე ვუპასუხე, მჯერა მსოფლიოს ყველა დღესასწაულის, რომელიც კონკრეტულ დღეს გამილამაზებს. ასე რომ, რაც გინდა და რაც გედღესასწაულება, ის უნდა იდღესასწაულო. რაც გეზეიმება, უნდა იზეიმო – იქნება ეს ქორწილი თუ ჩვეულებრივი დღე. რაღაც რომ მოგწონს, რაღაცის რომ გჯერა, ამით ცხოვრება ბევრად ლამაზი ხდება. მით უმეტეს, თუ ეს ქორწილი შენ სურვილებს შეესაბამება და არ აკეთებ იმას, რაც ნორმაა, დადგენილია თუ სხვა.

**– თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდის გჯერა?**

– რა სისულელეა, სად არიან რაინდები, მით უმეტეს, „ჯორჯიაში“. მაგრამ თუ მინდა, ვინმე სწორედ ასეთ უფლისწულად, რაინდად დავინახო და ამით ვიზეიმო, გავიხარო, ამას დავინახავ. ასეთი ტიპი ვარ, რაც მინდა, იყოს ლამაზი და ჯადოსნური, ასეთადაც დავინახავ. ისე, ცხენზე ამხედრებული პრინცების როგორ უნდა დავიჯერო, ისინი ხომ „ნო ეზისტე“ – არ არსებობენ! თუმცა, თუ მომინდება, იარსებებენ. ის კი არა, რომ დავბრმავდები სიყვარულით და ვეღარ დავინახავ და მომეჩვენება რომ პრინცია... არა, არაფერი არ მომეჩვენება, ზუსტად დავინახავ, რომ ასეთი არ არის. მაგრამ, მორჩა, ეს ჩემი პრინცია, მინდა, რომ ეს იყოს პრინცი ცხენზე და ასე უფრო ადვილია. რაღაც ხაფანგში აუცილებლად გაეხვევი და ბარემ თავი დაიმშვიდე.

**სალომე გველესიანი**

# ვინ არის აზერბაიჯანელი ბიზნესმენი, რომელიც მაკა შალიკაშვილისა და მისი მეგობრების ჯადოსნურ დღეებს აფინანსებს თურქეთში და რამდენი ათასი დოლარი უჯდება მას მსახიობის გართობა

***ასეთი ინტერვიუები ხშირად იბეჭდება პრესაში. უმრავლეს შემთხვევაში, სიმართლე მხოლოდ ჟურნალისტმა იცის, რადგან, რესპონდენტები ჟურნალისტებთან ერთგვარად ცრუობენ – საკუთარ „ფეისს“ მაკიაჟის გარდა, ფანტაზიებითაც მოხატავენ ხოლმე და მერე თავადვე უჭირთ საკუთარი თავის ცნობა. მაგრამ, ეს ჩემს რესპონდენტს არ ეხება. ის მგზავრობდა ავტობუსით, „მარშრუტკით,“ მეტროთი და, ახლა უკვე – იახტით, თუმცა, ისევ მაკა შალიკაშვილია.***

**– მაკა, შენი „სახის წიგნაკიდან“ ვხვდები, რომ კარგ ახალ ამბებში ხარ...**

– ბოდიში მომითხოვია და, „სახის წიგნაკი“ რა არის?

**– აი, რას ნიშნავს, რომ ინგლისურმა წალეკა ქვეყანა და ქართული ნელ-ნელა გვავიწყდება!.. „სახის წიგნაკი“ არის იგივე „ფეისბუქი.“ სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ აღმოვაჩინე, რომ, თურმე, ბევრმა არ იცოდა, „ჯეოსტარი“ რომ „საქართველოს ვარსკვლავს ნიშნავს“.**

– „ჯეოსტარი“ ვიცოდი, მაგრამ, „სახის წიგნაკი“ პირველად გავიგე *(იცინის).* რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

**– გავიგე, ანტალიაში ისვენებ და, თანაც, საკმაოდ საინტერესო გარემოცვაში.**

– ხოო?! აი, როგორ ვრცელდება ჭორები... გარემოცვა საიდანღა გაიგეთ? *(იცინის)* სამუშაოს თვალსაზრისით მკვდარი სეზონია და გართობის მხრივ – აქტიური, მაგრამ, გააჩნია, რომელ ქვეყანაში ხარ.

**– ყველას აქვს ინფორმაციის საკუთარი წყარო, თან, ზღვის ტალღების ხმა მესმის, მაგრამ, სიმინდი, ბულკი, სემიჩკაო, არავინ ყვირის.**

– სამწუხაროდ, მგონი, ბათუმი-ქობულეთშიც აკრძალეს სანაპიროზე სიმინდი, არადა, სულ სხვა გემო აქვს იქვე ნაყიდს. ანტალიაში არა, მაგრამ, ბოდრუმის ულამაზეს სანაპიროზე ვარ, ჩემი ფანჯრიდან ჩანს აუზი, რომელიც თითქოს ზღვას უერთდება, ვილა კლდეზეა აშენებული, კიბეებით ჩადიხარ ქვემოთ და სანაპიროზე ხვდები. აივნიდან რომ ვიყურები, ისეთი სილამაზეა, თავი სამოთხეში მგონია.

**– ანუ, სასტუმროში არ ცხოვრობ?**

– არა. ჩემს მეგობრებს 20 სექტემბრამდე ვილა აქვთ ნაქირავები და დამპატიჟეს. მე სამი დღეა, რაც თბილისიდან გამოვექეცი და, დავბრუნდები მაშინ, როცა სარკეში ჩავიხედავ და საკუთარ სხეულს ველარ დავინახავ. ესენი უკვე ტარაკნებივით არიან, თან, ისეთი საოცარი ფერი აქვს ყველას, სურვილი მიჩნდება, რომელიმეს სახე ავახიო და მე მივიწებო.

**– ჯერ ცხოვრება წინ გაქვს.**

– თანაც, ნეტავ იცოდე, როგორი! სამი დღეა, აქ ვარ და უკვე საოცრებების მომსწრე გავხდი. წინ კიდევ როგორი ჯადოსნური დღეები მელის, წარმომიდგენია, უფრო სწორად, ვერ წარმომიდგენია.



**– მაგალითად, რა საოცრებების მომსწრე ხარ?**

– მე რომ აქ ვარ, თვით ეს უკვე საოცრებაა *(იცინის),* გარდა ამისა, ყოველღამე გრანდიოზული „ფართი“ იმართება, ამერიკულ ფილმებში რომ მინახავს, ისეთი. მთელი ვილა, თავისი სანაპიროთი, ფერადი შუქებითა და ჩირაღდნებით არის განათებული. ჩვენ 12 მეგობარი ვართ, მაგრამ, ყოველ საღამოს კიდევ უამრავი მეგობრის მეგობარი გვიერთდება და არის დიდი ამბავი.

**– როგორც „ოუშენის (ოკეანის) 12 მეგობარი“ და, ყველა მეგობარი ქართველია?**

– თითქმის. ჩემი დაქალის ბოიფრენდი აზერბაიჯანელი ბიზნესმენია და მან მოგვიწყო ასეთი დაუვიწყარი არდადეგები. როგორც ვიცი, ერთი დღე-ღამე 5 000 დოლარი ღირს და ამაში შედის აბსოლუტურად ყველაფერი – მომსახურე პერსონალი, თავისი ყოველდღიური ივენთებით.

**– შენც ბოიფრენდთან ერთად წახვედი თუ თავისუფალ ფრენაში ხარ?**

– დიდი ხანია, ბოიფრენდი აღარ მყავს. ჩვენი ურთიერთობა უფრო ღრმა და მრავლის მომცველია, საქმროსაც ვერ დავარქმევ, უბრალოდ, ცოლ-ქმარი გვქვია. მართალია, უკანონო ქორწინებაში ვარ, მაგრამ, მაინც მისი ცოლი მქვია, თუმცა, გადავწყვიტეთ, ეს ზაფხული, ცალ-ცალკე გაგვეტარებინა, რომ სექტემბრიდან ახალი ძალებით, ახალი ენერგიითა და ვნებებით დავტკბეთ. ზოგჯერ, შეიძლება, სიყვარულითაც დაიღალო და, ამიტომ, აუცილებელია, ცოტა ხანს მისგანაც დაისვენო – ურთიერთობის გადახალისების მიზნით.

**– რა არის შენთვის სიყვარული?**

– ანგარება! – როცა ორ ადამიანს ერთმანეთი სჭირდება. ოღონდ, ანგარება კარგი გაგებით. სიტყვა „სიყვარული“ დადებითი ემოციების ერთობლიობაა, რომელსაც ორი ადამიანი ერთმანეთის მიმართ განიცდის, მაგალითად: შენი თითოეული მოძრაობა მაგიჟებს, შენი კანის სურნელი ჭკუას მაკარგვინებს, მომწონს, როგორ იმზირები, როგორ ჭამ, როგორ დადიხარ, როგორ საუბრობ და ასე, დაუსრულებლად... სიტყვებში გამოხატული ემოციები... მერე გადის დრო და სიყვარული ნელდება, ანუ, აღარ სჭირდები ან აღარ გჭირდება; შენი საუბარი აღიზიანებს, თუმცა, მიხრა-მოხრა ისევ აღაგზნებს და, როცა ეს უკანასკნელიც დაკარგავს მასში ინტერესს, ესე იგი, სხვისმა დაუბანელმა სხეულის სურნელმა მოხიბლა და ახლა ის უნდა შეიყნოსოს; ასეთ შემთხვევაში კი იტყვიან – სხვა შეუყვარდაო.

**– ამ თემას სხვა დროს ჩავუღრმავდეთ. ახლა ის მითხარი, თბილისში დაბრუნების შემდეგ რა გეგმები გაქვს?**

– არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ, შესაძლოა, კოკო შანელის პირადი პიკანტური ცხოვრების შესახებ ფილმი გადაიღონ და მთავარ როლზე მიმიწვიონ. პირველადი სინჯები უკვე გავიარე და წინ კიდევ ორი ეტაპი მელის, რომლის შემდეგაც გადაწყდება, ვითამაშებ თუ არა შანელს. თუ ეს მართლა მოხდა, მაშინ ჰოლივუდში მომიწევს წასვლა და, ალბათ, ხვდები, ეს რასაც ნიშნავს.

**– ფილმის რეჟისორი ქართველია?**

– არა. ამერიკელი დამწყები რეჟისორი იღებს, რომლის პროდიუსერია ქართველი და სწორედ მან შესთავაზა ჩემი კანდიდატურა, თუმცა, როგორც ვიცი, შანელის შემსრულებელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეძებენ. პროდიუსერების სურვილია, რომ ისინი, როგორც გუნდი, ახალი სახეებით წარდგნენ ჰოლივუდში. მანამდე კი აჭარის ტელევიზიაში განვაგრძობ მუშაობას ჩემი ყოველდღიური რუბრიკით – „ბათუმური ისტორიები“.

***ნათქვამია, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო. სინამდვილეში კი, ეს ინტერვიუ „ხრუშჩოვკის“ ოროთახიან ბინაში ჩაიწერა, ფინჯან ყავასთან, სადაც ეგრეთ წოდებული ვენტილატორი უარესად გვიხუთავდა სულსაც და სხეულსაც. ინტერვიუში კი რა იყო სიმართლე და რა ფანტაზია – ეს მკითხველისთვის მიმინდვია. ყველას მაინც იმის გვჯერა, რისი დაჯერებაც თავად გვაწყობს.***

# კარლ ლაგერფილდი და ფრანსუა პინო დევიდ დათუნას გამოფენაზე

პარიზში ზუსტად ერთი თვე რჩება მნიშვნელოვან მოვლენამდე ევროპის სამხატვრო სამყაროში, რომელმაც სათავე უნდა დაუდოს ახალ არტ-რევოლუციას. პარიზის ცენტრში, ფეშენებელურ მატინიონის ავენიუზე, წარმოშობით თბილისელი, ნიუ-იორკში მცხოვრები ამერიკელი მხატვრის დევიდ დათუნას საგამოფენო პროექტის Power and Beauty-ის („ძალა და სილამაზე”) – პრეზენტაცია შედგება, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება მხატვრისთვის დამახასიათებელ მანერაში შესრულებული ნამუშევრების სერია. ექსპოზიციის ცენტრში კი საფრანგეთის დროშა იქნება მოქცეული, რომელიც, ტრადიციულად, ხელოვანის სტილის გათვალისწინებით, ოპტიკური ლინზებით არის აწყობილი.



მხატვრის ფრანგულ გამოფენაზე სტუმრის სტატუსით უკვე ოფიციალურად არიან მიწვეულები: კარლ ლაგერფილდი, კატრინ დენევი, ცნობილი კოლექციონერი და მილიარდერი ფრანსუა პინო, რომლის ხელოვნების ნიმუშების კოლექციაში ინახება დევიდ დათუნას ნამუშევრები; ფრანგული ავტომრეწველობის გიგანტი კომპანიის მფლობელი ფილიპ პეჟო; საფრანგეთის ექსპრეზიდენტის, ფრანსუა მიტერანის ოჯახის წევრები და ფრანგული ბომონდის სხვა წარმომადგენლები. გამოფენა საზეიმოდ 10 ოქტომბერს გაიხსნება და, პარიზი, კერძოდ, მონმარტრი, რომელიც დევიდ დათუნასთვის დიდი ხანია, რაც შემოქმედებით მექად იქცა ევროპულ არტ-სცენაზე, ამჯერად ახალი „რევოლუციის” დასაბამად იქცევა.

შეგახსენებთ, რომ დევიდ დათუნა ცნობილი გახდა 2000-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მისი ნამუშევრების სერიამ, სახელწოდებით – „მილიონების მზერა,” მოწონება დაიმსახურა ხელოვნებისა და კოლექციონერების სამყაროში. ამჟამად დევიდ დათუნას ნამუშევრების ფასი რამდენიმე ასეულ ათას დოლარს და მილიონსაც კი აჭარბებს.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

# რა მოსაზრებით მოხდა თამარ მეფის ქორწინება გიორგი რუსზე და როდის ჩნდება თავდაპირველად საქართველოს ისტორიაში პარლამენტის ჩანასახი

1184 წელს, გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ავიდა სრულიად ახალგაზრდა თამარი. დასაწყისში მას დიდი ფეოდალები აუჯანყდნენ და მოითხოვეს, თამარს სამეფო კარისთვის ჩამოეშორებინა გიორგი მესამის დრიონდელი ერთგული მსახურები, რომლებიც, თავიანთი სოციალური წარმოშობით წარჩინებულ ფეოდალურ საგვარეულოებს არ ეკუთვნოდნენ. თამარი იძულებული გახდა, დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნა და ხელისუფლებას ჩამოაშორა ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი.

ამის გაგრძელება იყო ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა მოთხოვნით, რომ სამეფო სასახლესთან, ისნის ველზე, კარავი შექმნილიყო, რომელიც გადაწყვეტდა ბევრ ისეთ სახელმწიფოებრივ საქმეს, რომელშიც მეფეს პირდაპირი ჩარევის უფლება უკვე აღარ ექნებოდა. ეს იყო ჩანასახი მომავალი პარლამენტისა.



აი, ამ სიტუაციაში იყო ქვეყანა, როდესაც სამეფო დარბაზის გარკვეულმა ნაწილმა აქტიურად დაიწყო ფიქრი თამარის გათხოვებაზე. სამწუხაროდ, მონარქი, როგორი ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც იზღუდებოდა გარკვეულ საკითხებში, განსაკუთრებით კი – პირად ცხოვრებაში, ვინაიდან, ეს ისეთი მომენტია, როდესაც აუცილებელია სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინება. იმ დროს არსებული სამეფო ეტიკეტის თანახმად, აუცილებელი იყო, ქართველი მონარქი ან დაქორწინებულიყო, ან გათხოვილიყო უცხო ქვეყნის სამეფო დინასტიის წარმომადგენელზე. სწორედ ამიტომ, სამეფო დარბაზი თამარის გათხოვების საკითხთან დაკავშირებით შეიკრიბა. მეფეს მოახსენეს, რომ ქვეყანას სჭირდება მამაკაცი მონარქი, ჯარს – მთავარსარდალი. ამ დარბაზობაზე თბილისის ამირამ, ანუ, დღევანდელი ნომენკლატურით რომ ვთქვათ, თბილისის მერმა, წარმოადგინა საკმაოდ საინტერესო წინადადება. მისი ინფორმაციით, ყივჩაღებთან, ანუ ჩრდილოეთ კავკასიაში, იმყოფებოდა დევნილი რუსი უფლისწული, როსტოვ-სუზდალის დიდი მთავრის, ანდრეის შვილი – იური ანდრეის ძე ბოგოლიუბსკი. დარბაზობაზე დაისვა იური ბოგოლიუბსკის საქართველოში ჩამოყვანის საკითხი და დარბაზმა გადაწყვიტა, სასწრაფოდ გაეგზავნა ელჩობა. ამ მისიის შესასრულებლად საგანგებოდ გაიგზავნა დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი. საკმაოდ იშვიათია, რომ ამ პერიოდის წყაროებში მოიხსენიებოდეს დიდვაჭარი. საინტერესოა, რომ ეს საკმაოდ დაწინაურებული, ფინანსურად ძლიერი ადამიანია. მას სამეფო კარი გარკვეული დიპლომატიური ურთიერთობების მოგვარებასაც კი ავალებს. სწორედ მან ჩამოიყვანა, იური (გიორგი) საქართველოს სამეფო კარზე.

გიორგი ბოგოლიუბსკი იყო როსტოვ-სუზდალის დიდი მთავრის, ანდრეის ვაჟი. 1174 წელს ანდრეის აუჯანყდნენ საკუთარი ბოიარები, სასახლეში შეუცვივდნენ და მოკლეს. ამის შემდეგ როსტოვ-სუზდალს სათავეში ჩაუდგა ვსევოლოდი. ის გახლდათ ანდრეი ბოგოლიუბსკის ძმა – ვსევოლოდ დიდი ბუდე („ბოლშოე გნეზდო“). მას ძალიან ბევრი შვილი ჰყავდა და, აქედან გამომდინარე, „დიდი ბუდე“ დაარქვეს. ხელისუფლებაში მისი მოსვლისთანავე დაიწყო ანდრეის შვილების რთული ცხოვრება. იური (გიორგი) ნოვგოროდიდან გააგდეს. ის ცოტა ხანს იყო როსტოვ-სუზდალში, შემდეგ კი იქიდანაც გააგდეს, რის შემდეგაც ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრდა. სწორედ ამ მოვლენებიდან რამდენიმე წელიწადში ჩააკითხა მას ზანქან ზორაბაბელმა და ჩამოიყვანა საქართველოში.

რა თქმა უნდა, თამარს ბევრი ჰყავდა ხელის მთხოვნელი, მაგრამ, არჩევანი გიორგი რუსზე გაკეთდა. ამ არჩევანში დიდი პოლიტიკური გათვლა ჰქონდა გაკეთებული საქართველოს სამეფო კარს. იური აკმაყოფილებდა ყველა ნორმას, ის იყო უფლისწული საკმაოდ დიდი სახელმწიფოსი, წარჩინებული და, იმავდროულად, სამეფოს გარეშე დარჩენილი, ანუ, იგი მთლიანად იქნებოდა დამოკიდებული ქართველ ფეოდალებზე – ეს იყო მთავარი. ერთადერთი ავლადიდება, რაც გიორგი რუსს გააჩნდა, იყო წარმომავლობა, დანარჩენი ყველაფერი დაკარგული ჰქონდა, ასეთი ადამიანი კი გაცილებით ადვილი სამართავია.

რაც შეეხება თამარის პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით, ის დასაწყისშივე ეუბნებოდა ფეოდალებს, არ არის საჭირო აჩქარება, ჯერ გამოვცადოთ ეს ადამიანიო, – თავს იკავებდა, რომ ამ მიმართულებით ნაჩქარევად არ გადაედგა ნაბიჯი. მაგრამ, სამეფო კარმა იჩქარა – მათ უცებ გადაწყვიტეს, ქორწილიც გადაიხადეს და სწორედ ამის შემდეგ იწყება ყველაზე დიდი ტრაგედია თამარის პირად ცხოვრებაში. ეს არის გაუთავებელი კონფლიქტი ცოლ-ქმარს შორის. თამარ მეფისა და მისი მეუღლის კონფლიქტების მთავარი მიზეზი იყო გიორგი რუსის ხასიათი. სამწუხაროდ, ქართულ წყაროებში ბევრი სხვადასხვა მიდგომაც არის ამასთან დაკავშირებით. როგორც ჩრდილოელი, იური ძალიან ეტანებოდა სასმელს – ეს ახალი სენი არ არის რუსებისთვის. ძალიან ხშირად თვრებოდა გიორგი რუსი, მაგრამ, გაყრის მთავარი მიზეზი სმა არ გამხდარა. გაყრის მიზეზი გახდა ავადმყოფობა, რომელიც მას სჭირდა – გიორგი რუსი იყო ჰომოსექსუალი. წყაროში პირდაპირ წერია, მას სოდომური ცოდვა სჭირდაო. როგორც ჩანს, ამან ითამაშა გადამწყვეტი როლი და, ქორწინებიდან ძალიან მალე, დაახლოებით ორ წელიწადსა და რამდენიმე თვეში, თამარი გასცილდა ქმარს. გიორგი რუსს დიდძალი სიმდიდრე მისცეს და გაისტუმრეს კონსტანტინოპოლში.

ამის შემდეგ გიორგი რუსი ორჯერ შეეცადა საქართველოს ტახტის დაუფლებას. 1187-88 წლებში განქორწინდნენ თამარი და გიორგი რუსი, 1191 წელს კი თამარის მეფობის ხანაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური აჯანყება იწყება, რომლის მთავარი მოქმედი ფიგურა არის მისი ყოფილი ქმარი.

გიორგი რუსი ფარულად ჩამოვიდა კარნუქალაქში, ანუ, დღევანდელ არზრუმში, თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც მან დაიწყო ფარული მოლაპარაკება თავის მომხრეებთან. ეს მომხრეები აღმოჩნდნენ: დადიანები, ვარდანისძეები, სამხრეთ საქართველოში – გუზან ტაოელი; ასევე, ქვემო ქართლის რამდენიმე ფეოდალი – ერთი სიტყვით, საკმაოდ დიდი დასი შეიკრიბა, რომელსაც ჰყავდა მხარდამჭერები სამეფო კარზეც. მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი ფარულად ჩადის კარნუქალაქში და აწარმოებს მოლაპარაკებას იური (გიორგი) ბოგოლიუბსკისთან. ამის შემდეგ იწყება მთავარი მოქმედება: გიორგი გადაჰყავთ დასავლეთ საქართველოში, გეგუთის სასახლეში, სადაც ის მეფედ აღიარეს.

თამარი მეფეთ-მეფე იყო და, როგორც კი გიორგი რუსი თამარზე დაქორწინდა, პარალელურად მოხდა მისი მეფის სტატუსით აყვანა, კურთხევა. ასე რომ, როდესაც ის გეგუთში დაბრუნდა, მისი, როგორც მეფის უფლებები, კიდევ ერთხელ ცნეს.

ალბათ, საინტერესოა, თუ რატომ უჭერდნენ ქარველი ფეოდალები მხარს ასეთი საეჭვო ზნის ადამიანს. არის ისტორიკოსთა ნაწილი, რომელნიც ეჭვქვეშ აყენებს „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებს გიორგი რუსის ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებით. ეჭვის შეტანა ცოტა რთულია, როცა წყაროში პირდაპირ წერია, მაგრამ, ერთ მომენტში გარკვეული ეჭვები მაინც ჩნდება, რადგან, ამხელა ფეოდალური საზოგადოება უცებ აღმოჩნდა მის მხარეზე, თან, ისეთი ავადმყოფობა სჭირდა, რომელსაც ქრისტიანული რელიგია მკაცრად ებრძოდა. ამავე დროს, არ შეიძლება, მათ არ სცოდნოდათ გიორგი რუსის სექსუალური ორიენტაციის შესახებ და, სარწმუნოა, რომ, ამის მიუხედავად, ისინი ასეთ ადამიანს მიუდგნენ?! გიორგი რუსის მომხრეები თბილისის ალყაში მოქცევას აპირებდნენ, მაგრამ, ცენტრალური ხელისუფლების მომხრეებმა უფრო ჭკვიანურად იმოქმედეს. საბოლოოდ, თვითონ აჯანყებულები ეახლნენ თამარს შენდობისთვის; უფრო მეტიც, თამარს თვითონ გიორგი რუსიც ჩააბარეს, რომელიც ისევ და ისევ დიდი პატივით, სიმდიდრით გაისტუმრეს ბიზანტიაში.

გიორგის საქციელით სამეფო კარზე მძიმე სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ, გიორგი რუსი ამით არ გაჩერებულა – რამდენიმე წლის შემდეგ ის აბუბექრის მომხრეთა დასშია და არანიდან ცდილობს საქართველოში შემოჭრას, თუმცა, ამჯერადაც კვლავ უკუაქციეს და გააძევეს.

გიორგი რუსი იქცა ქართული სახელმწიფოს დასუსტების ერთ-ერთ ობიექტად: მას ჯერ საქართველოს სამხრეთით არსებული მუსლიმანური საამიროები იყენებდნენ, შემდეგ – აბუბექრი, ადარბადაგანის მმართველი – ისევ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასასუსტებლად. ამაში ჩანს გიორგი რუსის ანტიგმირობა. მიუხედავად ამისა, თამარის მმართველობის ხანაში საქართველომ არნახულ დიდებას მიაღწია.

**ეკა სალაღაია**

**ქართველი კაცისთვის ვაზის მოვლა, მოსავლის მოყვანა, დაწურვა და ღვინის დაყენება, ის რიტუალია, რომელიც წინაპრებისგან შთამომავლობით გვერგო და ჩვენც ამ ტრადიციას, შეძლებისდაგვარად, ვაგრძელებთ. თუ როდისაა უმჯობესი ყურძნის მოკრეფა, დაწურვა და მისი ჩასხმა შესაბამის ჭურჭელში; როგორ დავაყენოთ საუკეთესო ტრადიციული და ევროპული ღვინო, ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ გამოცდილ და მოქმედ მეღვინეს, ბატონ გივი ჩაგელიშვილს, რომლის გამოცდილებას დღეს არაერთი წარმატებული მეღვინე თუ ამ დარგის მოყვარული ითვალისწინებს. ცნობისთვის, ბატონი გივი 84 წლისაა, საკმაოდ კარგად გამოიყურება, ისევ თავის სპეციალობით მუშაობს და 61-წლიან გამოცდილებას ახლა ახალგაზრდებს უზიარებს. ასევე, ბატონი გივი 1953 წლამდე ხელმძღვანელობდა იმ საამქროს, სადაც ისხმებოდა ღვინოები მხოლოდ სტალინისთვის.**

# სტალინის პირადი მეღვინის რჩევები მეღვინეებისთვის

**გივი ჩაგელიშვილი**: რთველის დაწყებას, განსაკუთრებით მევენახეები ელოდებიან. თუმცა, ქალაქშიც ბევრია, ვისაც სახლის პირობებში უყვარს ყურძნის დაწურვა და ღვინის დაყენება. არსებობს ისეთი ტექნოლიგიები, ღვინის უკეთ დაყენება-დავარგებაზე რომ არის გათვლილი და ამ მხრივ, აუცილებელია გარკვეული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება. ქართველი კაცი რომ აუცილებლად უნდა ერკვეოდეს ვაზის კულტურაში, ეს მოვალეობაა და გენეტიკური მემკვიდრეობაც.

**– საქართველოს სხვადასხვა მხარეში, სხვადასხვა ჯიშის ყურძენი ხარობს. მათი დაწურვის მეთოდი ერთნაირია თუ განსხვავება არსებობს?**

– საქართველოში ძირითადად, ღვინოს აყენებენ კახური, იმერული და ევროპული წესით. მაგალითად, ჩვენი წინაპრები, კახური წესით, ღვინოს აყენებდნენ ქვევრებში ან ჩანებში. ჩანი მუხის დიდი კასრია და მასში ღვინო ჭაჭასთან ერთად დუღდება. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაა მომწიფებული კლერტი, ანუ ის რაზეც მარცვალია მიმაგრებული. ღვინო კარგი რომ გამოვიდეს, კლერტს მოსავლის აღების დროს უნდა ჰქონდეს ყავისფერი შეფერილობა. ასე დააყენებთ ნამდვილ კახურ ღვინოს, რომელიც სასმელად გემრიელი და მარგებელი იქნება.

**– თუ კლერტი მწვანე შეფერილობისაა?**

– თუ კლერტი მწვანეა, მისგან კარგი კახური ღვინო, ნამდვილად არ დადგება. მოკრეფილი ყურძენი კარგად უნდა ჩაჭყლიტოთ. მომწიფებულ და ქვევრში ღვინის დასაყენებლად ჩაყრილ ყურძენს კი, ხშირად უნდა ურიოთ. დაახლოებით, დღეში სამჯერ მაინც სჭირდება მორევა. მერე კი ის დადუღდება და იძენს სასწაულ არომატს, გემოს და მდიდარია ტანინით. სხვათა შორის, კახური წესით დაყენებული ღვინო სამკურნალოა და ვისაც კუჭ-ნაწლავის პრობლემები აწუხებს, ასეთი ღვინის სმას კარგად იტანს. კახური წესით დამზადებული ღვინო, ტანინით არის მდიდარი და ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. ხშირად მეკითხებიან, ევროპულად დაყენებულ ღვინოს რომ ვსვამ, ცუდად ვხდები, კახურ წესზე დამზადებული ღვინო კი კარგად მერგება და რაშია საქმეო. საქმე ისაა, რომ ვისაც კუჭ-ნაწლავი წესრიგში არ აქვს, მისთვის კახური წესით დამზადებული, ტანინიანი ღვინო ნამდვილი წამალია. ევროპული წესით ღვინის დაყენება კი ხდება ჭაჭის გარეშე. კლერტს უნდა მოაცილოთ მარცვლები, დაჭყლიტოთ და გამონადენი წვენი გადაიტანოთ კასრებში. იქ ხდება მისი დუღილი. ასე რომ, როცა უჭაჭოდ დუღს ყურძნის წვენი, ეს უკვე ღვინის ევროპული წესით დაყენებაა. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ უცხოეთში ძირითადად, ევროპული წესით ხდებოდა ღვინის დაყენება, მაგრამ ბოლო დროს მოდაში შემოვიდა მისი კახური წესით დაყენება და ბევრი მევენახე ასე იქცევა. ევროპაში კახური წესით დაყენებულ ღვინოზე დიდი მოთხოვნაა და კარგადაც იყიდება.

**– იმერული წესით როგორ დავაყენოთ კარგი ღვინო და რომელი ჯიშის ყურძენი გამოვიყენოთ?**

– რაც შეეხება იმერული წესით ღვინის დაყენებას, მას ცოტა ჭაჭას ურევენ. იმერული წესით დაყენებული ღვინო ცოტა კახურიცაა და ცოტა ევროპულიც. ამ მხარეში ძირითადად საშამპანურე ყურძნის ჯიშებია. დღეს მოდაში შემოვიდა ღვინის მამაპაპური წესით, საწნახელში დაწურვა და ქვევრში დავარგება. ასევე, ბევრი ყურძენს, სახლის პირობებში, სპეციალურ, ხელის საწურში წურავს.

**– და მაინც, ხარისხიანი ღვინო რომ დადგეს, როგორ უნდა დავწუროთ და რაში დავავარგოთ?**

– თუ გინდათ ხარისხიანი და კარგი ღვინო მიიღოთ, ის უნდა დაავარგოთ ქვევრში ან მუხის კასრში. დღეს ბევრი აღარ წურავს ღვინოს ძველი წესით – საწნახელში და ხელის საწურით იადვილებს შრომას, მაგრამ მერწმუნეთ, ფეხით დაწურულ ყურძნის წვენს სხვა არომატი და დამახასიათებელი გემო აქვს. თუ ამის საშუალება სახლის პირობებში არ გაქვთ და მაინც ხელის საწურით უნდა დაჭყლიტოთ ყურძენი, მაშინ ღვინის საწურში კბილანები ისე დააყენეთ, მტევნის კლერტი არ გაიჭყლიტოს. თუ ასე ვერ მოიქეცით და კლერტი დაიმტვრა ან ღვინის საწურში გაიჭყლიტა, მაშინ ღვინოს მწკლარტე გემო ექნება. ისე უნდა გაატაროთ ყურძენი, კლერტი არ გაიჭყლიტოს და ჭაჭა სველი გამოვიდეს. ისე, კი, თუ სახლის პირობებში წურავთ ყურძენს, ჩემი რჩევაა, ხელით დაჭყლიტოთ და არა საწურით. მართალია, ყურძნის ხელით დაწურვისას გამოსავლიანობა ცოტაა, მაგრამ სამაგიეროდ, ღვინის ხარისხი იქნება მაღალი. დარჩენილი ჭაჭით კი შეგიძლიათ არაყი გამოხადოთ. ასევე, რაც უფრო დიდ ჭურჭელში ჩაასხამთ წვენს, უკეთესია, რადგან დუღილი უფრო კარგად მიდის.



**ცუდ განწყობაზე თუ მოკრიფა ან დაწურა ყურძენი ადამიანმა, ეს ღვინოზეც აისახება და სასარგებლო და სამკურნალო ძალასაც კარგავს**

**– რამდენ ხანს უნდა ვადუღოთ დაწურული ყურძნის წვენი?**

– საერთოდ, დაწურული ყურძნის წვენის დუღილი თოთხმეტი დღე უნდა გაგრძელდეს. ისე კი, რაც უფრო დიდხანს დუღდება ღვინო, მით უკეთესია, რადგან სწრაფად დუღილის დროს, არომატული ნივთიერებები იკარგება. დუღილი 5-28 გრადუსზე უნდა მოხდეს. თუ ტემპერატურა მაღლა იწევს, მაშინ ბოცას გარედან წყალი მიუშვით და ასე გააგრილეთ. მოკლედ, ღვინის დუღილი 28 გრადუსს არ უნდა ასცდეს. ასევე, დუღილის პროცესში ღვინო მოცულობაში იკლებს, ამიტომ, დუღილის დასრულებისას, ნაკლული ღვინო აუცილებლად უნდა შეავსოთ.

**– ეს როგორ მოვახერხოთ?**

– ჭურჭელში დასადუღებელ ღვინოს ცოტა უნდა დააკლოთ გავსება, რათა დუღილის პროცესში არ გადმოვიდეს. დუღილის დასრულების შემდეგ კი ის აუცილებლად უნდა შეავსოთ. დუღილის დროს ღვინის ჭურჭელი სითბოში უნდა გედგათ, რომ დუღილის პროცესი არ შეჩერდეს, დაღვინებული კი სიცივეში გადაიტანეთ, რომ არ გაფუჭდეს. ზამთარში დაღვინებულ, დავარგებულ, დალექილ და დამჯდარ ღვინოს, ლექი უნდა მოხსნათ. ანუ, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გადაიღოთ. გადაღებული ღვინო, რაღაც პერიოდში, ცოტა ლექს ისევ გაიკეთებს. ამის შემდეგ კი, როცა გინდათ მიირთვით და იამაყეთ საკუთარი ნახელავით, არომატული და ხარისხიანად დავარგებულ-დაწურული ღვინის ნაყურით.

**– თეთრი და წითელი ფერის ყურძენი, ერთი და იგივე ტექნოლოგიით იწურება და ინახება?**

– თეთრ და წითელ ღვინოს სხვადასხვა ტექნოლოგიით უნდა დაწურვა და შენახვაც აბსოლუტურად განსხვავებული მეთოდით ხდება. წითელი ღვინო ჭაჭაზე უნდა დააყენოთ. რომ დადუღდება და ჭაჭა დაბლა დაიწევს, მერე უნდა გადაიღოთ. თეთრი ღვინო კი, თუ კახური წესით აყენებთ, ჭაჭაზე უნდა დააყენოთ, თუ ევროპულად, მაშინ – უჭაჭოდ. აქვე, გაგაფრთხილებთ, რომ ყველა ჯიშის ყურძენის წვენით ვერ დააყენებთ კახური ტიპის ღვინოს. მაგალითად, „რქაწითელი“ შეგიძლიათ, დააყენოთ კახური წესით. მაგრამ, „ჩინური“ – კახური წესით, ჭაჭაზე დაყენებას, ვერ იტანს. არც ამ ყურძნის ჯიშების შერევავარგა ღვინის დაწურვის პროცესში, რადგან, „ჩინური“ ნაზია, „რქაწითელი,“ – ვაჟკაცური და ერთმანეთს ვერ უგებენ. „ჩინური“ და „გურული მწვანე“ კი გადასარევად ეგუება ერთმანეთს. ასევე, „ალექსანდროულს“ თუ ცოტა „მუჯურეთულს“ შეურევთ, ძალიან კარგი ღვინო დადგება.

**– ამბობენ, სწორად დაყენებულ „საფერავს“ ორგანიზმიდან მავნე ტოქსინები გამოაქვს და მისი გარკვეული დოზით სმა აუცილებელიაო.**

– დიახ, ასეა. სწორი ტექნოლოგიით დაყენებული „საფერავი“ მდიდარია ფენოლებით, რომელიც დადებითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სხვათა შორის, როდესაც ჩერნობილში კატასტროფა მოხდა, ჩვენ იქ გავგზავნეთ დიდი რაოდენობით „საფერავი“. მას ორგანიზმიდან გამოაქვს ტოქსინები. ინფარქტგადატანილი ადამიანებისთვისაც, სწორედ „საფერავის“ ღვინოს უწევენ რეკომენდაციას ცნობილი ექიმები, მაგრამ გარკვეული დოზით და არა გადაჭარბებით. ხომ იცით, ნათქვამია, ღვინო გარკვეული დოზით წამალია, გადაჭარბებით კი – საწამლავიო. გააჩნია, ადამიანს რა დაავადება სჭირს და იმის მიხედვით უნდა შეირჩეს: როდის ჯობია მისი დალევა – ჭამის წინ თუ ჭამის შემდეგ, რომელი ჯიშის ყურძნისგან დაწურული ღვინოა უფრო მისაღები კონკრეტული დაავადებისთვის, რა ტემპერატურაზე უნდა იყოს და ასე შემდეგ. ღვინის სამკურნალო თვისებები ოდითგანვე ცნობილია და ამაში ახალი არაფერია. ჩვენი წინაპრები ამ ცოდნას კარგად ფლობდნენ და პრაქტიკაშიც ყოველთვის იყენებდნენ. უზმოზე დალეული წითელი ღვინო კი სიცოცხლესაც ახანგრძლივებს და სიბერის პროცესსაც ანელებს. ყველა მეუბნება, ასაკთან შედარებით კარგად გამოიყურებიო. ამის საიდუმლო ერთია – სადილამდე, თითო ჭიქა წითელ ღვინოს ვსვამ ***(იცინის).*** უზმოზე ორი ჭიქა „საფერავის“ დალევის შემდეგ, ბევრს წნევა აღარ აწუხებს. თუმცა, ისიც გაითვალისწინეთ, რომ ცუდ განწყობაზე თუ მოკრიფა ან დაწურა ყურძენი ადამიანმა, ეს ღვინოზეც აისახება და სასარგებლო და სამკურნალო ძალას კარგავს.

**ნონა დათეშიძე**

**გოჩა ლაღიძეს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. ის დიდი ხანია, ჰოლანდიაში ცხოვრობს და იარაღისა თუ სხვა სიძველეების რესტავრაციაზე მუშაობს. ასევე, აქვს არაჩვეულებრივი საავტორო ნამუშევრებიც. გოჩა ლაღიძე პერსონალურ გამოფენას გეგმავდა თბილისში, თუმცა სამწუხაროდ, ჩანაფიქრი ჯერ ვერ განახორციელა და გეგმა გეგმად რჩება. ქართველმა ხელოვანმა რამდენჯერმე აიღო ევროპაში გრანპრი და ახლა ბელგიის გამოფენა-კონკურსისთვის ემზადება.**

# როგორ დაამზადა გოჩა ლაღიძემ ირაკლი მეგრელიშვილთან ერთად მსოფლიოში ერთადერთი მომინანქრებული ხანჯალი და რისთვის მიიღო ევროპაში რამდენიმე გრანპრი ქართველმა რკინის კაცმა

**გოჩა ლაღიძე**: 20 წელია, ჰოლანდიაში ვმუშაობ და პირველი ათი წელი და უფრო მეტიც, აქაურ კულტურულ ღირებულებებზე ვიყავი ორიენტირებული, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ევროპულ გამოყენებით ხელოვნებაზე. თვითდამკვიდრების მიზნით, უფრო საერთაშორისო პროექტებზე ვმუშაობდი, თუმცა ქართული იარაღი, რა თქმა უნდა, ჩემთვის ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო და ცენტრალური ადგილი ეკავა. ბოლო 7 წელია, ქართულ, კავკასიურ იარაღს დავუბრუნდი, რომელიც მსოფლიოში უნიკალურია. მთელ ჩემს დროს ამ იარაღის რესტავრაციას ვუთმობ. ძირითადად, საერთაშორისო სტატუსით – ბელგია, გერმანია, ამერიკა, საფრანგეთი, ინგლისი... ამ ქვეყნებიდან მომდის შეკვეთები და გარდა ამისა, მაქვს ჩემი საკუთარი პროექტებიც, ძირითიდად, ეს არის ცივი იარაღი და ასევე, რეგულარულად ვმონაწილეობ ყოველწლიურად მხატვარ-მეიარაღეთა გამოფენებში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, საფრანგეთში. იქ არის დამოუკიდებელი ჟიური, რომელიც დადის სტენდებს შორის და აფასებს ნამუშევრებს, ძირითადად დანები და ხანჯლებია წარმოდგენილი. უკვე მესამე წელია, ჰოლანდიაში ტრადიციულად ჩემი ნამუშევრები იმარჯვებს და ისე შევეჩვიე, უკვე აღარც მიხარია ***(იცინის).*** შარშანწინ პარიზში გავიმარჯვე, შარშან ოქროს თასი ავიღე ბელგიაში. მომცეს დიპლომი, რომელიც ჩარჩოში მაქვს ჩასმული. ეს პრიზები ჩემს სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია. თავიდან არ მაინტერესებდა და მერე აზარტში შევედი. თან, ფულადი ჯილდოც მივიღე დიპლომთან ერთად – 5 000 ფრანკი. ახლა ბელგიაში ვგეგმავ შოუზე ჩემი ნამუშევრების გატანას.



**ჩემი ნახელავი, დიდი ობობა – „შავი ქვრივი" კიოლნის უნივერსიტეტის რექტორმა შეიძინა. ინტერნეტში ნახა და აღფრთოვანდა – 5 000 ევრო გადაიხადა იმ ნამუშევარში**

**– ამ გამოფენებში სხვა ქართველი ოსტატები თუ მონაწილეობენ, ბატონო გოჩა?**

– არა, სამწუხაროდ, ქართველები არ არიან, ძალიან ბევრი იაპონელია, არიან ფრანგები... მიხარია, რომ კავკასიური იარაღი იმარჯვებს. კავკასიური იარაღი აბსოულუტურად ცალკე სამყაროა, ვიდრე იაპონური, ირანული. კავკასიურში საუკეთესო ნიმუშები მსოფლიო შედევრებია. ერეკლეს ხმალზე ორწელიწად-ნახევარს ვიმუშავე და საკმაოდ ღირსეული საავტორო ასლი გამოვიდა. საერთოდ, ბევრ ნამუშევარს ასლს ვერ დავარქმევდი, რადგან ზუსტად არ იმეორებს ორიგინალს. ამჟამად ვმუშაობ ბაგრატიონების ხმლების საავტორო ასლებზე. ეროვნულ მუზეუმში მომეწონა ერთი ხმალი, 90-იან წლებში ვმუშაობდი მის გაწმენდა-აღდგენაზე და იმდენად მომეწონა, ფოტოების მიხედვით შევქმენი ახალი ხმალი. თუმცა, ვცდილობ, ტრადიციული ხასიათი არ დავუკარგო – ამას არ ჰქვია ასლი. გეგმაში მაქვს უნიკალური, სხივებიანი სვანური ფარი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს, ნოემბერში მექნება მზად. აგრეთვე, მინდა, უნიკალურ სვანურ მშვილდებს, რომლებიც თამარ მეფის დროინდელია, რეკონსტრუქცია გავუკეთო ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით და ფუნქციური დატვირთვა აღვუდგინო.



**– ბატონო გოჩა, თქვენ რომ გამოფენის მოწყობას გეგმავდით თბილისში?**

– ქართული მხრიდან უნდა იყოს სურვილი, თორემ მე ყოველთვის მზად ვარ. ბატონ დავით ლორთქიფანიძესთან მქონდა საუბარი და მანაც გამოთქვა სურვილი, მაგრამ სპონსორის მოძიებაა საჭირო, ტრანსოპორტირება და ნამუშევრების დაზღვევა ხარჯებთან არის დაკავშირებული – მე კი ამის საშუალება არა მაქვს, სამწუხაროდ. თან, ტრანსპორტირება საკმაოდ რთულია.

**– ქართველი დამკვეთები თუ გყავთ?**

– სამწუხაროდ, არა. არიან რუსები, ჩეჩნები, ევროპელები. არ ვიცი, ფასის ბრალია თუ ინტერესის ნაკლებობის. მართალია, იარაღს საქართველოში განსაკუთრებით აფასებენ, მაგრამ მე არ ვმუშაობ იმ განხრით, რომ საქართველოში ბაზარი შევიქმნა. საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ ქართული იარაღი ნაკლებად არის შემორჩენილი, ნაწილი განადგურდა, ნაწილი გაზიდულია ევროპის ქვეყნებში. კავკასიური მუზეუმის დირექტორი იყო – გუსტავ რადე, რომელმაც გაზიდა და გაზიდა კავკასიური იარაღი ევროპაში. თან, გვაყვედრიდა, ქართული კულტურის პოპულარიზაციას ვეწევი ევროპაშიო. ამ თემაზე წერილი აქვს ივანე ჯავახიშვილსაც და კონსტანტინე გამსახურდიასაც. XVI საუკუნის ქართველი რაინდის აბჯარი გერმანიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმშია დაცული.

**– სამწუხაროა. ქალი დამკვეთები თუ გყავთ?**

– ქალებისთვის შემისრულებია საიუველირო ნაკეთობები, მაგრამ მე მაინც ლითონის რესტავრტატორი ვარ ძირითადად. იარაღის რესტავრაცია ძალიან მოცულობითი საქმეა, მოიცავს ლითონს, ტექსტილს, ტყავს, ქსოვილებს, ხეს... რამდენიმე წელია, ვაკეთებ სამკაულებს დაკვეთით, თუმცა, მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არ მანიჭებს. რესტავრაცია უფრო შემოსავლიანია, საავტორო ნამუშევრები ძნელი სარეალიზაციოა. თუმცა, მოულოდნელად 2 უძვირფასესი ხმალი ისე გავყიდე, არც ველოდი. ბელგიელი მეგობარი მყავს, ადვოკატი, რომელიც 2 წელი მიკირკიტებდა, მთხოვდა, მისთვის დამეთმო ირანული ტიპის ძალიან ძვირფასი ხმალი, 2 ხმალი მქონდა, ერთი დაღესტნური, მეორე ირანული. იყოყმანა და ბოლოს ირანული აიღო ***(იცინის).*** სხვებმა რომ გაიგეს, დაიწყეს წუწუნი, რომ არ გაგეყიდა და ჩვენთვის გვეთქვა, უპირობოდ ვიყიდიდითო. საბედნიეროდ, ბელგიელმა შეცვლა მოინდომა დავურეკე მეორე კლიენტს და ორივე გავყიდე. მიჭირს საკუთარი ნამუშევრების გაყიდვა, მაგრამ საკმაოდ ძვირი მიჯდება მათი შექმნა და ამიტომ გაყიდვა აუცილებელია. ბაგრატიონების ხმლისთვის, რომელზეც ახლა ვმუშაობ, 12 დიდი ლალის თვალი უნდა გამოვიყენო!



საიუველირო ნაწარმს რაც შეეხება, აქაური სამხედრო მაღალჩინოსნის მეუღლისთვის დავამზადე ყელსაბამი. გამიკეთებია საკმაოდ ლამაზი გულქანდები, ძვირფასი თვლებით, ოქროს, ვერცხლისა და ფოლადისგან. სხვათა შორის, ჩემი პედაგოგი ამბობდა, რომელიც იარაღის ოსტატია, იარაღი ისეთი უნდა გამოვიდეს, ქალსაც კი უნდა მოეწონოსო ***(იცინის).*** პირველად სამკაული ჰოლანდიაში დავამზადე, ეს იყო ჭიამაია – მივიტანე საიუველირო სალონში და მაშინვე საკმაოდ ძვირად იყიდეს. მთხოვეს, კიდევ დაამზადე და შევიძენთო. გავაკეთე სამკაულების სერია და ისეთი ბუმი იყო, რომ დადებდნენ, 3-4 დღეში ქრებოდა ვიტრინებიდან. მაგრამ, მერე მსხვილი დაკვეთა მივიღე და აღარ მეცალა მაგისთვის. ჭიამაია დავამზადე ფოლადისა და ვერცხლისგან, ჰქონდა ოქროს თვალები. ერთ-ერთი ჩემი ნახელავი, დიდი ობობა – „შავი ქვრივი" კიოლნის უნივერსიტეტის რექტორმა შეიძინა. ინტერნეტში ნახა და აღფრთოვანდა, 5 000 ევრო გადაიხადა იმ ნამუშევარში. წერილი გამომიგზავნა, ძალიან მომეწონაო და მაშინვე იყიდა. პროფესორმა ჰამერმანმა ჯაჭვის პერანგის რგოლებისაგან ჯაჭვის დამზადება დამიკვეთა, შემისრულებია ვერცხლის ჯვრები...



**ბაგრატიონების ხმლისთვის, რომელზეც ახლა ვმუშაობ, 12 დიდი ლალის თვალი უნდა გამოვიყენო**

**– ოქროს არ იყენებთ ნამუშევრებში?**

– ოქროზე ბოლო დროს გადავედი და უფრო ხშირად ახლა ვიყენებ. ბაგრატიონების ხმალი ოქროთი და 12 ნამდვილი ლალის თვალით იქნება მოოჭვილი ტარზე. თვითონ ორიგინალი გაძარცვულია, თვლები აკლია. რატომღაც ჩავთვალე, რომ ეს თვლები ლალის უნდა ყოფილიყო. შემდეგში ალბათ უკვე ზურმუხტზე გადავალ. ქართული იარაღი საკმაოდ სადა იყო, იარაღს უხდება სისადავე. თუმცა, გვაქვს ერთი ნამუშევარი, ჰქვია „თავადი" – საოცარი რამაა, უნიკალური და მსოფლიოში ერთადერთი. მინანქრით შესრულებული ხანჯალია, უძვირფასესი მინანქარია, ფაბერჟეს დონის – მე და ირაკლი მეგრელიშვილმა შევასრულეთ ერთად. ეს ნივთი ძალიან მაგარ ადგილას უნდა იდოს მუზეუმში. ვერცხლია თავიდან ბოლომდე და ზედაა დატანილი მინანქარი. ამ ხანჯალმა ბელგიაში შარშანწინ სერიოზული პრიზი მიიღო.

**ქეთი დიდებულიძე**

**ნუკი კოშკელიშვილი რამდენიმეთვიანი პაუზის, ასევე ხალისიანი დასვენებისა და თავგადასავლების შემდეგ, განახლებულ „კომედი არხზე“ აპირებს იუმორისტული გადაცემის წაყვანას. არ ეყოლება თანაწამყვანი, სამაგიეროდ, ეყოლება სტუმრები და როგორც თავად ამბობს: იქნება ბევრი იუმორი.**

# რატომ გახდა პარიზში „ბარიგა“ და „ალკოჰოლიკი“ ნუკი კოშკელიშვილი და რის გამო სთხოვეს მას ფრანგებმა ცოლობა

**ნუკი კოშკელიშვილი**: ძალიან კარგად დავისვენე, თან, ყველაფერი სპონტანურად გადავწყვიტე. ქუთაისში კონცერტი მიმყავდა, იქიდან ერთი დღით ვაპირებდი ბათუმში ჩასვლას. ეს ერთი დღე გადაიზარდა ორ თვეში. სამი დაქალი ვართ, სულ ერთად ვართ და ზუსტად ერთ დღეში გადავწყვიტეთ საფრანგეთში წასვლა. მეორე დღეს ვიყიდეთ ბილეთები, სასტუმროს ვაუჩერები, ავიღეთ ვიზა და გავფრინდით. ძალიან უცნაური და საინტერესო მოგზაურობა გამოგვივიდა. მაგრამ, ბოლოს თავბედი ვიწყევლეთ, რადგან ვიყავით სამი გოგო, არც ერთს არ გვყავდა შეყვარებული და სადაც შევდიოდით, ყველგან შეყვარებული წყვილები გვხდებოდნენ... ძალიან მეშინია ფრენის, არაამქვეყნიურად – ცოტა შეუგნებელი და არაადეკვატური ვხდები. ამიტომ, რუსი ლოთივით ვსვამ, რომ გავითიშო და ჩამიტანონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საოცარი პანიკა მემართება. მოკლედ, ვარშავადან მივფრინავდით პარიზში, ჩავსხედით თვითმფრინავში, ასაფრენ ბილიკზე ვიყავით და უცებ თვითმფრინავმა დაამუხრუჭა. ამ დროს ვიღაცის ტელეფონი ისტერიულად რეკავდა. ისე გავმწარდი, ვიფიქრე: ახლა თმით ვითრევ-მეთქი. უცებ გამორბის სტიუარდესა და იწყებს ყვირილს: ვისი ტელეფონია ჩართული. ცოტა ხანში ვხვდები, რომ ჩემი მეორე ტელეფონი რეკავს – მამაჩემს აინტერესებს, ვარშავაში ჩავედით თუ არა. მოვიდა სტიუარდესა და მეუბნება: „ხულიგანკა“ ხარ, როგორ არ გათიშე ტელეფონიო. არაფერი მითქვამს, მთელი გულით, სულით ვეთანხმებოდი. მაშინვე გავთიშე ტელეფონი. წამიკითხა ლექცია, რომ მიკროტალღების გამო ვერ ავფრინდითო. რადგან თვითმფრინავი გაჩერებული იყო,

**ფოტოები რომ ნახო, მუცელზე ყველგან მაქვს კვალი: პასპორტი, საბუთები, ყველაფერი მედო ტრუსიკში. ტრუსიკის ზემოდან კი მეცვა მაღალწელიანი „კუპალნიკი“ და მერე კაბა**

გადავწყვიტე, ჩამერთო ტელეფონი და მამაჩემისთვის მიმეწერა: კარგად ვარ-მეთქი. ჩავიკუზე, ვრთავ ტელეფონს, წინ ზის 60 წლის კაცი, უცებ მოტრიალდა და ყვირის: ისევ ჩართო ტელეფონიო. ამის მერე ჩვენი ფრენა ასე გაგრძელდა: წყალი დაურიგეს ყველას, ჩემ გარდა; საჭმელი მოუტანეს ყველას, ჩემ გარდა და არც კი დამემშვიდობნენ.

**– მოკლედ, კარგად დაგიწყია მოგზაურობა.**

– თან, სამივემ გადავწყვიტეთ, რომ იაფად წავსულიყავით დასასვენებლად. ბაძანგლურად წავედით, ბომჟურად – კარვით არა, მაგრამ იაფად. თანხები, ძირითადად, გათვლილი გვქონდა მუზეუმებსა და გართობაზე. რომ ჩავედით, პირველივე წუთებში გვითხრეს: ფრთხილად იყავით, რამე არ მოგპარონო. ფოტოები, რომ ნახო, მუცელზე ყველგან მაქვს კვალი: პასპორტი, საბუთები, ყველაფერი მედო ტრუსიკში. ტრუსიკის ზემოდან კი მეცვა მაღალწელიანი „კუპალნიკი“ და მერე კაბა. ეიფელის ქვეშ კარგი ადგილი აღმოვაჩინეთ – იქ მინდორზე ვსვამდით ჩვენ სამი გოგო და დანარჩენი – შეყვარებულები. როგორ არ ვტიროდით ყოველ საღამოს, არ ვიცი. დავიფიცეთ, რომ ჩავალთ საქართველოში, მეორე დღესვე შეყვარებული უნდა გავიჩინოთო.



**ახლა ჩემ გარშემო ბევრი თხოვდება და მივხვდი, რატომ: სამოგზაუროდ რომ მიდიან, ჩემოდანი ხომ ვილაცამ უნდა ათრიოს**

ერთ დღეს ერთ-ერთ მაღაზიაში ვნახეთ ღვინოები – შედარებით იაფად. ვიყიდე დიდი ჩანთა და ღვინის ბოთლებით გავტენე: ჩვენს უბანში არ იყიდებოდა და ბარემ წავიღეთ სახლში. ამ 12 ბოთლი ღვინის ქვეშ მედო საფულე, იქიდან ვერავინ მომპარავდა. მოკლედ, მეტროში ვარ, ამოვალაგე ეს ბოთლები, რომ საფულე ამომეღო. ამ დროს მოვიდა პოლიციელი და მეუბნება: თქვენ ხართ „ბარიგა.“ ჩემს სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ჰქონდა: ცოტა ხნის წინ „ხულიგანკა“ ვიყავი, ახლა „ბარიგა“ ვარ. ვიდექი და ვუმტკიცებდი, რომ ალკოჰოლიკი ვარ, რადგან, სხვანაირად ვერ გაიგებდა. ბოლოს გაეცინა და წავიდა. ამის შემდეგ წავედით ნიცაში.

**– ნიცაში ნამყოფი ვარ და მართლაც ულამაზესი ქალაქია.**

– რომ გითხრა, ნიცაზე გავგიჟდი-მეთქი, მოგატყუებ. გაკეთებული, ლამაზი ბათუმი ბევრად მირჩევნია ნიცას, არაფრით ჩამოუვარდება. ნიციდან ძირითადად დავდიოდით მონტე-კარლოში, კანში, თან, აბსოლუტურად ავითვისეთ ყველანაირი ტრანსპორტი. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩემს დაქალებს არ ჰქონდათ ბევრი ბარგი და მე დავდიოდი დიდი ჩემოდნით. როგორც კი ნიცაში ჩავედით, სასტუმროსკენ მიმავალი გზა შეგვეშალა. ფეხით ბევრი ვიარეთ, იმდენი ვიგინე იმის გამო, რომ ჩემოდანს ვათრევდი, მგონი, საქართველოში არც ერთ გოგოს არ უგინია ამდენი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შეყვარებული მჭირდებოდა სასწრაფოდ, რომელიც ჩემს ჩემოდანს ათრევდა. აღმოვჩნდი სნობი, არადა, სულ ვამბობდი: შემიძლია, ფეხით ვიარო, ეს გავაკეთო, ის... არაფერიც არ შემძლებია: აი, ფილმებში ქერა, ჭყავანა ქალები რომ არიან, ფრჩხილი მომტყდაო და რომ ნერვიულობენ, ზუსტად ასე ვიყავი. საკუთარი თავის შემრცხვა ბოლოს. თან, ვიყავი ქუსლებით, კაბით – ჩვეულებრივი ფუფუნა. ბოლოს ვიღაც ბიჭს შევეცოდე, მიმიტანა ჩემოდანი სასტუმრომდე. იტალიაში რომ ვიყავი, დიდი სიამოვნება მივიღე, ქუჩაში, გიკივიან: ბელა, ბელაა!.. ამ თვალსაზრისით საფრანგეთი „დავბრაკე“. თუმცა, ცოლად გაყოლის სამი შემოთავაზება მივიღე. სამივე ერთხელ გამომელაპარაკა და მერე სათითაოდ გამომიცხდეს: ლამაზი შვილები გვეყოლება, ამიტომ ცოლად გამომყევიო. ისე, ახლა ჩემ გარშემო ბევრი თხოვდება და მივხვდი, რატომაც თხოვდებიან: 1. სამოგზაუროდ რომ მიდიან, ჩემოდანი ხომ ვიღაცამ უნდა ათრიოს; 2. საზამთროს სეზონია. გუშინ კიდევ უფრო დავრწმუნდი იმაში, რომ შეყვარებული ძალიან კარგია, რადგან მეთოთხმეტე სართულზე ფეხით ვათრიე საზამთრო; 3. გუშინ ვიყავი „წყევლაზე“, მერე მარტო დავრჩი სახლში, შემეშინდა და მივხვდი, რომ საჭიროა შეყვარებული.

**– ახლა არავინ მოგწონს?**

– 15 წლის ასაკში ნებისმიერი ურთიერთობა, ფლირტი შენთვის მისაღებია. ახლა ისეთი ასაკი მაქვს, თუ დავიწყებ ურთიერთობას, ის შეიძლება, სერიოზულში გადაიზარდოს. არ მგონია, იმის დრო მქონდეს: დავშორდე, შევრიგდე, 800 კაცი მყავდეს შეყვარებული. ამიტომ, ვეძებ ისეთს, რომელიც იქნება „ერთადერთი“. აღმოჩნდა, რომ გარშემო ყველას ვიწუნებ. მე ჩამოვაყალიბე ჩემი იდეალური მამაკაცი: 1. ყველაზე მნიშვნელოვანი: იუმორის გრძნობა. მამაკაცი თუ არ გამაცინებს, გინდ მილიარდები ჰქონია, გინდ ბრედ პიტი იყოს, არ მინდა. თუმცა, ინტელექტუალური იუმორი უნდა ჰქონდეს, კლოუნი კი არ უნდა იყოს; 2. უნდა იყოს ჩემზე ჭკვიანი. ჩემზე მეტი წიგნი თუ არ აქვს წაკითხული, წავიდეს, სადაც უნდა.

**– ბევრი წიგნის წაკითხვა იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი ჭკვიანია.**

– წიგნის ჭია არა, ერუდირებული უნდა იყოს, განათლებული და ქარიზმატული ამ კუთხით. მინდა, მისგან რაღაც ვისწავლო. იშვიათად ხდება, რომ მამაკაცთან შტერად ვიგრძნო თავი, არადა მინდა, მასთან შედარებით შტერი ვიყო. მინდა, თავის საქმის პროფესიონალი იყოს. ყველა იტყუება, როცა ამბობს: ჩემთვის მილიონებს არ აქვს მნიშვნელობაო. ვიღაც მილიონერი რომ შემიყვარდეს და ბარემ ეს თვისებებიც ჰქონდეს, თან, უზრუნველყოფილი – რატომაც არა. მაგრამ, თუ ფული ექნება და ის თვისებები, რაც ჩამოვთვალე – არა, მაშინ არ მინდა. თუმცა, არც ეს ვიცი. შეიძლება, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მილიონად გავიყიდო, მაგრამ ახლა ასე ვფიქრობ. უნდა იყოს შრომისმოყვარე. რომ ამბობენ ბიჭები: დიდხანს ვერ ვჩერდები სამსახურში, ხომ იცი, როგორი ვარ, შემიძლია, მივიდე, შემიძლია – არა და თან, ამით რომ მარიაჟობენ, მათ მინდა ვუთხრა: ბიჭებო, ეს გულის ამრევია ნებისმიერი ქალისთვის. წინანადადება: ვერ დამილევია ძმაკაცებთან ერთად, რადგან ვმუშაობ – ბევრად უფრო მომხიბლავია. ვიზუალური მხარე ყველაზე ნაკლებად მადარდებს. არასდროს ვეძებდი ლამაზ მამაკაცს. თუმცა, ადრე ქერა მომწონდა, ახლა აღარ მომწონს და მივხვდი, რომ 7 წელიწადში ერთხელ მეცვლება გემოვნება. მაშინ, წითურები მომწონდა, მერე – ქერა და ახლა – შავგვრემანი მამაკაცები. არადა, აქამდე ადამიანად არ აღვიქვამდი შავგრემანებს. ახლა ქერები ცოტა მემოხარშულთევზება. კიდევ სათვალიანი მამაკაცები მომწონს, თუმცა, უსათვალოც თუ იქნება საინტერესო და ჭკვიანი, სიამოვნებით მომეწონება. ვიჯდები და მოვუსმენ. მამაკაცური მომხიბვლელობა ჩემთვის არ არის დამრტყმელობაში. სულაც არ მინდა, რომ მამაკაცმა დამიცვას. თუმცა, ჭკვიან მამაკაცთან ბევრად დაცულად ვიგრძნობ თავს, რადგან, მეცოდინება, რომ პრობლემის წინაშე, მას ყოველთვის ექნება ადეკვატური გამოსავალი და არა მუშტს დაარტყამს მას, ვინც მე მაწყენინებს.

**– ურთიერთობაში ხარ მომთხოვნი, კაპრიზული?**

– იდეალური და უპრობლემო ადამიანი ვარ. არასდროს არაფერზე ვჩხუბობ, არ ვკაპრიზობ, არ ვეჭვიანობ, არ ვმართავ სცენებს. ყველაზე მორგებული და ურთიერთობაში მარტივი ადამიანი ვარ.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**კარლეილი**: დიდი ადამიანი თავის სიდიადეს პატარა ადამიანთან დამოკიდებულებაში ამჟღავნებს.

**გრიბოედოვი**: ადამიანის სრულყოფა არის ცხოვრების აზრი.

**გოეთე**: საშიშია ის, ვისაც დასაკარგავი არა აქვს რა.

**დემოკრიტე**: აწმყო ეკუთვნით ცოცხალთ, წარსული – მეცნიერთ და მომავალი – დიდბუნებოვან ადამიანებს.

**შელინგი**: ადამიანი რამდენადმე იზრდება, როდესაც თავის თავს და თავის სიმძლავრეს შეიცნობს ხოლმე. ჩაუნერგეთ ადამიანს შეგნება იმისა, თუ რაცაა ის, და მალე ისწავლის იქცეს იმად, რაც ის ნამდვილად უნდა იყოს.

**კირკეგორი**: ადამიანთა უმეტესობა ისე გულმოდგინედ დასდევს სიამოვნებას, რომ წინ უსწრებს მას.

**ესქილე**: ბედნიერისთვის იოლია, ჭკუა ასწავლოს უბედურს.

**ნავოი**: სიტყვით შეიძლება სიკვდილი აირიდო, სიტყვით შეიძლება მკვდარი გააცოცხლო.

**ჯონსონი**: სიფრთხილე ისეთი თვალსაზრისია, რომელთაც შეიძლება, უსაფრთხოდ იცხოვრო, მაგრამ ბედნიერად კი – ვერა.

**ჰორაციუსი**: და სიღარიბემ, უტიფარმა, მე მაიძულა ლექსთა წერისთვის მიმეყო ხელი.

**ჰეგელი**: რასაც უდიდესი ფილოსოფოსი ვერ განმარტავს, მაგრამ უდიდესი ბრიყვიც კი განიცდის – ამას უწოდებენ სიყვარულს.

**რუსო**: სიცოცხლე არის ხანგრძლივი თავის ტკივილი ძალიან ხმაურიან ქუჩაში.

**ბოდლერი**: ადამიანი ყოველთვის მთვრალი უნდა იყოს, მხოლოდ ამას აქვს აზრი. მაგრამ მთვრალი რით? – ღვინით, პოეზიით ან სათნოებით. აირჩიეთ, რომელიც გენებოთ და აუცილებლად დათვერით.

**მენი**: ჩვეულება თოკია. ჩვენ ყოველდღე ერთ ძაფს ვუმატებთ მას და ბოლოს და ბოლოს მისი გაწყვეტა აღარ შეგვიძლია.

**ლოკი**: დღემდე ვერავინ შესძლო, იყოს იმდენად ცბიერი, რომ არ გაამჟღავნოს ეს თვისება.

**ბალზაკი**: ცილისწამება გულგრილია არარაობის მიმართ.

**შპელენგერი**: მშვიდობა ომის გაგრძელებაა სხვა საშუალებებით.

**ლოგაუ**: არაფერი სჯობს იმ ომს, რომელიც მშვიდობას ბადებს; საზიზღარია მშვიდობა, თუ ის ომს გვიმზადებს.

**კლიუჩევსკი**: ერთნი მუდამ ავად არიან იმის გამო, რომ ძალიან ზრუნავენ თავიანთ ჯანმრთელობაზე, ხოლო მეორენი ჯანსაღნი არიან მხოლოდ იმიტომ, რომ დაავადების არ ეშინიათ.

**ჰებარდი**: აღზრდა იმ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რომ ბავშვებმა ადვილად შეძლონ ცხოვრების გაგრძელება მასწავლებლის გარეშე.

**რენანი**: როდესაც ქალი ცხოვრებით უკმაყოფილოა, მისგან ან ზედმეტად ბევრს ვითხოვთ, ან პირიქით, ვაკლებთ.

**იბსენი**: ბავშვები და მეგობრები მხოლოდ მაშინ გვიყვარს, თუ სიყვარული შეგვიძლია. სიყვარულს კი მამაკაცს ქალი ასწავლის.

# თუ გაგმოიცნობთ

1. ინგლისში – ჯორჯ პირველს, შვეციაში – კარლოს მეთოთხმეტეს და საბერძნეთში – გიორგი პირველს ერთი და იგივე პრობლემა ჰქონდათ იმ სახელმწიფოს ხალხთან ურთიერთობაში, რომლის მმართველებიც იყვნენ. **რა პრობლემა?**

2. ფიდელ კასტროს ამაზე უარის თქმა ჟაკ ივ კუსტომ გადააწყვეტინა – ამით მთელ კაცობრიობას მისცემ მაგალითსო. კომენდანტეს ეს ნაბიჯი საერთაშორისო მედლით აღინიშნა. თვითონ კასტრომ კი ეს საქციელი რევოლუციისთვის გაღებულ მსხვერპლად აღიარა. **რა გააკეთა ფიდელ კასტრომ 80-იან წლებში?**

3. ყოველგვარი დასაშვების ზღვარს გადასვლის შემდეგ, იმპერატორი ნერონი დაქორწინდა თავის საყვარელზე, ახალგაზრდა ვაჟზე, რომელსაც სპორი ერქვა. ქორწილის შემდეგ გონებამახვილმა რომაელებმა სინანულით აღნიშნეს, რომ ბედნიერები იქნებოდნენ, ღმერთებს ასეთი ცოლი გამოეგზავნათ... **ვისთვის?**

4. ლუდოვიკო მეთვრამეტის თხოვნით, ემანუელ რიშელიემ პრემიერ-მინისტრის პოსტზე უძლიერესი ტალეირანი შეცვალა. მისი უპირველესი საზრუნავი პრუსიისა და რუსეთის ჯარებისგან საფრანგეთის ტერიტორიის გათავისუფლება და რეპარაციის – გადასახადების შემცირება იყო. ფრანგებში დიდი პოპულარობა მან სწორედ ამ ორი ამოცანის შესრულებით დაიმსახურა. მადლიერების ნიშნად, რიშელიეს 1818 წელს ერთ-ერთ ქალაქში ძეგლი დაუდგეს. ეს მისი ყველაზე ცნობილი ძეგლია და, სხვათა შორის, არა საფრანგეთში. **დაასახელეთ ქალაქი.**

5. მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის დუქნებიდან გაიტანეს ერთნაირი საგნები, რის შედეგადაც მკვეთრად შემცირდა მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფისთვის აღძრული სისხლის სამართლის საქმეები. **რას ველარ ნახავდით დუქნებში?**

6. როდესაც ის გაზომეს, უბრალოდ, „პიკი 15“ დაარქვეს, თუმცა, გაზომებმა აჩვენა, რომ ის გარკვეული პარამეტრით ყველასგან გამოირჩეოდა და სხვა სახელის დარქმევის ღირსი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას ადგილობრივებისგან შერქმეული სახელი უკვე ჰქონდა, ოფიციალურად მაინც სხვა შეურჩიეს. **რა?**

7. 1974 წელს განიხილებოდა საკითხი ამ ქვეყნის მონაწილეობის შესახებ 1978 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში. თუმცა, მისი მცხოვრებნი ცოტა შეშფოთდნენ შეჯიბრებაში მონაწილეობის პერსპექტივით. საქმე ისაა, რომ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ სახელმწიფოს მცხოვრებლებს და არა დაქირავებულ შვეიცარიელებს, რომლებსაც ამ ქვეყნის მოქალაქეობა არ ჰქონდათ მიღებული. **დაასახელეთ სახელმწიფო.**

8. ამ გამოცემას 1954 წელს ჩიკაგოში ჩაეყარა საფუძველი. მას 16-ზე მეტ ყვეყანაში 11 ენაზე კითხულობენ, ტირაჟი კი 5 მილიონს აღწევს. 130 გვერდიდან 50-ს რეკლამა იკავებს, 8-დან 13-მდე – ლიტერატურა; ასევე, არის ელიტური, მუსიკალური და სხვა ახალი ამბები; ინტერვიუები, სასარგებლო რჩევები, ტესტები, გამოკითხვები. 20 გვერდი კი მთლიანად შიშველ ნატურას ეთმობა. **რა გამოცემაა ეს?**

9. ნაპოლეონ პირველზე გამარჯვების შემდეგ, მოკავშირე სახელმწიფოებმა მისი პოლიტიკის ნარჩენებიც კი გაანადგურეს და გზა გაუხსნეს იტალიისა და გერმანიის გაერთიანებული სახელმწიფოს ღლვევას. 1814 წლის 11 აპრილის მოლაპარაკებით, ევროპაში შეიქმნა სუვერენული სახელმწიფო 223 კვადრატული კილომეტრი ფართობით, რომლის დედაქალაქი პორტოფერაიო იყო. **დაასახელეთ ამ სახელმწიფოს მონარქი.**

10. კანიუსი რომის უმაღლეს მმართველად აირჩიეს. პოსტის დატოვების შემდეგ მასზე ციცერონმა თქვა: „რომს ჰყავდა ყველაზე ფხიზელი მბრძანებელი, რომელსაც თავისი მმართველობის დროს არც კი დაუძინია“. **რატომ?**

***პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* მსოფლიოში კრიოგენულად გაყინული ყველაზე ცნობილი ადამიანია ლეგენდარული ბეისბოლისტი ტედ უილიამსი, რომლის თავი და ტანი ცალ-ცალკე კონტეინერებშია მოთავსებული. მის შვილს იმედი აქვს, რომ მომავალში გაყინული ქსოვილის დნმ-ით მამამისის გენს აღადგენენ.

* ჯაზი, როგორც მუსიკალური სტილი, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ახალ ორლეანში დაიბადა. მეოცე საუკუნის ოციან წლებში თავის დედაქალაქად მან ჩიკაგო აირჩია. ამ სტილის ყველაზე თავგამოდებულ თაყვანისმცემლად მიჩნეული სოლტ-ლეიკ სიტიში მცხოვრები, „იუტა ჯაზის“ მწვრთნელი კი სულაც არ არის მუსიკოსი.

* ყოველი წლის 14 მაისს, გრიგორიანული კალენდრით, ებრაელები ისრაელის დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავენ.

* ბურატინოს როლი თავის დროზე შეასრულეს... სოფი ლორენმა და ინოკენტი სმოქტუნოვსკიმ.

* პირველი მსოფლიო ომის გმირი, კაპიტანი ბარონ ფონ რიხტჰოფენი, რომელსაც 80-ზე მეტი საჰაერო გამარჯვება ჰქონდა, 1918 წლის გაზაფხულზე ჩამოაგდეს. ესკადრილიის მეთაურის ადგილი დაიკავა მამაცმა მფრინავმა, პირველი ხარისხის რკინის ჯვრის, მახვილიანი ლომის, კარლ ფრიდრიხისა და გოგენცოლერნების ორდენების კავალერმა... ჰერმან გერინგმა.

* გამოთვლებით, ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო სტატისტიკური პრეზიდენტი 57 წლისაა; მისი სამშობლო ვირჯინიისა და ოჰაიოს შტატების სახლერებია; პროტესტანტია, დაქორწინებული, ჰყავს ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. 35-პროცენტიანი ალბათობით, ის თანამდებობას იკავებს მისი წინამორბედის გარდაცვალების ან გადადგომისას. მთავარ გატაცებებს შორის სამწერლო მოღვაწეობაა.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლe8-e1!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ლომი ტყეში გამოვიდა, გაიხედ-გამოიხედა და ღრიალით იხმო მთელი ტყის ბინადრები. მოვიდნენ ცხოველები, მოფრინდნენ ფრინველები. ლომმა უბრძანა:




– ეს ტყე ტუალეტად რომ გადაგიქცევიათ, რას ჰგავს?! ერთ კვირაში მოვალ, ვინმეს „რამეს“ თუ ვნახავ, გავბრდღენი!

გავიდა ერთი კვირა. ლომი კვლავ გამოვიდა ტყეში და სისუფთავემ კარგ ხასიათზე დააყენა. აიხედა ზევით და ხედავს ტოტზე ბუ ზის.

– რა იყო, ბუ, რას მიყურებ?

– ბუ, არა, ბელურა ვარ, ჩემო მბრძანებელო. ტყუალეტში მინდდააა...

***

საავადმყოფოსთან ახლოს ბარია. მივიდა ტიპი და სასმელი ორი ჭიქით შეუკვეთა.

– იცით, ამ საავადმყოფოში ჩემი მეგობარი წევს და მის ნაცვლადაც ვსვამ....

ასე გაგრძელდა მთელი ორი კვირა. ერთ დღეს კი კაცმა მხოლოდ ერთი ჭიქა მოითხოვა.

– ნუთუ, თქვენი მეგობარი გარდაიცვალა? – შეიცხადა ბარმენმა.

– არა... მე გადავეჩვიე სასმელს...

***

– ორი ახალი ამბავი მაქვს...

– კარგით დაიწყე!

– მერე, მე როდის გითხარი, რომ კარგი ამბავი მაქვს?!

***

– ბოლოს და ბოლოს, გაიგე, რომ მე ქალი ვარ და არა მოსამსახურე – მზარეული, ჭურჭლის მრეცხავი, დამლაგებელი...

– მე კიდევ კაცი ვარ და არა ბანკომატი...

***

სასოწარკვეთილი გამყიდველი ქალი ხანდახან ცდილობს, თავისი პირადი ცხოვრება დროებით მაინც მოაწესრიგოს და... რეზინის ქალში ძვრება...

***

სასმელი ჭკუას არც უმატებს და არც აკლებს, უბრალოდ, ალკოჰოლის მიღებით შეგიძლიათ, შეამოწმოთ, გაქვთ თუ არა ის საერთოდ.

***

რა შეიძლება, არ იყოს ქალის ჩანთაში?

– რა თქმა უნდა, ადგილი...

***

სტუდენტმა პროფესორს ლექციიდან გათავისუფლება სთხოვა – ანგინა მაქვსო. ლექციის შემდეგ სახლისკენ მიმავალმა პროფესორმა დაინახა, რომ ეს სტუდენტი არაჩვეულებრივ ქალთან ერთად სეირნობს. პროფესორმა მობილური ამოიღო და ურეკავს:

– ყმაწვილო, ეგეთი ანგინით ლოგინში უნდა იწვე...

***

ცოლ-ქმარი პლაჟზე, შეზლონგებზე ზის. გამოიარა მაგარმა ქალმა და კაცს ლოყაზე მოუთათუნა ხელი. ცოლმა ბოროტად გააყოლა ქალს თვალი და ქმარს ეკითხება:

– ვინ იყო?

– მოიცა, ქალო, რა დროს ეგ არის, ჯობია, მომაფიქრებინა, იმას რა ვუთხრა – შენ ვინა ხარ...

***

ტიპი მაღაზიის დირექტორთან შედის...

– რას ჰგავს ეს?! ხალხს რატომ ატყუებ?

– რა ხდება, ბატონო?

– თქვენთან სარეცხის ფხვნილი ვიყიდე, ზედ აწერია, 100 გრამი უფასოდო... მივიტანე სახლში, გავხსენი და – შიგ მარტო ფხვნილია!

***

აღელვებული ტიპი იარაღის მაღაზიაში შევარდა:

– ჩქარა, რევოლვერი და ტყვიები!

– უკაცრავად, რატომ ჩქარობთ, რისთვის გნებავთ?

– ყელში ამომივიდა, მეტი აღარ შემიძლია! სიდედრი უნდა მოვკლა!

– დამშვიდდით. გარწმუნებთ, ასეთ მდგომარეობაში ნამდვილად ააცილებთ!

***

ქალი ჩვილი ბავშვით ავტობუსში ზის. ბავშვი ატირდა. დედამ ჯერ სათამაშოააჩხაკუნა, მატყუარა საწოვარა ჩაუდო – ბავშვი არ ჩუმდება... ბოლოს ამოიღო და ძუძუს აძლევს...




– ჭამე და გაჩუმდი, თორემ, აი, იმ ძიას მივცემ... – და ახედა გვერდით მდგარ მამაკაცს... ასე განმეორდა რამდენჯერმე... კაცმა ითმინა და ბოლოს ეუბნება:

– ქალბატონო, ჩამოყალიბდით, თორემ, ჩემი გაჩერებიდან უკვე მესამე გამოვიარეთ...

***

ერთდროულად ორ ქალთან ურთიერთობა, რომლებსაც სხვადასხვა ფერის თმა აქვთ, ზედმიწევნით ამაღლებს მოწესრიგებულობისა და სისუფთავის სურვილს.

***

მასწავლებელს ბნელ კუთხეში დახვდნენ:

– საფულე, სასწრაფოდ!

– ცარიელია, რად გინდა?

– მაშინ, საათი!

– საათი? საათებს ვერ მოგცემთ, კლასის ხელმძღვანელობას კი სიამოვნებით დაგითმობთ...

***

– ძვირფასო, შენ გინახავს დაჭმუჭნილი 15 000 დოლარი? – ეკითხება ცოლი ქმარს და გარაჟის კარს ნელ-ნელა აღებს.

***

ბრტყელი მკერდი, ვიწრო უკანალი, ბეწვიანი ფეხები, სახეზე – იარები და წვერი... გასაოცარია, ეს ნიშნები როგორ ამშვენებს ზოგიერთს, ზოგს კი როგორ აუშნოებს.

***

ვეება ძაღლი შევიდა მაღაზიაში. ჯერ შერეული სექციის გამყიდველთან მივიდა. გამყიდველმა ძაღლის ყელზე ჩამოკიდებული პარკიდან ფურცელი ამოიღო, შემდეგ პარკში ჩაულაგა პროდუქტი და ძაღლს მისცა. ძაღლი ხორცის სექციას მიადგა და ახლა მეხორცემ ჩაუდო ხორცი პარკში...




დაინტერესდა ერთი მყიდველი და უკან გაჰყვა. ძაღლი პრესის კიოსკს მიადგა... ასე დატვირთული შევიდა ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოში, ავიდა მეოთხე სართულზე და კარზე ფეხით მოაფხაჭუნა. კარის გაღებას არ დაელოდა, კაცმა ისე დაიწყო ძაღლის ქება...

– ძაღლი კი არა, თავად ჭკუაა, ბატონო! ეს რა ვნახე, ასეთს არც მოვსწრებივარ და არც გამიგია...

– ამაზე ამბობ, ჭკვიანიაო?! – შეაწყვეტინა პატრონმა, – სუფთა შტერია, უკვე მერამდენედ ავიწყდება გასაღების წაღება და მაინცდამაინც მე უნდა ავდგე და კარი გავუღო...

***

– შენ ჩემი ოცნების ქალი ხარ – ლამაზი, მხიარული, განათლებული...

– მაგას იმიტომ ამბობ, რომ ჩემთან სექსი გინდა...

– ამასთან, ჭკვიანიც....

# გულშემატკივარი მარო ბიცოლა, ბებიას გამოგზავნილი ღორი და წიგნიდან მოპარული ფული

### როგორ იწყება „თავდავიწყება“

ახლა იმას გიამბობთ ორიოდ სიტყვით, როგორ ვიწყებდი მარტვილელი ბიჭი მზადებას მსოფლიოს ჩემპიონობისთვის.

თბილისში რომ ჩამოვედი, ფეხბურთელობას ვაპირებდი, მაგრამ მერე და მერე ჭიდაობას უფრო დავუმეგობრდი. ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი. დედამ საბანი გამომატანა ჩემი ზომის, მაგრამ მე გავიზარდე, საბანი კი დაპატარავდა. წელს ქვემოთ ვიფარებდი და რომ არ მყოფნიდა, საბანს პალტოს წავაშველებდი ხოლმე. ხო... ჩემი სოფლელი ქალი შემხვდა იმხანად ბაზარში – მარო. მომიკითხა, როგორ ხარ, წიეო. კარგად-მეთქი.

– ფეხბურთელი თუ გახდი, ფეხბურთელი, სკანი გოლუაფირო.

– არა, მარო ბიცოლა, ვჭიდაობ, მოჭიდავე ვარ-მეთქი. ტიიტუოოოო, – გადაირია ქალი, – დედაშენს ჰგონია, ბურთს თამაშობ და შენ აქ მოჩხუბარი და მოჭიდავე გამოხვედი, მოგვჭერი თავი? – შეიცხადა.

რას ვიზამდი? ასე და ასეა, მარო ბიცოლა-მეთქი. ქალმა კარგა ხანს ივიშვიშა. ბოლოს დამშვიდდა და „საიდუმლოდ“ მეკითხება:

– ნენა, რა ვუთხრა დედაშენს? ფარა ვარენო?..

– რა ფარა? – ვიუცხოე მომენტალურად.

– ფულს გაძლევენ – ხელფასს, მაგ ჭიდაობაში?

– კი, აბა, რა! აბა, ისე სადაა, ხელფასს მაძლევენ მშვენივრად (სადაა ხელფასი – „კაჩიგარიაში“ მოვეწყვე მაშინ მორიგედ და ბინის ქირას ძლივს ავუდიოდი).

– ხოხ! – კაი ყოფილა მაშინ მაგ! სამარგალოში თლა უფულოდ ჭიდაობენ ჩვენები... გავახარებ აპა დედაშენს, გავახარებ! – როგორც იქნა დამემშვიდობა მარო ბიცოლა და წავიდა. წავიდა და გაჰყვა ჩემი გული. „სასიხარულო“ ამბავი ჩაუტანია დედაჩემისთვის, – შენი ბიჭი, რომანი ყველას აქცევს (ერევაო) ჭიდაობაში და ხელფასი ჰქონია კიდო აუთვლელიო.

„ჩემო ენავ, ჩემი მტერი ხარ!“

... იმ დღიდან სახლიდან ფულადი დახმარება ცისკარას წყალივით შეწყდა...

### ღორი და მამედა...

„მადა ჭამაში მოდის“ – 1966 წელია, გვარიანად მოვიდგი ფეხი... ერთი... ერთი ნახტომიღა დამრჩა და გასული ვარ ფონს. კარგი ცხოვრება მინდა, საქმე „წკიპზეა“ და ფულია საჭირო სასწრაფოდ, ფული... ფული... რომ არაა, რა ვილონო?!

მხსნელად ბებია მომევლინა. უზარმაზარი,




დაკლული ღორი გამომიგზავნა სამეგრელოდან. „გავყიდი ახლა საბურთალოს ბაზარზე ამ ღორს, ვიყიდი ქათმებს“... რავარი გასაყიდია? მაგრამ გვერდში ამომიდგნენ ძმები – ვოვა კანკავა და ღულუნიშვილი. ვოვამ თეთრი ხალათი ჩაიცვა და „გამყიდვლად“ დადგა, ოღონდ მეზობელმა ქალმა იცნო:

– შენ ვოვა არ ხარ, ვოვა კანკავა?!

– რა ვოვა, რის ვოვა... მე მამედა არი, ტო, – „შეინილბა“ ვოვა.

– არა, – არ ცხრება ქალი, – მამედა როგორ ხარ. თათარი ღორს არ გაყიდის, შენ ვოვა ხარ!

– ვა, კლეანუს, არა ვარ... გაიარე! – არწმუნებს ვოვა... ამ დროს ღულუნიშვილი წამოეხმარა: „ჰა, ქალბატონო-ჯან, იღიდე თუ უნდა, არ უნდა და ჰაიდა, რაა!

გაწბილებული ქალი უკანმოუხედავად გაიქცა.

### ვის რისი რცხვენია

სასტუმროში ფული დამეკარგა. წიგნში მედო და უცხო ვერავინ წაიღებდა. თუმცა, ხელსაც ვერავის დავადებდი. ამიტომ თავი შევიკავე და მომავალ საკავშირო შეკრებას დაველოდე. მოხდა ისე, რომ სულ სხვა დროს და სხვა ვითარებაში, ისევ ისე განმეორდა. ამოვწერე შეკრებებში მონაწილეთა გვარები. მხოლოდ ერთი აღმოჩნდა ისეთი, ორივე შეკრებაზე რომ გვახლდა. ძაფის გორგლის ბოლო ხელში მეჭირა. ახლა იმ კაცს ხომ არ გავამხელ... შევედი მის ნომერში და თვალი თვალში გავუყარე:

– რაღაც ცუდ ფერზე ხარ, ავად ხომ არ ხარ? – ვეკითხები მაკარენკოსავით. ვატყობ, მართლა ეცვალა ფერი.

– მოდი, პულსს გაგისინჯავ... რამდენი გაქვს პულსი საერთოდ?

– 65-68, – მპასუხობს აშკარად შემკრთალი.

– თუ ცუდად ხარ, ექიმს გამოვუძახებ

– „ბივაეტ!“ – მითხრა აკანკალებულმა.

– „ბივაეტ ი ხუჟე... ნო ისპრავიტ მოჟნა!“ – ისევ გავუყარე თვალი თვალში და ვეცი მაჯაზე. პულსი – 120!

– რატომ, ვიტიოკ... რატომ! – „გავხსენი კარტები“.

– ნუ... რომან... – წავიდა წყლად საწყალი, – მჭირდებოდა, ძალიან მჭირდებოდა.

– მერე და, გეთხოვა, შე კარგო ადამიანო... რა, ადრეც ხომ გამიმართავს ხელი?

იცი, რა მითხრა? – თხოვნა შემრცხვაო.

რას იზამ... არსებობენ თურმე ისეთებიც – თხოვნა რცხვენიათ, ქურდობა – არა...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# როგორ მოიკითხა ჩინელმა ბიჭმა ძველი მეგობრები

გამარჯობა დედა, როგორ ხარ? მე არამიშავს, ვცხოვრობ ძველებურად. დიდი ხანია, ჩვენს ნათესავებზე არ მომიწერია, რომლებთან ერთადაც ვცხოვრობდი. გუშინ ლამზირას ვთხოვე, წავიდეთ, მოვინახულოთ, ძალიან მომენატრნენ-მეთქი. ჯერ კი მითხრა, იმ ნესტიან სარდაფში რა მინდაო, მაგრამ მერე წამომყვა. ჩემს ძველ ოთახში, სადაც სამი წელი ვიცხოვრე, ძველებიდან მარტო ტენგი და ხაი შანგი დამხვდნენ. დანარჩენი 12 ადამიანი ახლები იყვნენ და არც ერთს არ ვიცნობ. ჩვენი სტუმრობისას ოთხი კაცი გარეთ გამოვიდა, რომ დაჯდომის საშუალება გვქონოდა. ერთადერთ სკამზე, რა თქმა უნდა, ლამზირა დაჯდა. მე კი სამსართულიან საწოლს მივეყუდე. ტენგს არ დაეზარა და




ყველას ამბავი მითხრა. ლუსი თურმე ციხეში ჩაუსვამთ სამი თვით, არადა თავისთვის მუშაობდა და მასაჟს უკეთებდა ქართველებს. რა დააშავა, არ მესმის. ხუნხუასაც ჩემსავით ქართველი ცოლი მოუყვანია და ახლა ბედნიერად ცხოვრობს ხარაგაულში. ძალიან მდიდარი ოჯახი შეხვედრია, ხუთი ძროხა ჰყავთო, ასე მითხრა ტენგმა. ჩანგი და დინი ევროპაში წასულან სამუშაოს საძებნად, საქართველო მოენატრებათ, მაგრამ რა ქნან, ფული სჭირდებათ. სინგისთვის უთქვამთ, მოვაგროვებთ ერთ-ორ კაპიკს და ჩამოვალთ, რომ აქ რამე ბიზნესი დავიწყოთო. ვიღაც ქუთაისელებს წაუყვანიათ მაგარ სამუშაოს დაგაწყებინებთო. სანგს და ლიანგს ერთმანეთი შეჰყვარებიათ და დაქორწინებულან და ლაგოდეხში წასულან. იქ საზამთრო მოჰყავთ. მე ძალიან გამიხარდა მათი სიყვარულის ამბავი. ლამზირამ კი თქვა: შეუყვარდებოდათ, აბა რა იქნებოდა, სამი წელი ერთ საწოლში ეძინათო. იმედი მაქვს, კეთილი სურვილით თქვა. ვონგი, რომელიღაც პარტიაში გაწევრიანებულა და მოქალაქეებს ატყუებს რაღაცეებს. მაგრამ ისიც კარგად ყოფილა. მისთვის პეროვსკაიას ქუჩაზე რაღაც ბიზნესი ჩაუბარებიათ და კარგ ფულს შოულობსო. ხაი შანგი ნაგვის მანქანაზე მოწყობილა მძღოლად და მეეზოვე ქალი უყვარს თურმე, მაგრამ ის ქალი ასაკოვანი ყოფილა და ჯერ ვერ ხვდება, ხაი შანგის სიყვარულს. ალბათ, ვერც იმას მიხვდება, მოქალაქეობის მისაღებად რომ მოიყვანს ცოლად. ჩვენი დიასახლისი და ჩემი მეჯვარე, ისევ იქ ცხოვრობს. ძალიან გაუხარდა ჩვენი დანახვა, გაგიჟდა, ცრემლებიც კი მოადგა. ქართული წესით, ჩვენი ბავშვის ნათლიაც ეს ქალი იქნება, მაგრამ ლამზირამ წამჩურჩულა, ამ ფქვილიან ქალს ნათლიად არ წამოიყვანო. ალბათ, როგორც ქართველებმა იციან, ვინმე მდიდარი ჰყავს ამოღებული მიზანში. ერთი სიტყვით, ბევრი ძველი ამბავი გავიხსენეთ, ბევრიც ვიცინეთ. ლამზირას არაფერზე არ გასცინებია. სულ მეუბნებოდა, სუნთქვა მიჭირს, წამოეთრიე სახლშიო. მაგრამ, მაინც კარგი დრო გავატარეთ. ასეა ჩვენი ამბები, დედა. მერე კიდევ მოგწერ, ძალიან მენატრებით ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტონი ვონგი**

**ბექა სიხარულიძე, უკვე 16 წელია, ამერიკაში ცხოვრობს. მან საქართველოდან შორს, კარიერა ჩოგბურთის თამაშით დაიწყო. როგორც მწვრთნელი, ის ჰოლივუდის არაერთ ცნობილ ვარსკვლავს და მათ შვილებს ავარჯიშებდა, შემდეგ საკუთარი საჩოგბურთო აკადემიაც გახსნა. სამსახიობო კარიერაშიც მოსინჯა ძალები და ახლა, საკუთარი ფილმის გადაღებასაც გეგმავს. რეჟისორიც და სცენარის ავტორიც თავად იქნება. ბექა, სულ რამდენიმე დღით ჩამოვიდა თბილისში. ჩვენ, რასაკვირველია, შანსი ხელიდან არ გავუშვით და მასთან ინტერვიუ ჩავწერეთ.**

# როგორ გაატარა ოცი წელი ამერიკულ ციხეში ბექა სიხარულიძემ და რატომ „ამუღამებდა“ ამისთვის ის სპეციალურ ქურდულ ქცევებს

**ბექა სიხარულიძე**: უკვე თექვსმეტი წელია, ამერიკაში ვცხოვრობ და ყოველთვის ყოველ წელს ვახერხებ ჩემს საყვარელ თბილისში ჩამოსვლას. სადაც არ უნდა ვიყო, მე სისხლითა და მენტალიტეტით, ქართველი ვარ და ეს არასდროს მავიწყდება. ვარ აზიატი და საქართველოს გარეშე არ შემიძლია. ბატარეასავით ვარ, რომ დავიცლები, აქ ჩამოვდივარ, „ვიტენები“ და ისევ უკან მივდივარ *(იცინის)*. ახლა, მოვისიყვარულე ჩემიანები, „დავიტენე“ და იტალიაში ვაპირებ დასასვენებლად წასვლას. იტალია ძალიან მიყვარს, მიმაჩნია, რომ ეს ქვეყანა კი არა, ერთი დიდი მუზეუმია. ამერიკიდან რომ მოვდივარ, დაგეგმილი მაქვს, ერთი გასროლით ორი კურდღლის მოკვლა. ანუ, საქართველოშიც ჩამოვდივარ და ევროპაშიც ვასწრებ დასვენებას. თან, რეჟისორობას ვაპირებ და მინდა, ყველა ქვეყანა კარგად შევისწავლო, ბევრი ადგილი მოვინახულო. ამისთვის მარტო წიგნი არ კმარა, თვალთახედვის არე უნდა გაიფართოო კაცმა. ევროპაში რომ ჩავდივარ, ვხვდები, ყოველ ჩასვლაზე რაღაც მემატება. წელიწადში ორ-სამჯერ ვახერხებ ევროპის მონახულებას და ამით კმაყოფილი ვარ. ხშირად მეკითხებიან, რომელმა ქვეყანამ მოგხიბლაო. ამაზე პასუხი არ მაქვს, რადგან, როგორც ვერ იტყვი, რომელ ქვეყანაში უფრო ლამაზი ქალები დადიან, ასევეა ქვეყანაც. ყველა ქალს თავისი შარმი და მიმზიდველობა აქვს, შეიძლება, შეუხედავი იყოს, მაგრამ თვალებით მოგხიბლოს. ამას ბევრი ვერ ხედავს. ამიტომ, ვერ იტყვი, რომელი ქვეყანა და რომელი ქვეყნის ქალებია უფრო მომხიბვლელი. თუმცა, მთელი მსოფლიო მოვიარე და ვატიკანი რომ ვნახე, მიქელანჯელოს ეპოქაში გადავვარდი, სრული შოკი მქონდა. ერთი კვირა გონზე ვერ მოვდიოდი. პარიზიც მომწონს, მაგრამ უფრო ზღვისპირა ქვეყნები მხიბლავს.

**– ახლა ვისთან ერთად ხარ ჩამოსული საქართველოში?**

– ახლა მარტო ჩამოვედი და ვმუშაობ სცენარზე, რომლის გადაღებასაც საქართველოში ვგეგმავ. მინდა, რეჟისურაშიც გამოვცადო ჩემი ძალები. ამერიკაში ჩოგბურთელი ვიყავი, შემდეგ საკუთარი ჩოგბურთის აკადემია გავხსენი, სადაც არაერთ ცნობილ ვარსკვლავს და მათ შვილებს ვავარჯიშებდი. თან, რინგზეც ვიდექი და ვჩხუბობდი. ახლაც ვვარჯიშობ კინგბოქსინში, საკუთარი მწვრთნელიც მყავს. მინდა, ფორმაში ვიყო. ასე რომ, შემოსავლიანი ბიზნესიც ავაწყვე ამერიკაში, ვჩხუბობ, ვჭიდაობ, ჩოგბურთსაც ვთამაშობ, რამდენიმე ფილმშიც გადამიღეს და ახლა რეჟისორობის ამბიციაც მაქვს *(იცინის)*.

**– არაერთ ჰოლივუდურ ფილმში ხარ გადაღებული. თუმცა, როგორც ვიცი, ყველა შენი გმირი შავი სამყაროს წარმომადგენელია. როგორ მოხვდი გადასაღებ მოედანზე და კარგად აეწყო შენი სამსახიობო კარიერა ამერიკაში?**

– შემთხვევით მოვხვდი გადასარებ მოედანზე. მეგობარს გავყევი და მის მაგივრად მე დამამტკიცეს. შემდეგ, კიდევ მივიღე სხვა ქასთინგში მონაწილეობა, დამამტკიცეს როლზე და რამდენიმე ფილმში ვითამაშე. რაც შეეხება შავ სამყაროს, ერთ-ერთ ფილმში, რომელსაც ჰქვია „კარაგანდა“, ვითამაშე ქურდის როლი. სულ „ნაკოლკებში“ ვიყავი და ქცევებიც ქურდული მქონდა *(იცინის)*. როგორც ამბობენ, კარგად მოვირგე ქურდის როლი. სხვათა შორის, სცენარი, რომ წავიკითხე, ეგრევე ვთქვი, ეს ჩემი როლია-მეთქი. კარგა ხანს „ვამუღამებდი“ ქურდულ ქცევებს. ციხეში ოცი წელი უნდა ვმჯდარიყავი, რუსი ვიყავი, ოღონდ კავკასიური აქცენტით და ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ ვემზადებოდი ამისთვის *(იცინის)*. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარ მაიას, რომელიც ყოველდღე, 2-3 საათი, გვერდით მეჯდა და მამეცადინებდა. ასე რომ, ჩემი ქურდად ჩამოყალიბებაში, მას დიდი წვლილი მიუძღვის *(იცინის)*. მე კმაყოფილი დავრჩი ჩემი თამაშით. ახლახან კი მორჩა ამერიკული ფილმის, „დაკარგული ანჯელესის“ გადაღება, რომელიც სულ მალე გამოვა ეკრანზე. ამ ფილმში კი მაფიოზი გავხდი, ნარკობიზნესმენი.



**შემოსავლიანი ბიზნესიც ავაწყვე ამერიკაში – ვჩხუბობ, ვჭიდაობ, ჩოგბურთსაც ვთამაშობ, რამდენიმე ფილმშიც გადამიღეს და ახლა რეჟისორობის ამბიციაც მაქვს**

**– ცნობილ ჰოლივუდელ მსახიობებთან თუ მეგობრობ?**

– გადასაღებ მოედანზე არაერთ ცნობილ თუ ოსკაროსან მსახიობს, რეჟისორსა და ოპერატორს შევხვედრივარ. მათთან მისაუბრია და

**შემთხვევით მოვხვდი გადასაღებ მოედანზე, მეგობარს გავყევი და მის მაგივრად მე დამამტკიცეს**

მათ გვერდით მითამაშია კიდეც. საოცრად თბილი და გულღია ადამიანები არიან. სხვათა შორის, ტომ კრუზი და კამერონ დიასი დაინტერესდნენ ჩემით. ვიჯექი, წიგნს ვკითხულობდი, მომიახლოვდნენ და გამომკითხეს: რა წიგნს კითხულობ, ვინ ხარ, საიდან ხარ, აქ როგორ მოხვდიო. კარგა ხანს ვისაუბრეთ. რომ გაიგეს, სარეჟისოროზე ვსწავლობ და გეგმაში მაქვს ფილმის გადაღება, ძალიან გაუხარდათ.

**– ფილმის გადაღებას საქართველოში აპირებ. ჰოლივუდელი მსახიობების მოწვევას გეგმავ?**

– ვნახოთ, ჯერ არ მაქვს დაგეგმილი. ახლა მინდა სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება, რომლის ოპერატორიც იქნება ცნობილი ოსკაროსანი, წარმოშობით ბერძენი – ფრედონ პაპა-მიხაელი. ამის შემდეგ კი დაიწყება სრულმეტრაჟაინი ფილმის გადაღება, რომელიც ქართველ ექიმზეა. მოქმედება 90-იან წლებში ხდება. მინდა, ის ხალხი, ვინც ამ ფილმს ნახავს, კიდევ ერთხელ დაფიქრდეს, ცრემლი მოერიოს და გაიხსენოს წარსული, რომელიც გაიარა. მე მსოფლიოს ატირებას არ ვაპირებ ამ ფილმით, უბრალოდ მინდა, ამით ჩემი ქართველები ვასიამოვნო.

**– ძირითადად, კარიერაზე მესაუბრები, პირად ცხოვრებაზე კი არაფერი გითქვამს.**

– 35 წლის ვარ და დროა, პირად ცხოვრებაზეც ვიფიქრო. მინდა, ქართველი გოგონა მოვიყვანო ცოლად, ჩვენს ტრადიციებზე აღზრდილი. მეხუმრებიან ხოლმე, შენ მგონი, ქართველ კამერონ დიასს ეძებო *(იცინის)*. ქართველი კამერონ დიასი სად ვიპოვო, მაგრამ კარგ გოგოს რომ ვიპოვი, მასთან ერთად ოჯახს შევქმნი და შვილებს გავზრდი, ეს ნამდვილად ვიცი *(იცინის)*. სხვათა შორის, ჩემს სამსახიობო კარიერაში დიდი როლი მამაჩემმა, გივი სიხარულიძემ და ბატონმა თემურ ბაბლუანმა ითამაშეს. არ დამავიწყდება, „უძინართა მზეს“ რომ იღებდა ბაბლუანი, პატარა ვიყავი, „მასოვკაში“ მათამაშა და ავიღე პირველი ხელფასი. დღეს ჩემი შემოსავლის წყარო ჩოგბურთის აკადემიაა, მსახიობობა – გატაცება, რეჟისორობა კი ჩემი დიდი გეგმა. ერთხელ მკითხეს, რამდენი გინდა, გქონდეს ფულიო. ვუპასუხე, მინდა უმდიდრესი კაცი გავხდე-მეთქი. რად გინდაო. იცით, რისთვის მინდა მილიონები?

**– ნამდვილად არ ვიცი. რისთვის გინდა მილიონები?**

– იმისთვის, რომ ბევრი საქველმოქმედო საქმე გავაკეთო. პირველი ნაშოვნი ორი მილიონით კი საქართველოში გავხსნი უდედმამო ბავშვთა სახლს და მათ მოვუვლი. ეს ჩემი დიდი ხნის გეგმა და ოცნებაა.

**ნონა დათეშიძე**

ISSN 1987-569X



გვ. 74

როგორ დაამზადა გოჩა ლაღიძემ ირაკლი მეგრელიშვილთან ერთად მსოფლიოში ერთადერთი მომინანქრებული ხანჯალი და რისთვის მიიღო ევროპაში რამდენიმე გრანპრი ქართველმა რკინის კაცმა



გვ. 15

რატომ ყიდის ნიგოზს მილიონად პრეზიდენტობის კანდიდატი თენგიზ გაბიძაშვილი და რის გამო დაიბარეს ის შინაგან საქმეთა სამინისტროში



გვ. 75

რატომ გახდა პარიზში ნუკი კოშკელიშვილი „ბარიგა“ და „ალკოჰოლიკი“ და რის გამო სთხოვეს მას ფრანგებმა ცოლობა

საქართველო ბე... ბაჟაღლო და თბილი...

# თბი...ლისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი • გამ... ...ათობით 2 – 8 სექტემბერი • №36 (662) • ფასი 1,50 ლარი